

სახელმძღვანელო
დოკუმენტი

არასრულწლოვანთა
მართლმსაჯულების
საკანონმდებლო რეფორმის
სახელმძღვანელო
მიმართულება

2011 წლის მაისი

ბავშვთა
დაცვის
განყოფილება

სახელმძღვანელო დოკუმენტი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების
საკანონმდებლო რეფორმის
სახელმძღვანელო მითითებები

ქეროლინ ჰამილტონი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები
© ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა
ფონდი ("იუნისეფი"), ბავშვთა დაცვის განყოფილება, ნიუ-იორკი, 2011

გაეროს ბავშვთა ფონდი
ბავშვთა დაცვის განყოფილება
3 UN Plaza (გაეროს მოედანი), ნიუ-იორკი, ნიუ-იორკის შტატი 10017
მაისი, 2011

წინამდებარე ნაშრომი არის სამუშაო დოკუმენტი. იგი მომზადებულია ცოდნის გაზიარებისა და დისკუსიების
სტიმულირების მიზნით.

აღნიშნულ ნაშრომში მოცემული აღმოჩენები, ინტერპრეტაციები და დასკვნები ავტორისეულია (ან ავტორებისეულია) და
ყველა შემთხვევაში არ ასახავს "იუნისეფის" პოლიტიკასა და შეხედულებებს.

ტექსტი არ არის რედაქტირებული ოფიციალური საგამომცემლო სტანდარტების შესაბამისად და "იუნისეფი" არ იღებს
პასუხისმგებლობას შეცდომებზე.

წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული აღნიშვნები არ ითვალისწინებს რომელიმე ქვეყნის სამართლებრივი სტატუსის,
ტერიტორიის, მისი ხელისუფლების ან საზღვრების დელიმიტაციის შესახებ შეხედულების ჩამოყალიბებას.

ავტორის შესახებ

ქეროლინ ჰამილტონი არის ესექსის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი და ბავშვთა სამართლებრივი ცენტრის
დირექტორი (CLC). ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი არის გაერთიანებულ სამეფოში, ესექსის უნივერსიტეტის ბაზაზე
დაფუძნებული დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების დაცვის
პოპულარიზაციას და განხორციელებას. ცენტრი თანამშრომლობს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებთან, გაეროს
უნეცებებსა და სააგენტოებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ცენტრის საერთაშორისო
პოლიტიკისა და პროგრამების განყოფილებას, რომელიც დაკომპლექტებულია ბავშვთა უფლებების სფეროში მომუშავე
იურისტების, სოციალური მუშაკების, ჯანმრთელობის სპეციალისტებისა და მკვლევარების ძირითადი გუნდით, მოპოვებული
აქვს საერთაშორისო აღიარება.

ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი აწარმოებს სისტემების, კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის კვლევასა და
ანალიზს და ახორციელებს რეფორმირების პროგრამებს, ატარებს კონსულტაციებსა და ტრენინგებს ბავშვის უფლებების
სფეროში გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მთელი სპექტრისათვის. იგი ასევე უფასოდ უზრუნველყოფს
ხელმისაწვდომ სამართლებრივ ინფორმაციას ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ მთელ რიგ თემებზე და ეს ინფორმაცია
მის ვებგვერდებზე შეგიძლიათ იხილოთ.

გაერთიანებულ სამეფოში ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი გთავაზობთ სამართლებრივ ინფორმაციას, კონსულტაციებს
და წარმომადგენლობას ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, მათი მშობლებისათვის, მათზე მზრუნველებისა და მათთან
მომუშავე სხვა სპეციალისტებისათვის.

დამატებითი ინფორმაციისათვის ენციკლად ვებ გვერდს: <www.childrenslegalcentre.com>; <www.essex.ac.uk/armedcon>
ინფორმაციის მისაღებად ბავშვებსა და შეიარაღებულკონფლიქტებზე და <www.lawstuff.org.uk> არის ბავშვთა სამართლებრივი
ცენტრის ვებგვერდი ახალგაზრდებისთვის.

ბავშვთა სამართლებრივი ცენტრი
ესექსის უნივერსიტეტი
Wivenhoe Park
Colchester
ესექსი C04 3SQ
ტელ.: + 44 (0) 1206 877910

ლონდონის ოფისი
სართული 1
38 დიდი პორტლანდის ქუჩა
(38 Great Portland Street)
ლონდონი W1W 8QY
ტელ.: + 44 (0) 20 7580 1664

საკონტაქტო ინფ.: clc@essex.ac.uk

პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ
თვალსაზრისს.

© ქართული თარგმანი, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2013

გაეროს ბავშვთა ფონდი
ერისთავის ქ. 9, გაეროს სახლი
0179, თბილისი, საქართველო
ტელ: 2 25 11 30, 2 23 23 88
ელ.ფოსტა: tbilisi@unicef.org
www.unicef.ge

პუბლიკაცია იბეჭდება ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

მადლობა

ამ პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ბავშვთა სამართლებრივი ცენტრისა და “იუნისეფის” თანამშრომლების ფასდაუდებელი წვლილის წყალობით. ავტორი დიდ მადლობას მოახსენებს რეიჩელ ჰარვისა და რეიჩელ უაიეტს მათი ღვაწლისათვის, ასევე ანნ გრანჯანს, ნადინ პეროს, პაოლო მარკის და კენდრა გრეგსონს მათი კოლექტიური მეთვალყურეობისა და კოორდინაციისათვის. აგრეთვე, მადლობა ნაიჯელ კენველს, დონ ჩიპრიანის, გერტ კაპელერს, პოლი დევჰირსტს, გუილემეტ მეუნიერს, რუთ ბარნსს, ერიკა ჰოლსსა და დენ ოდონელს.

სარჩევი

შესავალი.....	9
1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩარჩო.....	18
1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტები და ნორმები.....	18
1.2. დამოუკიდებელი სისტემა არასრულწლოვანთათვის	22
1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მონიტორინგი და შეფასება.....	24
1.4. ვის ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა?	24
1.5. სტატუსური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია.....	29
2. ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი პრინციპები.....	34
2.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა.....	34
2.2. დისკრიმინაციის დაუშვებლობა	35
2.3. სიცოცხლის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება	38
2.4. ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი	39
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგადი პრინციპები	44
3.1. ინტერვენციის (ჩარევების) მიზანი.....	44
3.2. ბავშვის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობა	44
3.3. წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა	45
3.4. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან ურთიერთობა სასამართლო განხილვის გამოუყენებლად.....	49
3.5. პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს დროის რაც შეიძლება შესაფერისი მოკლე პერიოდის განმავლობაში.....	49
4. მინიმალური გარანტიები და უფლებები წინასასამართლო ეტაპზე	52
4.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია	52
4.2. დაკავებისა და ბრალდებების მიზეზებზე ინფორმაციის მიღების უფლება	52
4.3. დაკავების შესახებ მშობლებისთვის ან კანონიერი წარმომადგენლისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინების უფლება	55
4.4. იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარების მიღების უფლება დაკავებისა და დაკითხვისას	57
4.5. მოსამართლის ან სხვა უფლებამოსილი მოხელის ყურადღების დაუყოვნებლივ მიღების უფლება.....	60
5. სასამართლო პროცესის ალტერნატივები: განრიდება	65
5.1. არავითარი ჩარევა.....	65
5.2. წინასწარ გაფრთხილება	65
5.3. მზრუნველობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროცედურების გამოყენება.....	66
5.4. განრიდება სასამართლომდე: სამართლებრივი გარანტიები	67

5.5. ვის შეუძლია განრიდება?.....	69
5.6. განრიდებას პროგრამების ზოგიერთი ტიპი	73
6. წინასწარი პატიმრობა და მისი ალტერნატივები.....	77
6.1 გათავისუფლება სასამართლომდე ან გირაოს სანაცვლოდ.....	77
6.2. წინასწარი პატიმრობა	78
7.სამართლიანი სასამართლოს უფლება	83
7.1. გადაწყვეტილების დაყოვნების გარეშე მიღება.....	83
7.2. კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე	84
7.3. წარმომადგენლობა სასამართლოში	85
7.4. მშობლის თანდასწრებით	87
7.5. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება	88
7.6. ბავშვის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა.....	90
7.7. ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი გარემო	94
7.8. ბავშვი არ უნდა იყოს იძულებული, მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული	95
7.9. უნდა დაესწროს თუ არა ბავშვი სასამართლოს?.....	96
7.10 გასაჩივრების უფლება	96
8. სასჯელის შეფარდება.....	100
8.1. სასჯელის შეფარდებისას გამოსაყენებელი პრინციპები	100
8.2. არასაპატიმრო სასჯელები	102
8.3. საპატიმრო სასჯელები	111
8.4. აკრძალული სასჯელები.....	115
9. პატიმრობის სტანდარტები.....	120
9.1. თავისუფლების აღკვეთის მიზანი	121
9.2 უფროსებისაგან განცალკევება.....	121
9.3. პატიმრობის პირობები და პატიმართა მიმართ მოპყრობა.....	123
9.4 სასჯელაღსრულების დანესებულების კადრებით დაკომპლექტება	129
9.5 თავისუფლებააღკვეთილი გოგონების მდგომარეობა.....	130
9.6 საზოგადოებაში დაბრუნება	132
9.7. ვადამდე განთავისუფლება	132
9.8. მონიტორინგი (შიდა და გარე) და საჩივრები	133
დანართი 1. წყაროები	136

აბრევიატურები

ამერიკის კონვენცია	ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია
ბანჯულის ქარტია	ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია
პეკინის წესები	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ
პრინციპების ნაკრები	ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები
CEDAW	კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
კონვენცია წამების წინააღმდეგ	კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ
ბავშვის უფლებათა კონვენცია/CRC	გაეროს ბავშვის უფლებების დაცვის კონვენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ჰავანის წესები	გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ
NGO-ები	არასამთავრობო ორგანიზაციები
OHCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის ოფისი (უმაღლესი კომისარიატი)
რიადის პრინციპები	გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის შესახებ
სტანდარტები და ნორმები	გაეროს მინიმალური სტანდარტები და ნორმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ
UDHR/საყოველთაო დეკლარაცია	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
UNODC	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის ან საერთო კანონებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილი თავების თუ ნაწილების შემუშავებასა და გადასინჯვაში ჩართული პარლამენტარებისა და სამთავრობო სტრუქტურებისათვის, ისევე, როგორც აღნიშნულ პროცესში დამხმარე არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროს უწყებებისა და სხვა ეროვნული და საერთაშორისო დონის პარტნიორებისათვის.¹ მასში ჩამოყალიბებულია ის პრინციპები, სტანდარტები და ნორმები, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანისას ან კანონპროექტების მომზადებისას, და მოცემულია ამ საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკისა და კვლევის მაგალითები. აღნიშნული მაგალითები მიზნად ისახავს მკითხველისათვის ზოგადი წარმოდგენის შექმნას შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებებზე და არა ისეთი დებულებების შეთავაზებას, რომლებიც შეიძლება პირდაპირ იქნეს მიღებული სხვა სახელმწიფოების მიერ ახალი კანონმდებლობის დამუშავებისას.

წინამდებარე მეთოდური დოკუმენტი იზიარებს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას. საბაზისო ჩარჩოს სახით, რომლის ფარგლებშიც უნდა განვიტარდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, იგი იყენებს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დარეგულირების სტრუქტურებს, კერძოდ: გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას (CRC),² საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR),³ გაეროს მინიმალურ სტანდარტებსა და ნორმებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ (სტანდარტები და ნორმები)⁴ და კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ⁵ (CEDAW).⁶

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სამუშაოდ რთული სფეროა, ვინაიდან აერთიანებს მთელი მსოფლიოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ყოველთვის ადვილი არ იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული ბევრი განსხვავებისა და კომპლექსურობის, აგრეთვე პრაქტიკული ვარიაციების გათვალისწინება და ასახვა წინამდებარე სახელმძღვანელოში. მნიშვნელოვანია, რომ ეს სახელმძღვანელო მივიჩნიოთ არა საბოლოო დოკუმენტად და “ქვაში ამოჭრილ უცვლელ ძეგლად”, არამედ განვითარებად სახელმძღვანელოდ, რომლის ფორმასაც განაპირობებს ქვეყნების გამოცდილება და იმის თანდათანობით უკეთ გაგება, თუ რა მუშაობს ეფექტიანად და რა არა. მაღლიერი ვიქნებით, თუ სახელმძღვანელოთი სარგებლობისას გაგვიზიარებთ თქვენს მოსაზრებებს მისი შინაარსისა თუ ფორმის თაობაზე, ასევე, დავაფასებთ,

¹ იხ., აგრეთვე, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს კანონის მოდელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, 2011. შემდგომში მოიხსენიება როგორც “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის მოდელი”.

² გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის # 44/25 რეზოლუციით და ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს.

³ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი, მიღებულია და ღიაა ხელმოწერისთვის, რატიფიცირებისა და მიერთებისათვის გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A (XXI) რეზოლუციით, გაეროს ხელშეკრულებათა კრებული, ტ. 993, გვ. 3.

⁴ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ: 1990 წლის 14 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/112 (შემდგომში მოიხსენიება როგორც “რიადის პრინციპები”); გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ: 1985 წლის 29 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/40/33 (შემდგომში მოიხსენიება როგორც “პეკინის წესები”); გაეროს წესები თავისუფლებადაკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990) (შემდგომში “ჰავანის წესები”). “ჰავანის წესები” შეიცავს თავისუფლებადაკვეთილ არასრულწლოვანებზე ზრუნვისა და მათ მიმართ მოპყრობის დეტალურ მინიმალურ სტანდარტებს. იხ., აგრეთვე, სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 1997 წლის 21 ივლისი, რეზოლუცია 1997/30, შემდგომში “ვენის პრინციპები”.

⁵ კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: 1979 წლის 18 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/34/180.

⁶ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის საკითხებზე დამატებითი დახმარებისა და ხელშეწყობის მიზნით იხ., აგრეთვე, “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონის მოდელი”.

თუ მოახერხებთ გაგვიზიაროთ თქვენი პრაქტიკული გამოცდილება. ამ გზით ჩვენ შევძლებთ, შევიტანოთ ცვლილებები დოკუმენტში და სახელმძღვანელო შევინარჩუნოთ “ცოცხალ ორგანიზმად”, რომელიც ასახავს ქვეყნების დონეზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტების განხორციელების სირთულეებს.

ჩვენთან დაკავშირება და კომენტარების გამოგზავნა შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: justiceforchildren@unicef.org და clc@essex.ac.uk, ან ბავშვთა სამართლებრივი ცენტრის ვებგვერდის www.childrenslegalcentre.com გამოყენებით.

სახელმძღვანელო დაყოფილია ნაწილებად, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩარჩოს, ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგად ფუძემდებლურ პრინციპებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგად პრინციპებს, მინიმალურ გარანტიებს და უფლებებს წინასწარი პატიმრობისას, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ალტერნატივას (განრიდებას), წინასწარ პატიმრობას, სამართლიანი სასამართლოს უფლებას, სასჯელაღსრულებას (და საპატიმრო სასჯელების ალტერნატივებს) და დაპატიმრების სტანდარტებს.

იმ ძირითადი საკითხების ჩამონათვალი, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონში, შეგიძლიათ მოიძიოთ თითოეული ნაწილის ბოლოს.

ტერმინების განმარტება

ამ ნაწილში, წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის კითხვის გაადვილების მიზნით, მოცემულია საერთაშორისო ინსტრუმენტებში ყველაზე ხშირად გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის განმარტება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული კანონმდებლობა მნიშვნელოვნად განვითარდა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში ცვლილება განიცადა ფორმულირებებმაც. ზოგიერთ, შედარებით ძველ, საერთაშორისო ინსტრუმენტში გამოყენებული ტერმინები ყოველთვის არ არის თავსებადი ბავშვის უფლებათა კონვენციასთან. კანონმდებლობის დამუშავებისას გამოყენებული უნდა იქნეს ბავშვის უფლებათა კონვენციის ტერმინოლოგია.

ბავშვი: ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის პირი, თუკი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები: თითოეული ის ბავშვი, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განცხადებით ყველა პირს, რომელსაც სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, უნდა მოეპყრონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესების შესაბამისად.⁷ აქედან გამომდინარე, ფრაზა “კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები” ეხება 18 წლამდე ასაკის პირებს, განურჩევლად იმისა, თუ რა ასაკი ითვლება სრულწლოვანების მიღწევის ასაკად ამა თუ იმ სახელმწიფოში.

ბავშვი, რომელსაც “ბრალად ედება სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა”: ტერმინი გამოიყენება იმ ბავშვებთან მიმართებაში, რომლებსაც უკვე წაუყენეს ბრალი სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ მათი საქმე სასამართლოში ჯერ არ განხილულა.

ბავშვი, რომელმაც, სავარაუდოდ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა: ბავშვი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს გამოძიება ეჭვის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა დანაშაული”.
დამნაშავედ ცნობილი ბავშვი: ბავშვი, რომელიც დანაშაულის ჩადენაში უკვე დამნაშავედ ცნო სასამართლომ სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის შესაბამისად.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა: კანონთა კრებული, რომელიც განსაზღვრავს დანაშაულებს, არეგულირებს ეჭვმიტანილების დაკავებასთან, ბრალის წაყენებასთან და გასამართლებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ადგენს სასჯელებს და დამნაშავედ ცნობილი სამართალდამრღვევი პირების მიმართ მოპყრობის რეჟიმებს.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა: ტერმინი მოიაზრებს ყველა იმ პირის მიმართ გამოსაყენებელ პოლიტიკას, სტრატეგიას, კანონმდებლობას, პროცედურებს და პრაქტიკას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სახით, მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას და, შესაბამისად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში გათვალისწინებული გარანტიები ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებსაც, იმ შემთხვევებშიც კი, თუ აღნიშნული დებულებები არ არის კონკრეტულად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისათვის შექმნილი.

დელინკვენტობა: ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ან ანტისოციალური ქმედება თუ ქცევა. ტერმინის ნეგატიური კონოტაციის გამო და ვინაიდან იგი იწვევს ბავშვის სტიგმატიზაციას, არასრულწლოვანებთან დაკავშირებით აღნიშნული ტერმინის გამოყენებისგან თავს იკავებენ.

თავისუფლების აღკვეთა: სასამართლოს (მოსამართლის), ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო ორგანოს ბრძანებით პირის დაპატიმრება თავისუფლების აღკვეთა ან ისეთ საჯარო თუ კერძო საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსება, რომლის დატოვების უფლება საკუთარი სურვილისამებრ ამ პირს არ ექნება.

⁷ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N. 10 (2007), ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, გაეროს დოკ. CRC/C/GC/10, პუნქტი 37

არასრულწლოვანი: ტერმინი, რომელიც გამოიყენება იმ ბავშვის აღნიშვნის მიზნით, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანებისათვის. დროთა განმავლობაში ტერმინმა ნეგატიური კონოტაცია შეიძინა. ზოგიერთი დოკუმენტი კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს ან არასრულწლოვან დამნაშავეებს უწოდებს. წინამდებარე დოკუმენტი კი იყენებს ტერმინს “კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები”, რომელსაც ამჯობინებს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, და სიტყვას “ბავშვი” ნაცვლად “არასრულწლოვანისა”.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა: ზოგადი ტერმინი, რომელიც გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვების მიმართ გამოსაყენებელ პოლიტიკას, სტრატეგიას, კანონმდებლობას, პროცედურებსა და პრაქტიკას.

“უკიდურესი ზომა“: მიმართავენ იმ შემთხვევებში, როდესაც არასაპატიმრო ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობის განხილვის შედეგად დადგინდა მათი შეუსაბამობა და არ არსებობს საჭირო დაცვით ბავშვის უზრუნველყოფის სხვა გზა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი: ასაკი, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ დანაშაულის ჩადენის უნარი.

სისხლის სამართალი/penal law: სხვა ტერმინი, რომელიც სისხლის სამართლის აღნიშვნის მიზნით გამოიყენება ზოგიერთ იურისდიქციებში.

განრიდება სასამართლოსთვის საქმის გადაცემის გარეშე: ბრალის ნაყენების და სისხლის სამართლის საქმის წარმოების ალტერნატივა, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი აღიარებს ბრალს. ბავშვის “განრიდებას” ადგილი აქვს საქმის სასამართლოში გადაცემამდე, ძირითადად, დანაშაულებრივი ქცევის დაძლევაში დასახმარებლად.

სტატუსური დანაშაული: ქმედება, რომლის ჩადენაც შეუძლია მხოლოდ გარკვეული სტატუსის მქონე პირს. უმეტესად გამოიყენება იმ დანაშაულების განსასაზღვრად, რომელთა ჩადენაც მხოლოდ ბავშვის მიერაა შესაძლებელი (მაგალითად, სკოლის გაცდენა).⁸

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის რეფორმა:

ვიწრო გაგებით, კანონმდებლობის რეფორმა გულისხმობს მხოლოდ არსებული კანონის შეცვლას ან ახალი კანონის შექმნას. თუმცა პრაქტიკაში “კანონმდებლობის რეფორმა” ამაზე გაცილებით მრავალმხრივი პროცესია და სცდება სამართლებრივი ჩარჩოს უბრალოდ გადასინჯვას და მასში შესწორებების შეტანას.

კანონმდებლობის რეფორმა მოიცავს:

- პოლიტიკის, საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გათვალისწინებას;
- ინსტიტუციურ შესაძლებლობებს;
- პროფესიულ პრაქტიკას;
- დაგეგმვას და განხორციელებას; და
- გარდამავალ ღონისძიებებს.

რეფორმის ეფექტიანობისათვის იდეალურ ვარიანტში ეს უნდა იყოს ერთგვარი თანამონაწილეობითი პროცესი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ პოლიტიკურ იდეოლოგიას, არამედ სისტემაში მომუშავე პროფესიონალების შეხედულებებსა და ასევე იმ ბავშვების მოსაზრებებს, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ობიექტებს წარმოადგენენ.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ახალ კანონს წინ უნდა უძღოდეს ამომწურავი ანალიტიკური დოკუმენტის შექმნა, რომელშიც დასაბუთებული იქნება რეფორმის მიზეზები და ის შედეგები, რომელთა მიღწევასაც ახალი კანონი ისახავს მიზნად. სახელმწიფოებს მსგავსი დოკუმენტის შემუშავებაში დახმარებას გაუწევს ბავშვის უფლებათა

⁸ იხ. “რიადის პრინციპების” 56-ე წესი.

კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10, სადაც ჩამოყალიბებულია ის უმთავრესი პრინციპები და ძირითადი ელემენტები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ასეთ დოკუმენტში.⁹

სასურველია, ნებისმიერი ანალიტიკური დოკუმენტი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კანონის მნიშვნელოვანი ცვლილებები, თავდაპირველად მომზადდეს საკონსულტაციო დოკუმენტის სახით, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში დაინტერესებულ მხარეებს მისცემს თავიანთი მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას. საბოლოო ანალიტიკური დოკუმენტი ნათლად უნდა გადმოსცემდეს ახალი კანონის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე იმას, თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ახალი კანონის სრულად განხორციელების მიზნით. ამ პროცესმა შეიძლება მოითხოვოს ინსტიტუციური და საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარება და ცვლილებები, არსებულ ან ახალ ორგანოებში მომუშავე პერსონალის სწავლება და პროფესიონალიზმის გაზრდა, პროფესიული და პრაქტიკული განვითარება და რესურსების გამოყოფა საკანონმდებლო ცვლილებების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც იწყებს ბავშვებისათვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დანერგვაზე ან მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობას, უნდა უზრუნველყოს, რომ შემოთავაზებული პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას, “სტანდარტებსა და ნორმებს” და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ იმ სხვა საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტებს, რომელთა მონაწილეც არის.

კანონთა კრებულში, მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს:

- მიზნებსა და ამოცანებს;
- ზოგად პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება სისტემაში მოხვედრილ ნებისმიერ ბავშვთან მიმართებაში; და
- საპროცესო დაცვის დეტალურ მექანიზმებსა და გარანტიებს.

არსებობს ასევე იმის უზრუნველყოფის აუცილებლობა, რომ განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებები გათვალისწინებული იყოს კანონში, დამატებით აქტებში, დებულებებში ან კოდექსებში. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა თავის #5 ზოგად კომენტარში აღნიშნა, რომ “ფუნდამენტურია იმის უზრუნველყოფა, რომ მთელი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სრულად შეესაბამებოდეს კონვენციას და კონვენციის პრინციპებისა და დებულებების გამოყენება პირდაპირ იყოს შესაძლებელი. გარდა ამისა, ეფექტიანი განხორციელებისათვის უნდა გატარდეს რიგი სხვადასხვა ზომებისა... მათ შორის შეიქმნას სპეციალური სტრუქტურები და შემუშავდეს მონიტორინგის, ტრენინგისა და სხვა ქმედებები მთავრობაში, პარლამენტსა და სასამართლოებში ყველა დონეზე”¹⁰

საილუსტრაციო მასალა 1: სიერა-ლეონე: საერთაშორისო სტანდარტების განხორციელების სტრატეგიები

საბავშვო მართლმსაჯულების ეროვნული სტრატეგია სიერა-ლეონემ 2006 წელს შეიმუშავა საზოგადოებრივ ლიდერებთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პრაქტიკოსებთან, ბავშვებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციების შემდეგ. სტრატეგია, რომელიც შემუშავდა საბაზისო ჩარჩოს სახით ქვეყანაში ბავშვთა უფლებების ახალი აქტის (2007) განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა კონვენციის და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სხვა საერთაშორისო სტანდარტებს.

წყარო: ბავშვთა უფლებების აქტი მიღებული იქნა კანონის სახით 2007 წელს (სიერა-ლეონეს საგანგებო უწყებების (LEONE GAZETTE EXTRAORDINARY) დამატება, ტომი CXXXVIII, № 43, 2007 წლის 3 სექტემბერი); სოციალური დაცვის, გენდერული და ბავშვთა საქმეთა სამინისტრო, საბავშვო მართლმსაჯულების ეროვნული სტრატეგია, სიერა-ლეონე, 2006 წლის ივლისი.

⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 4.
¹⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N5 (2003), ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები, გაეროს დოკ. CRC/GC/2003/5, პუნქტი 1.

ბიუჯეტის შედგენა და განხორციელების დაგეგმვა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კანონმდებლობის შემუშავება განხილული უნდა იქნეს მხოლოდ როგორც სისტემური რეფორმის ერთი ნაწილი. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებს მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეთ იმ ცვლილებების ღირებულებაზე, რომლებსაც საკანონმდებლო რეფორმა მოიტანს, და ასევე ყველა შესაბამისი სამინისტროს მხრიდან ამ ცვლილებების განხორციელებისათვის ვალდებულებების აღების საჭიროებაზე. "იმისათვის, რომ კანონმდებლობა ეფექტიანი იყოს, დათვლილი უნდა იქნეს განხორციელების ხარჯები და შესაბამისმა საკანონმდებლო, აღმასრულებელმა და სასამართლო ორგანოებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ წარმატებული განხორციელებისათვის აუცილებელი ინსტიტუტებისა და პროგრამების ჩამოყალიბების, გაძლიერების ან გაფართოების ვალდებულება. კანონმდებლობა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, ვერ ხორციელდება საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო, მნიშვნელოვანს ვერაფერს აკეთებს და შესაძლოა გარკვეული თვალსაზრისით კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს."¹¹

საილუსტრაციო მასალა 2: სამხრეთ აფრიკა: ბავშვთა მართლმსაჯულების ბილი

1997 წლის იანვარში სამხრეთ აფრიკაში ბავშვთა მართლმსაჯულების ბილთან დაკავშირებით ბიუჯეტის შედგენისა და განხორციელების დაგეგმვის პროცესის წარმართვისა და ბიუჯეტისა და განხორციელების გეგმის მომზადების მიზნით დაარსდა ბავშვთა მართლმსაჯულების შიდა დარგობრივი კომიტეტი.

მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა კონსულტაცია სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში მომუშავე პრაქტიკოსებთან და საზოგადოების წევრებთან. კონსულტაცია გაიმართა ასევე სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ ბავშვებთან. ყველა მონაწილე ბავშვს ბრალად ედებოდა დანაშაულის ჩადენა, გარდა საკონტროლო ჯგუფში შემავალი ბავშვებისა, რომლებიც არასდროს ყოფილან შეხებაში სისხლის სამართლის სისტემასთან.

კომიტეტის მთავარი პრიორიტეტი იყო ბავშვთა მართლმსაჯულების "განხორციელება" ბილის შექმნა. ამიტომ მან მუშაობის დანაშაულისთანავე მიიღო გადაწყვეტილება, შესაფერისი ორგანიზაციისთვის შეეკვეთა შემოთავაზებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რენტაბელობის კვლევა და შემუშავებინა განხორციელების სტრატეგია. აღნიშნული სამუშაო შეასრულა კვიპტაუნის უნივერსიტეტის გამოყენებითი ფისკალური კვლევის ცენტრმა 1998-1999 წლებში, ეკონომისტებისა და იურისტების მონაწილეობით.

რენტაბელობის ანალიზით შესწავლილი და შედარებული იქნა ბავშვების მიმართ სამართალწარმოების მდგომარეობა სისხლის სამართლის სისტემის არსებულ პროცედურებზე დაყრდნობით და ბავშვთა მართლმსაჯულების ბილით გათვალისწინებულ სისტემაში. არსებული და შემოთავაზებული სისტემების სხვადასხვა ეტაპებზე ბავშვების ნაკადების საილუსტრაციოდ შემუშავდა დინამიკური ცხრილების მოდელი, რომელსაც ბავშვთა მართლმსაჯულების მოდელი უწოდეს. აღნიშნული მოდელით დადგინდა წლის განმავლობაში სისტემის სხვადასხვა ეტაპზე მოხვედრილი ბავშვების საქმეებზე პროცესის დანაშაულის, ტრანსპორტირების, დაკავების ხარჯები დედაქალაქში, ქალაქებსა და სოფლებში არსებული სხვადასხვა კრიმინალური დონის გათვალისწინებით. ეკონომისტებმა თითოეული დეპარტამენტისათვის მოამზადეს საკუთარი ბიუჯეტის შემუშავების სანიმუშო მოდელები. სანიმუშო მოდელის მიხედვით ბიუჯეტის შედგენის სწავლის მიზნით შესაბამისი პერსონალი დაესწრო ტრენინგს.

პროცესმა გვაჩვენა რენტაბელობის ანალიზის კანონმდებლობის შემუშავების პროცესში განხორციელების უპირატესობა კანონის გამოცემის შემდეგ ანალიზთან შედარებით. ეს იძლევა კანონმდებლობაზე მუშაობის პროცესში კორექტირების საშუალებას. ასევე გამოვლინდა ყველა შესაბამისი სექტორში ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობა, რადგან ზოგიერთ (მაგალითად, იუსტიციის) სექტორში დაზოგვამ შეიძლება მოახდინოს სხვა (მაგალითად, სოციალური განვითარების) სექტორში დამატებითი ხარჯების კომპენსირება.

¹¹ საპარლამენტაშორისო კავშირი და გაეროს ბავშვთა ფონდი, "ბავშვთა დაცვა: სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, საპარლამენტაშორისო კავშირი, № 7", ფენევა, 2004, გვ. 26-27.

ბავშვთა მართლმსაჯულების ბილი იყო პირველი ბილი, რომელიც წარედგინა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეულ პარლამენტს ხარჯების დეტალური პროგნოზებით. იგი მიიღეს 2008 წელს. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბავშვის უფლებების დამცველთა მიერ მონოდეტული ინფორმაციით, ბიუჯეტისა და განხორციელების დაგეგმვის პროცესმა დიდად შეუწყო ხელი პარლამენტარების დარწმუნებას განვითარებად ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამოუკიდებელი სისტემის დანერგვის მიზანშეწონილობაში.

წყარო: ბავშვთა მართლმსაჯულების უწყებათაშორისო კომიტეტი, დაფუძნებული 2008 წლის #75 ბავშვთა მართლმსაჯულების აქტის 94-ე ნაწილის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. გაეროს ბავშვთა ფონდი, კვლევითი ცენტრი Innocenti, “ბავშვთა კანონმდებლობის რეფორმირება სამხრეთ აფრიკაში: ბიუჯეტისა და განხორციელების დაგეგმვა”.

2007: <www.unicef-irc.org/cgi-bin/unicef/Lunga.sql?ProductID=487> მოძიებულია [2011 წლის 2 მაისს].

რეფორმის განხორციელების ფინანსურმა შედეგებმა ასახვა უნდა პოვოს ანალიტიკურ დოკუმენტში, რომელიც თავისთავად წარმოადგენს რეფორმირების პროცესის დასაწყისს. ფიზიკურად შეუძლებელი აღმოჩნდება ნებისმიერი ახალი კანონის განხორციელება, თუ არ იქნება დათვლილი მისი ხარჯები და არ გამოიყოფა შესაბამისი რესურსები. უშუალოდ კანონის შინაარსიც კი შეიძლება დამოკიდებული იყოს ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების რაოდენობაზე. მაგალითად, საკითხი იმის თაობაზე, არასრულწლოვანთა ახალი სასამართლოები დაარსდეს თუ არსებული სასამართლოების ფარგლებში არასრულწლოვანთა სასამართლო დარბაზები გამოიყოს, სავარაუდოდ, დამოკიდებული იქნება ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისთვის ბიუჯეტის გაზრდის შეუძლებლობა არ ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა ვერ განხორციელდება. სახელმწიფოებმა ყველა შემთხვევაში უნდა შეაფასონ არსებული სისტემის ხარჯები და განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა ბიუჯეტის იმგვარად გადანაწილება“ რომ უფრო მეტად იქნეს განხორციელებული ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნები. მაგალითად, განრიგების პროგრამებისათვის დაფინანსების გამოყოფა, სავარაუდოდ, შეამცირებს სასამართლო აპარატისა და სასამართლოს ხარჯებს და, ამასთანავე, პატიმრობაში მყოფი ბავშვების რაოდენობასაც, რასაც მოჰყვება შესაბამისი ხარჯების დაზოგვა წინასწარი პატიმრობის ადგილებსა და ციხეებში.

ახალი კანონი თუ არსებულ ინსტრუმენტებში ცვლილებების შეტანა?

მსოფლიოში ყველა სახელმწიფოს აქვს სისხლის სამართლის საკუთარი სისტემა, თუმცა კანონები ფორმით განსხვავდება ერთმანეთისაგან. რიგ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი კონტინენტური სამართლის სისტემის მქონე ქვეყნებს, ჩვეულებრივ, აქვთ სისხლის სამართლის კოდექსი ან/და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ზოგ სახელმწიფოში კი, კერძოდ, საერთო სამართლის ქვეყნებში, არსებობს მთელი რიგი ცალკეული სტატუტების (აქტების ან კანონების) გამოყენების ტენდენცია. ორივე სისტემაში აღნიშნული კოდექსების და სტატუტების საფუძველზე შექმნილია დიდი რაოდენობით კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ წესებსაც შეიცავს.

სისხლის სამართლის დებულებებში ცვლილებების შეტანისას და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის შემოღებისას თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების არსებულ კანონებში შესწორებების შეტანისას რეფორმატორებმა უნდა გადანაცვლონ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დამოუკიდებელი კოდექსი/სტატუტი დაინერგება, თუ არსებული კოდექსები და სტატუტები შესწორდება, მაგალითად, ახალი თავის ან ნაწილის დამატების გზით. სამოქალაქო სამართლის სისტემის ბევრ ქვეყანაში კოდექსს კანონთან შედარებით უპირატესი ძალა აქვს. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, ეს განსხვავება მნიშვნელოვანი იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის. მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ რამდენად გაითვალისწინებს და ასახავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობის დებულებები, მიუხედავად იმისა, ცალკე კანონში შევა ისინი თუ სისხლის სამართლის ზოგადი კანონმდებლობის ფარგლებში

იქნება ჩართული, ბავშვის უფლებათა კონვენციის, “სტანდარტებისა და ნორმების” და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტების შესაბამის დებულებებს, როგორც შინაარსობრივი, ასევე საპროცესო თვალსაზრისით.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ცალკე კოდექსის ან სტატუტის შექმნით შესაძლოა სამართალი უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. როგორც პროფესიონალებისათვის, ასევე ზოგადად საზოგადოებისთვისაც გაცილებით ადვილია ერთი მთლიანი საკანონმდებლო დოკუმენტის მოძიება, წაკითხვა და გაგება, ვიდრე მთელი რიგი სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების ნაწილებისა. თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში ცალკე კოდექსის ან სტატუტის შექმნა შეიძლება რიგი მიზეზების გამო არ იყოს პოლიტიკურად მიზანშეწონილი. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა არსებულ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანა.

ზოგადად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა არ შეიცავს სპეციალურ ნაწილებს თუ თავებს იმ დანაშაულებზე, რომლებიც ბავშვმა შეიძლება ჩაიდინოს. როგორც წესი, აღნიშნულის მოძიება შეიძლება სისხლის სამართლის კოდექსში ან სტატუტში. თუმცა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს:

- თავისი კომპეტენციის/იურისდიქციის ფარგლები;
- სისხლის სამართლის სხვა კანონების დებულებების ბავშვების მიმართ გამოყენების ფარგლები;
- პროცედურები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს პოლიციასთან პირველი კონტაქტიდან სასამართლო პროცესის საბოლოო დასრულებამდე;
- ჯეროვანი საპროცესო გარანტიები ბავშვებისათვის;
- განრიდების ღონისძიებები;
- ზომები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება მსჯავრდებული ბავშვის მიმართ;
- შეზღუდული რაოდენობის ის გარემოებები, რომელთა შემთხვევაშიც დაიშვება თავისუფლების აღკვეთა; და
- საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნით შემდგომი ზრუნვის ღონისძიებები.

კანონები და კანონქვემდებარე აქტები

კოდექსი ან სტატუტი ითვლება “პირველად” საკანონმდებლო აქტებად, ვინაიდან ისინი გაგზავნილია საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის განსახილველად და მიღებულია მის მიერ. პირველადი კანონმდებლობის მოცულობა ზოგადად შეზღუდულია და იგი დაწვრილებით არ შეიცავს ბევრ ისეთ დეტალს, რომელიც აშუქებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ პროცედურებს და პროცესებს. მსგავსი საკითხების მოძიება, ჩვეულებრივ, შეიძლება ე.წ. “მეორად” კანონქვემდებარე აქტებში. კანონქვემდებარე აქტებია რეგულაციები, წესები, ბრძანებულებები, მითითებები და ა.შ. ჩვეულებრივ, კანონქვემდებარე აქტები მოიცავს პოლიციის ქცევის წესებს, პროკურორების ფუნქციონირების წესებს, სასამართლოების საპროცესო წესებს და ნებისმიერი საგანმანათლებლო თუ საცხოვრებელი დაწესებულებების, მათ შორის პატიმრობის ადგილების, ფუნქციონირების წესებს. კანონქვემდებარე აქტები პირველად საკანონმდებლო აქტებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია და კანონმდებლობის სუბიექტს პირველადის თანაბარ მოვალეობებსა და ვალდებულებებს აკისრებს.

ჩვეულებრივ, კანონქვემდებარე აქტები არ განიხილება და მას კენჭი არ ეყრება საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. კანონქვემდებარე აქტებს ადგენენ და ახორციელებენ ის სამინისტროები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა კონკრეტულ სფეროზე. კანონქვემდებარე აქტები პირველად კანონმდებლობასთან შედარებით უფრო “მოქნილია”, ვინაიდან შესაძლებელია, ცვალებადი საჭიროებებიდან გამომდინარე, მათი შეცვლა შესაბამისი სამინისტროს ადმინისტრაციული ბრძანებით.

კანონმდებლობა: შემაჯამებელი ასპექტები

- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს გამოყენებული ტერმინების, მათ შორის ტერმინი “ბავშვის” და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის, მკაფიო განმარტებებს. ეს დაეხმარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალებს კანონის ინტერპრეტაციაში და საშუალებას მისცემს საზოგადოებას, უკეთ გაიგოს კანონი.
- უნდა მომზადდეს ნათელი, ყოვლისმომცველი სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც შეეხება კანონსა და მის მოსალოდნელ შედეგებს. სტრატეგიული დოკუმენტი უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების დებულებებს.
- სტრატეგიული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს ბავშვზე ზეგავლენის შეფასებას.
- სტრატეგიული დოკუმენტი ფართოდ უნდა გავრცელდეს და მასთან დაკავშირებით უნდა გაიმართოს საკონსულტაციო პროცესები.
- კონსულტაციების პროცესში მიღებულ შენიშვნებზე დაყრდნობით შემოთავაზებული პოლიტიკა უნდა გადაისინჯოს და უნდა გამოიცეს გადამუშავებული ვერსია სასურველი ცვლილებების გათვალისწინებით.
- სტრატეგიული დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მართლმსაჯულების არსებული სისტემის ხარჯების შეფასებას ბავშვებთან მიმართებაში და შემოთავაზებული რეფორმების ხარჯებს, ასევე განხორციელების გეგმას თავის ბიუჯეტთან ერთად.
- განხორციელების ზომები უნდა აისახოს კანონში ან თანმხლებ კანონებში, სტატუტებში თუ კოდექსებში.
- საკანონმდებლო, აღმასრულებელმა და სასამართლო ხელისუფლებამ უნდა იკისრონ საკანონმდებლო რეფორმის პროცესში მისი განხორციელებისათვის აუცილებელი დანებსებულებებისა და პროგრამების ჩამოყალიბების, გაძლიერების ან მათი კომპეტენციის გაფართოების ვალდებულება.
- მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, არსებულ კანონს შეცვლის თუ ახალ კანონს ან კოდექსს შეიმუშავებს.
- ნებისმიერი ახალი კანონი თუ კოდექსი უნდა შეიცავდეს ნაწილებს ან მუხლებს იურისდიქციაზე; ზღვარზე, რომლის ფარგლებშიც სისხლის სამართლის კანონმდებლობა ვრცელდება ბავშვებზე; პროცედურებს პოლიციელთან პირველი კონტაქტის მომენტიდან სასამართლო პროცესის საბოლოო დასრულებამდე; ჯეროვან საპროცესო გარანტიებს ბავშვებისათვის; განრიდების ღონისძიებებს; ღონისძიებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დამნაშავედ ცნობილი ბავშვების მიმართ; გარემოებებს, რომელთა შემთხვევაშიც დასაშვებია თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, და შემდგომი ზრუნვის ღონისძიებებს.
- მიუხედავად იმისა, რა გადაწყდება - მოქმედი კანონმდებლობის შეცვლა თუ ახალი კანონის ან კოდექსის შეიმუშავება, კანონების ცვლილებები ფართოდ უნდა გაშუქდეს პროფესიონალთა, საზოგადოების წევრთა და ბავშვთა შორის.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კანონმდებლობა კომენტარებთან ერთად, რომლებიც განმარტავს მისი ინტერპრეტირებისა და გამოყენების წესებს, უნდა გაეცნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალებს.
- კანონის ბავშვებისათვის გასაგები ვერსია უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი გახდეს ბავშვებისთვის.

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩარჩო

1.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტები და ნორმები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტებია ბავშვის უფლებათა კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. კონვენცია ადგენს იმ ძირითად პრინციპებს და სპეციფიკურ საპროცესო გარანტიებს, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა.¹² აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ოთხი ძირითადი დამატებითი დოკუმენტი: გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ (“რიადის პრინციპები”);¹³ გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (“პეკინის წესები”);¹⁴ გაეროს წესები თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვნების დასაცავად (“ჰავანის წესები”);¹⁵ და სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ (“ვენის პრინციპები”).

ამ ოთხი დოკუმენტის სტატუსი განსხვავდება ბავშვის უფლებათა კონვენციის სტატუსისაგან. ეს დოკუმენტები არ არის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა რატიფიცირებასაც ახდენენ სახელმწიფოები, რითაც თანხმდებიან, იკისრონ ვალდებულებები. აღნიშნული ოთხი დოკუმენტი უფრო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მინიმალური სტანდარტებია, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ სახელმწიფოებმა საკუთარი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემების შეცვლის თუ ახალი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში. ისეთი პოლიტიკის და კანონმდებლობის შემუშავება, რომლებიც ითვალისწინებს მინიმალურ სტანდარტებს, ხელს შეუწყობს სახელმწიფოებს, შეასრულონ ბავშვის უფლებათა კონვენციით მათზე დაკისრებული ვალდებულებები.

ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონულ ინსტრუმენტებსაც: ევროპულ კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ (“ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია”);¹⁶ ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკულ ქარტიას (“ბანჯულის ქარტია”);¹⁷ აფრიკის ქარტიას ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ;¹⁸ არაბულ ქარტიას ადამიანის უფლებების შესახებ (“არაბული ქარტია”);¹⁹ ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენციას (“ამერიკის კონვენცია”)²⁰ და ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკულ დეკლარაციას²¹, ისევე,

¹² იხ. 37-ე და მე-40 მუხლები.

¹³ რიადის პრინციპები ადგენს სტანდარტებს, რომელთა მიზანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია.

¹⁴ პეკინის წესები გვთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოეპყრონ არასრულწლოვანს, როდესაც იგი მართლმსაჯულების სისტემაში ხვდება. აღნიშნული წესები ეხება ისეთ საკითხებს, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, პოლიციელების სპეციალური ტრენინგი და ჯეროვანი საპროცესო გარანტიები. ამასთანავე, წესები ადგენს სახელმძღვანელო პრინციპებს სასამართლო საქმის წარმოებიდან არასრულწლოვანთა განრიდების თაობაზე.

¹⁵ ჰავანის წესებში დეტალურადაა მოცემული თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვანზე ზრუნვისა და მის მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტები.

¹⁶ ევროპის საბჭო, ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1950 წლის 4 ნოემბერი, ETS 5, შემდგომში “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია”. იხ., აგრეთვე, რეკომენდაცია CM/Rec (2008) 11 სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი დამნაშავეების ევროპულ წესებზე (5 ნოემბერი, 2008).

¹⁷ ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია, 1981 წლის 27 ივნისი; CAB/LEG/67/3 შესნ. 5, 21 I.L.M. 58 (1982), შემდგომში “ბანჯულის ქარტია”.

¹⁸ აფრიკის კავშირის ორგანიზაცია, აფრიკის ქარტია ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ. 1990 წლის 11 ივლისი, CAB/LEG/24.9/49 (1990).

¹⁹ არაბული ქვეყნების ლიგა, არაბული ქარტია ადამიანის უფლებების შესახებ, 1994 წლის 15 სექტემბერი, ძალაშია 2008 წლის 15 მარტიდან, შემდგომში “არაბული ქარტია”. არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს ქარტია სრულად შეესაბამება ბავშვის უფლებათა კონვენციას, რადგანაც მე-10 მუხლი უშუალოდ სისხლის სამართლის მიმე დანაშაულებისათვის სიკვდილით დასჯის გამოყენებას და არ შეიცავს ბავშვთა შემთხვევების გამონაკლისების სპეციალურ პირობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს სასჯელი აკრძალულია კონვენციით.

²⁰ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, ე.წ. “სან-ხოსეს პაქტი”, კოსტა-რიკა, 1969 წლის 22 ნოემბერი, OAS, ხელშეკრულებათა პერიოდული კრებული, No. 36, ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს; შემდგომში “ამერიკის კონვენცია”.

²¹ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკული დეკლარაცია, 1948 წლის 2

როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისიის და ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის პრეცედენტულ საქმეებს. გარდა ამისა, არსებობს რიგი დეტალური საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების და ნორმებისა, რომლებიც ზოგადად სისხლის სამართლის სისტემას ანესრიგებს,²² თუმცა ამასთანავე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან მიმართებაშიც გამოიყენება. არცერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ ადგენს იმას, თუ ზუსტად როგორ უნდა იმუშაოს სისტემამ და ისინი არც მზა დებულებებს გვთავაზობენ. ამის ნაცვლად ბავშვის უფლებათა კონვენცია და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები, სტანდარტები, ნორმები და სახელშეკრულებო ორგანოების ზოგადი კომენტარები გვთავაზობენ ზოგად ჩარჩოს უფლებების დაცვაზე დაფუძნებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დამკვიდრებისათვის. ბავშვის უფლებათა კონვენციის და “სტანდარტებისა და ნორმების” ინტერპრეტირებაში გვეხმარება ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10.²³

1.1.1 რას წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა?

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში გამოყენებად კანონმდებლობას, ნორმებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს, მექანიზმებს, დებულებებს და შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს.

ეს ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არ შეიცავს არც პირველად (ანუ საყოველთაო), და არც მეორეულ (ანუ მიზნობრივ) პრევენციის პროგრამებს ბავშვების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შემცირებისათვის. სანაცვლოდ, იგი ითვალისწინებს მესამეულ პრევენციას, ანუ ინტერვენციას პროცესის განმავლობაში (დაპატიმრების მომენტიდან), რაც მიზნად ისახავს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. რა თქმა უნდა, ბავშვების მიერ დანაშაულის ჩადენის შემცირების სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს როგორც პირველად, ასევე მეორეულ პრევენციას, მაგრამ ეს ასპექტები სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების შემადგენელ ნაწილად მოიაზრება და არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისა.

თავისი არსით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა კომპლექსურია და აერთიანებს სხვადასხვა ისეთ სამთავრობო სტრუქტურას, სააგენტოს, უწყებას, ორგანიზაციასა და დანესებულებას, როგორცაა პოლიცია, პროკურორები, ადვოკატები, სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები, საგანმანათლებლო დანესებულებები, პრობაციის სამსახურები, სასჯელაღსრულების დანესებულებები, შემდგომი ზრუნვის ორგანოები და საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

მაისი, OAS რეზოლუცია XXX, მიღებულია ამერიკული სახელმწიფოების მეცხრე საერთაშორისო კონფერენციის მიერ, ბოგოტა, კოლუმბია, 1948.

²² ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს პარიზში [შემდგომში “საყოველთაო დეკლარაცია”]; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის 2200A (XXI) რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს; გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები პატიმრების მიმართ მოპყრობის შესახებ, მიღებული ფენევაში 1955 წელს გამართული დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეების მიმართ მოპყრობის თემაზე გაეროს პირველი კონგრესის მიერ და დამტკიცებული ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციითა და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით [შემდგომში “პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები”]; ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები, გაერო GAOR A/RES/43/173, 1988 წლის 9 დეკემბერი, რომელიც მოცემულია ადმინისტრაციულ პატიმრობას დაქვემდებარებულ პირთა დაცვის პრინციპები [შემდგომში “პრინციპების ნაკრები”]; გაეროს დეკლარაცია სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, მიღებულია გაეროს დანაშაულის სანინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ, რომელიც გაიმართა მილანში 1985 წლის 26 აგვისტოს - 6 სექტემბრის პერიოდში, ძალაში შევიდა გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის UN GAOR 40/32 და 13 დეკემბრის UN GAOR 40/146 რეზოლუციებით; გაეროს არასაპატიმრო ღონისძიებათა სტანდარტული მინიმალური წესები, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის 14 დეკემბერს GAOR A/RES/45/110 [შემდგომში “ტოკიოს წესები”]; გაეროს ძირითადი პრინციპები სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, მიღებული 1990 წლის 7 სექტემბერს დამნაშავეთა მიმართ მოპყრობისა და დანაშაულის პრევენციის შესახებ გაეროს მერვე კონგრესის მიერ, ჰავანა, 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრის პერიოდში, U.N. დოკ. A/CONF.144/28/შესნ.1.

²³ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა ქვეყანას არ გააჩნია ყოვლისმომცველი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. ქვეყნების მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირებით ნაკისრი ვალდებულებების მიუხედავად, ბევრი სახელმწიფო განაგრძობს ბავშვების მიმართ ზრდასრულთა სისხლის სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელი ისეთი დებულებებისა და მკაცრი ზომების გამოყენებას, რომლებიც საერთოდ არ გულისხმობს ან ძალიან შეზღუდულად ითვალისწინებს ბავშვთა ასაკთან დაკავშირებულ შეღავათებს, მათ მონყვლადობას და განსაკუთრებული დაცვის უფლებას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან მიმართებაში ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებების განხორციელების საჭიროებამ ბევრი ქვეყანა სირთულეების წინაშე დააყენა. ბავშვის უფლებათა კომიტეტი თავის დასკვნით შენიშვნებში ხშირად აღნიშნავს ამ დებულებების უკეთ შესრულების აუცილებლობას. როგორც მონაწილე სახელმწიფოების მოხსენებებთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნით შენიშვნებში,²⁴ ასევე N10 ზოგად კომენტარში²⁵ კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა ბავშვი, რომელსაც არ შესრულებია თვრამეტი წელი, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის უფლებათა კონვენციითა და “სტანდარტებითა და ნორმებით” გათვალისწინებული დაცვით.

1.1.2 პრევენცია - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი პოლიტიკის ნაწილი

პრევენციის სტრატეგიები არ განეკუთვნება (არასრულწლოვანთა) მართლმსაჯულების სისტემის მანდატსა და პასუხისმგებლობას და, შესაბამისად, არ არის განხილული წინამდებარე სახელმძღვანელოში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ N 10 ზოგადი კომენტარის თანახმად, აუცილებელია, ისინი წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს (“არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკა, რომელიც არ ითვალისწინებს კომპლექსურ ზომებს კანონთან არასრულწლოვანთა დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, სერიოზულ ხარვეზებს განიცდის”). ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოთხოვნით სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეიტანონ რიადის პრინციპები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილ საკუთარ ყოვლისმომცველ პოლიტიკაში²⁶, ხოლო ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის დანაშაულის პრევენციისათვის²⁷ და მისი რეზოლუცია 2005/22 - “სისხლის სამართლის დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის ხელშეწყობი მოქმედებები” - სახელმწიფოებს აძლევენ პრევენციის მდგრადი სტრატეგიის ამოქმედების რეკომენდაციას.

პრევენციაზე ორიენტირებულ პროგრამებს ხშირად მოიხსენიებენ როგორც პირველად, მეორეულ და მესამეულ დონეებზე მოქმედ პროგრამებს. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას მხოლოდ მესამეულ პროგრამებს მიაკუთვნებენ (პროგრამებს, რომლებიც გამიზნულია იმ ბავშვების მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციაზე, ვინც აღიარა დანაშაული ან მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენაში), მაინც ძალზე მნიშვნელოვანია სოციალური დაცვის ფარგლებში პირველადი (ანუ საყოველთაო) და მეორეული (ანუ მიზნობრივი) პრევენციის პროგრამების შემუშავება. პირველად და მეორეულ პრევენციასთან დაკავშირებული

²⁴ იხ, მაგალითად, ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები: ანდორა (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.176, პუნქტი 45; ბაჰამა (2005), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.253, პუნქტი 59; ბელარუსი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.180, პუნქტი 54 (გ); ბენინი (1999), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.106, პუნქტი 9; ბოლივია (2005), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.256, პუნქტი 68; კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (2001), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.153, პუნქტები 21, 75; დანია (1995), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.33, პუნქტი 31; ეთიოპია (2001), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.144, პუნქტი 77; საბერძნეთი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.170, პუნქტი 79; კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (2004), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.239, პუნქტი 65; მალტა (2000), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.129, პუნქტი 50; მოზამბიკი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.172, პუნქტი 73; ნიდერლანდების სამეფო (ჰოლანდია და არუბა) (2004), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.227, პუნქტი 59; სუდანი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.190, პუნქტი 70 და ბავშვის უფლებათა კომიტეტი, მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილი მოხსენებების განხილვა; დასკვნითი შენიშვნები: ერთრეა (2003) გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.204, პუნქტი 60.

²⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10(2007), პუნქტი 37.

²⁶ იქვე, პუნქტი 17.

²⁷ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 2001/13. იხ., აგრეთვე, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო გა გაეროს ადამიანთა დასახლების ცენტრი (ჰაბიტატტი), “დანაშაულის პრევენციის შეფასების იარაღი”, გაერო, ნიუ-იორკი, 2009

სამართლებრივი ნორმები სოციალური დაცვისა და ბავშვთა დაცვის კანონმდებლობაში უნდა შედიოდეს და არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობაში.

რიადის პრინციპების მოთხოვნით, აქცენტი უნდა გაკეთდეს პრევენციის პოლიტიკაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, კერძოდ, ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული მომზადების ცენტრებისა და სამსახურის, აგრეთვე ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მეშვეობით. პრევენციის პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს განსაკუთრებით დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა და სკოლების მონაწილეობა ძირითადი ფასეულობების სწავლებაში, მათ შორის ბავშვებისა და მშობლების კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში. ოჯახების დახმარების ზომები არა მხოლოდ ნეგატიური სიტუაციების პრევენციაზე უნდა იყოს მიმართული, არამედ, და კიდევ უფრო მეტადაც კი, მშობლების სოციალური პოტენციალის გაღრმავებაზე²⁸.

საილუსტრაციო მასალა 3: პრევენციის ეფექტიანი პროგრამები

გაერთიანებულ სამეფოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული კვლევის საუძველზე ირკვევა, რომ პრევენციული პროგრამები განსაკუთრებით ეფექტიანია, როდესაც ისინი გამიზნულია 8-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებზე. ინგლისის ახალგაზრდათა მართლმსაჯულების საბჭოს ინფორმაციით, ახალგაზრდები დანაშაულის ჩადენას (როგორც წესი, უმნიშვნელო და წვრილმანი დანაშაულებისა) და ანტისოციალურ ქცევას იწყებენ 10 წლიდან 12 წლამდე პერიოდში და არასრულწლოვანთა დანაშაულებრიობა პიკს 14 წლის ასაკის ბავშვებში აღწევს. თუმცა სკოლიდან გამორიცხული ბავშვები საშუალოდ რამდენიმე წლით ადრე იწყებენ დანაშაულის ჩადენას იმ ბავშვებთან შედარებით, რომლებიც სკოლაში დადიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევის დასკვნით, ბანდების ფორმირებისა და სხვადასხვა ნივთიერების ბოროტად გამოყენების პრევენცია ყველაზე ეფექტიანია, როდესაც ბავშვები ოდნავ უფროსები არიან, კერძოდ, 12-14 წლის.

დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო (DET Kriminalpräventive RAD ან DKR) დანიაში 1971 წელს დაარსდა. ეს იყო პირველი ასეთი ორგანო მსოფლიოში. საბჭო შედგება დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი კომიტეტებისაგან (SSP), რომლებშიც შედიან სკოლების, პოლიციისა და სოციალური სამსახურების წარმომადგენლები. დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი კომიტეტების სისტემა ქვეყნის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მუშაობს. დანაშაულის პრევენციის თითოეულ ადგილობრივ კომიტეტში არსებობს ადმინისტრაციული კომიტეტი, რომელშიც შედიან ადგილობრივი განათლების, პოლიციისა და სოციალური სამსახურების ხელმძღვანელები.

ინგლისსა და უელსში ადგილობრივი მმართველობის თითოეული ორგანოს ფარგლებში არსებობს ახალგაზრდების დანაშაულთან ბრძოლის ჯგუფები (YOT). მრავალდარგობრივი ჯგუფი შედგება პოლიციის, პრობაციის სამსახურის, სოციალური მომსახურების, ჯანდაცვის, განათლების, განსახლების და ნარკოტიკების და ალკოჰოლის მომხმარებლების მხარდამჭერი სამსახურების წარმომადგენლებისაგან. უწყებათაშორისი მიდგომა საშუალებას აძლევს ახალგაზრდების დანაშაულთან ბრძოლის ჯგუფებს, განსაზღვრონ შესაფერისი პროგრამები შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებების თავიდან აცილების განზრახვის მქონე ახალგაზრდების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ახალგაზრდების დანაშაულთან ბრძოლის ჯგუფები ახორციელებენ მთელ რიგ მიზნობრივი პრევენციის პროგრამებს 8-დან 17 წლამდე ასაკის “რისკის” ჯგუფებისათვის. პროგრამები მოიცავს ადრეული ჩარევის, ახალგაზრდების ჩართულობის პროგრამებს, უსაფრთხო სკოლის პარტნიორობისა და მშობლებისათვის გამიზნულ პროგრამებს.

წყაროები: ბავშვთა უფლების აქტს კანონის ძალა მიენიჭა 2007 წელს (სიერა-ლეონეს საგანგებო უწყებების დამატება, ტომი CXXXVIII, № 43 2007 წლის 3 სექტემბერი); სოციალური დაცვის, გენდერული და ბავშვთა საქმეების სამინისტროები, სიერა-ლეონეს ეროვნული საბავშვო მართლმსაჯულების სტრატეგია, 2006 წლის ივლისი.

²⁸ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 (2007), პუნქტი 19.

1.2. დამოუკიდებელი სისტემა არასრულწლოვანთათვის

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნით, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დანესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთელ სისტემაზე, მართლმსაჯულების სისტემასთან არასრულწლოვანთა პირველი კონტაქტიდან სისტემასთან ყველანაირი კავშირის დასრულებამდე.

აღნიშნული მუხლის განხორციელების მიზნით სახელმწიფოებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართ სისტემური მიდგომა უნდა შეიმუშაონ და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი სისტემა შექმნან. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკანონმდებლო დებულებების გარდა, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ პროცედურები, წესები და ნორმები, რეგულაციები და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც უნდა ეხებოდეს:

- კანონით გათვალისწინებული ორგანოების მიერ ბავშვის დაკავების მომენტში ბავშვის მიმართ მოპყრობის წესს;
- ბავშვის დაკითხვისა და დაკავების წესს;
- ბავშვისათვის ბრალის წაყენების ან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას;
- განრიდების პროგრამების უზრუნველყოფას და მათ არსს;
- ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი სასამართლო განხილვისა თუ პროცესის განმავლობაში გამოსაყენებელ პროცედურებს;
- გარკვეული ღონისძიებების გატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესს, თუ ბავშვი დამნაშავედ იქნა ცნობილი;
- სხვადასხვა ფორმის სათემო სასჯელის გამოყენების მიზანშეწონილობას;
- ბავშვის მიმართ საპატიმრო სასჯელის დანიშვნამდე გამოსაყენებელ კრიტერიუმებს;
- ნებისმიერი სახის სასჯელის გამოყენებისას ბავშვის მიმართ მოპყრობის წესს; და
- პატიმრობის შემდეგ ბავშვის მხარდაჭერას.

გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში საჭიროა სპეციალური საბავშვო ინსტიტუციური სტრუქტურების არსებობა. უნდა ჩამოყალიბდეს სპეციალიზებული საბავშვო სტრუქტურული ერთეულები პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, სასამართლო ადმინისტრაციისა და სოციალური მომსახურების სისტემაში²⁹. ასევე უნდა დაარსდეს არასრულწლოვანთა სასამართლოები (როგორც ცალკე ერთეული, ან როგორც არსებული საოლქო და საქალაქო სასამართლოების ნაწილი) და ისეთი სპეციალიზებული მომსახურების გამწვანე დანესებულებები, როგორიცაა იურიდიული დახმარების, პრობაციის, საკონსულტაციო და ზედამხედველობის მომსახურება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში - ბავშვთა სახლები და სარეაბილიტაციო ცენტრები კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, ამ ტიპის ყველა სპეციალიზებული უწყების, სამსახურისა და ცენტრის საქმიანობა უნდა წარიმართოს ქმედითი და რეგულარული კოორდინაციის პირობებში.³⁰ ყველაზე უკეთ ამის გაკეთება შესაძლებელია ეროვნულ, რეგიონულ და/ან ადგილობრივ დონეზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკოორდინაციო კომიტეტების შექმნით. *სპეციალიზებული ტრენინგი*

²⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 (2007), პუნქტები 92, 93, 94.

³⁰ იხ. იქვე, პუნქტი 94.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ პოლიციასა და პროკურატურაში, ასევე სასამართლო სისტემაში და სოციალური და პრობაციის სამსახურების სისტემაში არასრულწლოვანთა სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულების შექმნამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქმედითი სისტემის დაარსების საკითხში, თუკი მას თან არ სდევს რეგულარული, ეფექტიანი ტრენინგები. როგორც საკანონმდებლო, ასევე პროფესიული ქცევის კოდექსები უნდა ითხოვდეს ამ ტიპის სპეციალიზებულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პერსონალისაგან შესაბამისი ტრენინგების რეგულარულად გავლას.

ამას გარდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ტრენინგი უნდა გაიარონ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ბავშვების წარმომადგენელმა ადვოკატებმაც, რადგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყველა სისტემაში საჭიროა კარგად მომზადებული და კვალიფიციური ბავშვთა ადვოკატების არსებობა. ადვოკატთა ასოციაციებმა ან სხვა შესაბამისმა პროფესიულმა კავშირებმა უნდა უზრუნველყონ ამ ტიპის ტრენინგები. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა კიდევ უფო განავრცო ტრენინგების საკითხი: კომიტეტი მოითხოვს აღნიშნული ტრენინგის ფარგლების გაფართოებას და მის ხელმისაწვდომობას ყველა იმ პირისათვის, ვინც “სხვაგვარ დახმარებას” უწევს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებს³¹. სადაც მოხერხდება, ბავშვთა უფლებებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე სპეციალური მოდულები ჩართული უნდა იქნეს მოსამართლეებისა და ადვოკატების, პოლიციის, პრობაციის სამსახურის, სასჯელაღსრულების დანესებულებებისა და სოციალური სამსახურების თანამშრომელთა პროფესიული ტრენინგის სასწავლო გეგმაში.

1.2.1 არასრულწლოვანთა სასამართლოები

ბავშვის უფლებათა კომიტეტის N10 ზოგადი კომენტარში მოცემულია რეკომენდაცია, რომ სახელმწიფოებმა დააარსონ არასრულწლოვანთა სასამართლოები³². აღნიშნული სასამართლოები უნდა განლაგდეს ან ცალკე სასამართლო შენობებში, ან არსებული სასამართლო შენობის ცალკე სხდომის დარბაზში. იმ შემთხვევაში, თუ ამის ორგანიზება არ არის შესაძლებელი, არასრულწლოვანთა სასამართლოდ გამოყენებული უნდა იქნეს არსებული სასამართლო კვირის გარკვეულ დღეებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვებისა და იმ ზრდასრულების ერთად მოხვედრა, რომელთაც ბრალად ედებათ დანაშაულის ჩადენა.

სპეციალურად მოწყობილი არასრულწლოვანთა ისეთი სასამართლოს არსებობას, რომელიც უზრუნველყოფს “ბავშვისადმი კეთილგანწყობილი” გარემოს შექმნას, აშკარა უპირატესობა აქვს.³³ სახელმწიფოებმა, სადაც ასეთი სასამართლოები ამ დრომდე არ არსებობს, უნდა დაგეგმონ მათი დაარსება კონკრეტულ ვადებში,³⁴ ხოლო სადაც არასრულწლოვანთა ახალი სასამართლოს შექმნა ან ამა თუ იმ არსებული სასამართლოს ნაწილის გამოყოფა არასრულწლოვანთა სასამართლოსათვის პრაქტიკულად ვერ ხერხდება, მაინც შესაძლებელია ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემოს უზრუნველყოფა ზედმეტად დიდი ხარჯებისა თუ სასამართლოს ფუნქციონირების მოშლის გარეშე. ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მიზნით სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სასამართლოს ფიზიკურ სქემას და დასაჯდომი ადგილების განლაგებას. მშობლები (ან სხვა შესაბამისი პირები, მაგ. სოციალური მუშაკი მშობლის მზრუნველობას მოკლებული ბავშვების შემთხვევაში) უნდა იხსნენ თავიანთი შვილების გვერდით და, ამავდროულად, ბავშვს გვერდით უნდა ეჯდეს მისი ადვოკატი. დასაჯდომი ადგილების განლაგების ეს ფორმა ხელს უწყობს კომუნიკაციას და პროცესში ბავშვის აქტიურ მონაწილეედ ჩართვას. მოსამართლეები უნდა იხსნენ ბავშვის დონეზე და არა შემალღებულ ადგილზე, რათა უფრო ადვილად ესაუბრონ ბავშვს. ეს დაეხმარება ბავშვს, უფრო ქმედითი მონაწილეობა მიიღოს საქმის წარმოებაში. უმეტეს სასამართლოებში შესაძლებელია ასეთი ცვლილებების დროებით მაინც განხორციელება სპეციალურად არასრულწლოვანთა საქმის მოსმენის ან სასამართლო პროცესისათვის.

³¹ იქვე.

³² იხ. იქვე, პუნქტი 93.

³³ იხ. ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის ნაწილი 7.7. ბავშვისადმი კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები ევროსაბჭომ მოამზადა და მიიღო 2010 წელს.

³⁴ ამ საკითხზე უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხ. ნაწილი 7.7.

კანონმდებლობამ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას მიკუთვნებული საქმეების განხილვა მხოლოდ იმ მოსამართლეებს შეეძლოს, რომლებმაც გაიარეს სპეციალური ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე. იმ შემთხვევაში, თუ ისეთი პრაქტიკული მიზეზების გამო, როგორცაა ამ ტიპის სასამართლოს დანერგვისთვის საჭირო დრო, შეუძლებელია დაუყოვნებლივ დაარსდეს არასრულწლოვანთა სასამართლოები, ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით სახელმწიფომ უნდა დანიშნოს სპეციალიზებული მოსამართლეები ან მაგისტრატები არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად.³⁵

სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლიათ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულონ როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულების პრევენციაში, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უზრუნველყოფაში საზოგადოებრივი მომსახურებით, პრევენციისა და რეინტეგრაციის პროგრამების, განრიდებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისა და დანესებულებების ჩათვლით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მომსახურების განვითარების საკითხში მათი როლის მნიშვნელობისა და შესაძლებლობის კანონმდებლობაში აღიარება. უნდა მოხდეს არასამთავრობო ორგანიზაციების წახალისება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყოვლისმომცველი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში და, ამასთანავე, სახელმწიფომ თავად უნდა მიაწოდოს მათ ასეთი ჩართულობისათვის საჭირო ყველა რესურსი.³⁶

1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის მონიტორინგი და შეფასება

მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები მიიღებენ ისეთ კანონმდებლობას, რომელიც დააარსებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას, და სისტემაში მომუშავე ყველა სპეციალისტი გადამზადდება, მაინც შეიძლება დარჩეს განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა განხორციელონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შეფასება, კერძოდ კი შეაფასონ გატარებული ზომების, მათ შორის დისკრიმინაციასთან, რეინტეგრაციასა და რეციდივიზმთან დაკავშირებული ზომების, ეფექტიანობა.³⁷

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა შეაგროვონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკისა და ადმინისტრირების შესახებ ზუსტი, დეტალიზებული მონაცემები და აკონტროლონ ისინი. ეს საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, გამოავლინოს არასრულწლოვანთა დანაშაულის ტენდენციები და განსაზღვროს საპასუხო ზომებისა და პროგრამების ქმედითობა. ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, დაგეგმონ რესურსების მიზნობრივი გამოყოფა და შეიმუშაონ და დახვეწონ ინიციატივები. ყველა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ კანონმდებლობა მოითხოვდეს სტატისტიკის ეროვნული ორგანოებიდან ასეთი მონაცემების შეგროვებას პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებიდან და მათ შეჯერებას.³⁸

1.4. ვის ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა?

იმისათვის, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აკმაყოფილებდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებს, იგი უნდა ვრცელდებოდეს ყველა ბავშვზე, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად და რომელმაც მიაღწია სისხლის სამართლის

³⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10(2007), პუნქტი 93.

³⁶ იხ. იქვე, პუნქტი 95.

³⁷ იხ. იქვე, პუნქტი 99.

³⁸ ამ კუთხით სასარგებლო რესურსს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორების გაზომვის სახელმძღვანელო; გაეროს ბავშვთა ფონდი/გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, 2007.

პასუხისმგებლობის ასაკს, მაგრამ არის 18 წლამდე ასაკის.³⁹ კანონმდებლობის შექმნის ან განხილვისას სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

ა) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა ეხებოდეს ყველა ბავშვს, რომელსაც შეუსრულდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, მაგრამ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის;

ბ) კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს; და

გ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი არ მცირდებოდეს მძიმე დანაშაულებისათვის და არ იყოს დამოკიდებული სასამართლოს მიერ ბავშვის მონიჭულობის შეფასებაზე;

დ) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ეხებოდეს მხოლოდ იმ ბავშვებს, რომლებმაც, როგორც თვლიან, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად, და არა იმ ბავშვებს, რომელთაც ესაჭიროებათ მზრუნველობა და დაცვა ძალადობისაგან, ექსპლუატაციისა თუ უგულებელყოფისაგან.

1.4.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა ეხება ყველა ბავშვს, რომელსაც შეუსრულდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, მაგრამ არ მიუღწევია 18 წლის ასაკისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ ბევრ ქვეყანაში დაინერგა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, აღნიშნული სისტემები ზოგჯერ ზედა ასაკობრივ ზღვრად 18 წელზე ნაკლებ ასაკს ადგენენ. ასაკად, რომლის მიღწევის შემდეგაც ბავშვი გასამართლდება არა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში, არამედ როგორც ზრდასრული ადამიანი, ზოგიერთი სახელმწიფო ადგენს მხოლოდ 15 წელს. ზემოთქმული ეწინააღმდეგება კონვენციის დებულებას, რომელიც ნათლად მოითხოვს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფმა 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვმა უნდა ისარგებლოს სპეციფიკური მოპყრობით. ისეთ კანონმდებლობებში, რომლებიც უშვებენ 18 წლამდე ასაკის პირებისადმი უფროსი ასაკის პირების მსგავს მოპყრობას, შეტანილი უნდა იქნეს შესწორებები ბავშვის უფლებათა კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

უფრო მეტიც, ზოგიერთ სახელმწიფოში წვრილმანი დანაშაულის ჩამდენი 18 წლამდე ბავშვები ექვემდებარებიან არასრულწლოვანთა სასამართლოს იურისდიქციას, ხოლო მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულების საქმეებს სრულწლოვანთა სისხლის სამართლის სასამართლოები იხილავს და ეს ბავშვები სრულწლოვანთა პროცესს და/ან სანქციებს ექვემდებარებიან.⁴⁰ კომიტეტმა არაერთგზის⁴¹ გამოხატა შეშფოთება აღნიშნულთან დაკავშირებით, ვინაიდან ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველ, 37-ე და მე-40 მუხლებს. კანონმდებლობამ სრულიად გარკვევით უნდა განსაზღვროს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ყველა ბავშვი უნდა გასამართლდეს არასრულწლოვანთა პროცესის შესაბამისად და დაექვემდებაროს მხოლოდ არასრულწლოვანთათვის დადგენილ ღონისძიებებს. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როდესაც ბავშვს ბრალად ედება სრულწლოვან პირთან ერთად დანაშაულის ჩადენა. ამ დროს საქმეები უნდა დაიყოს და ბავშვი არასრულწლოვანთა სასამართლოში გასამართლდეს.

³⁹ ბავშვის უფლებათა კონვენციის პირველი მუხლი ბავშვად მიიჩნევს 18 წლამდე ასაკის ყოველ ადამიანს, მაგრამ აღიარებს, რომ გარკვეული იურისდიქციები შეიძლება უშვებდნენ სრულწლოვანების მიღწევას უფრო ადრეულ ასაკშიც. სრულწლოვანების დადგენილი ასაკის მიუხედავად, კონვენციის 37-ე მუხლის ა) ნაწილი კრძალავს სიკვდილით დასჯის, მუდმივი პატიმრობის, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, შეფარდებას 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის.

⁴⁰ მაგალითისათვის იხ. გაერთიანებული სამეფო.

⁴¹ მაგალითად, თავის დასკვნით შენიშვნები კანადის მიმართ 2003 წელს კომიტეტმა გამოთქვა შეშფოთება 14 წლის ბავშვების მიმართ სრულწლოვანთა სასჯელების ფართო მასშტაბით გამოყენებასთან დაკავშირებით (ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები: კანადა (2003), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.215, პუნქტი 56). ანტიგუა და ბარბუდასთან მიმართებაში კი კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ 16 წლამდე პირი შეიძლება გასამართლდეს სრულწლოვანებით, თუ მას ბრალად ედება მკვლელობის ჩადენა სრულწლოვან პირთან ერთად (ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები: ანტიგუა და ბარბუდა (2004), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.247, პუნქტი 68 (ა)).

1.4.2 კანონმდებლობა ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი არის ის მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთაც ივარაუდება, რომ ბავშვს არ გააჩნია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი. არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწევად ბავშვს ოფიციალურად წარედგინოს ბრალი დანაშაულის ჩადენაში და დაექვემდებაროს სისხლის სამართლის რაიმე პროცედურებს ან ზომებს. არც ბავშვის უფლებათა კონვენცია და არც სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტი არ ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს. კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი მხოლოდ იმას სთხოვს სახელმწიფოებს, რომ მათ “სცადონ, ხელი შეუწყონ მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, მიიჩნევა, რომ ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი”. შედარებით მეტ დაკონკრეტებას გვთავაზობს პეკინის წესების მე-4 წესი, რომლის თანახმადაც: “იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებშიც მიღებულია არასრულწლოვანთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნება, ქვედა ზღვარი ამ ასაკისა არ უნდა იქნეს დადგენილი ძალზე ადრეულ ასაკში, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ასპექტებიდან გამომდინარე”. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა სახელმწიფოში. ზოგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად ისეთი მცირე ასაკია განსაზღვრული, როგორცაა 7 წელი,⁴² მაშინ, როდესაც სხვა სახელმწიფოებში ასეთ ასაკად 16 წელია მიჩნეული⁴³. როგორც აღმოჩნდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ყველაზე გავრცელებული მინიმალური ასაკი არის 14 წელი.⁴⁴

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის საკითხი წლებია, სერიოზული დებატების საგანს წარმოადგენს. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა თავისი დაარსებიდან 2009 წლის თებერვლამდე არანაკლებ 65 შემთხვევასთან დაკავშირებით მისცა რეკომენდაცია მონაწილე სახელმწიფოებს, გაეზარდათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, ხოლო იქ, სადაც ასეთი ზღვარი არ არსებობდა, დაენესებინათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი.⁴⁵

თავის N 10 ზოგად კომენტარში ბავშვის უფლებათა კომიტეტმა დაასკვნა, რომ უნდა მოხდეს მონაწილე სახელმწიფოების ნახალისება, რათა მათ გაზარდონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარი. კომიტეტი აბსოლუტურ მინიმალურ ასაკად მიიჩნევს 12 წელს და იძლევა რეკომენდაციას, რომ სახელმწიფოებმა განაგრძონ მისი გაზრდა შედარებით უფროს ასაკობრივ დონემდე.⁴⁶

მინიმალურ ასაკზე ამ რეკომენდაციის გაცემისას ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მოუწოდა მონაწილე სახელმწიფოებს, არ შეამცირონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიანთი ასაკობრივი ზღვარი 12 წლამდე.⁴⁷ გარდა ამისა, კომიტეტი დაჟინებით მოუწოდებს სახელმწიფოებს, შემოიღონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ასაკობრივი ზღვარი, მაგალითად, 14 ან 16 წელი.⁴⁸ იმ სახელმწიფოებში, სადაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 12 წელზე დაბალია, ასაკის გაზრდის მიზნით სახელმწიფოებმა შესწორება უნდა შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში.

შევგვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბავშვი არ დაურეგისტრირებიათ დაბადებისას, ან მას არ აქვს პირადობის დამადასტურებელი საბუთები და ძნელია მისი ზუსტი ასაკის დადგენა. თუკი არ არსებობს მტკიცებულება, რომლითაც გაირკვევა ასაკი, და შეუძლებელია იმის

⁴² მაგალითად, არაბეთის გაერთიანებული საამიროები (ბავშვთა კოდექსი, 1996, მუხლი 94); იემენი (რესპუბლიკის დეკრეტი #12 კანონზე 1994 წლისათვის დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, 1994, მუხლი 31).

⁴³ იხ. ჩიპრიანი, დ. "ბავშვთა უფლებები და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი: გლობალური პერსპექტივა", აშგატი, 2009.

⁴⁴ იხ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის ძალიან გამოსადეგი სქემა, რომელიც მოცემულია ჩიპრიანის აღნიშნულ ნაშრომში .

⁴⁵ ავტორის მიმოხილვა ბავშვის უფლებათა კომიტეტის ყველა დასკვნით შენიშვნაზე. მომზადებულია 2009 წლის თებერვალში.

⁴⁶ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10(2007), პუნქტი 32.

⁴⁷ იქვე, პუნქტი 33.

⁴⁸ იქვე.

დადგენა, ბავშვი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკისაა თუ ამ ასაკზე უფროსი, ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით ბავშვს არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁴⁹ აუცილებელია, კანონმდებლობამ ნათლად განმარტოს, რომ ასეთ შემთხვევაში ექვი უნდა გადაწყდეს ბავშვის სასარგებლოდ. ამასთანავე, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ბავშვი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკზე უფროსია, ეკისრება სახელმწიფოს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვები არ ხვდებიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეგულირების სფეროში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სახელმწიფოში ბავშვი შეიძლება დაექვემდებაროს სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას იმ ქმედებისათვის, რომელიც ჩაითვლებოდა დანაშაულად, რომ არა მათი ასაკი. თუ სახელმწიფო განიზრახავს, გარკვეული ქმედების გამო ბავშვის მიმართ გამოიყენოს ნებისმიერი სახის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზომა ან ადმინისტრაციული პატიმრობა, ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული სრული საპროცესო გარანტიებით. მცირეწლოვანი ბავშვების დაცვის საკითხი კანონმდებლობით უნდა დარეგულირდეს.

1.4.3 სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი არ მცირდება მძიმე დანაშაულებისათვის და არ არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ ბავშვის მონიჭების შეფასებაზე


რიგ სახელმწიფოებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი დამოკიდებულია ბავშვის სიმწიფეზე. ამგვარად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკზე უფროსი ბავშვის სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ მას არ მიუღწევია განსაზღვრული ასაკისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მიიჩნევა, რომ ბავშვს აქვს უნარი, მიხვდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არა მხოლოდ ცელქობა ან მავნებლობაა, არამედ სერიოზული სამართალდარღვევა. ეს მიდგომა ზოგჯერ მოიხსენიება როგორც *“doli incapax”* (უუნარო, ჩაიდინოს დანაშაული), ასევე როგორც გათვითცნობიერებაზე დამყარებული მიდგომა.⁵⁰ აღნიშნული სისტემა ჰქონდა ან აქვს ბრიტანული თანამეგობრობის ბევრ ქვეყანას.⁵¹

⁴⁹ იქვე, პუნქტი 35

⁵⁰ რაც განსაზღვრულია არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე დეკრეტის მე-3 ნაწილში (თავი 226) 2003 (ჰონკონგი).

⁵¹ ავსტრალიაში კანონი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად განსაზღვრავს 10 წელს, ხოლო უარყოფილი პრეზუმფცია *doli incapax*-ის (დანაშაულის ჩადენის უუნარობის) ასაკად - 14 წელს (თანამეგობრობის კანონი დანაშაულის შესახებ 1914 (სექ. 4N) და სისხლის სამართლის კოდექსის აქტი 1995 (სექ. 7.2)). 2003 წელს ჰონკონგმა გაზარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 7-დან 10 წლამდე, მაგრამ შეინარჩუნა ბავშვებისათვის *doli incapax* (დანაშაულის ჩადენის უუნარობის) პრეზუმფცია 14 წლამდე (დეკრეტი არასრულწლოვანი მსჯავრდებულების შესახებ (თავი 226) 2003). ბელიზში სისხლის სამართლის კოდექსი (2000), თავი 101, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებს ბავშვს 9 წლის ასაკამდე (სექ. 25 (1)). ასევე გათავისუფლებულია 9-დან 12 წლის ჩათვლით ბავშვი, რომელიც არ არის საკმარისად მონიჭებული იმისათვის, რომ გააცნობიეროს თავისი ქმედებების ბუნება და შედეგები (სექ. 25 (2)). კენიაში სისხლის სამართლის კოდექსის (1970) შესწორება (თავი 63) ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკობრივ ზღვარს - 8 წელს (მუხლი 14 (1)). "თორმეტ წლამდე პირს არ ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისათვის ან უმოქმედობისათვის, თუ არ დადასტურდა, რომ ქმედების ან უმოქმედობის დროს მას ჰქონდა შესაძლებლობა, გაეთვითცნობიერებინა, რომ მას არ უნდა ჩაედინა ქმედება ან უმოქმედობა" (მუხლი 14 (2)). თუმცა 12 წლამდე ბიჭს ვერ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაუპატიურებისათვის, რადგან არსებობს პრეზუმფცია, რომ ის უუნაროა, ჰქონდეს ცოდნა სქესობრივი აქტის შესახებ (მუხლი 14 (3)).

გრაფიკი 1: Doli incapax-ის და ჩადენილი საქციელის გათვითცნობიერების პრეზუმფციის მოქმედება



აღნიშნული ცნებებიდან რომელიმეს გამოყენებისას არსებობს პრეზუმფცია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს შეუხსრულდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი (თუმცა ის კანონმდებლობით დადგენილ ასაკზე უმცროსია), ბავშვს არ გააჩნია შესაბამისი აღქმის უნარი. თუმცა სისტემებში, რომლებშიც გამოიყენება *doli incapax*, პროკურორს შეუძლია უარყოს პრეზუმფცია, თითქოს ბავშვი იყო "უუნარო, ჩაედინა დანაშაული", თუ სასამართლო პროცესზე დაამტკიცებს, რომ ბავშვს ესმოდა მისი ქმედებების შედეგები. ანალოგიურად, გათვითცნობიერებაზე დამყარებული მიდგომისას ბავშვი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ არ იქნა გამოვლენილი, რომ ის აცნობიერებდა თავისი ქმედებების არსს. იმის დასამტკიცებლად, რომ ბავშვი "ათვითცნობიერებდა", რაც ჩაიდინა, პოლიცია, პროკურორი ან სასამართლო აფასებს იმ ბავშვის მდგომარეობას, რომელიც ხვდება ზემოაღნიშნულ ასაკობრივ ფარგლებში, გამოძიებამდე ან სასამართლო პროცესამდე, რათა გაირკვეს, ათვითცნობიერებდა თუ არა ბავშვი თავის ქმედებებს და შესაბამისად დაინყოს საქმისწარმოება.⁵²

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშებთან დაკავშირებულ დასკვნით შენიშვნებში და N10 ზოგად კომენტარში გამოხატა შეშფოთება *doli incapax*-ის და გათვითცნობიერებაზე დამყარებულ მიდგომებთან დაკავშირებით.⁵³ მისი თვალსაზრისით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის ბავშვის სიმწიფის მიხედვით განსაზღვრა არა მხოლოდ არასაიმედო და არაპროგნოზირებადია, არამედ ფართო დისკრეციას უტოვებს სასამართლოს ან მოსამართლეს, რომელსაც ხშირად გადაწყვეტილება გამოაქვს კვალიფიციური ფსიქოლოგების მონაწილეობის გარეშე. კომიტეტმა დაადგინა, რომ ეს განაპირობებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად მცირე ასაკის გამოყენებას შედარებით მძიმე დანაშაულებისათვის, რაც ბავშვებს დისკრიმინაციისაგან დაუცველს ტოვებს.⁵⁴ ზოგიერთი ისეთი სახელმწიფოს მტკიცების მიუხედავად, რომელშიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია მოცემული პრეზუმფცია, ზემოთქმული არ სთავაზობს ბავშვებს ე.წ. "დამცავ მოსასხამს".

⁵² მაგალითად, კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ, 2006. რესპუბლიკის კანონი N 9344, 28 აპრილი, 2006 წ. ნაწ. 6 (ფილიპინები). ფილიპინებში აღნიშნული ეხება 15-დან 18 წლამდე ბავშვებს.

⁵³ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10(2007), პუნქტი 34. კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკობრივ ზღვართან მიმართებაში ისეთი გამოწვევების შესაძლებლობის გამო, რომლებიც უშვებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაბალი მინიმალური ასაკის გამოყენებას მაშინ, როდესაც ბავშვს, მაგალითად, ბრალად ედება მძიმე დანაშაულის ჩადენა, ან ბავშვი ითვლება საკმარისად მომწიფებულად იმისათვის, რომ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

⁵⁴ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 30.

თავის N10 ზოგად კომენტარში კომიტეტი იძლევა საგანგებო რეკომენდაციას, რომ “მონაწილე სახელმწიფოებმა დაანესონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ისეთი მინიმალური ასაკი, რომელიც გამონაკლისის სახით არ დაუშვებს უფრო მცირე ასაკის გამოყენებას.”⁵⁵

საილუსტრაციო მასალა 4: *doli incapax*-ის სადავო პრეზუმფციაზე უარის თქმა

2000 წელს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გააკრიტიკა სიერა-ლეონე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაბალი ასაკის გამო. მართალია, 10 წლამდე ასაკის ბავშვების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიშვებოდა, მაგრამ შესაძლებელი იყო 10-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება მაშინ, თუ შესაძლებელი იქნებოდა იმის დემონსტრირება, რომ ბავშვი ათვისებდა თავისი ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს. კომიტეტის რეკომენდაციით, სახელმწიფოს უნდა გადაესინჯა შესაბამისი კანონმდებლობა და გაეზარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი. სიერა-ლეონეს დელეგაცია დაეთანხმა იმას, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი დაბალი იყო და განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი აუცილებლად იქნებოდა მხედველობაში მიღებული მომავალში კანონმდებლობის შემუშავებისას.

მოგვიანებით, 2007 წელს, ბავშვთა უფლებების აქტის მიღებით სიერა-ლეონემ 14 წლამდე გაზარდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი. აქტი აცხადებს, რომ: “სიერა-ლეონეს სასამართლო წარმოებაში დაუშვებელია, 14 წლამდე ასაკის ბავშვს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მისი ქმედებისათვის”. შესაბამისად, სიერა-ლეონემ ფაქტობრივად უარი თქვა 10-დან 14 წლამდე ბავშვების სასამართლოში გასამართლების შესაძლებლობაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სისხლისსამართლებრივი დევნით გამოვლინდება, რომ ბავშვი ათვისებდა თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს.

[წყაროები: ბავშვის უფლებათა კომიტეტი, დასკვნითი შენიშვნები: სიერა-ლეონე (2000), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.116, პუნქტი 29; ბავშვის უფლებათა კომიტეტი, მონაწილე სახელმწიფოების მეორე პერიოდული მოხსენება 1997 წელს: სიერა-ლეონე (2006) გაეროს დოკ. CRC/C/SLE/2, პუნქტები 32, 35; ბავშვთა უფლებების აქტი (2007) (სიერა-ლეონეს საგანგებო უწყებების (LEONE GAZETTE EXTRAORDINARY) დამატება, ტომი CXXXVIII, № 43, 2007 წლის 3 სექტემბერი, მუხლი 70

1.5. სტატუსური დანაშაულისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების დეკრიმინალიზაცია

სტატუსურ დანაშაულს განეკუთვნება ისეთი დანაშაულები, რომელთა ჩადენა შესაძლებელია გარკვეული სტატუსის პირების, ძირითადად, ბავშვების მიერ. სტატუსური დანაშაულის ყველაზე გავრცელებულ მაგალითებს წარმოადგენს სკოლის (ან სხვა სასწავლო დაწესებულების) ქრონიკული ანუ მუდმივი გაცდენა, გაქცევა, ურჩობა, გამოუსწორებლობა ან უბრალოდ მშობლებთან და სკოლაში ცუდად მოქცევა, შინიდან დადგენილი საათის შემდეგ გასვლის აკრძალვის შესახებ კანონის დარღვევა, ალკოჰოლისა და თამბაქოს ქონა.

სრულწლოვანი პირის მიერ ჩადენისას ამგვარი ქმედებები არ იქნებოდა კრიმინალიზებული, მაგრამ ბავშვი სტატუსური დანაშაულის ჩადენის გამო მხოლოდ ასაკის საფუძველზე შეიძლება დაისაჯოს. მიუხედავად იმისა, რომ სტატუსური დანაშაულის ჩამდენები არ არიან კრიმინალები და მათი ქმედებებიც არ არის საზიანო სხვებისთვის, ისინი მაინც შეიძლება დააპატიმრონ ან დააკავონ. სტატუსური დანაშაულის ჩამდენი ბავშვები, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში ხვდებიან, ხშირ შემთხვევაში მცირე სამართლებრივი თუ მშობლის მხარდაჭერით სარგებლობენ. ბავშვების უმეტესობა გადაეჩვენა ასეთ საქციელს მათ მიმართ მეტი ყურადღებისა და მხარდაჭერის გამოჩენის შემთხვევაში, ან როდესაც ისინი გაიზრდებიან და მოზარდობის პერიოდს გადალახავენ.

⁵⁵ იქვე, პუნქტი 34

კანონები სტატუსური დანაშაულის შესახებ არაპროპორციულად ვრცელდება ღარიბ, სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ან იმ ბავშვებზე, რომლებიც ცხოვრობენ ან მუშაობენ ქუჩაში და იძულებულნი არიან ძირითადი დრო გაატარონ სახლს გარეთ.⁵⁶ რიადის პრინციპები⁵⁷ სტატუსური დანაშაულების გაუქმებისკენ მოგვიწოდებს, ხოლო ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, ამგვარი დანაშაულები უნდა გაუქმდეს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვთა და სრულწლოვან პირთა თანასწორობა, და სტატუსთან დაკავშირებული საკითხები უნდა განიხილებოდეს როგორც სოციალური უზრუნველყოფის სფეროს საკითხები ბავშვთა დაცვის სისტემის ფარგლებში.⁵⁸

ბავშვის უფლებათა კომიტეტი ხშირად აკრიტიკებდა ნებისმიერი ფორმის დაკავების გამოყენებას იმ ბავშვების მიმართაც, რომლებსაც დანაშაული არ ჩაუდენიათ და რომლებიც უბრალოდ მიატოვეს,⁵⁹ რომელთაც ცუდად ეპყრობოდნენ ან რომლებიც მოკლებულნი არიან მშობლების მეთვალყურეობას,⁶⁰ განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც შესაძლოა ბავშვი დაკავებული იქნეს მსჯავრდებულებთან ერთად. ასეთი ბავშვების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრის თავიდან აცილების მიზნით კანონმდებლობამ სახელმწიფოებს უნდა დაუწესოს დაცვისა და ოჯახური მხარდაჭერის უზრუნველყოფის კანონით გათვალისწინებული ვალდებულება.

საილუსტრაციო მასალა 5: სტატუსური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის აკრძალვა

ფილიპინებში 2006 წლის კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ (ნან. 57) გარკვევით კრძალავს ბავშვების სისხლისსამართლებრივ დევნას სტატუსური დანაშაულების გამო. კანონის თანმხლებ განხორციელების წესებში ბავშვის უფლებათა კონვენცია მითითებულია როგორც ბავშვების სისხლისსამართლებრივი დევნისაგან განთავისუფლების საფუძველი ისეთი კონკრეტული ქმედებების ჩადენის გამო, როგორცაა მანანალობა, პროსტიტუცია, მათხოვრობა და რეზინის წებოს ყნოსვა. 2006 წლის კანონის 88-ე წესი სტატუსურ დანაშაულებს განსაზღვრავს როგორც “ნებისმიერ ქმედებას, რომელიც, თუ ჩადენილია სრულწლოვანი პირების მიერ, არ ითვლება დანაშაულად ან იწვევს დაჯარიმებას და მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შინიდან დადგენილი საათის შემდეგ გასვლის აკრძალვის დარღვევას, სკოლის გაცდენას, მშობელთა დაუმორჩილებლობას და მსგავს საქციელს. ამგვარი ქმედებები არ ჩაითვლება დანაშაულად და არ იქნება დასჯადი ბავშვის მიერ ჩადენის შემთხვევაშიც.”

89-ე წესის შესაბამისად, თუ ბავშვი მსგავსი ქცევისათვის დააკავებს, პოლიცია ვალდებულია, განთავისუფლოს ბავშვი და ჩააბაროს იგი სოციალური სამსახურის ადგილობრივი განყოფილების ოფიცერს.

წყარო: კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ, წესები და რეგულაციები.

ბავშვის უფლებათა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ განმარტავს, რომ ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის ქმედებაში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების სანაცვლოდ. ფაკულტატიური ოქმის მონაწილე 142-მა სახელმწიფომ (2011 წლის თებერვლის მდგომარეობით) იკისრა ბავშვთა პროსტიტუციის აკრძალვის ვალდებულება. კანონმდებლობამ სრულწლოვანი პირის მიერ ბავშვთან სექსუალური კავშირის დამყარება დანაშაულად უნდა

⁵⁶ იხ. ბავშვთა უფლებების საინფორმაციო ქსელი, გლობალური ანგარიში სტატუსური დანაშაულების შესახებ, დამატებითი ინფორმაციისათვის იხ.: <www.crin.org> [მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს].

⁵⁷ რიადის პრინციპების 56-ე სახელმძღვანელო პრინციპი.

⁵⁸ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი ზოგადი კომენტარი N 10(2007), პუნქტები 8 და 9.

⁵⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, 146-ე შემაჯამებელი შეხვედრის ჩანაწერი: ჩილე, 1994 წლის 19 აპრილი, გაეროს დოკ. CRC/C/SR.148 იხ. პუნქტები 34, 35 (მონაწილე სახელმწიფო ჩილეს მოხსენების განხილვა).

⁶⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი: დასკვნითი შენიშვნები: ნიგერია(1996), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.61, პუნქტი 21

აღიაროს. ამავე დროს, კანონმდებლობამ პროსტიტუციის მიზნით ექსპლუატირებული ბავშვი უნდა გაათავისუფლოს დანაშაულის მონაწილე მხარის პასუხისმგებლობისაგან და მის მიმართ არ განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

უფრო ზოგადად, რიადის პრინციპებში აღნიშნულია, რომ, ჩვეულებრივ, ბავშვების უმრავლესობა ასაკის მატებასთან ერთად თავს ანებებს ანტისოციალური ქცევას⁶¹. ამიტომ პრინციპები ცალსახად ენიშნავენ ბავშვის კრიმინალიზაციას და დასჯას ისეთი ქცევისათვის, რომელიც არ იწვევს ბავშვის განვითარებისათვის სერიოზული ზიანის მიყენებას ან სხვების დაზიანებას.⁶²

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა არ შეიძლება გამოვიყენოთ არც იმ ბავშვების წინააღმდეგ, რომლებიც ითვლებიან ან არიან საემიგრაციო კანონების დამრღვევები. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა აღნიშნა: “თანმხლების გარეშე ან უფროსებისგან დაშორებულ ბავშვებთან და, აგრეთვე, ტრეფიკინგის და ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვებთან დაკავშირებით პოლიტიკის შემუშავებისას სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს აღნიშნული ბავშვების კრიმინალიზაცია მხოლოდ ქვეყანაში უკანონოდ შემოსვლის ან ყოფნის გამო”.⁶³ ამასთანავე, კომიტეტმა გარკვევით მიუთითა, რომ “დაუშვებელია დაკავების გამართლება მხოლოდ ბავშვის თანმხლების გარეშე ან მარტო ყოფნის, ან მისი საემიგრაციო თუ ბინადრობის სტატუსის, ან ასეთის უქონლობის საფუძველზე”.⁶⁴

ევროპის საბჭომ თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ რეკომენდაციაში კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ არასრულწლოვანთა დაკავება უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ უკიდურეს ზომას.⁶⁵ ევროპის საბჭომ ასევე განაცხადა: “თანმხლების გარეშე მყოფ არასრულწლოვან თავშესაფრის მაძიებელთათვის უნდა განხორციელდეს ისეთი ალტერნატიული და არასაპატიმრო ზრუნვის ღონისძიებები, როგორცაა ბავშვთა სპეციალურ დანესებულებებში მოთავსება ან მინდობით აღზრდა, და, თუ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულია, უმოკლეს ვადებში უნდა დაინიშნოს კანონიერი წარმომადგენელი”.⁶⁶

შესაბამისად, უნდა მოხდეს სისხლის სამართლის კოდექსების და სხვა შესაბამისი დებულებების ჩასწორება.

⁶¹ რიადის პრინციპების მე-5 მუხლის (ე) პუნქტი.

⁶² რიადის პრინციპების მე-5 მუხლი.

⁶³ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 6(2005), თანმხლების გარეშე და მარტო მყოფი ბავშვებისადმი მოპყრობა მათი ქვეყნის გარეთ. გაეროს დოკ. CRC/GC/2005/6, პუნქტი 61.

⁶⁴ იქვე.

⁶⁵ ევროპის საბჭო, თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების ზომებზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2003) 5 წევრი ქვეყნებისთვის; მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 16 აპრილს, მინისტრთა მოადგილეების 837-ე შეხვედრაზე, პუნქტი 20.

⁶⁶ იქვე, პუნქტი 23.

ნაწილი 1: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩარჩო: შემაჯამებელი ასპექტები

- ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე, 39-ე და მე-40 მუხლების განხორციელების მიზნით სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონი ან კოდექსი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვის მიმართ მოპყრობის წესი პოლიციის მიერ მისი შეპყრობის ან დაკავების მომენტიდან სასჯელის მოხდის შემდგომი ზრუნვის ჩათვლით.
- კანონი ნათლად უნდა განმარტავდეს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ყველა ბავშვი 18 წლის ასაკამდე უნდა ხვდებოდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს ადმინისტრაციებში, სოციალური მომსახურებისა და პრობაციის სამსახურებში შეიქმნას ბავშვთა სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულები.
- კანონმდებლობით უნდა იქნეს მოთხოვნილი, რომ ყველა ადმინისტრაციულმა კადრმა და სხვა სპეციალისტმა, რომელსაც ურთიერთობა აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან, გაიაროს ტრენინგი ბავშვთა უფლებებში.
- სპეციალისტთა პროფესიული ქცევის კოდექსები სპეციალისტებს უნდა ავალდებულებდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის დაწყებამდე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე ტრენინგის გავლას. მაგალითად, მხოლოდ იმ მოსამართლეებს და მაგისტრატ მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ ბავშვების წინააღმდეგ არსებული საქმეების განხილვის უფლება, რომლებსაც გავლილი ექნებათ ასეთი ტრენინგი.
- უნდა დაარსდეს არასრულწლოვანთა სასამართლოები და უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა; იუსტიციის სამინისტრომ ან სხვა შესაბამისმა სამინისტრომ უნდა გამოსცეს სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლოს ადმინისტრაციისათვის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნულის მიღწევა.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვთა საქმეების განხილვისას სასამართლო პროცედურამ ბავშვებს მისცეს სასამართლო მოსმენისა თუ განხილვის გაგების და მასში მონაწილეობის საშუალება.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს დავების გადანყვეტის ალტერნატიული მექანიზმების (მაგალითად, ბავშვთა აქტი (კანონი ბავშვების შესახებ) [1998], განა, რომელშიც გათვალისწინებულია ბავშვთა მსაჯულების სია (ე.წ. ბავშვთა პალატები)), განრიდებისა და რიგი არასაპატიმრო სასჯელების არსებობა ისეთი ბავშვებისათვის, რომლებიც აღიარეს დანაშაულის ჩამდენებად.
- კანონმდებლობამ არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა მისცეს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის მომსახურების განევის საშუალება და ასევე იგი უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც სამინისტროებს და სხვა უწყებებს დართავს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის დავალებების მიცემისა და მათთან ხელშეკრულებების დადების ნებას მსგავსი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით.
- სახელმწიფოს მთავარმა სტატისტიკურმა უწყებამ უნდა მოამზადოს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით შესაგროვებელი მონაცემების შესახებ და მიაწოდოს ისინი პოლიციას, პროკურატურასა და სასამართლოებს. ზემოაღნიშნული შესაგროვებელი მონაცემები ჩამოთვლილია ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ ანგარიშგების სახელმძღვანელო პრინციპებში (ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები პერიოდული ანგარიშების ფორმისა და შინაარსის შესახებ (2005), გაეროს დოკ. CRC/C/58/ შესნ. 1).

- კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი; აღნიშნული ასაკი უნდა ეხებოდეს ყველა ბავშვს, ნაცვლად სხვადასხვა დანაშაულის ან სხვადასხვა ბავშვის შემთხვევაში განსხვავებული ასაკის გამოყენების პრაქტიკისა. დაუშვებელია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი იყოს 12 წელზე ნაკლები და სასურველია იყოს მასზე მეტი.
- ბავშვის ასაკთან მიმართებაში ეჭვის არსებობის შემთხვევაში კანონმდებლობამ უნდა მოსთხოვოს პოლიციას და პროკურატურას იმის დადასტურება, რომ ბავშვი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკზე უფროსია; ეჭვის გაუქარწყლებლობის შემთხვევაში კანონი კონკრეტულად უნდა ადგენდეს, რომ ბავშვს არ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.
- უნდა გაუქმდეს ნებისმიერი ისეთი კანონმდებლობა, რომელიც აღიარებს **doli incapax**-ის (უუნარო ჩაიდინოს დანაშაული), ან “დანაშაულის გათვითცნობიერების” ცნებებს, და ასაკად, რომლის მიღწევის შემდეგაც ბავშვს ეპყრობიან როგორც სრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონედ, უნდა განისაზღვროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი.
- კანონმდებლობაში გარკვევით უნდა იქნეს განსაზღვრული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემას მხოლოდ ის ბავშვები ექვემდებარებიან, რომლებმაც, როგორც თვლიან, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად.
- ბავშვისათვის სტატუსური დანაშაულის ჩადენის გამო ბრალის წაყენება და მისი ამ მიზეზით გასამართლება უკანონოდ უნდა იქნეს მიჩნეული კანონმდებლობის მიერ. ნებისმიერი არსებული სტატუსური დანაშაული უნდა გაუქმდეს. თუკი შეუძლებელია სტატუსური დანაშაულის გასაუქმებლად კანონის დაუყოვნებლივ მიღება, იუსტიციის სამინისტრომ ან სხვა შესაბამისმა ორგანომ უნდა მიიღოს კანონქვემდებარე აქტები ან პრაქტიკული სახელმძღვანელო მითითებები იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის უფლებათა კონვენციით და პეკინის წესებით (ნესი 3.1) გათვალისწინებული დაცვითი მექანიზმების გამოყენება.
- პროსტიტუციის შესახებ სისხლის სამართლის კანონმდებლობამ 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი უნდა გაათავისუფლოს სისხლისსამართლებრივი დევნისაგან. ამასთანავე, ბავშვის პროვოცირება, წაქეზება ან ჩართვა სექსუალური ხასიათის ქმედებაში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების სანაცვლოდ პირს უნდა ჩაეთვალოს დანაშაულად.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონი გამყარებული უნდა იქნეს კანონმდებლობით, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის, უყურადღებობის და ექსპლუატაციის რისკგუფებში შემავალი ბავშვების მიმართ ეფექტიანი პრევენციული პროგრამების არსებობას და ბავშვთა დაცვის ღონისძიებების გატარებას.

2. ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი პრინციპები

არსებობს ოთხი ძირითადი პრინციპი, რომლებსაც ეფუძნება ბავშვის უფლებათა კონვენცია და რომლებიც ისევე ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, როგორც ბავშვთა უფლებების დაცვის ნებისმიერ სხვა აქტუალურ საკითხზე. აღნიშნული ოთხი პრინციპი ასახული უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. ეს პრინციპებია:

- საუკეთესო ინტერესების დაცვა (მე-3 მუხლი).
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა (მე-2 მუხლი).
- სიცოცხლის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება (მე-6 მუხლი).
- უფლება, იყოს მოსმენილი (მე-12 მუხლი).

2.1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნით, “ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმარტავი ელემენტი სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.”⁶⁷

საუკეთესო ინტერესების დაცვის ცნება მოქმედებს ბავშვების, როგორც ჯგუფის, ასევე უშუალოდ თითოეული ბავშვის მიმართ, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში აღმოჩნდება ჩართული.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ ბავშვების, როგორც ჯგუფის, ინტერესების განხილვისას, ბავშვის უფლებათა კონვენცია და “სტანდარტები და ნორმები” ერთად: “მოგვიწოდებენ, დავამკვიდროთ ბავშვზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც აღიარებს ბავშვს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად და ყურადღებას გაამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ ბავშვებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა ბავშვის საუკეთესო ინტერესით”.⁶⁸

მიუხედავად იმისა, რომ “საუკეთესო ინტერესები” არ არის ზუსტად განსაზღვრული, ბავშვის უფლებათა კომიტეტი N10 ზოგად კომენტარში განმარტავს: “მაგალითისათვის, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორიცაა დამნაშავეს დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად”.⁶⁹

აქედან გამომდინარე, “საუკეთესო ინტერესების” ტესტი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ უნდა გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას.⁷⁰

⁶⁷ ეს მუხლი არ მეორდება ევროპულ კონვენციაში, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უშუალოდ ეყრდნობა ბავშვის უფლებათა კონვენციის ამ მუხლს და ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის გათვალისწინების აუცილებლობას გადაწყვეტილების მიღებისას ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მონაწილეობენ ბავშვებიც, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებზეც (იხილეთ “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, № 24888/94; [1999] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2; N 24724/94 (2000) 30 EHRR (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) 121, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 1999.).

⁶⁸ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია (1995), გაეროს დოკ. CRC/C/43, გვ. 64.

⁶⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 10.

⁷⁰ პეკინის წესების მე-5 ნუსიცი თვალისწინებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ აქცენტი უნდა გააკეთოს არასრულწლოვანის კეთილდღეობაზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საუკეთესო ინტერესები თუ კეთილდღეობა სინონიმებია ისეთი რეჟიმისა, სადაც ბავშვი ჩართულია სისტემაში, რომელიც ახორციელებს ბავშვის უფლებათა კონვენციის

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ისეთ ნაწილებს და მუხლებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება აღნიშნული, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი თითოეულ ბავშვთან მიმართებაში ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ვრცელდება. გარდა ამისა, კანონმდებლობაში უნდა მიეთითოს, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ყველა ასპექტს და მის ფარგლებში განსახორციელებელ ყველა მოქმედებას. ეს ნათლად ანაჩვენებს განის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტში (2003 წ.), ხოლო საუკეთესო ინტერესების დაცვის ინტერპრეტაცია კარგადაა მოცემული ფილიპინების კანონში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ (2006 წ.).

საილუსტრაციო მასალა 6: ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა სასამართლო საქმის წარმოებისას

განა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტის (2003) მეორე ნაწილი აცხადებს: “არასრულწლოვანთა ქმედებით ინტერესებში იგულისხმება (ა) უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება ნებისმიერი საკითხისათვის, რომელიც ეხება არასრულწლოვანს, და (ბ) არასრულწლოვანთა სასამართლოს, დაწესებულების ან სხვა ორგანოს მიერ იმ საკითხების უპირველესი განხილვა, რომლებიც ეხება არასრულწლოვანებს”.

ფილიპინები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ 2006 წლის კანონის მე-4 (ბ) ნაწილის თანახმად: “ბავშვის ქმედებით ინტერესებში იგულისხმება იმ გარემოებათა და პირობათა ერთიანობა, რომლებიც ყველაზე შესაფერისია ბავშვის გადარჩენის, დაცვის და უსაფრთხოების გრძნობის გაღვივებისათვის და ყველაზე მეტად უწყობს ხელს ბავშვის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ განვითარებას. ეს ასევე ნიშნავს ყველაზე ნაკლებად საზიანო შესაძლებელი ალტერნატივის გამოყენებას ბავშვის ზრდის და განვითარების უზრუნველსაყოფად.

წყარო: კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ (2006), ნაწილი 4(ბ).

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას სამართალდამცავ ორგანოსთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან სასჯელის მისჯისა და სასჯელის შემდგომი მომსახურების, განსაკუთრებით კი თავისუფლება აღკვეთილ ბავშვებზე შემდგომი ზრუნვის ჩათვლით. ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ მისი პიროვნება, სურვილები, ვითარება, ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც განაჩენი მოახდენს მის განვითარებასა და კეთილდღეობაზე, და სხვა შესაბამისი საკითხები. რეკომენდებულია, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა მოუსმინოს ბავშვის პოზიციას, რაც იქნება საფუძველი ყველაზე საუკეთესო ინტერესის დასადგენად. ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესები უნდა იყოს ძირითადი საკითხი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სხვა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ბრალდებულის უფლებებს.

2.2. დისკრიმინაციის დაუშვებლობა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მეორე მუხლის თანახმად: “მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის,

ზოგად პრინციპებსა და დებულებებს, პეკინის წესების კომენტარების განმარტებით, აღნიშნული მიუთითებს, რომ მოხდება უბრალოდ სადამსჯელო სანქციების გამოყენების თავიდან აცილება.

ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.⁷¹

დისკრიმინაცია აკრძალულია უმეტესი სახელმწიფოების კანონმდებლობით. აღნიშნული აკრძალვები ძირითადად გვხვდება სახელმწიფოს კონსტიტუციაში, სისხლის სამართლის კოდექსში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ან ბავშვებთან დაკავშირებით არსებულ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში.⁷² თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის შესახებ ზოგადი დებულება შესაძლებელია არ იყოს საკმარისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ისეთი ჯგუფების ბავშვთა დასაცავად, რომლებსაც ხშირად უწევთ დისკრიმინაციასთან დაპირისპირება. მათ მიერ განცდილი დისკრიმინაცია შეიძლება იყოს პირდაპირი ან ირიბი. პირდაპირი დისკრიმინაცია, როდესაც მსგავს სიტუაციაში გარკვეულ პირს ეპყრობიან ნაკლები კეთილგანწყობით, ვიდრე სხვა პირებს, აკრძალული მიზეზით, მაგალითად, იმის გამო, რომ ბავშვი ეთნიკურ უმცირესობას მიეკუთვნება ან მისი მშობლები არ არიან დაქორწინებულნი. ირიბი დისკრიმინაციაში იგულისხმება კანონები, პოლიტიკა და პრაქტიკა, რომლებიც, თავისთავად, ნეიტრალური გვეჩვენება, მაგრამ არაპროპორციულ გავლენას ახდენს. მაგალითად, სკოლაში ჩარიცხვისათვის დაბადების რეგისტრაციის მონმობის მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ბავშვების დისკრიმინაცია, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, არ არიან მოქალაქეები ან ხელმოკლე ოჯახებიდან არიან და რომლებსაც არ გააჩნიათ ასეთი მონმობები ან უარი ეთქვათ მათ გაცემაზე.

ბავშვებს, რომელთაც ემუქრებათ სავარაუდო დისკრიმინაციის საფრთხე, მიეკუთვნებიან: ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩაში; ეთნიკურ, რელიგიურ თუ ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებული ბავშვები; მკვიდრი ხალხების ბავშვები; გოგონები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და ბავშვები, რომლებმაც არაერთხელ დაარღვიეს კანონი (რეციდივისტები). უსახლკარო, სოციალური პრობლემების მქონე, ღარიბი ბავშვები, ან ისეთები, ვისი მშობლებიც თავად არიან დამნაშავეები, ან ნარკოტიკებისა და გადაჭარბებული დოზით ალკოჰოლის მომხმარებლები, შეზღუდული სწავლის შესაძლებლობების ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები შეიძლება ასევე უფრო უხეში მოპყრობის მსხვერპლი გახდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებშიც. შედარებით მეტად მოსალოდნელია, რომ ასეთი ბავშვები გახდნენ სამართლებრივი დევნის, წინასწარი პატიმრობის შეფარდების და საპატიმრო სასჯელის (თავისუფლების აღკვეთის) ობიექტები.

დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად მონაწილე სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ, და რიგ შემთხვევებში აქვთ კიდევც, ნაკისრი გარკვეული სპეციალური ზომების მიღების ვალდებულება დისკრიმინაციის გამომწვევი პირობების შესასუსტებლად და ჩასახშობად ასეთი ზომები ლეგიტიმურად ჩაითვლება იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენს გონივრულ, ობიექტურ და პროპორციულ საშუალებებს *დე ფაქტო* დისკრიმინაციის შეცვლისათვის და რომელთა გაუქმებაც შესაძლებელი იქნება მდგრადი თანასწორობის მიღწევის შემდეგ. გამონაკლის შემთხვევებში ამ სახის პოზიტიური ზომების გატარება შესაძლებელია მუდმივად გახდეს საჭირო, კერძოდ, იგულისხმება ისეთი ზომები, როგორცაა თარჯიმნის მომსახურება ენობრივ უმცირესობათათვის, საგანგებო ყურადღების მიქცევა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების წარმომადგენლების ან გოგონების მიმართ, რომლებიც ითვლებიან სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენად ან ბრალდებულები არიან დანაშაულის ჩადენაში.⁷³

ბავშვებს არ უნდა აღუკვეთონ თავისუფლება და ისინი არ უნდა მოათავსონ პატიმრობაში მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლებულნი არიან ოჯახურ ზრუნვას. არც ის ფაქტი უნდა აღმოჩნდეს დაპატიმრების თუ შედარებით მკაცრი სასჯელის გამოყენების საფუძველი, რომ ბავშვს ან მის ოჯახს არ შეუძლია ჯარიმის გადახდა.

⁷¹ მსგავსი დებულება ასეთივე ტერმინებით არის მოცემული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში.

⁷² იხ., მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კონსტიტუცია, 1996 წლის № 108, 2007 წლის 4 თებერვლის მდგომარეობით, მუხ. 9 (2). იხ. ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლი.

⁷³ იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 20 (2009), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განხორციელებაში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ (მუხლი 2, პუნქტი 2, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 2 ივლისი 2009 წ., გაეროს დოკ. E/C.12/GC/20, პუნქტი 9).

საილუსტრაციო მასალა 7: იმის უზრუნველყოფა, რომ ჯარიმის დაკისრება არ გამოიწვევს დისკრიმინაციას

განის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტის (2003) 30-ე (2) ნაწილის მიხედვით მშობლის უუნარობამ, გადაიხადოს ჯარიმა, არ უნდა მოახდინოს გავლენა ბავშვის მიმართ მოპყრობაზე: “განკარგულების გამოცემაზე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მშობლის, მეურვის ან ახლო ნათესავის მიერ ჯარიმის გადახდის, ზიანის ან ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა და აღნიშნული არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც არასრულწლოვანის დისკრიმინაციის საფუძველი”.

წყარო: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი (2003წ); აქტი N653

გარკვეული ეთნიკური ჯგუფები შეიძლება სხვებზე მეტად იყვნენ წარმოდგენილნი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, მათ შორის, მაგალითად, ბოშა ბავშვები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში,⁷⁴ მკვიდრი მოსახლეობა კანადასა⁷⁵ და ავსტრალიაში და აფრო-ამერიკელი ბავშვები შეერთებულ შტატებში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმ ძირითად მიზეზებს, რის გამოც გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს მიკუთვნებული ბავშვები სხვებზე მეტად არიან წარმოდგენილნი სისტემაში. ამასთანავე, არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად შეიძლება აუცილებელი გახდეს, რომ კანონმდებლობა მოითხოვდეს გარკვეული ეთნიკური ჯგუფების მიმართ განსაკუთრებული ყურადღების დათმობას, მსგავსად კანადის კანონმდებლობისა.

საილუსტრაციო მასალა 8: რეაგირება სისტემაში გადაჭარბებული ოდენობით წარმოდგენაზე

კანადაში 2002 წლის კანონი ახალგაზრდული სისხლის სამართლის შესახებ (ახალგაზრდული სისხლის სამართლის აქტი) აღნიშნავს ისეთი ზომების განხორციელების მნიშვნელობას, რომლებიც “დააკმაყოფილებს მკვიდრი ახალგაზრდების საჭიროებებს”, და აცხადებს, რომ სასჯელის შეფარდებისას “განხილული უნდა იქნეს საპატიმრო სანქციების გარდა სხვა ისეთი სანქციის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც გონივრული იქნება ვითარების გათვალისწინებით, ყველა ახალგაზრდასთან მიმართებაში, მკვიდრ ახალგაზრდებთან დაკავშირებული გარემოებებისათვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.” წყარო: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი (2003 წ.); აქტი N653

საქმეში “რ. გლადის წინააღმდეგ” (R v. Gladue) კანადის უზენაესმა სასამართლომ აღიარა ასეთი მიდგომის მნიშვნელობა: “718.2 (2) ნაწილს გამასწორებელი ხასიათი აქვს. მისი მიზანია, გააუმჯობესოს ციხეებში მკვიდრი მოსახლეობის გადაჭარბებული რაოდენობით მოხვედრის პრობლემა და წაახალისოს მოსამართლეები, სასჯელის შეფარდებისას გამოიყენონ აღდგენითი მიდგომა. მოსამართლის მოვალეობაა, რეალური ძალა მიანიჭოს დებულებათა მიზანს - გამოსწორებას.”

წყაროები: კანონი ახალგაზრდულ სისხლის სამართლის შესახებ (ახალგაზრდული სისხლის სამართლის აქტი), SC, 2002, c.1, მუხლი 3 (1), მუხლი 38 (2) (დ); “რ. გლადის წინააღმდეგ” (R v. Gladue), 1 S.C.R. 688 [1999], 23 C.R. (მე -5) 197, 133C.C.C. (მე -3) 385, კანადა: უზენაესი სასამართლო, 23 აპრილი 1999წ, პუნქტი 93.

⁷⁴ გაეროს ბავშვთა ფონდი; “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დაკარგული - კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში”, 2008, გვ. 40

⁷⁵ 2003-2004 წლებში წინასწარ პატიმრობაში თუ იზოლაციაში მყოფი კანადის ახალგაზრდობის 27 პროცენტი და ღია პატიმრობაში მყოფი მოსახლეობის 30 პროცენტი იყო მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი, თუმცა მკვიდრი ახალგაზრდობა შეადგენს საერთო მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტს. იხ. სოციალური კეთილდღეობის ეროვნული საბჭო, “მკვიდრი ხალხების, მეტისი და ინუიტი ბავშვები და ახალგაზრდობა: მოქმედების დრო”, 2007, გვ. 97.

ასევე, დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე რეაგირებისას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია კანონებს, რომლებიც არეგულირებს სამართალდამცავთა ქმედებებს.

საილუსტრაციო მასალა 9: სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან დისკრიმინაციის აკძალვა

აღბანეთში კანონი სახელმწიფო პოლიციის შესახებ დისკრიმინაციის დაუშვებლობის ვალდებულებას პირდაპირ აკისრებს პოლიციას:

“აღბანეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის შესაბამისად, პოლიციის თანამშრომელი თანაბრად უნდა ექცეოდეს ადამიანებს და თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს ნებისმიერი ისეთი საფუძვლით დისკრიმინაციის გარეშე, როგორცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, ეროვნება, პოლიტიკური, რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებები, სექსუალური მიდრეკილება, ეკონომიკური მდგომარეობა, განათლება, სოციალური სტატუსი თუ წინაპრები”.

წყარო: კანონი სახელმწიფო პოლიციის შესახებ, კანონი # 9749, 2007 წლის 4 ივნისი, მუხლი 61

2.3. სიცოცხლის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და ჯანსაღი განვითარების უფლება

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნით, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება და ისინი შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას. ეს ეხება ბავშვებს მათი სიცოცხლის ყველა ეტაპზე ნებისმიერ გარემოში, იმ ბავშვების ჩათვლით, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში არიან მოხვედრილნი.

სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლების გარდა, ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი მკაფიოდ განმარტავს, რომ არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირებს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის. სიკვდილით დასჯის შეფარდების აკრძალვა მაშინაც ვრცელდება, როცა სრულწლოვან პირს ასამართლებენ მის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევამდე ჩადენილი დანაშაულის გამო.⁷⁶ ყველა სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო დებულებებს, რომლებშიც ეს ორი აკრძალვა იქნება მოცემული. მიუხედავად ბავშვის უფლებათა კონვენციის კონკრეტული მოთხოვნისა, ირანში, პაკისტანში, სუდანში, საუდის არაბეთსა და იემენში, რომელთაგან ყველამ მოახდინა კონვენციის რატიფიცირება, კვლავაც გრძელდება არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა.⁷⁷

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების ჰარმონიული განვითარების უფლების ხორცშესხმის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით იმ ბავშვებისა, ვინც თავისუფლება აღკვეთილია, მნიშვნელოვან გამოწვევებს შეიცავს. ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში “განვითარება” ყოვლისმომცველი ცნებაა: საქმე ეხება ბავშვების უზრუნველყოფას ოპტიმალური პირობებით, რაც მათ საშუალებას მისცემს, ბავშვობის პერიოდში ისარგებლონ ყველა შესაბამისი უფლებით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ან სრულწლოვანთა სისხლის სამართლის სისტემის მიერ დაკავებული ბავშვები ხშირად არ არიან უზრუნველყოფილნი ოპტიმალური პირობებით და შეიძლება მოთავსებულნი იყვნენ დანესებულებებში ცუდი საცხოვრებელი პირობებით, განათლების და პროფესიული მომზადების მცირე შესაძლებლობით და, რა თქმა უნდა, ისინი დაშორებულნი არიან ოჯახებისაგან, თანაც ხშირ შემთხვევაში ოჯახთან შეზღუდული კავშირის შესაძლებლობა აქვთ. ასეთ ბავშვებს უჭირთ

⁷⁶ იხ., აგრეთვე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მუხლი 6(5) პეკინის წესების წესი 17.2

⁷⁷ “პიუმან რაითს უოჩის” “ბოლო შეწინააღმდეგება: ირანში, საუდის არაბეთში, სუდანში, პაკისტანსა და იემენში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯის შეწყვეტა”, 2008 წლის, სექტემბერი.

განათლების მიღება, განთავისუფლების შემდეგ საცხოვრებლის ან სამსახურის პოვნა, ისინი ასევე განიცდიან სირთულეს ოჯახსა და საზოგადოებაში რეინტეგრაციისას.

საილუსტრაციო მასალა 10: განვითარების უფლების უზრუნველყოფა

ფილიპინების კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ (2005) გარკვევით აცხადებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ უნდა უზრუნველყოს “ბავშვის შესაბამისი საქმის წარმოება, პრევენციის, განრიდების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებისა და სერვისების, ასევე შემდგომი ზრუნვის ჩათვლით, მათი ნორმალური ზრდისა და განვითარების მიღწევის მიზნით”.

წყარო: რესპუბლიკური კანონი (აქტი) N9344, 2005, ნან. 4.

თუმცა ხშირად კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს განვითარების უფლებას, თავისთავად არ არის საკმარისი: იგი უნდა მოიცავდეს იმას, თუ რა გზით უნდა მოხდეს დაწესებულებების მუშაობა და მონიტორინგი, რადგან სწორედ ეს არის ბავშვის განვითარებისა და გადარჩენის უფლების უზრუნველყოფის გასაღები. ჰავანის წესები შეიცავს მინიმალურ სტანდარტებს საპატიმრო დაწესებულებების უზრუნველყოფისა და მათში არსებული პირობების შესახებ (იხ. ნაწილი 9.3: პირობები და მოპყრობა თავისუფლების აღკვეთისას).

საილუსტრაციო მასალა 11: წინასწარი პატიმრობის ადგილების მართვა

ავსტრალია (კვინსლენდი), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი (კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ), 1992 წ., ნაწილი 263, დაკავების ადგილების მართვა:

(3) წინასწარი პატიმრობის თითოეულ ცენტრში აღმასრულებელი ხელმძღვანელი პასუხისმგებელია:

(ა) წინასწარი პატიმრობის ცენტრში მოთავსებული ბავშვების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით მომსახურების მიწოდებაზე; და (ბ) ცენტრში მყოფი დაკავებული ბავშვების სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო განვითარების ხელშეწყობაზე....

(4) მთავარმა აღმასრულებელმა უნდა ჩაატაროს წინასწარი დაკავების ცენტრის მუშაობის მონიტორინგი და შეამოწმოს წინასწარი პატიმრობის თითოეული ცენტრი სულ მცირე სამ თვეში ერთხელ.

წყარო: კვინსლენდი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი (კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ) 1992წ, ხელახალი გამოცემა № 9, ხელახლა გამოცემული 15 მარტი 2008.

2.4. ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად. ამ ზოგადი უფლების გარდა, როდესაც ბავშვის მიმართ მიმდინარეობს ადმინისტრაციული თუ სასამართლო საქმისწარმოება, მას უფლება აქვს, მოუსმინონ საქმის განხილვისას როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის საპროცესო ნორმებით გათვალისწინებული წესით.⁷⁸

⁷⁸ იხ., აგრეთვე, პეკინის წესები, წესი 14 (2)

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12⁷⁹ განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ბავშვის უფლებას, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე და იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების ხმები უფრო და უფრო მნიშვნელოვან ძალას იძენს შესაბამისი ასპექტების გაუმჯობესების, რეფორმების და ბავშვთა უფლებების განხორციელების საკითხში.⁸⁰

საილუსტრაციო მასალა 12: ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი

ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N12 მიიჩნევს, რომ ბავშვის უფლების - იყოს მოსმენილი რეალიზაცია ხუთი ნაბიჯის გადადგმას საჭიროებს. აღნიშნული ეტაპები სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკუთარ კანონმდებლობაში და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალის ქცევის კოდექსებში.

მომზადება: ბავშვის საქმის განხილვაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის ინფორმირება საკუთარი აზრის გამოთქმის უფლების შესახებ, ასევე მის მიერ გამოხატული შეხედულებების მოსალოდნელი გავლენის შესახებ განხილვის შედეგებზე. ბავშვმა ასევე უნდა მიიღოს ინფორმაცია უშუალოდ ან წარმომადგენლის მეშვეობით არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაზე და მას უნდა ჰქონდეს წარმოდგენა ასეთი არჩევანის შედეგებზე. გადანყვეტილების მიმდებარე ადეკვატურად უნდა მოამზადოს ბავშვი განხილვისათვის და მისცეს განმარტებები იმაზე, თუ როგორ, როდის და სად ჩატარდება განხილვა, ვინ მიიღებს მასში მონაწილეობას, და უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ხედვა ამასთან დაკავშირებით.

განხილვა: გარემო, რომელშიც ბავშვი განახორციელებს თავის უფლებას, იყოს მოსმენილი, უნდა იყოს ხელსაყრელი და ნამახალისებელი, რათა ბავშვი დარწმუნდეს, რომ განხილვის ჩატარებაზე პასუხისმგებელ უფროსს სურს მისი მოსმენა და სერიოზულად განიხილავს იმას, რაც ბავშვს სურს გამოთქვას.

ბავშვის უნარის შეფასება: თუ ბავშვს აქვს უნარი, საკუთარი თვალსაზრისი გონივრულად და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს, გადანყვეტილების მიმდებარე მისი შეხედულებები უნდა განიხილოს როგორც საკითხის გადანყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ინფორმაცია ბავშვის შეხედულებებისთვის მინიჭებული მნიშვნელობის შესახებ: გადანყვეტილების მიმდებარე ბავშვს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია პროცესის შედეგის შესახებ და განუმარტოს, თუ როგორ იქნა მისი შეხედულებები გათვალისწინებული. ამ ინფორმაციამ ბავშვს შეიძლება უკარნახოს საჩივრის შეტანა.

საჩივარი, გამოსწორების საშუალებები და კომპენსაცია: კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებას, რომ შეიტანონ საჩივარი შესაბამისი პროცედურებისა და საშუალებების გამოყენებით, თუკი მოხდა მათი მოსმენისა და მათი აზრისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების უფლების უგულებელყოფა და დარღვევა.

მე-40 მუხლი ასევე ასახავს მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის მიხედვითაც ბავშვის უფლების, იყოს მოსმენილი შემადგენელი ნაწილია უფლება, გადანყვიტო თუ როდის გამოთქვა აზრი და რა თქვა. ბავშვებს აქვთ საქმის წარმოებაში აქტიური მონაწილეობის უფლება, თუმცა “არ უნდა მოხდეს მათი იძულება, მისცენ ჩვენება ან აღიარონ დანაშაული.” მათ აქვთ უფლება, არ ისარგებლონ აზრის გამოთქმის უფლებით.⁸¹ აღნიშნული გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლშიც, რომელიც იცავს აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

⁷⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N12 (2009), ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი, გაეროს დოკ. CRC/C/GC/12.

⁸⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 12. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი განხილვის დღე ბავშვის უფლებაზე, იყოს მოსმენილი, ორმოცდამესამე სესია, 2006 წლის 11-29 სექტემბერი, პუნქტები 39-55

⁸¹ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N12 (2009), პუნქტი 16

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის უფლება, იყოს მოსმენილი ნათლად იყოს ასახული კანონმდებლობაში. მართლაც, ბავშვის უფლებათა კომიტეტი სთხოვს სახელმწიფოებს, კანონმდებლობაში არა მხოლოდ შეიტანონ ბავშვის უფლება, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრებები და ჩართონ დებულებები ბავშვის მოსაზრებებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების უზრუნველსაყოფად,⁸² არამედ “მიუთითონ ის შესაძლებლობები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბავშვის მოსამენად იმ სასამართლო და ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას, რომელიც მას ეხება, და ასევე ის შემთხვევები, როდესაც ბავშვს შეუძლია ჩაერთოს უშუალოდ, წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით”.⁸³

საილუსტრაციო მასალა 13: ბავშვის უფლების - იყოს მოსმენილი უზრუნველყოფა

ვენესუელის კანონი ბავშვებისა და მოზარდების დაცვის შესახებ (1998) აცხადებს:

“ამ უფლების (იყოს მოსმენილი) პერსონალური და პირდაპირი განხორციელება გარანტირებულია ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, გარდა იმ შეზღუდვებისა, რომლებიც მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს, მეტადრე ნებისმიერ ისეთ ადმინისტრაციულ ან სასამართლო წარმოებაში, რომლის გადანყვეტილებაც გავლენას მოახდენს მათ უფლებებზე, გარანტიებსა და ინტერესებზე.”

იმ შემთხვევაში, თუ აზრის პირადად გამოთქმის უფლება არ შეესაბამება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს, აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს მშობლების, მეურვეების ან სხვა იმ პირების მეშვეობით, რომლებსაც მათი პროფესიიდან ან ნდობაზე დამყარებული განსაკუთრებული ურთიერთობებიდან გამომდინარე შეუძლიათ ბავშვის მოსაზრებების ობიექტურად გადმოცემა. კანონი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებს აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებების გამოხატვის მიზნით ისარგებლონ მათ მიერ არჩეული პირების მხარდაჭერით. ბავშვებს ასევე აქვთ უფლება, არ გამოხატონ თავიანთი შეხედულებები, განსაკუთრებით სასამართლო და ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში.

წყარო: Ley Organica para la Protección de Niños y Adolescentes, 1998/მუხლები 80, 80(2), 80(3), 80(4)

საკმარისი არ არის, სახელმწიფომ უბრალოდ გაითვალისწინოს კანონმდებლობაში, რომ ბავშვს აქვს უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში. სახელმწიფომ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვებს თავიანთი შეხედულებების გამოხატვა “თავისუფლად” შეეძლოთ იმ სიტუაციებში, რომელიც მათზე გავლენას ახდენს. ეს ნიშნავს, რომ ბავშვებს უნდა შეეძლოთ, გამოხატონ საკუთარი თავი ყოველგვარი ძალადობის, ზეწოლის, ზემოქმედების ან თავშეკავების გარეშე. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა, როგორც მთლიანობა, შეიძლება ძალიან დამაშინებელი იყოს და პოლიციის თანამშრომლები, პროკურორები და მოსამართლეები მომზადებული უნდა იყვნენ ბავშვებთან ისეთი ურთიერთობისთვის, რომ საშუალება მისცენ მათ, გამოხატონ საკუთარი თავი.

ბავშვებს ესაჭიროებათ დახმარება, რათა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში განხორციელონ თავიანთი უფლება, იყვნენ მოსმენილი. ბავშვის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს უფლებას დაცვის მომზადებისა და წარმოდგენისათვის იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფის შესახებ. რთული წარმოსადგენია, რომ შესაძლებელია, მოუსმინონ ბავშვს მშობლის და/ან კანონიერი წარმომადგენლის გარეშე. ხშირად ბავშვის კომუნიკაციის უნარი შეზღუდულია, როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. მაგალითად, ხშირად სასამართლოში ბავშვი დაშორებულია იურისტის ან მშობლისაგან და ფიზიკურად არ შეუძლია კომუნიკაცია სასამართლო განხილვის მსვლელობისას. უფრო მეტიც,

⁸² ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 44.

⁸³ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის (1996) 44-ე მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე წარსადგენი პერიოდული მოხსენებების ფორმასა და შინაარსზე, გაეროს დოკ. CRC/C/58, მიღებული ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 343-ე შეხვედრაზე (მე -13 სესია), პუნქტები 42-44.

თუ ბავშვი ვერ ლაპარაკობს იურისტისათვის (ადვოკატისათვის) გასაგებ ენაზე, ეს კიდევ ერთი აშკარა ბარიერი იქნება კომუნიკაციის პროცესში. ზოგადად, სასამართლოში გამოყენებული ენა რთულია და ძნელი გასაგებია რიგითი მოქალაქეებისთვის, მათ შორის ბავშვებისთვის. ამას თუ დაემატა ისიც, რომ ადვოკატი არ არის მომზადებული არასრულწლოვანთა სამართალში, ან ზედმეტად ახლოს იცნობს სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლებს და არ არის ბავშვის მიმართ მეგობრულად განწყობილი, შეიძლება ეს ფსიქოლოგიური შეზღუდვა აღმოჩნდეს აზრის თავისუფლად გამოხატვისათვის. ყველა ამ შემთხვევაში პოტენციურად შესაძლებელია დაირღვეს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები.

ბავშვის უფლება - გამოხატოს თავისი მოსაზრებები ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ბავშვი სასამართლოს წინაშე წარდგება სისხლის სამართლის დანაშაულის ბრალდებით ან თუ მას ასამართლებენ ასეთი დანაშაულის ჩადენის გამო. ითვლება, რომ ბავშვის უნარი, გამოხატოს საკუთარი აზრი არის სინონიმი ბავშვის უნარისა, დაიცვას საკუთარი თავი. თუკი ბავშვი ძალიან პატარაა იმისათვის, რომ ჩანვდეს საქმის სასამართლო განხილვის არსს ან მითითება მისცეს ადვოკატს და განიხილოს საკუთარი დაცვის საქმე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, სასამართლო პროცესი ვერ იქნება “სამართლიანი” სასამართლო პროცესი (იხ. ნაწილი 7).

ბავშვის ნამდვილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ პროფესიონალებმა ყოველივე იღონონ იმ ბავშვების გასაგებად, რომელთაც ექმნებათ დამატებითი ბარიერები საქმის განხილვაში მონაწილეობის თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და იმ ბავშვების ჩათვლით, რომლებიც უცხო ენებზე ლაპარაკობენ. ზემოთ განხილული დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის შესაბამისად, ამ ბავშვებს ესაჭიროებათ დახმარება, რათა მათ სხვა ბავშვების მსგავსად შეეძლოთ მონაწილეობა.

კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც შეეხება ბავშვის უფლებას, იყოს მოსმენილი როგორც სასამართლო პროცესამდე, ასევე მისი მიმდინარეობისას (დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. მე-3 და მე-7 ნაწილები).

ნაწილი 2: ბავშვის უფლებათა კონვენციის ზოგადი პრინციპები: შემავალი ასპექტები

- კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპი ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ყველა ასპექტს და მასში მიმდინარე ყველა პროცესს.
- კანონმდებლობაში განცხადებული უნდა იყოს, რომ თითოეულ ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას გადაწყვეტილების მიმღებმა ყველა პირმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.
- თუკი სახელმწიფოში არსებობს დისკრიმინაცია, შესაძლებელია, საჭირო გახდეს კანონმდებლობაში სპეციალური ზომების გათვალისწინება მისი აღმოფხვრის მიზნით. კანონმდებლობამ გარკვევით უნდა დაავალდებულოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ყველა სპეციალისტი, არ დაუშვან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დისკრიმინაცია და მისი პრევენციისათვის მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა. მაგალითად, არც ერთი ბავშვი არ უნდა აღმოჩნდეს არახელსაყრელ პირობებში ჯარიმის გადახდის ფინანსური საშუალების უქონლობის გამო.
- კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს 18 წლამდე პირის მიერ ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯისა და სამუდამო პატიმრობის, რომელიც არ ითვალისწინებს გათავისუფლების საშუალებას, გამოყენება.
- კანონმდებლობით გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვების განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის ამ ბავშვებისთვის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებისა და მომსახურების უზრუნველყოფა. კანონმდებლობაში უნდა იყოს დებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვის განვითარების უფლების აღიარებას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ბავშვს თავისუფლება აქვს აღკვეთილი.
- არასრულწლოვანთა დაკავების დაწესებულებების რეჟიმისა და მართვის შესახებ არსებული წესები და რეგულაციები დაწესებულებას უნდა აკისრებდეს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ბავშვის ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, ასევე მის განვითარებას სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო თვალსაზრისით.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვს ჰქონდეს უფლება, იყოს მოსმენილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე (საქმის მომზადებისას, განხილვისას, ბავშვის უნარების შეფასებისას და გასაჩივრების პროცედურების მიმდინარეობისას).
- კანონმდებლობამ სასამართლოს უნდა დააკისროს ბავშვის მოსაზრებებისათვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭების ვალდებულება, ბავშვის ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.
- კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს სპეციალურ ზომებს, რათა ყველა ბავშვს მიეცეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა.
- კანონქვემდებარე აქტები უნდა მოითხოვდეს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ყველა სპეციალისტმა გაიაროს ტრენინგი ბავშვებთან იმგვარი ურთიერთობის დამყარების ხერხებზე, რომლებიც საშუალებას მისცემს ბავშვს, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი.
- პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპები ან ქცევის კოდექსები უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ სასამართლო გარემო იყოს “ბავშვის მიმართ მეგობრული” და საშუალებას აძლევდეს ბავშვებს, მონაწილეობა მიიღონ საქმის წარმოებაში.

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგადი პრინციპები

3.1. ინტერვენციის (ჩარევების) მიზანი

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს, რომ ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად, მოეპყრობიან ბავშვის რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობის გათვალისწინებით. ეს მუხლი ანალოგიურია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-4 პუნქტისა, რომელიც სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, გაითვალისწინონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების რეაბილიტაციის ხელშეწყობის სასურველობა.

მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა შეიცავდეს ისეთ თავებს ან მუხლებს, რომლებშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული, რომ დამნაშავედ ცნობილ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია.

აღნიშნულ პრინციპს ავსებს ქვემოთ ჩამოთვლილი დამატებითი პრინციპები, რომლებსაც ასევე შეაქვს წვლილი საზოგადოებაში ბავშვის რეინტეგრაციის ხელშეწყობის საკითხში. ეს პრინციპებია: ბავშვის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის პატივისცემა; წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა; სასამართლო საქმის წარმოებიდან განრიდება და თავისუფლების აღკვეთის უკანასკნელი ზომის სახით და ისიც რაც შეიძლება მცირე პერიოდით გამოყენება.

3.2. ბავშვის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობა

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი აყალიბებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ზოგად პრინციპებს და მისი მოთხოვნის შესაბამისად: “მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას”.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა N10 ზოგადად კომენტარში ყურადღება გაამახვილა “ფუნდამენტურ პრინციპებზე” კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით. ეს პრინციპებია:

- “ბავშვის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის შესაბამისი მოპყრობა. აღნიშნული პრინციპი ასახავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლით... ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის ეს თანდაყოლილი უფლება ... მხედველობაში უნდა იყოს მიღებული და დაცული მთელი პროცესის განმავლობაში: სამართალდამცავ სტრუქტურებთან ბავშვის პირველი შეხებიდან ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ზომების განხორციელების ჩათვლით”;
- მოპყრობა, რომელიც გაუმყარებს ბავშვს სხვა ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემას.⁸⁴ ეს ... ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში ბავშვის მიმართ მოპყრობა და მისი განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის გრძნობის გაღვივებისკენ ... [და] მოითხოვდეს, [რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ გამოხატოს] სრული

⁸⁴ იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის 29-ე მუხლის (1) პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი და ზოგადად ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N1 (2001), განათლებს მიზნები, გაეროს დოკ. CRC/GC/2001/1.

პატივისცემა და დაიცვას კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს გარანტიები;⁸⁵

- მოპყრობა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს, ხელს უწყობდეს ბავშვის რეინტეგრაციასა და ბავშვის მიერ საზოგადოებაში კონსტრუქციული როლის შესრულებას. ეს პრინციპი უნდა იქნეს გამოყენებული, დაცული და გათვალისწინებული სამართალდამცავ ორგანოებთან ბავშვის პირველი კონტაქტის მომენტიდან ბავშვთან დაკავშირებული ყველა ზომის განხორციელების მთელი პროცესის მანძილზე. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში ჩართულმა ყველა სპეციალისტმა იცოდეს ბავშვის განვითარების, დინამიკური და განგრძობადი ზრდის ასპექტები, იცოდეს, ასევე, თუ რა არის სასარგებლო ბავშვის კეთილდღეობისთვის, და ინფორმირებული იყოს ბავშვების მიმართ ძალადობის გავრცელებულ ფორმებზე;
- ბავშვის ღირსების პატივისცემა მოითხოვს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ ყველა ფორმის ძალადობა აიკრძალოს და მოხდეს მისი პრევენცია.⁸⁶

ერთ-ერთი საუკეთესო გზა ბავშვთა ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის პატივისცემის უზრუნველსაყოფად არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში მომუშავე მთელი პერსონალის განგრძობითი ტრენინგები. პეკინის წესების წესი 12.1 ითვალისწინებს, რომ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც ხშირად ან მხოლოდ არასრულწლოვან პირებთან მუშაობენ, ან რომლებსაც, ძირითადად, უნევთ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია, საგანგებოდ უნდა უტარდებოდეთ ინსტრუქტაჟი და ტრენინგი. ეს მოთხოვნა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობაში. რადგანაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტის პირველი წერტილი პოლიციაა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თავიანთი მოვალეობების შესრულებისას პოლიციელებს ჰქონდეთ ინფორმაცია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით და ისინი სათანადოდ მოქმედებდნენ. ზოგიერთ სახელმწიფოში პოლიციის ბავშვებთან მომუშავე ნაწილები განიხილება როგორც დაბალი სტატუსის მქონე და ნაკლებად ანაზღაურებადი პოზიციები, რაც განაპირობებს ოფიცრების დაბალ მოტივაციას. აუცილებელია, რომ სახელმწიფოებმა ყურადღება მიაქციონ ამ პრობლემას და აღიარონ პოლიციის ისეთი თანამშრომლების მნიშვნელობა, რომელთა სპეციალიზაცია ბავშვებთან მუშაობაა. მიუხედავად იმისა, რომ პეკინის წესების წესი 12.1 ძირითად აქცენტს პოლიციელებზე აკეთებს, უნდა ჩატარდეს ყველა იმ სპეციალისტის ტრენინგი, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობენ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის პატივისცემა.

3.3. წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი უზრუნველყოფს, რომ: “არც ერთი ბავშვი არ დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.”⁸⁷ ეს დებულება ეხმიანება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს, ამერიკის კონვენციის მე-5 მუხლს, ბანჯულის ქარტიის მე-5 მუხლს, ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ აფრიკის ქარტიის მე-16 მუხლს და არაბული ქარტიის მე-13 მუხლს. ამ მიმართულებით მკაფიო აკრძალვა უნდა შევიდეს ყველა სახელმწიფოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობაში.

⁸⁵ იხ. ნაწილი 7.

⁸⁶ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 13. კომიტეტმა მოუწოდა სახელმწიფოებს, მიიღონ ქმედითი ზომები, რათა თავიდან აიცილონ ძალადობა და უზრუნველყონ, რომ მისი ჩამდენი პირები წარდგინდნენ მართლმსაჯულების წინაშე, და შეასრულონ ბავშვთა მიმართ ძალადობაზე გაეროს კვლევის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში (წარედგინა გენერალურ ასამბლეას 2006 წლის აგვისტოში) მოცემული რეკომენდაციები (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, ბავშვთა უფლებები: გენერალური მდივნის შენიშვნა (2006), გაეროს Doc. A/61/299).

⁸⁷ იხ. ასევე გაეროს კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 10 დეკემბერი, 1984წ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხელშეკრულების ნაკრები, ტ. 1465, გვ. 85, მიღებული და ღია ხელმოწერისთვის, რატიფიცირებისა და მიერთებისათვის გენერალური ასამბლეის 1984 წლის 10 დეკემბრის #39/46 რეზოლუციით, ძალაში შესულია 1987 წლის 26 ივნისს. შემდგომში “წამების საწინააღმდეგო კონვენცია”.

უფლება, არ გახდეს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის მსხვერპლი, რომელიც განსაზღვრულია როგორც ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (დ) პუნქტში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განიმარტება როგორც აბსოლუტური, შეუქცევადი უფლება, რომელიც გამოიყენება მიუხედავად პირის მოქმედების, გარემოებების და დანაშაულის ხასიათისა.⁸⁸ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა დანაშაულიც არ უნდა ჩაედინა ბავშვს, თუნდაც ძალიან გასაკიცხი, ეს ვერ გაამართლებს წამებისა და არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის და სასჯელის გამოყენებას. სიკვდილით დასჯის გამოყენება განიხილება როგორც "სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის" იდენტური ცნება და აკრძალულია ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ა) პუნქტით. სიკვდილით დასჯის შეფარდება წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლების ხელყოფას. და ეს აკრძალვაც უნდა იყოს გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობებით.

3.3.1. რა ქმედებები შეადგენს წამებას?

წამების საწინააღმდეგო კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, "წამება" ნიშნავს: "ნებისმიერ მოქმედებას, რომლითაც რომელიმე პირს განზრახ აყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს თუ ფსიქიკურს, რათა მისგან ან მესამე პირისაგან მიიღონ ცნობები ან აღიარება, დასაჯონ ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა ან რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია, აგრეთვე დააშინონ ან აიძულონ იგი ან მესამე პირი, ან ნებისმიერი მიზეზით, რომელსაც საფუძვლად უდევს ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაცია, როცა ასეთ ტკივილსა და ტანჯვას აყენებს სახელმწიფო მოხელე ან სხვა თანამდებობის პირი, ან როდესაც ეს ხდება მათი ნაქმედებით, ნებართვით და მდუმარე თანხმობით. ამ განსაზღვრებაში არ იგულისხმება ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც გამოწვეულია მხოლოდ კანონიერი სანქციებით, ამ სანქციათა განუყოფელი ნაწილია ან შემთხვევით არის მათ მიერ გამოწვეული."⁸⁹

ეს მუხლი თანაბრად ეხება ბავშვებსაც და ზრდასრულ ადამიანებსაც.

განსხვავება წამებასა და აკრძალული მოპყრობის ან დასჯის სხვა ფორმებს შორის, ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად, მოიცავს ხარისხისა და ინტენსივობის კრიტერიუმებს. იმის გადამწყვეტისას, წარმოადგენს თუ არა კონკრეტული ქმედება ან ქმედებათა რიგი წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ დასჯას თუ მოპყრობას, სასამართლო განიხილავს და გაითვალისწინებს მსხვერპლის ინდივიდუალურ გარემოებებს, მათ შორის იმ ფაქტსაც, რომ დაზარალებული ბავშვია. არსებობს მოსაზრება, რომ მოპყრობა, რომელიც სრულწლოვანთა შემთხვევაში წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას, მაგალითად, სამართლო საკანში ხანგრძლივი ვადით მოთავსება, ბავშვისათვის შეიძლება საშინელი განსაცდელი აღმოჩნდეს და წამებას უტოლდებოდეს.⁹⁰

3.3.2 რა ქმედებები შეადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას?

არ არსებობს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი "მოპყრობის" ან "დასჯის" ზუსტი განსაზღვრება. თუმცა, წამებისაგან განსხვავებით, მოპყრობას ან დასჯას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მარტო მიზანმიმართული მოქმედების შედეგად, არამედ უმოქმედობითაც. ბავშვის უფლებათა კომიტეტს ბევრი არ უმსჯელია ამ ტერმინებთან დაკავშირებით, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს "არაადამიანურ" და "ღირსების შემლახავ" მოპყრობას.

⁸⁸ იხ. "დ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ", № 30240/96, [1997] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 25; (1978) 24 EHRR 423, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 6 მაისი, 1997წ.

⁸⁹ მუხლი პირველი, წამების საწინააღმდეგო კონვენცია.

⁹⁰ მანი, ნ. "მოსხენება ბავშვების შესახებ: წამება და ძალადუფლება", წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT) და ორგანიზაცია Save the Children (გადავარჩინოთ ბავშვები), 2000, გვ. 14.

“არაადამიანური” მოპყრობა ან დასჯა წარმოადგენს განზრახ ქმედებას, რომელიც გრძელდება გარკვეული დროის განმავლობაში და იწვევს ან სხეულის დაზიანებას, ან ძლიერ ფიზიკურ თუ ფსიქიკურ ტანჯვას⁹¹. იმის დასადგენად, ჰქონდა თუ არა ადგილი “ღირსების შემლახავ” მოპყრობას ან დასჯას, სასამართლო განიხილავს, თუ არსებობდა შესაბამისი პირის დამცირებისა და შეურაცხყოფის მიზანი და შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების მწვავე შეგრძნების გაჩენის განზრახვა.⁹²

საილუსტრაციო მასალა 14: პრეცედენტული სამართალი სასჯელის ფორმების შესახებ

საქმეში “კუტრის ფრანსის დოებლერი სუდანის წინააღმდეგ” განმცხადებელი იყო სტუდენტთა ჯგუფი, რომელთაც ბრალად ედებოდათ “საზოგადოებრივი წესრიგის” დარღვევა სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად, რადგანაც ისინი არ იყვნენ სათანადოდ ჩაცმული და მოქმედებდნენ “ამორალურად”. ზოგიერთი სტუდენტის სასჯელი იყო გაროზგვა. ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკულმა კომისიამ დაასკვნა, რომ სასჯელის ეს ფორმა არღვევდა აფრიკის ქარტიის მე-5 მუხლს, რომელიც კრძალავს სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ დასჯას და რომელშიც აღნიშნულია, რომ “არავის და მით უმეტეს სახელმწიფოს მთავრობას არ აქვს არავითარი უფლება, დანაშაულის ჩადენისათვის გამოიყენოს ფიზიკური ძალადობა ფიზიკური პირების მიმართ. ასეთი უფლება, ქარტიის მიხედვით, ტოლფასი იქნებოდა სანქციების შეფარდებისას სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი წამებისა და ადამიანის უფლებების ამ ხელშეკრულების ძირითად არსის დარღვევა იქნებოდა.”

ნამიბიის უზენაესი სასამართლო ნამიბიის იუსტიციის მინისტრის განცხადებით აღძრულ საქმეზე სახელმწიფო ორგანოების მიერ ფიზიკური დასჯის გამოყენების შესახებ, ასკვნის, რომ სასამართლო სასჯელი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ დასჯას, არღვევს კონსტიტუციის აკრძალვას წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის შესახებ. იმის დადგენისას, რომ ფიზიკური დასჯა შედის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განმარტებაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა “ნამიბიის ხალხის ზოგადად აღიარებულ ნორმებზე, მიდგომებზე, ზნეობრივ ნორმებზე, მისწრაფებებზე, რიგ სხვა დადგენილ შეხედულებებზე”.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე “ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” დაადგინა, რომ ბავშვზე დაკისრებული სასჯელი - იცემოს დუნდულებზე ხელჯოხით პოლიციის თანამშრომლის მიერ წარმოადგენდა ღირსების შემლახველ სასჯელს.

ფიჯის უმაღლესმა სასამართლომ დაიმონმა ნამიბიისა და “ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” საქმეები საქმეზე “ნაუშად ალი სახელმწიფოს წინააღმდეგ”, როდესაც განიხილავდა ფიზიკური დასჯის კონსტიტუციურობას. სასამართლომ აღნიშნა, რომ “კონსტიტუციის ინტერპრეტაცია უნდა ასახავდეს საზოგადოებაში განხორციელებულ ცვლილებებს” და რომ “სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ პირების დასჯა და მათ მიმართ მოპყრობის ის ფორმები, რომლებიც შეიძლება გაემართლებინათ წარსულში, შეიძლება შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს დღევანდელ დღეს” და დასძინა, რომ არსებობდა კონსტიტუციის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინტერპრეტაციის ვალდებულება. სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები ფიზიკური დასჯის შესახებ არღვევს კონსტიტუციას.

⁹¹ “ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, 5310/71, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1977 წლის 13 დეკემბერი.
⁹² იქვე.

უფრო ზოგადად, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ საქმეზე “ვილაგრან მორალესი და სხვები გვატემალის წინააღმდეგ” განაცხადა, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოება, მსხვერპლის ასაკის ჩათვლით, რათა გადაწყდეს, ჰქონდა თუ არა წამებას ადგილი და დადგინდეს მისი ფარგლები.

წყაროები: “კუტრის ფრანსის დოებლერი სუდანის წინააღმდეგ”, ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული კომისია, კომუნიკე N. 236/2000, 2003 წლის 29 მაისი, პუნქტი 42; ნამიბიის იუსტიციის მინისტრის განცხადებით აღძრული საქმე: სახელმწიფო ორგანოების მიერ ფიზიკური დასჯის გამოყენების შესახებ, 1991 (3) SA 76 ნამიბიის უზენაესი სასამართლო, 1991 წლის 5 აპრილი, გვ. 1,2,20; “ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” 5856/72, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1978 წლის 15 მარტი, პუნქტები 28-35; “ნაუშად ალი სახელმწიფოს წინააღმდეგ”, სისხლის სამართლის აპელაციის N. HAA 0083 /2001, ფიჯის უზენაესი სასამართლო, 2002 წლის 21 მარტი; ამ შემთხვევაში მოსარჩელე იყო მამაკაცი, რომელმაც აღიარა “ბუნების კანონების დარღვევით სექსუალური კავშირის დამყარება”, რისთვისაც მიესაჯა დაპატიმრება და ფიზიკური სასჯელი - ექვსი დარტყმა, გვ.9, 22; “ვილაგრან მორალესი და სხვები გვატემალის წინააღმდეგ”, ადამიანის უფლებათა ამერიკული სასამართლო; (IACtHR), 1999 წლის 19 თებერვალი, პუნქტი 74.

ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებები გარკვევით არ აცხადებენ, რომ ფიზიკური დასჯა შეადგენს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს და ფიზიკური დასჯა არც კონვენციის მოსამზადებელ მასალებშია (Travaux préparatoires) ნახსენები. თუმცა ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ფიზიკური დასჯა აშკარად ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებას, პატივი სცენ მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობას და ფიზიკურ დასჯას მიაკუთვნებს სასტიკ და ღირსების შემლახავ მოპყრობას და დასჯას.⁹³ კომიტეტი მუდმივად მოუწოდებდა სახელმწიფოებს მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში ფიზიკური დასჯის ყველა ფორმის აკრძალვისაკენ. ეს განსაკუთრებით ეხება სასამართლო სანქციებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ფიზიკური დასჯის გამოყენების მკაფიო და აბსოლუტურ აკრძალვას.

ადამიანის მიმართ მოპყრობა ჩაითვლება არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად, თუ მისი სიმძიმე შეესაბამება “სისასტიკის მინიმალურ დონეს”. ამ მინიმუმის შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა ისეთ გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური გავლენა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ასაკი და ბავშვის ჯანმრთელობა. ისევე, როგორც წამება, მოქმედება, რომელიც შეიძლება არ შეადგენდეს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ზრდასრული ადამიანისთვის, შეიძლება აღწევდეს ამ ზღვარს ბავშვებთან მიმართებაში. ასეთ მოქმედებად შეიძლება განვიხილოთ გარკვეული დროის განმავლობაში ოჯახთან კონტაქტზე უარის თქმა.

იმის დადგენისას, გადალახული იყო თუ არა სისასტიკის მინიმალური ზღვარი, სასამართლომ უნდა განიხილოს ყველა შესაბამისი ფაქტორი. სავარაუდოდ, პოლიციელების, საპატიმრო დაწესებულებათა მცველების ან სხვა ოფიციალური პირების მიერ ცემა ან ტკივილის გამომწვევი მეთოდების გამოყენება ბავშვების შემთხვევაში შეადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას.⁹⁴

ბავშვების მიმართ მოპყრობის აკრძალული ფორმები, რომლებიც შეიძლება მიჩნეული იქნეს წამებად, სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობად ან დასჯად, გარკვევით უნდა იყოს მოცემული კანონმდებლობაში. ასეთ ფორმებს უნდა მიეკუთვნოს ბავშვის მოთავსება სამართლო საკანში, ტკივილის გამომწვევი მეთოდების გამოყენება ბავშვის შესაკავებლად, ფიზიკური დასჯა, საკვების ან ოჯახთან კონტაქტის საშუალების არ მიცემა.⁹⁵

⁹³ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 8 (2006): ბავშვების უფლება, იყვნენ დაცულნი ფიზიკური სასჯელის, სხვა სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი სასჯელის ფორმების გამოყენებისაგან (მუხ. 19; 28, პუნქტი 2; და 37, inter alia) (2007), გაეროს დოკ CRC/C/GC/8, პუნქტები 20, 21

⁹⁴ იხ., მაგალითად, “რ (ჩ) იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ” [2008] EWCA (ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლო) Civ 882, დიდი ბრიტანეთი: სააპელაციო სასამართლო (ინგლისი და უელსი) სამოქალაქო საქმეების განყოფილება, 2008 წლის 28 ივლისი.

⁹⁵ ჰავანის წესების 67-ე წესი, იხ., აგრეთვე, ნაწილი სანქციონირების შესახებ.

3.4. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებთან ურთიერთობა სასამართლო განხილვის გამოუყენებლად

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნით, იმ ბავშვებთან ურთიერთობისას, რომლებმაც, როგორც თვლიან, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწონ სხვადასხვა ღონისძიების გამოყენებას სასამართლოში საქმის განხილვის გარეშე, სადაც ეს შესაძლებელი და სასურველია.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის აზრით, მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება - ხელი შეუწყონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შემთხვევაში სასამართლოში საქმის განხილვის გარეშე სხვა ღონისძიებების გამოყენებას, ვრცელდება (მაგრამ არ შემოიფარგლება) ბავშვებზე, რომლებმაც ჩაიდინეს მსუბუქი დანაშაულები, როგორცაა მაღაზიაში წვრილმანი ქურდობა, სხვა ქონებრივი დანაშაული, რომელსაც მოჰყვა მცირე ზარალი და ბავშვმა პირველად ჩაიდინა დანაშაული. ზემოაღნიშნულ ღონისძიებებში შედის სხვადასხვა სახის ოჯახური მხარდაჭერაც საზოგადოებრივ ბაზაზე, განრიდების და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებიც.⁹⁶ კომიტეტი აღნიშნავს, რომ მსგავსი მიდგომები დაგვეხმარება, თავიდან ავიცილოთ სტიგმატიზაცია და კარგ შედეგებს მოუტანს ბავშვებსა და საზოგადოებას. გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ ეს ფინანსური თვალსაზრისითაც უფრო ეფექტიანია.⁹⁷

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობამ პოლიციას, პროკურორებსა და მოსამართლეებს უნდა მისცეს საშუალება, მოახდინონ ბავშვების განრიდება პირველი კონტაქტის მომენტიდანვე და პირველ მოსმენამდე. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ამ პროცესში ბავშვთა უფლებებისა და სამართლებრივი დაცვის გარანტიების სრული გათვალისწინება და დაცვა.

განრიდება დანვრილებით იქნება განხილული ქვემოთ, მე-5 ნაწილში.

საილუსტრაციო მასალა 15: განრიდების მნიშვნელობა პრევენციისთვის

სერბეთში კანონი ცალსახად აღიარებს კავშირს განრიდებასა და პრევენციას შორის:

“განრიდების შესახებ განკარგულების გამოცემის მიზანია არასრულწლოვანის მიმართ სისხლის სამართალწარმოების წამოწყების თავიდან აცილება ან საქმის წარმოების შეჩერება და/ან განრიდების განკარგულების გამოცემით არასრულწლოვანის სათანადო განვითარებაზე გავლენის მოხდენა და მისი პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერება, რათა თავიდან ავიცილოთ მომავალში დანაშაულის განმეორებით ჩადენა.”

წყარო: კანონი არასრულწლოვან დამნაშავეთა და არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ, გამოქვეყნებული სერბეთის რესპუბლიკის ოფიციალური უწყებებში N 85/05, 2005 წ. მუხლი 6 (განრიდების შესახებ განკარგულების დანიშნულება).

3.5. პატიმრობა, როგორც უკიდურესი ზომა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტი ითვალისწინებს, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და ისიც დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, პეკინის წესების მე-17 წესი ითვალისწინებს, რომ დაკავება: “არ უნდა შეეფარდოს არასრულწლოვან პირს, თუ ის არ არის ცნობილი დამნაშავედ სერიოზული ქმედების ჩადენაში სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან სხვა სერიოზული

⁹⁶ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 25.

⁹⁷ იქვე.

სამართალდარღვევების არაერთჯერად ჩადენაში, ასევე თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა.“

ჰავანის წესების მე-2 წესი ამატებს, რომ “არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა [...] გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.” აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამდებობის პირებს აკისრიათ ვალდებულება, ბავშვებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ მხოლოდ გამონაკლისის სახით და მხოლოდ ზემოაღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში. თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ეს შეზღუდვები ნათლად უნდა იყოს დადგენილი კანონში. ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების საკითხში მოსამართლეებისა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლების დახმარებისათვის მთავრობამ უნდა დაგეგმოს, ჩამოაყალიბოს, განავითაროს და დააფინანსოს პატიმრობის ალტერნატიული ზომების გამოყენების საშუალებები სასჯელის შეფარდებამდე და მის შემდეგაც. მოსამართლეთა ქცევის კოდექსი ან პრაქტიკული სახელმძღვანელო უნდა მოითხოვდეს, რომ სერიოზულად იქნეს განხილული იმ არასაპატიმრო ალტერნატივის გამოყენება, რომელიც ლოკალურად ხელმისაწვდომია, წინასწარი პატიმრობის ან საპატიმრო სასჯელის შეფარდების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (ამ პრინციპზე დამატებითი დეტალები იხ. 8.2 ნაწილში).

ნაწილი 3: წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა: შემაჯამებელი ასპექტები

- კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ისეთ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების მიზანი, რომელმაც, როგორც თვლიან, ჩაიდინა დანაშაული, ბრალად ედება მისი ჩადენა ან აღიარებულია მის ჩამდენად, უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია.
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის სრულ აკრძალვას.
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში ფიზიკური დასჯის მკაფიო და აბსოლუტურ აკრძალვას.
- კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს და აკრძალოს ბავშვთან მოპყრობის ისეთი ფორმები, როგორიცაა სამართლო საკანში მოთავსება, ტკივილის გამომწვევი მეთოდების გამოყენება ბავშვის შესაკავებლად, საკვების მიწოდების და ოჯახთან კონტაქტის შესაძლებლობების აღკვეთა.
- კანონმდებლობამ პოლიციას, პროკურორებსა და მოსამართლეებს უნდა მიანიჭოს ადრეულ ეტაპზე და სასამართლო პროცესის დაწყებამდე იმ ბავშვების განრიდების უფლებამოსილება, რომლებიც აღიარებენ დანაშაულს, იმ პირობით, რომ ადამიანის უფლებები და სამართლებრივი დაცვის გარანტიები სრულად იქნება გათვალისწინებული და დაცული. განრიდების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს ბავშვის დაპატიმრებიდან საბოლოო განაჩენის გამოტანამდე.
- კანონმდებლობამ უნდა დაავალდებულოს ცენტრალური ან/და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, უზრუნველყონ განრიდების და თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ზომების სათანადო პროგრამების არსებობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიაზე.
- ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას კანონით უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, ითანამშრომლოს კონტრაქტის საფუძველზე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული საშუალებებისა და აღდგენითი პროგრამების სხვა პროვაიდერებთან.
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებას, რომელშიც განაცხადებს, რომ პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და დროის რაც შეიძლება შესაფერისი მცირე პერიოდით. უფრო მეტიც, იგი უნდა აცხადებდეს, რომ პირადი თავისუფლების აღკვეთა არ უნდა შეეფარდოს არასრულწლოვანს, გარდა ისეთი შემთხვევისა, თუ იგი მსჯავრდებულია ისეთი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, რომელიც გულისხმობს ძალადობას სხვა პირის წინააღმდეგ, ან თუ არასრულწლოვანი არის არაერთგზის დამნაშავე და არ არსებობს რეაგირების სხვა სათანადო საშუალება.

4. მინიმალური გარანტიები და უფლებები წინასასამართლო ეტაპზე

ამ ნაწილში მოცემულია ის მინიმალური გარანტიები და დაცვის მექანიზმები, რომლებითაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უზრუნველყოფს ბავშვს წინასასამართლო ეტაპზე. აღნიშნული ძირითადი გარანტიები და დაცვის მექანიზმები გვხვდება ბავშვის უფლებათა კონვენციაში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, ბანჯულის ქარტიაში, აფრიკულ ქარტიაში ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობას შესახებ, არაბულ ქარტიაში და ამერიკის კონვენციაში. ეს გარანტიები და დაცვის მექანიზმები მოქმედებს არასრულწლოვანზე დანაშაულის ჩადენაში ეჭვის მიტანის მომენტიდან.

ბავშვის უფლებათა კონვენციაში გათვალისწინებულ მინიმალურ გარანტიებს განამტკიცებს და უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პეკინის წესები, რომლებიც ადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე, ბავშვის დაკავების მომენტიდან, გამოსაყენებელი პრაქტიკის მინიმალურ სტანდარტებს.

4.1. უდანაშაულობის პრეზუმფცია

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (I) ნაწილი უზრუნველყოფს, რომ ყოველ ბავშვთან დაკავშირებით იარსებებს “უდანაშაულობის პრეზუმფცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად.” უდანაშაულობის პრეზუმფცია არის ადამიანის უფლებათა სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც გათვალისწინებულია როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში⁹⁸, ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტში.⁹⁹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი N10 ზოგად კომენტარში აღნიშნავს, რომ “უდანაშაულობის პრეზუმფცია არის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებათა დაცვის საფუძველი”.¹⁰⁰ ეს კი ნიშნავს, რომ ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენის მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურატურას.

საილუსტრაციო მასალა 16: უდანაშაულო დანაშაულის დამტკიცებამდე

კენია: “ყველა ადამიანი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უნდა ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დანაშაული არ დამტკიცდება ან იგი არ აღიარებს ჩადენილ დანაშაულს”.

კანადა: “ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უფლება აქვს, ითვლებოდეს უდანაშაულოდ მანამ, სანამ კანონის შესაბამისად არ დაუმტკიცდება დანაშაული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ ჩატარებული სამართლიანი და საჯარო განხილვით.”

ბრაზილია: “არავინ უნდა ჩაითვალოს დამნაშავედ ისეთი გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე, რომელიც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება”.

საფრანგეთი: “ყველა ეჭვიმიტანილი ან პირი, ვის მიმართაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა, ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი დანაშაული არ არის დადგენილი. მისი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არის აკრძალული, იქნება კომპენსირებული და ისჯება კანონით გათვალისწინებული გარემოებების შესაბამისად.”

წყაროები: კენიის კონსტიტუცია (გადამუშავებული გამოცემა 2001), მუხ. 77 (2); უფლებათა და თავისუფლებათა კანადის ქარტია, კანადის აქტის გრაფიკით ბ 1982 (დიდი ბრიტანეთი), გ. 11 ნაწ. 11 (დ); ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია 1988 წ. მუხ. 5; საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, შესავალი მუხლი

⁹⁸ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 11, პუნქტი (1)

⁹⁹ იხ., აგრეთვე, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მე-14 მუხლის მე-2 ნაწილი, და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი.

¹⁰⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 42.

“ექვი უნდა გადაწყდეს იმ ბავშვის სასარგებლოდ, რომელმაც, როგორც ითვლება, დაარღვია სისხლის სამართლის კანონი ან ბრალად ედება მისი დარღვევა, და იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში [იქნება დამნაშავედ ცნობილი], თუ ეს ბრალდებები დადასტურდა ყოველგვარი ეჭვის გარეშე. ბავშვს უფლება აქვს, მოექცნენ ამ პრეზუმფციის შესაბამისად და საჯარო ხელისუფლების ყველა წარმომადგენლის ან სხვა მონაწილე პირის ვალია, თავი შეიკავოს სასამართლო პროცესის შედეგთან დაკავშირებით წინასწარი დასკვნის გამოტანისაგან”.¹⁰¹

საქმეზე “რ. ოუქსის წინააღმდეგ” კანადის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ “უდანაშაულობის პრეზუმფცია უმნიშვნელოვანესია. იგი უზრუნველყოფს, რომ სანამ სახელმწიფო ყოველგვარი გონივრული ეჭვის არსებობის გარეშე დადასტურებს ბრალდებულის ბრალეულობას, იგი უდანაშაულოა. ეს მნიშვნელოვანია სამართლიანობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების ერთგული საზოგადოებისათვის. უდანაშაულობის პრეზუმფცია ამყარებს ჩვენს რწმენას კაცობრიობის მიმართ, იგი ასახავს ჩვენი მრწამსს, რომ ადამიანები არიან საზოგადოების ღირსეული და კანონმორჩილი წევრები, სანამ სანააღმდეგო არ იქნება დამტკიცებული.”¹⁰²

4.2. დაკავებისა მიზეზებისა და ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება

საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს ფუნდამენტურ უფლებას, რომ დაკავებულ პირს და/ან პირს, რომელსაც ბრალი წაუყენეს, უფლება აქვს, იყოს ინფორმირებული დაკავების ან ბრალდების მიზეზებზე. კერძოდ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს, რომ “თითოეულ დაპატიმრებულ პირს დაპატიმრების დროს უნდა აცნობონ მისი დაპატიმრების მიზეზები”. ეს უფლება თანაბრად ვრცელდება ბავშვებსა და ზრდასრულ ადამიანებზე.¹⁰³

ბავშვის უფლებათა კონვენცია კონკრეტულად არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებას, იყოს ინფორმირებული დაპატიმრების მიზეზებზე. თუმცა კონვენციის მე-40 მუხლი მოითხოვს, რომ ყველა ბავშვს დაუყოვნებლივ და უშუალოდ უნდა ეცნობოს მის მიმართ წაყენებული ბრალდებები, აუცილებლობის შემთხვევაში კი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით.¹⁰⁴

საილუსტრაციო მასალა 17: ბრალდებისა და დაკავების მიზეზების გასაგებად ახსნა

ბელიზი: არასრულწლოვანი მსჯავრდებულების აქტი 8 (1): “როდესაც ბავშვი ან ახალგაზრდა პირი წარდგება არასრულწლოვანთა სასამართლოს წინაშე ნებისმიერი დანაშაულისათვის, სასამართლოს მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე აუხსნას მას მარტივი ენით სავარაუდო დანაშაულის არსი.”

ფილიპინები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის აქტი/2006 წ., ნაწილი 21: ბავშვების დაპატიმრების პროცედურა: “ბავშვის დაპატიმრების მომენტშივე, სამართალდამცავი ვალდებულია: (ა) განუმარტოს ბავშვს მარტივი ენით და იმ დიალექტზე, რომელიც მას ესმის, რატომ არის იგი დაპატიმრებული და აცნობოს დანაშაული, რომელიც ითვლება, რომ მან ჩაიდინა; (ბ) აცნობოს ბავშვს პატიმრობის მიზეზი და მისი კონსტიტუციური უფლებები მისთვის გასაგებ ენაზე ან დიალექტზე”.

წყაროები: არასრულწლოვანი მსჯავრდებულების აქტი, თავი 119, გადამუშავებული გამოცემა 2000; კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის აქტი), 2006 წ., რესპუბლიკური კანონი N. 9344.

¹⁰¹ იქვე.

¹⁰² “რ. ოუქსის წინააღმდეგ” [1986] 1 S.C.R. 103, კანადის უზენაესი სასამართლო, 1986 წლის 28 თებერვალი, გვ. 22.

¹⁰³ იხ., აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი; ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის აფრიკული ქარტიის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის (II) ნაწილი; ამერიკის კონვენციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁰⁴ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (II) ნაწილი.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი N10 ზოგად კომენტარში¹⁰⁵ განმარტავს, რომ ტერმინს “სწრაფად და უშუალოდ” აქვს მნიშვნელობა “რაც შეიძლება სწრაფად”. ბავშვს ან მის მშობლებს უნდა ეცნობოთ ბრალდების შესახებ მაშინვე, როგორც კი პოლიცია, პროკურორი ან მოსამართლე იწყებს ბავშვის მიმართ საწყისი საპროცესო ნაბიჯების გადადგმას. თუმცა “სწრაფად და უშუალოდ შეტყობინების ვალდებულება” ეხება ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხელისუფლება გადანყვეტს საკითხის მოგვარებას სასამართლო საქმისწარმოებისათვის მიმართვის გარეშე.

ბავშვის, ხოლო შესაბამის შემთხვევაში მისი მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების, ინფორმირების მოთხოვნა არის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (II) ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის გარანტიების სრული დაცვის ზოგადი მოთხოვნის ნაწილი. ბავშვის ინფორმირება უნდა მოხდეს მისთვის გასაგებ ენაზე. ეს შეიძლება გულისხმობდეს თარჯიმნის ან ინფორმაციის უცხო ენაზე მინოდების საჭიროებას. მოთხოვნა ასევე ითვალისწინებს, რომ ბავშვს ინფორმაცია უნდა ეცნობოს იმგვარად და ისეთი ენით, რომელიც მისთვის გასაგებია. ოფიციალური იურიდიული ენისა და ჟარგონის გამოყენება თავიდან უნდა იქნეს აცილებული.

ბავშვისათვის ოფიციალური დოკუმენტის გადაცემა, ჩვეულებრივ, არ არის საკმარისი და საჭიროა სიტყვიერად ახსნაც. ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ ამოცანის შესრულება არ უნდა მიანდონ მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს, ბავშვის ადვოკატებს ან სხვა სახის დამხმარეებს. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მუხლს ან თავს, რომელიც შესაბამის ორგანოებს (მაგ. პოლიციას, პროკურატურას, მოსამართლეს) დააკისრებს იმის უზრუნველყოფას, რომ ბავშვს, მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს ესმოდეს ბავშვისადმი წაყენებული თითოეული ბრალდების არსი და შესაძლო შედეგები.¹⁰⁶

საილუსტრაციო მასალა 18: ბავშვისთვის მისი უფლებების ახსნა

საქმეზე “რ. ლ.ტ.ჰ.-ს წინააღმდეგ” ბავშვთა უფლებების კანადის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე ბავშვს არ ჰქონდა კარგად გააზრებული საკუთარი უფლებები, როდესაც მან უარი თქვა ადვოკატის აყვანასა და შესაბამის უფროსთან კონსულტაციის გავლაზე.

ახალგაზრდული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტის 146-ე ნაწილის თანახმად, მოზარდის განცხადება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

(ა) განცხადება ნებაყოფლობითი იყო;

(ბ) პირმა, რომლის წინაშეც განცხადება გაკეთდა, მანამდე მოზარდს, მისი ასაკისა და აღქმის შესაფერის ენაზე, ნათლად განუმარტა, რომ (I) მოზარდს არ ჰქონდა განცხადების გაკეთების ვალდებულება, (II) მოზარდის მიერ გაკეთებული ნებისმიერი განცხადება შეიძლება გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად მის წინააღმდეგ, (III) მოზარდს აქვს ადვოკატის და მშობლის ან სხვა პირისაგან კონსულტაციის მიღების უფლება (I) პუნქტის მიხედვით და (IV) მოზარდის მიერ ნებისმიერი განცხადება უნდა გაკეთდეს ადვოკატის ან, (გ) პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი იმ პირის თანდასწრებით, რომელთანაც მან გაიარა კონსულტაცია, თუ მოზარდი არ ისურვებს საწინააღმდეგოს;

(გ) განცხადებამდე მოზარდს მიეცა გონივრული საშუალება მიეღო კონსულტაცია (I) ადვოკატისა და (II) მშობლისაგან ან, მშობლის არ ყოლის შემთხვევაში, უფროსი ნათესავისაგან ან, მშობლისა და უფროსი ნათესავის არარსებობისას, მოზარდის მიერ შერჩეული ნებისმიერი სხვა სათანადო უფროსისაგან, თუკი ეს პირი არ არის ბრალდებული იმავე საქმეზე ან მის მიმართ არ მიმდინარეობს გამოძიება იმავე დანაშაულთან დაკავშირებით;

¹⁰⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 47.

¹⁰⁶ იქვე, პუნქტი 48.

(დ) თუ მოზარდი მიიღებს კონსულტაციას (გ) პუნქტით გათვალისწინებული პირებისაგან, მოზარდს მიეცა გონივრული შესაძლებლობა, რათა გააკეთოს განცხადება აღნიშნული პირების თანდასწრებით.

146(4) თავი საშუალებას აძლევს ბავშვს, უარი თქვას თავის უფლებაზე, კონსულტაცია გაიაროს ადვოკატთან ან უფროსთან. ამ შემთხვევაში ბავშვმა უარი თქვა ადვოკატთან, მშობლებთან ან სხვა შესაბამის უფროსებთან დაკავშირებაზე და ხელი მოაწერა უფლებაზე უარის თქმის ფორმას. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ იმისათვის, რომ საკუთარი უფლებების უარყოფა და შემდგომი განცხადება მისაღები ყოფილიყო, სამართალდამცავს ბავშვისათვის მისი უფლებები უნდა აეხსნა “კონკრეტული მოზარდის ასაკისა და აღქმის შესაბამის ენაზე”.

სასამართლომ ასევე ბრძანა, რომ პოლიციის თანამშრომელს უნდა “გათვალისწინებინა მოზარდი დაკავებული პირის განვითარების დონე და ახალგაზრდის აღქმის უნართან დაკავშირებული სხვა თვისებები”, რათა დარწმუნებულიყო, რომ ბავშვს კარგად ესმოდა უფლებებზე უარის თქმის ან განცხადების გაკეთების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგები.

წყაროები: “რ. ლ.ტ.პ.-ს წინააღმდეგ”, 2008 SCC 49, კანადის უზენაესი სასამართლო, 11 სექტემბერი, 2008წ., გვ. 15, 18; კანადის ახალგაზრდული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტის 2002 “მე-2 პუნქტის (ბ)-(დ) პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება ისეთ ზეპირ განცხადებებზე, რომლებიც ახალგაზრდამ სპონტანურად გააკეთა სამართალდამცავი უწყების თანამშრომლის ან სხვა უფლებამოსილი პირის წინაშე მანამდე, სანამ ამ პირს მიეცემოდა გონივრული შესაძლებლობა, დაეკმაყოფილებინა აღნიშნული მოთხოვნები”.

4.3. დაკავების შესახებ მშობლებისთვის ან კანონიერი წარმომადგენლისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინების უფლება

ბავშვის უფლებათა კომიტეტი N10 ზოგად კომენტარში¹⁰⁷, ეხმიანება რა პეკინის წესების¹⁰⁸ 10.1 წესს, რეკომენდაციას იძლევა, რომ სახელმწიფოებმა ცალსახად კანონით უნდა უზრუნველყონ მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართულობა ბავშვის მიმართ აღძრული საქმისწარმოების პროცესში. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ამ პროცესში მშობლის ჩართვას, მშობლებს მათი ბავშვის დაკავების შესახებ უნდა ეცნობოს რაც შეიძლება მალე.

4.3.1 უნდა დაესწროს თუ არა მშობელი ბავშვის ეჭვმიტანილის სახით დაკითხვის პროცესს?

პეკინის წესების 15.2 წესის თანახმად, მშობლებს ან მეურვეს აქვთ უფლება, მიიღონ მონაწილეობა სასამართლო განხილვაში და ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე, ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია უარი უთხრას მათ ასეთ მონაწილეობაზე, თუ არის საფუძველი ვარაუდისა, რომ ეს აუცილებელია არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე.

სახელმწიფოთა უმეტესობა არა მხოლოდ უშვებს მშობლების ან მეურვის დასწრებას, არამედ მოითხოვს, რომ პოლიციის მიერ ბავშვის ნებისმიერი დაკითხვის ჩატარებას დაესწრონ მშობლები ან სხვა სათანადო უფროსი. პრაქტიკაში, მშობლის დასწრების უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მშობელს ეცნობა ვითარების შესახებ და თუ მშობელს ეძლევა საკმარისი დრო, რომ მივიდეს დაკითხვის ადგილზე. მიზანშეწონილია, რომ მშობლებს მიეცეთ გარკვეული პერიოდი პოლიციაში მისასვლელად და დაკითხვა არ დაიწყოს მათ მისვლამდე.

თუ მშობელი ვერ ახერხებს გონივრულ ვადაში მისვლას დაკითხვაზე, ვერ ხერხდება მასთან დაკავშირება, უარს აცხადებს დასწრებაზე, ბრალად ედება იმავე დანაშაულის ჩადენა, ან

¹⁰⁷ იქვე, პუნქტი 54.
¹⁰⁸ წესი 15.2 აცხადებს: “არასრულწლოვანის დაკავებისას მისი მშობლები ან მეურვე დაუყოვნებლივ უნდა ექნენ ინფორმირებულნი დაკავების შესახებ, ხოლო დაუყოვნებლივ ინფორმირების შეუძლებლობის შემთხვევაში მშობლები და მეურვე ინფორმირებულნი უნდა იქნენ მოგვიანებით, მაქსიმალურად შეზღუდულ დროის განმავლობაში”.

მშობლის დასწრება უადგილოა, ბავშვისათვის უნდა მოხდეს ალტერნატიული უფროსის მოძიება. საუკეთესო შემთხვევაში ეს უნდა იყოს ნათესავი ან ოჯახის ახლო მეგობარი, თუმცა ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ზოგიერთ სახელმწიფოში არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ კვალიფიციური ადამიანების ბაზის შექმნას, რომლებიც სპეციალურად არიან მომზადებული ამ ამოცანის შესასრულებლად, ზოგჯერ მათ იცნობენ როგორც “სათანადო უფროსს” ან “პასუხისმგებელ უფროსს”. იმ შემთხვევაში, თუ ამ მიზნით მომზადებული ადამიანები არ არსებობენ, დასაშვებია მასწავლებლის ან სოციალური მუშაკის დასწრება.

კანონმდებლობა უნდა აკისრებდეს პოლიციას ვალდებულებას, შეიმუშაოს და გაითვალისწინოს პრაქტიკული პროტოკოლი ან პრაქტიკული წესების კრებული, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დეტალებს:

- როდის უნდა დაურეკონ მშობელს;
- რამდენჯერ უნდა დაურეკოს პოლიციამ მშობელს;
- რა უნდა გაკეთდეს, როდესაც მშობელთან დაკავშირება ვერ ხერხდება;
- რა პერიოდი ითვლება ლოდინის “გონივრულ” ვადად;
- რამდენ ხანს შეიძლება ბავშვის დაკავება დაკითხვამდე; და
- როგორ უნდა იქნეს მოძიებული სათანადო პირი და მოხდეს მისი დასწრების უზრუნველყოფა.

კანონმდებლობა ასევე უნდა შეიცავდეს პირობას, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს სათანადო პირად მშობლის არარსებობის შემთხვევაში, და ყველა ტრენინგს, რომლის გავლაც საჭირო იქნება ასეთი პირებისთვის.

მშობლის თანდასწრება ემოციურ მხარდაჭერას გაუწევს ბავშვს და უზრუნველყოფს, რომ ის მარტო არ დაუპირისპირდეს ისეთ ვითარებას, რომელიც, სავარაუდოდ, ძალიან სტრესული იქნება მისთვის მარტო ყოფნის შემთხვევაში. და კიდევ, მშობლის დასწრების ერთ-ერთი მიზეზი არის იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვმა გაიგოს ნათქვამი, როგორც შინაარსის, ისე ენის თვალსაზრისით, და რომ მას მიეცეს საკუთარი მოსაზრებების ნათლად გამოხატვის საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს შეუძლიათ სარწმუნო მტკიცებულებების წარმოდგენა, ისინი, მათი ასაკიდან გამომდინარე, უფრო მეტად ექვემდებარებიან ოფიციალური პირების მხრიდან ზენოლას და, ამგვარად, შეიძლება წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს არასაიმედო, დეზინფორმაციულ ან თვითმამხილებელი. იმაში დასარწმუნებლად, რომ ბავშვის მიერ მიცემული ჩვენება ნებაყოფლობითია და არა იძულებითი, მშობელი ან სხვა სათანადო უფროსი ყოველთვის უნდა ესწრებოდეს ბავშვის დაკითხვას დანაშაულთან დაკავშირებით.

კანონი უნდა ადგენდეს მშობლის ან სხვა სათანადო უფროსის¹⁰⁹ როლს. აგრეთვე, პოლიციას უნდა დაეკისროს მშობლისათვის პოლიციაში დაკითხვის მსვლელობისას მისი როლის გაცნობის ვალდებულება. მშობელი ან სათანადო უფროსი უნდა იყოს ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ ის არა მარტო უბრალოდ დამკვირვებელივით უნდა იქცეოდეს, არამედ უნდა:

- მისცეს რჩევები ბავშვს, რომელსაც კითხავენ;
- დააკვირდეს, სწორად და სამართლიანად ტარდება თუ არა დაკითხვა; და
- ხელი შეუწყოს იმ ბავშვთან კომუნიკაციის დამყარებას, რომლის დაკითხვაც მიმდინარეობს.

¹⁰⁹ დამატებითი ინფორმაციისათვის სასამართლო პროცესის დროს სათანადო უფროსის სქემების გამოყენებასთან დაკავშირებით იხ. ნაწილი 7.3.

საილუსტრაციო მასალა 19: პოლიციაში მშობლის დასწრების უფლება

უგანდა: უგანდის ბავშვთა აქტი (კანონი არასრულწლოვანთა შესახებ) (1996) მოითხოვს მშობლების ან მეურვის დასწრებას ბავშვების პოლიციაში დაკითხვისას - თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს:

(3) დაკავების შემდეგ უმოკლეს ვადაში პოლიციამ ბავშვის დაკავების შესახებ უნდა აცნობოს ბავშვის მშობლებს ან მეურვეებს და ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოს ბავშვთა საქმეების მდივანს.

(4) პოლიცია ვალდებულია, უზრუნველყოს პოლიციაში ბავშვის დაკითხვის მიმდინარეობისას ბავშვის მშობლის ან მეურვის დასწრება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს." თუ ვერ ხერხდება ბავშვის მშობელთან ან მეურვესთან დაკავშირება, კანონი მოითხოვს, რომ პოლიცია უნდა დაუკავშირდეს პრობაციის ოფიცერს, სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელს ან სხვა უფლებამოსილ პირს, რათა ეს უკანასკნელი დაესწროს პოლიციაში დაკითხვას.

მავრიტანია: კანონი სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვთა დაცვის შესახებ აცხადებს: "თუ ბავშვი მოათავსეს საპატიმრო დანესებულებაში, პოლიციამ უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მშობლებს, მზრუნველს ან პირს თუ სამსახურს, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვზე, იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთაც ბავშვი ექვემდებარება."

თურქმენეთი: კანონი ბავშვთა უფლებების გარანტიების შესახებ მოითხოვს "ბავშვის მშობლების ან მეურვის დაუყოვნებლივ ინფორმირებას ბავშვის დაკავებისას."

განა: კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ აცხადებს, რომ "სულ მცირე არასრულწლოვანის ერთი მშობელი, მეურვე ან ახლო ნათესავი უნდა იქნეს ინფორმირებული პოლიციის მიერ არასრულწლოვანის დაპატიმრების შესახებ, დაპატიმრებიდან უმოკლეს ვადაში".

წყაროები: უგანდის ბავშვთა აქტი (კანონი არასრულწლოვანთა შესახებ) (1996), ნან. 89; კანონი სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვთა დაცვის შესახებ (*Ordonnance portant protection pénale de l'enfant*), დეკრეტი No. 2005/015, მუხლი 101 (მავრიტანია); თურქმენეთის კანონი ბავშვთა უფლებების გარანტიების შესახებ, მიღებული საპარლამენტო სესიის მიერ (2002 წლის 5 ივლისს) მუხლი 32(2); კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, 2003 (ACT 653) ნან. 11(1)4.

ზოგიერთ ქვეყანაში კანონი მოითხოვს, რომ მშობლების ან მეურვეების გარდა, ბავშვის დაკავების შესახებ მოხდეს სოციალური სამსახურების ინფორმირებაც. ეს იძლევა ადრეული ჩარევის სამუშაოების განხორციელების საშუალებას და შეიძლება ხელი შეუწყოს მრავალდარგობრივი მიდგომის დანერგვას ბავშვის დანაშაულებრივ ქცევასთან დაკავშირებით.

4.4. სამართლებრივი ან სხვა შესაბამისი დახმარების მიღების უფლება დაკავებისა და დაკითხვისას

შესაძლებელია, მხოლოდ მშობლის დასწრება არ იყოს საკმარისი პოლიციაში ბავშვის უფლებების დაცვისათვის. ყოველთვის ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებშია იურისტის დასწრება სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით ბავშვის დაკითხვისას და ეს უფლება გარკვევით უნდა იყოს გათვალისწინებული კანონმდებლობაში.

სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარების უფლება გვხვდება რიგ საერთაშორისო დოკუმენტებში. მათში მოცემულია ბავშვის უფლებები, მიიღოს დახმარება, როდესაც მას ეჭვმიტანილის სახით კითხავენ, ასევე, როდესაც ბავშვს ბრალდებას წაუყენებენ და იგი

სასამართლოს წინაშე წარდგება.¹¹⁰ ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება. ამასთანავე, კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (II) ნაწილის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეული ბავშვი იყოს უზრუნველყოფილი “სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღებით თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის”.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტები ეხება “სამართლებრივი ან სხვა შესაბამისი დახმარების”¹¹¹ უფლებას, ბავშვებს არ უნდა ჩამოერთვათ სამართლებრივი დახმარების უფლება მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა დახმარებაა ხელმისაწვდომი. ბავშვებს უნდა მიეცეთ დრო მათ კანონიერ წარმომადგენლთან მარტო გასატარებლად დაკითხვის დაწყებამდე, რაც მათ საშუალებას მისცემს, გაიარონ კონსულტაცია თავიანთ ადვოკატთან, დაუსვან მას შეკითხვები და გაერკვნენ ზოგადად იმ ვითარების არსში, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ.¹¹² პოლიციის ან პროკურორების მიერ ბავშვის პირველი დაკითხვისას სამართლებრივი დახმარების მიზანი დაკითხვისას გამოყენებულ მეთოდებზე დამოუკიდებელი დაკვირვების უზრუნველყოფა და იმაში დარწმუნებაა, რომ ჩვენება ნებაყოფლობითია და არა იძულებითი.¹¹³ ადვოკატი უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს შეუსაბამო კითხვების დასმა და ბავშვს მოეპყრონ მისი ასაკის და მონიფულობის შესაბამისად. ადვოკატს ასევე შეუძლია მოითხოვოს განრიდების ზომების გამოყენება შესაბამის შემთხვევაში.

მაშინ, როდესაც ბავშვის უფლებათა კონვენცია არ ეხება “უფასო” სამართლებრივი დახმარების საკითხს, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ითვალისწინებს ბავშვის უფასო იურიდიულ დახმარებას, თუ მას ან მის მშობლებს არა აქვთ ადვოკატის ჰონორარის გადახდის საშუალება. ზღვარი, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოები უზრუნველყოფენ უფასო იურიდიულ დახმარებას, მნიშვნელოვნად მერყეობს. თუმცა, რაიმე ფორმის სამართლებრივი დახმარების გარეშე, ძნელია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვისათვის მთელი სამართლებრივი პროცესის მანძილზე ხელმისაწვდომი იყოს ეფექტიანი იურიდიული წარმომადგენლობა. ზოგიერთ სახელმწიფოში ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში სპეციალიზებულ ორგანიზაციებს ჰყავთ მორიგე ადვოკატები, რომლებიც დაესწრებიან დაკითხვას, რათა წარმოადგინონ ბავშვი პოლიციის თანამშრომლების მიერ დაკავების შემდეგ დაკითხვისას. ბავშვებს უნდა დაეხმაროს ადვოკატი, რომელსაც ესმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა და ის სპეციფიკური პრობლემები, რომლებსაც უპირისპირდებიან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები.

სამართლებრივი ან სხვა შესაბამისი დახმარების უფლების სრულად განხორციელების მიზნით კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვს:

- კანონთან კონფლიქტის შემთხვევაში იურიდიული კონსულტაციის ნებისმიერ დროს მიღების უფლებით;
- იურიდიული წარმომადგენლობის უფლებით იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ითვლება ან აღიარებულია დანაშაულის ჩამდენად;
- საკუთარ ადვოკატთან კონსულტაციების უფლებით დაკითხვამდე და საქმისწარმოების მიმდინარეობისას ნებისმიერ დროს;
- ადვოკატის დასწრებამდე დაკითხვის გადადების უფლებით;
- უფასო წარმომადგენლობის უფლებით, თუ ბავშვი ვერ გადაიხდის წარმომადგენლის ჰონორარს.

¹¹⁰ იხ., აგრეთვე, ნაწილი 7.3.

¹¹¹ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (II) ნაწილი.

¹¹² იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (VI) ნაწილი.

¹¹³ იხ., აგრეთვე, ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 58, და ვენის სახელმძღვანელო პრინციპები, პუნქტი 16.

ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული ორგანო, რომელსაც დაეკისრება სამართლებრივი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

კანონმდებლობა, პოლიციის/პროკურატურის პროტოკოლი ან ამ ორგანოების პრაქტიკული ქცევის წესები უნდა აკისრებდეს მოვალეობას პოლიციას/პროკურორს, დაეხმაროს ბავშვს იურიდიული წარმომადგენლის მოძიებაში მაშინ, როდესაც ბავშვი ან მშობლები ვერ იპოვიან იურისტს ან არ აქვთ მისი ჰონორარის გადახდის საშუალება.

კანონმდებლობა, პროტოკოლი ან პრაქტიკული ქცევის წესები უნდა მოიცავდეს იმ გარემოებებს და ვადებს, რომლებშიც პოლიციამ ან პროკურორმა უნდა განახორციელონ აღნიშნული ამოცანა (მაგალითად, ბავშვს და მშობლებს პოლიციაში მისვლისთანავე უნდა ჰქვითხონ, სურთ თუ არა, რომ წარმოდგენილნი იყვნენ თავად არჩეული ადვოკატით. თუ ბავშვი და/ან მშობელი იტყვის, რომ არ სურს, დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდნენ იურისტს, რათა მან წარმოადგინოს ბავშვი). ადვოკატთა ასოციაციამ და სხვა პროფესიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ დადგენილი მინიმალური სტანდარტები, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადვოკატების მიერ ბავშვების წარმომადგენლისა ეფექტიანი მომსახურების განევა.

4.4.1 ბავშვისადმი კეთილგანწყობილი დაკითხვის პროცესი პოლიციაში

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ბავშვების დაცვა დამთრგუნველი და უსამართლო დაკითხვისაგან. არსებობს დაკითხვის გარკვეული ხერხები, რომლებიც განსაკუთრებით მიუღებელია ბავშვების შემთხვევებში. ამის მაგალითია მისახვედრი (პასუხზე მიმანიშნებელი) კითხვა, რომელმაც შეიძლება დააბნიოს ან დააშინოს ბავშვი. თუ ბავშვს ასეთი შეკითხვა დაუსვეს, ადვოკატი (ან მშობელი თუ სხვა სათანადო უფროსი) უნდა ჩაერიოს დაკითხვის პროცესში, რათა დაეხმაროს ბავშვს კითხვაზე პასუხის ყურადღებით მოფიქრებაში.

კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს შეზღუდვები ბავშვების დაკითხვასთან დაკავშირებით და იგი უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა საათების რაოდენობა, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ბავშვის დაკითხვა, შესვენებები დაკითხვის პროცესში და დღის მონაკვეთი, როდესაც დასაშვებია დაკითხვა.

საილუსტრაციო მასალა 20: დაკითხვის ხანგრძლივობის შეზღუდვა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად: “არასრულწლოვანი ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაკითხვა არ შეიძლება შეუსვენებლად გაგრძელდეს 2 საათზე მეტ ხანს, ხოლო მთლიანად დღეში – 4 საათზე მეტ ხანს. თუ არასრულწლოვანი ამკარად დაიღალა, დაკითხვა უნდა შეწყდეს აღნიშნული დროის გასვლამდე.”

წყარო: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2007 წ., მუხლი 647 (საქართველო).

დაკითხვის მეთოდებთან დაკავშირებით ბავშვებს უფროსებთან შედარებით მეტი მგრძობელობა ახასიათებთ. უფრო სავარაუდოა, რომ ისინი მეტად დაექვემდებარებიან მანიპულირებას და დაუჯერებენ პოლიციელს, თუკი ეს უკანასკნელი მათ ეტყვის: “თუ აღიარებ, შეგიძლია სახლში წახვიდე.” უფრო სავარაუდოა, რომ ისინი დასმულ კითხვას უფროსის საამებლად უპასუხებენ ან იტყვიან იმას, რისი მოსმენაც მათგან სურს პოლიციელს. ამრიგად, პოლიციამ თავიდან უნდა აიცილოს დაკითხვისას მიმანიშნებელი ტექნიკის გამოყენება. პეკინის წესების მე-12 წესის შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მხოლოდ პოლიციის იმ თანამშრომლებმა განახორციელონ ასეთი დაკითხვა, რომლებიც გადიან ბავშვებთან მუშაობის საკითხებზე სპეციალურ და რეგულარულ ტრენინგებს. პეკინის წესების მე-12 წესი ასევე უზრუნველყოფს, რომ მსხვილ ქალაქურ დასახლებებში შეიქმნას პოლიციის სპეციალური ქვეგანყოფილებები კონკრეტულად ბავშვებთან მუშაობის მიზნით. ეს კომპონენტი ითვლება უაღრესად დიდი მნიშვნელობის მქონედ, რადგანაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვს სწორედ პოლიციასთან აქვს პირველი კონტაქტი.

დაკითხვა განსაკუთრებით რთულდება, თუ ბავშვი არ ლაპარაკობს ან ცუდად ლაპარაკობს დაკითხვის მწარმოებელი პირის ენაზე. ბავშვის უფლებათა კომიტეტი N10 ზოგად კომენტარში აღნიშნავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ თარჯიმანი მომზადებული იყოს ბავშვებთან სამუშაოდ, რადგან ბავშვების მეტყველება შეიძლება განსხვავდებოდეს უფროსების მეტყველებისაგან¹¹⁴. ცოდნის ან გამოცდილების ნაკლებობამ შეიძლება ხელი შეუშალოს დასმული კითხვის ბავშვის მიერ სრულყოფილად გაგებას და შეაფერხოს სამართლიანი სასამართლოსა და ეფექტიანი მონაწილეობის უფლების განხორციელება. კომიტეტმა მონაწილე სახელმწიფოების ყურადღება იმ ბავშვებზეც გაამახვილა, რომელთაც მეტყველების პრობლემები და სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ¹¹⁵. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (VI) ქვეპუნქტის სულისკვეთებისა და კონვენციის 23-ე მუხლით გათვალისწინებული დაცვის განსაკუთრებული ზომების თანახმად, კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ ასეთი ბავშვები უზრუნველყოფილნი იყვნენ კარგად მომზადებული, მაგალითად, შესტების ენაში, პროფესიონალების ადეკვატური და ეფექტიანი დახმარებით.

4.4.2 იძულებითი დაკითხვის თავიდან აცილება

კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებას, რომელშიც განისაზღვრება, რომ ბავშვს აქვს უფლება, არ იყოს იძულებული, მისცეს ჩვენება, ცნოს ან აღიაროს დანაშაული.¹¹⁶

კანონმდებლობა ასევე უნდა ცხადყოფდეს, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაკითხვისას ადგილი ჰქონდა ზეწოლას და ბავშვის იძულებას, ამ გზით მიღებული განცხადება ან აღიარება არ დაიშვება სასამართლოში.¹¹⁷ “იძულება” უნდა იქნეს გაგებული ფართო მნიშვნელობით და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებით და ადამიანის უფლებათა ამკარა დარღვევის სხვა მაგალითებით. თუ ბავშვს არ ესმის საქმის არსი ან თუ მას ეშინია გაურკვეველი შედეგების ან სავარაუდო თავისუფლების აღკვეთის, ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მიერ ისეთი აღიარების მიცემა, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამგვარი რამ კიდევ უფრო სავარაუდოა, თუ ბავშვს ჰპირდებიან ერთგვარ ჯილდოს, მაგალითად: “სახლში წასვლა შესაძლებელი იქნება, როგორც კი ნამდვილ ამბავს მოგვიყვები”, ან უფრო მსუბუქი სასჯელების გამოყენებას ან გათავისუფლებას აღუთქვამენ.¹¹⁸

ბავშვის აღიარების ნებაყოფლობითობისა და სანდოობის დადგენისას სასამართლომ ან სხვა სასამართლო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი, პატიმრობაში ყოფნის ხანგრძლივობა და დაკითხვის პროცესი, ბავშვის იურიდიული ან სხვა სახის კონსულტანტის, მშობლების ან დამოუკიდებელი წარმომადგენლების დასწრების ფაქტი.¹¹⁹

4.5. მოსამართლის ან სხვა უფლებამოსილი მოხელის ყურადღების დაუყოვნებლივ მიღების უფლება

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის ბრალდებით დაპატიმრებული თუ დაკავებული ყოველი პირი დაუყოვნებლივ წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს.¹²⁰ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ტერმინის “დაუყოვნებლივ” მნიშვნელობასთან

¹¹⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2007 წ. მუხლი 647 (საქართველო) პუნქტი 62.

¹¹⁵ იქვე, პუნქტი 63.

¹¹⁶ იხ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის (ზ) ქვეპუნქტი და ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (IV) ნაწილი.

¹¹⁷ წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-15 მუხლი.

¹¹⁸ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N.10 (2007), პუნქტი 57

¹¹⁹ იქვე, პარაგ. 58

¹²⁰ იხ. აგრეთვე ECHR-ს მე-5 მუხლის (3) პუნქტი: “ამ მუხლის პირველი პუნქტის (გ) პუნქტის დებულებების თანახმად დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს მოსალოდნელ სასამართლომდე.”

და შინაარსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამგვარად ხდება “დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის დაკავების დაქვემდებარება სასამართლო კონტროლისადმი”.¹²¹

პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები ასახულია ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (დ) პუნქტში, რომლის მიხედვითაც ყოველ თავისუფლებალკვეთელ ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, გაასაჩივროს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი ქმედების თაობაზე. პეკინის წესების წესი 10.2 აფართოებს ამ უფლებას და მოითხოვს, რომ მოსამართლემ ან სხვა კომპეტენტურმა მოხელემ ან ორგანომ დაუყოვნებლივ განიხილოს გათავისუფლების საკითხი.¹²² არც ბავშვის უფლებათა კონვენცია და არც პეკინის წესები არ ადგენს ზღვრულ ვადებს დაკავებიდან ბავშვის სასამართლოს წინაშე წარდგენამდე, მაგრამ ბავშვის უფლებათა კომიტეტს მიაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში ბავშვი 24 საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს კომპეტენტურ მოხელეს, რომელიც შეამოწმებს თავისუფლების აღკვეთის კანონიერებას (ხანგრძლივობას).¹²³

საილუსტრაციო მასალა 21: ვადა კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენამდე

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ კანონის მოდელი, რომელიც მოამზადა დანაშაულის პრევენციის საერთაშორისო ცენტრმა (ამჟამად ცნობილია გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს სახელით (UNODC)), კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე ბავშვის წარდგენის ვადად ადგენს 24 საათს.

ეს პრინციპი ასახულია კენიის ბავშვთა აქტი/2001 “დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილად ბავშვის ორდერით ან ორდერის გარეშე დაკავების შემთხვევაში იგი უნდა წარედგინოს სასამართლოს შეძლებისდაგვარად სასწრაფოდ, იმ პირობის დაცვით, რომ არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს დაკავებული ოცდაოთხ საათზე მეტი ვადით მისი შეპყრობიდან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე”.

წყარო: № 8 კენიის ბავშვთა აქტი 2001წ, მეხუთე ცხრილი, 4 (1).

ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო დონეზე არსებობს კონსენსუსი, რომლის მიხედვითაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის “დრო დანაშაულის ჩადენასა და ამ აქტზე საბოლოო რეაგირებამდე უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე”¹²⁴. რაც მეტია ეს პერიოდი, უფრო სავარაუდოა, რომ რეაგირების სასურველი პოზიტიური, პედაგოგიური ზემოქმედება მეტად დაკარგავს ძალას და ბავშვი უფრო მეტად იქნება სტიგმატიზებული. კომიტეტი რეკომენდაციას¹²⁵ აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს, განსაზღვრონ და დაიცვან ზღვრული ვადები დანაშაულის ჩადენიდან პოლიციის გამოძიების დასრულებამდე, ბავშვისათვის ბრალდების წაყენების შესახებ პროკურორის (ან სხვა კომპეტენტური მოხელის) გადაწყვეტილებამდე და სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ საბოლოო განხილვამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე. აღნიშნული ზღვრული ვადები ზრდასრულ ადამიანებთან დაკავშირებით გამოყენებულ ვადებზე გაცილებით ნაკლები უნდა იყოს. მაგრამ, ამასთანავე, დაუყოვნებელი გადაწყვეტილება უნდა იყოს ისეთი პროცესის შედეგი, რომლის განმავლობაშიც სრულად იქნება დაცული ბავშვის უფლებები და სამართლებრივი გარანტიები. ამდენად, კანონმდებლობაში განსაზღვრული უნდა იყოს ზღვრული ვადები თითოეული ამ ეტაპისათვის.

¹²¹ კულომინი უნგრეთის წინააღმდეგ, კომუნიკაცია N.521/1992, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, 22 მარტი 1996წ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ანგარიშში 1997წ., გენერალური ასამბლეის ოფიციალურ ჩანაწერები, ორმოცდამეთერთმეტე სხდომა, დანართი N. 40, A/51/40, (ტ. II), გვ. 80, პუნქტი. 11.2.

¹²² იხ., აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი: “დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირის საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს მოსალოდნელ სასამართლომდე.”

¹²³ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 83.

¹²⁴ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 51.

¹²⁵ იქვე, პუნქტი 52.

თავის ანგარიშში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ საქმესთან “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”¹²⁶ დაკავშირებით ბავშვთა ფსიქიატრიის პროფესორი¹²⁷ დაყოვნებას ახალგაზრდა მოპასუხეებთან მიმართებაში შემდეგნაირად აღწერს: “სასამართლო პროცესში ხანგრძლივი დროით ჩართულობის ერთ-ერთი სერიოზული შედეგია ფსიქოლოგიური ზრუნვისა და საჭირო თერაპიული დახმარების გარდაუვალი დაგვიანება. ათი წლის ბავშვს წინ მრავალწლიანი ფსიქოლოგიური განვითარების პროცესი ელოდება და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არ არსებობდეს ხანგრძლივი პაუზა, რომელიც გამოწვეული იქნება სასამართლო პროცესის შეფერხებით. კერძოდ, როდესაც ბავშვები ჩაიდენენ მძიმე დანაშაულს, [...] მნიშვნელოვანია, რომ მათ შეძლონ მათ მიერ ჩადენილის რეალობის აღქმა და მისი არსის გათვითცნობიერება. ეს კი შეუძლებელია სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას და მაშინ, როცა სასამართლოს ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება დანაშაულზე. ამიტომ, ჩემი აზრით, სასამართლო პროცესის ძალიან გახანგრძლივება მავნე იქნება ათი-თერთმეტი წლის (ან უფროსი) ბავშვისთვის”¹²⁸ (გაუმართლებელი შეფერხების პრინციპის უფრო დეტალური განხილვისათვის იხ. ნაწილი 7.10).

¹²⁶ იხ. “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, № 24888/94; [1999] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო-ECHR 2; N 24724/94 (2000) 30 EHRR (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) ევროსაბჭო; ECHR, 1999.

¹²⁷ სერ მიქაელ რუტერი, ფსიქიატრიის ინსტიტუტი, ლონდონის უნივერსიტეტი.

¹²⁸ “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, № 24888/94; [1999] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო-ECHR 2; N 24724/94 (2000) 30 EHRR (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო) ევროსაბჭო; ECHR, 1999, პუნქტი 19.

ნაწილი 4: მინიმალური გარანტიები და უფლებები წინასასამართლო ეტაპზე: შემაჯამებელი ასპექტები

- ყველა მინიმალური გარანტია ნათლად და სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული კანონმდებლობით, ბავშვის უფლებათა კონვენციასა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებთან რაც შეიძლება მეტად მიახლოებული ენის გამოყენებით.
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მუხლს ან თავს, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ ბავშვი, რომელმაც სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული ან ბრალი ედება მის ჩადენაში, უნდა ჩაითვალოს უდანაშაულოდ მანამ, სანამ არ დამტკიცდება დანაშაულის ჩადენა.
- კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერ დაკავებულ ბავშვს დაკავებისას უნდა მიენოდოს ინფორმაცია მისი დაკავების მიზეზის შესახებ.
- კანონმდებლობით უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ შესაბამისი ორგანოები (პოლიცია, პროკურატურა და მოსამართლე) ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ ბავშვმა, მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა გაიგო ბავშვის მიმართ წაყენებული თოთოეული ბრალდების არსი და მოსალოდნელი შედეგები.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის უფლება, ჰყავდეს თარჯიმანი დაკავების მიზეზების ახსნისას, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა.
- კანონმდებლობა ასევე უნდა ითხოვდეს თარჯიმნებს იმ ბავშვებისთვის, ვინც არ ლაპარაკობს მშობლიურ ენაზე ან აქვს მეტყველების ან ენობრივი დეფექტი.
- კანონმდებლობა ასევე უნდა ითხოვდეს, რომ ქვეყანაში არსებობდეს ბავშვებთან სამუშაოდ კარგად მომზადებული თარჯიმნების ადეკვატური ბაზა.
- კანონმდებლობა გარკვევით უნდა აკისრებდეს მოვალეობას პოლიციას, ფიქსირებული ვადის ფარგლებში მოახდინოს მშობლების ინფორმირება და გადადგას გარკვეული ნაბიჯები ინფორმირების მოვალეობის შესასრულებლად. აღნიშნული ნაბიჯებია:
 - მშობლებს უნდა ეცნობოთ, რომ პოლიციამ წაიყვანა მათი ბავშვი პოლიციაში
 - მიყვანისთანავე;
 - პოლიციამ არ უნდა დაკითხოს ბავშვი, სანამ მშობლებს არ ექნებათ მიცემული გონივრული დრო პოლიციაში მისასვლელად;
 - თუ პოლიცია ვერ დაუკავშირდება მშობელს, მშობელი ვერ დაესწრება დაკითხვას გონივრულ ვადაში ან მშობელი უარს აცხადებს დასწრებაზე, პოლიციამ უნდა სცადოს ნათესავთან ან ოჯახის მეგობართან დაკავშირება. ასეთი პირის დასახელება უნდა სთხოვონ მშობელს ან ბავშვს;
 - თუ ვერ ხერხდება ნათესავთან ან ოჯახის მეგობართან დაკავშირება ან შეუძლებელია აღნიშნული პირის დაკითხვაზე დასწრება, ან იგი უარს აცხადებს, ბავშვი უნდა დაიკითხოს მხოლოდ სათანადო პირის თანდასწრებით, რომელსაც აქვს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.
- კანონმდებლობა ასევე უნდა უნდა აკისრებდეს მოვალეობას პოლიციას, შეიმუშაოს და იქონიოს მხედველობაში პრაქტიკული პროტოკოლი ან პრაქტიკული ქცევის წესები, რომლებიც უნდა შეიცავდეს შემდეგ დეტალებს:
 - როდის უნდა დაურეკონ მშობლებს;
 - რამდენჯერ უნდა დარეკოს პოლიციამ;
 - რა უნდა გაკეთდეს, როდესაც მშობლებს ვერ უკავშირდებიან;
 - რამდენ ხანი ჩაითვლება ლოდინის “გონივრულ” ვადად;
 - რამდენ ხანს შეიძლება ბავშვის დაკავება მის დაკითხვამდე; და
 - როგორ უნდა იქნეს მოძიებული სათანადო პირი და უზრუნველყოფილი მისი დასწრება.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სავარაუდო დანაშაულის თაობაზე ბავშვის დაკითხვა შესაძლებელი იყოს მხოლოდ მშობლის ან სხვა სათანადო უფროსის თანდასწრებით.

- პოლიციელების ან გამომძიებლების ქცევის კოდექსი ან სამოქმედო წესები უნდა მოითხოვდეს, რომ თანამშრომელმა მშობელს ან სხვა სათანადო უფროსს გააცნოს მისი როლი.
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვს:
 - კანონთან კონფლიქტის შემთხვევაში იურიდიული კონსულტაციის ნებისმიერ დროს მიღების უფლებით;
 - იურიდიული წარმომადგენლობის უფლებით იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ითვლება, ბრალდებული ან აღიარებულია დანაშაულის ჩამდენად;
 - საკუთარ ადვოკატთან კონსულტაციების უფლებით დაკითხვამდე და საქმისწარმოების მიმდინარეობისას ნებისმიერ დროს;
 - ადვოკატის დასწრებამდე დაკითხვის გადადების უფლებით;
 - უფასო წარმომადგენლობის უფლებით, თუ ბავშვი ვერ გადაიხდის წარმომადგენლის ჰონორარს;
 - ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული ორგანო, რომელსაც დაეკისრება სამართლებრივი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.
- კანონმდებლობა, პოლიციის /პროკურორის პროტოკოლი ან ამ ორგანოების პრაქტიკული ქცევის წესები უნდა აკისრებდეს მოვალეობას პოლიციას/პროკურორს, დაეხმაროს ბავშვს იურიდიული წარმომადგენლობის მიღებაში, თუ ბავშვი ან მშობელი ვერ იპოვის ადვოკატს ან არ აქვს ადვოკატის ჰონორარის გადახდის შესაძლებლობა. კანონმდებლობა, პროტოკოლი ან საპროცესო კოდექსი უნდა ასახავდეს გარემოებებს და ვადას, რომლის ფარგლებშიც პოლიციამ ან პროკურორმა უნდა შეასრულოს აღნიშნული.
- საჭიროა ადვოკატთა ასოციაციისა და სხვა პროფესიული ორგანოებისთვის მონოდება, რათა მათ მიიღონ მინიმალური სტანდარტები იმ ადვოკატთათვის, ვინც წარმოადგენს ბავშვებს, რათა შესაძლებელი იყოს ბავშვებისათვის ეფექტიანი მომსახურების განევა.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ქალაქური ტიპის დასახლებებში მაინც ბავშვთა საკითხებში სპეციალიზებული პოლიციის სტრუქტურული ერთეულების შექმნა.
- კანონმდებლობა უნდა მოითხოვდეს, რომ ბავშვის დაკითხვის უფლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ პოლიციელებს, ვინც გაიარა ტრენინგი.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვები დაცულნი იყვნენ ზენოლის ქვეშ და უსამართლო დაკითხვისაგან.
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს შეზღუდვებს ბავშვების დაკითხვასთან დაკავშირებით. ეს შეზღუდვები უნდა ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორცაა საათების რაოდენობა, რომელთა განმავლობაში დაიშვება ბავშვის დაკითხვა, შესვენებები, რომლებიც უნდა შესთავაზონ ბავშვს, და დღის მონაკვეთი, როდესაც შესაძლებელია დაკითხვა.
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებას, რომელიც განაცხადებს, რომ ბავშვს აქვს უფლება, არ იყოს იძულებული, მისცეს ჩვენება, ცნოს ან აღიაროს დანაშაული. თუკი დაკითხვა ჩატარდა ზენოლით და მოხდა ბავშვის იძულება, კანონმდებლობით უნდა იყოს დადგენილი, რომ დანაშაულის ცნობა ან აღიარება არ იქნება მიღებული სასამართლოში.
- პოლიციის პროტოკოლი ან პრაქტიკული ქცევის წესები კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის თემაზე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის თობაზე, თუ როგორ უნა ამოიცნოს პოლიციამ ბავშვების უნარშეზღუდულობა დარამოქმედებები უნდა განახორციელოს ასეთ ბავშვებთან დაკავშირებით, სოციალურ სამსახურებთან თანამშრომლობის ჩათვლით.
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვი, რომელიც დააკავეს და იმყოფება პოლიციაში, წარდგეს სასამართლოს წინაშე დაკავებიდან არა უგვიანეს 24 საათისა.
- კანონები ან კანონქვემდებარე აქტები ასევე უნდა შეიცავდეს ვადებს დანაშაულის ჩადენიდან პოლიციის გამოძიების დასრულებამდე, პროკურორის (ან სხვა კომპეტენტური მოხელის) მიერ ბავშვის მიმართ ბრალდების წაყენების გადანყვეტილებისა და სასამართლოს მიერ საბოლოო განხილვისა და გადანყვეტილების მიღებამდე.

5. სასამართლო პროცესის ალტერნატივები: განრიდება

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს სახელმწიფოებისაგან ისეთი პროცედურების შემუშავებას, რომლებიც საშუალებას იძლევა, ბავშვების საქმეები განხილული და მოგვარებული იქნეს სასამართლო საქმისწარმოებისათვის ან სასამართლო პროცესისათვის მიმართვის გარეშე (“განრიდება”), როდესაც ეს შესაფერისი და სასურველია, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით.¹²⁹ იმ ბავშვების მიმართ რეაგირებისათვის, ვინც ჩაიდინა დანაშაული, სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ “საფეხურებრივი” სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს რეაგირების ყოველგვარი ზომების მიუღებლობას, ბავშვების გაფრთხილებას, განრიდებას სასამართლო პროცესამდე და, უკიდურესი ზომის სახით, სასამართლო განხილვას.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, კანონი უნდა შეიცავდეს სპეციალურ დებულებებს, რომლებშიც მითითებული იქნება, რა შემთხვევებშია განრიდება დასაშვები, და არეგულირებდეს ამ მიმართულებით პოლიციის, პროკურატურის და/ან სხვა შესაბამისი უწყებების გადანაცვლებების მიღების უფლებამოსილებას, კერძოდ, დისკრიმინაციისაგან ბავშვის დაცვის მიზნით.¹³⁰

5.1. არავითარი ჩარევა

იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არ არის მძიმე და თუ სათანადო და კონსტრუქციული რეაგირება უკვე მოახდინა ან სავარაუდოდ მოახდენს ოჯახი, სკოლა თუ საზოგადოებრივი კონტროლის სხვა არაფორმალური ინსტიტუტი,¹³¹ ტოკიოს წესების¹³² წესი 5(1) საგანგებოდ განსაზღვრავს: “სადაც შესაფერისია და შეთავსებადია სამართლებრივ სისტემასთან, პოლიციას, პროკურატურას ან სხვა უწყებებს, რომელთა საქმიანობა ეხება სისხლის სამართლის საქმეებს, უნდა მიეცეთ უფლება, დამნაშავეს მოუხსნან ბრალი (შენწყვიტონ საქმის წარმოება), თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციის, კანონის პატივისცემისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისათვის არ არის აუცილებელი საქმისწარმოების გაგრძელება”.

5.2. წინასწარ გაფრთხილება

უნდა არსებობდეს “წინასწარ გაფრთხილების“ ფორმალური თუ არაფორმალური სისტემა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ იმ ბავშვების უმეტესობამ, რომლებსაც მიღებული აქვთ გაფრთხილება კრიმინალური ქცევის თაობაზე, კვლავ ჩაიდინოს დანაშაული.

საილუსტრაციო მასალა 22: პოლიციის უფლებამოსილება ოფიციალური გაფრთხილების მიცემაზე

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ 2002 წლის კანონის მიხედვით, პოლიცია კანადაში: “სასამართლოში საქმისწარმოების დაწყებამდე ან წინამდებარე აქტით გათვალისწინებული რაიმე სხვა ზომების მიღებამდე იმ ახალგაზრდა პირის წინააღმდეგ, რომელმაც, როგორც ითვლება, ჩაიდინა დანაშაული, განიხილავს, საკმარისი იქნება თუ არა მეოთხე თავში მოცემული პრინციპების გამოყენება: შემდგომი უმოქმედობა, ახალგაზრდის გაფრთხილება [ან] ოფიციალური გაფრთხილების მიცემა, თუკი პროგრამა დამკვიდრებულია [პროკურატურის მიერ]“

¹²⁹ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი; იხ., აგრეთვე, პეკინის წესების მე-6 და მე-11 წესები.

¹³⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 27.

¹³¹ პეკინის წესების წესი 11, კომენტარი.

¹³² ტოკიოს წესები.

იმისათვის, რომ ინგლისში და უელსში ახალგაზრდა დამნაშავეები აარიდონ ახალგაზრდული მართლმსაჯულების სისტემას და უზრუნველყონ მათი მხარდაჭერა დანაშაულებრივი ქმედებების შეწყვეტის მიზნით, პოლიცია უფლებამოსილია, გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები სასამართლო საქმის წარმოებამდე, როგორცაა “გაკიცხვა” და “ბოლო გაფრთხილება”. პოლიციამ შეიძლება დაანესოს ამ ზომების გამოყენება, თუ:

“(ა) კონსტებლს აქვს მტკიცებულება, რომ ბავშვმა ან ახალგაზრდა პირმა (“დამნაშავემ”) ჩაიდინა დანაშაული;

(ბ) კონსტებლი მიიჩნევს, რომ, მტკიცებულებების მიხედვით, თუ დამნაშავეს წინააღმდეგ დაიწყება სამართლებრივი დევნა დანაშაულთან დაკავშირებით, იარსებებს რეალური პერსპექტივა მისი მსჯავრდებისა;

(გ) დამნაშავე კონსტებლთან აღიარებს დანაშაულის ჩადენას;

(დ) დამნაშავე ადრე არ იყო ნასამართლვე დანაშაულის ჩადენის გამო; და

(ე) კონსტებლი დარწმუნებულია იმაში, რომ დამნაშავეს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არ შეესაბამება საჯარო ინტერესებს.

საყვედური არის ზეპირი გაფრთხილება, რომელიც შეიძლება მიეცეს მცირე დარღვევისათვის და იმ შემთხვევებში, როდესაც ახალგაზრდას ადრე არ ჰქონია გაფრთხილება. ბოლო გაფრთხილება გამიზნულია უფრო მძიმე დანაშაულების ჩადენისათვის ან ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ახალგაზრდა პირს საყვედური უკვე მიღებული აქვს. ბოლო გაფრთხილების დაკისრება იწვევს ახალგაზრდის გაგზავნას ახალგაზრდული დანაშაულებრიობის ჯგუფში (უწყებათაშორისი ორგანო, რომელიც შექმნილია ადგილობრივ დონეზე არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებების დასაძლევად), რომელიც შეაფასებს ახალგაზრდას და შეიმუშავებს პროგრამებსა და ინტერვენციის ხერხებს შემდგომი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

5.3. მზრუნველობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროცედურების გამოყენება

ზოგიერთი სახელმწიფო არასრულწლოვანთა დანაშაულზე რეაგირებისათვის იყენებს მზრუნველობას. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ჩაიდენს დანაშაულს, სასამართლოს ან სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს შეუძლია დაატოვებინოს ბავშვს მისი მშობლები და მზრუნველობისათვის გადასცეს სხვა პირს ან დაწესებულებას. ასეთი პირი შეიძლება იყოს ოჯახის წევრი ან მინდობით აღმზრდელი, თუმცა ასევე შესაძლებელია ბავშვის მოთავსება ბავშვთა სახლში. ეს განთავსება შეიძლება გაგრძელდეს განსაზღვრული დროის მანძილზე, მაგრამ ხშირად ხდება მანამ, სანამ ბავშვი მიაღწევს სრულწლოვანებას ან დაასრულებს სავალდებულო სასკოლო განათლების მიღებას და, შესაბამისად, შეიძლება შეადგენდეს ბავშვის ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდს. აუცილებელია, რომ როდესაც სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს ენიჭება უფლებამოსილება, დაატოვებინოს ბავშვს ოჯახი, კანონმდებლობაში ცხადად იყოს მითითებული კონვენციაში გათვალისწინებული ყველა საპროცესო გარანტიის შესრულების ვალდებულება, განსაკუთრებით კი იმ მოთხოვნისა, რომ ბავშვი იყოს კანონიერად წარმოდგენილი და რომ დახურულ დაწესებულებაში განთავსება იყოს მხოლოდ უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ბავშვის წინააღმდეგ გარკვეული ზომების დაწესების უფლება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს მხოლოდ მაშინ ეძლევა, თუ დადასტურდა, რომ ბავშვმა ნამდვილად ჩაიდინა სავარაუდო დანაშაული. ამისათვის სოციალური უზრუნველყოფის ორგანომ მტკიცების იგივე სტანდარტები უნდა გამოიყენოს, რომლებიც გამოიყენება სისხლის სამართლის სასამართლოში.

ბავშვის მოცილება ოჯახიდან მხოლოდ მაშინ დაიშვება, თუ ამის გაკეთება აუცილებელია ბავშვის ან სხვა ადამიანების დასაცავად სერიოზული ზიანისაგან და ეს გამომდინარეობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან. უბრალოდ წარუმატებლობა ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების საკითხში ზოგადად არ არის საკმარისი ბავშვის ოჯახიდან მოსაცილებლად დაწესებული ზღვრის გადასალახად. არც ის ფაქტია საკმარისი, რომ ბავშვმა დანაშაული ჩაიდინა.

სახელმწიფოებმა, რომლებიც იყენებენ განკარგულებებს მზრუნველობის თაობაზე, უნდა განიხილონ ბავშვის სახლში, მშობლების მზრუნველობის ქვეშ დატოვების საკითხი, მაგრამ, ამასთანავე, დაანესონ პირობები მშობლებისა და ბავშვის დასახმარებლად, მაგალითად, მოსთხოვონ მშობლებს სოციალურ მუშაკებთან ერთად მუშაობა ქცევის მართვის მიზნით.

5.4. განრიდება სასამართლომდე: სამართლებრივი გარანტიები

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დანაშაულებრივი ქმედება ისეთია, რომ “არავითარი ჩარევა” ან ოფიციალური თუ არაოფიციალური გაფრთხილება არ იქნება სათანადო რეაგირება, კანონმდებლობა უნდა აკისრებდეს პოლიციას, პროკურორს ან მოსამართლეს ვალდებულებას, განიხილონ ბავშვის განრიდების ღონისძიებები დანაშაულებრივ ქცევაზე რეაგირების მიზნით, ნაცვლად სამართლებრივი დევნის, ბრალდების ან სასამართლო საქმისწარმოების გაგრძელებისა.

ბავშვის განრიდება არ ნიშნავს მისი დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. უფრო მეტიც, ის საშუალებას იძლევა, გადაიდგას ნაბიჯები ბავშვის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ბავშვის ქცევის ძირითად მიზეზებთან დაპირისპირებისთვის შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან ასაცილებლად. ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, განრიდების ზომებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ზრუნვა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის განკარგულებები, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, მინდობით აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და ზრუნვის ისეთი ფორმები, რომლებიც დანესებულებებში ზრუნვას შეიძლება შეენაცვლოს.¹³³ ზომები ხშირად მოიცავს სოციალური უზრუნველყოფის ან საზოგადოებაში რეინტეგრაციის სერვისებს და აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებს. პროექტები და პროგრამები ხშირად იმართება არსამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი სექტორის და თემის ჯგუფების, ისევე, როგორც ეროვნული და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიერ.

კანონმდებლობამ უნდა დაუშვას განრიდება ოფიციალური სასამართლო პროცესის დაწყებამდე ნებისმიერ მომენტში. იმისათვის, რომ განრიდება შედეგიანი აღმოჩნდეს, პოლიციას, პროკურატურას და სხვა ორგანოებს (სასამართლოს ჩათვლით), რომელნიც აწარმოებენ არასრულწლოვანთა საქმეებს, უნდა მიენიჭოთ უფლებამოსილება, მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი შეხედულებისამებრ საქმის სასამართლოში ოფიციალური მოსმენის გარეშე¹³⁴. ამდენად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც მიუთითებს, რა შემთხვევაშია განრიდება შესაძლებელი.¹³⁵ კანონმდებლობა ასევე უნდა განსაზღვრავდეს, რომ განრიდება არ უნდა ვრცელდებოდეს მხოლოდ მსუბუქი დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანებზე¹³⁶ ან მხოლოდ მათზე, ვინც პირველად ჩაიდინა დანაშაული.¹³⁷ ამის ნაცვლად, განრიდება ფართოდ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვებთან დაკავშირებულ საქმეებში. კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს ორგანოები, რომლებსაც შეეძლებათ გადაწყვიტონ განრიდების საკითხი, ასევე ამ გადაწყვეტილებების გადასინჯვისა და რეგულირების წესი.¹³⁸

აღამიანის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების შენარჩუნების მიზნით კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ:

ა) განრიდების ზომების გამოყენება დაიშვებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ ბავშვმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული და ძალდაუტანებლად აღიარა თავისი პასუხისმგებლობა.¹³⁹ არ არის საკმარისი, რომ განრიდების საკითხის გადაწყვეტისას შესაბამის უწყებებსა და სააგენტოებს მხოლოდ ეჭვი ჰქონდეთ, რომ ბავშვმა ჩაიდინა დანაშაული.

¹³³ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი.

¹³⁴ პეინის წესების წესი 11.2.

¹³⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 27.

¹³⁶ პეინის წესების წესი 11, კომენტარი.

¹³⁷ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 25.

¹³⁸ იქვე. პუნქტი 27.

¹³⁹ იქვე.

ბ) როდესაც ბავშვი აღიარებს დანაშაულის ჩადენას და მას სთავაზობენ განრიდების ზომის გამოყენებას, ეს არ უნდა იყოს გამოყენებული ბავშვის წინააღმდეგ ნებისმიერი შემდგომი სამართლებრივი საქმისწარმოებისას.¹⁴⁰

გ) ბავშვი განრიდების ზომის გამოყენებას უნდა დათანხმდეს ძალდაუტანებლად, ნებაყოფლობით და წერილობით.¹⁴¹

დ) განრიდებაზე თანხმობის მიცემამდე ბავშვს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარება, რათა განიხილოს შეთავაზებული განრიდების მიზანშეწონილობა და სასურველობა.¹⁴²

ე) თუ ბავშვი ვერ შეასრულებს მის მიმართ გამოყენებული განრიდების ზომას, ამან შეიძლება ლეგიტიმურად გამოიწვიოს ხელისუფლების მიერ მისი საქმის გადასინჯვა, მაგრამ ბავშვის მიერ განრიდების წარმატებით დასრულება გამოიწვევს საქმის საბოლოოდ დახურვას.¹⁴³

საილუსტრაციო მასალა 23: სამართლებრივი გარანტიები განრიდებისას

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ 2002 წლის კანონის ერთ-ერთი მიზანი იყო კანადაში ახალგაზრდების მიმართ სასამართლო საქმისწარმოების შემცირება განრიდების ზომების გამოყენებით. კანონი პოლიციას აკისრებს ვალდებულებას, განიხილოს განრიდების გამოყენების შესაძლებლობა (არასასამართლო სანქციები) ყველა შემთხვევაში და ითვალისწინებს სამართლებრივ გარანტიებს, რომლებიც უნდა იყოს დაცული ამ ზომების გამოყენებისას.

(1) არასასამართლო სანქცია შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ იმ ახალგაზრდასთან დაკავშირებით, ვინც სავარაუდოდ ჩაიდინა დანაშაული, არ არის საკმარისი გაფრთხილების თუ რეფერალის გამოყენება [...] დანაშაულის სიმძიმის, ხასიათის და ადრე ჩადენილი დანაშაულების რაოდენობის ან სხვა დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით.

(2) არასასამართლო სანქცია შეიძლება გამოყენებული იქნეს, თუ:

(ა) იგი არის სანქციების პროგრამის ნაწილი, რომელიც შეიძლება დაშვებული იყოს გენერალური პროკურორის ან უფლებამოსილი პირის მიერ, ან იმ პირთა ჯგუფის წევრის მიერ, ვინც დანიშნულია გუბერნატორ-ლეიტენანტის მიერ პროვინციის საბჭოში;

(ბ) პირი, რომელიც განიხილავს არასასამართლო სანქციის გამოყენებას, დარწმუნებულია იმაში, რომ მისი გამოყენება მიზანშეწონილია ახალგაზრდა პირის საჭიროებების და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით;

(გ) ახალგაზრდა ადამიანი ინფორმირებულია არასასამართლო სანქციის შესახებ, სრულად და ნებაყოფლობით ეთანხმება, დაექვემდებაროს მას;

(დ) ახალგაზრდა ადამიანს, მის მიმართ არასასამართლო სანქციის გამოყენებაზე თანხმობამდე, მიაწოდებს ინფორმაცია მისი უფლების შესახებ, წარმოდგენილი ყოფილიყო ადვოკატის მიერ და მისცეს გონივრული შესაძლებლობა, კონსულტაციები გაეწეოთ ადვოკატთან;

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ იქვე.

¹⁴² იქვე.

¹⁴³ ბავშვის უფლებათა კომიტეტის N10 ზოგადი კომენტარის, პუნქტი 27 აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება განრიდებასთან დაკავშირებით არსებობდეს კონფიდენციალური ჩანაწერები ადმინისტრაციული თუ განხილვის მიზნით, ისინი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც კრიმინალური "ჩანაწერები" და ბავშვი, რომელიც იყო განრიდებული, არ უნდა ჩაითვალოს ნასამართლეობის მქონედ. თუ ამასთან დაკავშირებით ხდება რაიმე სახის რეგისტრაცია, ინფორმაცია უნდა გაიცეს მხოლოდ და მხოლოდ ექსკლუზიურად და შეზღუდული დროის განმავლობაში, მაგალითად, მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში, იმ კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილი პირებისთვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან, აწარმოონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების განრიდება.

- (ე) ახალგაზრდა პირი იღებს პასუხისმგებლობას იმ ქმედებასა თუ უმოქმედობაზე, რომელიც საფუძვლად უდევს მის მიერ სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულს;
 - (ვ) გენერალური პროკურორის აზრით, არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დანაშაულისათვის სამართლებრივი დევნის გასაგრძელებლად; და
 - (გ) დანაშაულის სამართლებრივი დევნა სხვა მხრივაც არ არის შეზღუდული კანონით.
 - (3) არასასამართლო სანქციის გამოყენება არ შეიძლება იმ ახალგაზრდა ადამიანის მიმართ, რომელიც:
 - (ა) უარყოფს დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას ან ჩართულობას; ან
 - (ბ) გამოხატავს სურვილს, მისი ბრალდება განიხილოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სასამართლომ.
 - (4) ნებისმიერი აღიარება თუ განცხადება მოცემულ ქმედებაზე თუ უმოქმედობაზე პასუხისმგებლობის აღების თაობაზე, რომელიც გააკეთა ახალგაზრდამ არასასამართლო ღონისძიებების გამოყენების პირობის სახით, დაუშვებელია, გამოყენებული იქნეს მტკიცებულებად ახალგაზრდის წინააღმდეგ სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში.
- არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესახებ კანადის კანონი, 2002 წ. ნაწილი 10.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს გარანტიები, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს იძულების და დაშინების შესაძლებლობა: ბავშვები არ უნდა გრძნობდნენ ზენოლას განრიდების პროგრამაზე თანხმობის მიცემისას.¹⁴⁴ თანხმობის მიცემამდე ბავშვს უნდა მიეწოდოს “ადეკვატური და კონკრეტული ინფორმაცია აღნიშნული ზომის არსის, შინაარსისა და ხანგრძლივობის შესახებ, ასევე, ამ ზომის განხორციელებისას თანამშრომლობის, განრიდების ზომის შესრულების ან წარუმატებლად დასრულების შედეგების შესახებ”¹⁴⁵. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ იმის შესაძლებლობაც, რომ ბავშვის მშობლებს ან კანონიერ წარმომადგენლებს მოეთხოვებოდეთ განრიდებაზე თანხმობის მიცემა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვი 16 წლამდე ასაკისაა.¹⁴⁶ გარდა ამისა, ბავშვებს უნდა მიეცეთ საშუალება, გამოხატონ თავიანთი (ალტერნატიული) მოსაზრებები იმ ზომების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაეკისროს მათ, და მათ სურვილს უნდა დაეთმოს სათანადო ყურადღება.¹⁴⁷

5.5. ვის შეუძლია განრიდება?

5.5.1 პოლიციის მიერ განრიდება

ბევრ სახელმწიფოში პოლიციას ენიჭება უფლებამოსილება, განარიდოს ბავშვები ნაცვლად საქმის პროკურატურაში გადაგზავნისა. განრიდება ამ ეტაპზე ძალზე სასურველია, ვინაიდან ამის შედეგად იზღუდება ბავშვის კონტაქტი მართლმსაჯულების სისტემასთან და ხშირად ეს საკმარისია ბავშვის დანაშაულებრივი ქცევის დასრულებისათვის. საჭიროა ქვეყნებისთვის მონოდება, რომ მათ პოლიციას მინიჭონ იურიდიული უფლებამოსილება, გაფრთხილების ან განრიდების გამოყენებით ბავშვი ჩასვას შესაბამის პროგრამაში. როდესაც კანონმდებლობა ანიჭებს პოლიციას ამ უფლებამოსილებას, მან ასევე უნდა დააკისროს პოლიციას მოვალეობა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განიხილოს არასასამართლო სანქციების გამოყენების შესაძლებლობა. უნდა შეიმუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები, რათა დარეგულირდეს პოლიციის დისკრეციის განხორციელების პირობები.

¹⁴⁴ პეკინის წესების წესი 11.3 კომენტარი.
¹⁴⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარის N10, პუნქტი 27.
¹⁴⁶ იქვე.
¹⁴⁷ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10, პუნქტი 45 (ეხება ბავშვის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, რომელიც გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით).

5.5.2 პროკურორის მიერ განრიდება

კანონმდებლობა არ უნდა მოითხოვდეს იმ ბავშვების სავალდებულო სისხლისსამართლებრივ დევნას, რომლებმაც, როგორც ითვლება, ჩაიდინეს დანაშაული, ბრალად ედებათ ან აღიარებენ მის ჩადენას. ნებისმიერი ასეთი დებულება ამოღებული უნდა იქნეს კანონიდან. ნაცვლად ამისა, კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც პროკურორებს მიანიჭებს დისკრეციულ უფლებამოსილებას, შეაჩერონ ან არ დაიწყონ სისხლისსამართლებრივი დევნა ბავშვების წინააღმდეგ, მაშინაც კი, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მსჯავრდებისათვის (ცნობილია როგორც დისკრეციული დევნის პრინციპი). შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ბავშვის ასაკი, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და სამართლებრივი დევნის შესაბამისობა საჯარო ინტერესებთან. ზოგიერთ ქვეყანაში პროკურორებს აქვთ უფლება, დააკისრონ ბავშვებს გარკვეული ზომები დევნის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში. ეს ზომები, როგორც წესი, ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, მხარეთა შერიგების პროცედურას და სარეაბილიტაციო პროგრამაში მონაწილეობის ვალდებულებას. უნდა შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები ამ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პირობების დარეგულირების მიზნით.

საილუსტრაციო მასალა 24: პოლიციის განრიდების პროგრამები

ახალ ზელანდიაში 1968 წლიდან პოლიციის ეგიდით განხორციელებულმა ახალგაზრდობის მხარდაჭერის პოლიციის პროგრამამ შეცვალა დისკრეცია განრიდებასთან დაკავშირებით. პოლიციას დაეკისრა ვალდებულება, “განიხილოს, საკმარისია თუ არა ბავშვის ან ახალგაზრდა პირის გაფრთხილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაფრთხილება ამკარად შეუსაბამოა დანაშაულის სიმძიმის და ხასიათის და ბავშვის ან ახალგაზრდა პირის მიერ წინათ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობის გათვალისწინებით.” უშუალოდ ახალგაზრდებთან მომუშავე პოლიციის თანამშრომლებს შეუძლიათ ადგილზე ან პოლიციაში მოყვანისთანავე მისცენ ახალგაზრდებს გაფრთხილება წვრილმანი დანაშაულებისთვის. უფრო მძიმე შემთხვევებით უნდა მოხდეს მიმართვა ახალგაზრდების დახმარების ოფიცრისადმი, რომელიც სპეციალიზებულია ახალგაზრდებთან და მათ ოჯახებთან მუშაობაში. უმაღლესი სასამართლოს კომპეტენციაში შედის ახალგაზრდების საქმეები, რომელთაც ბრალად ედებათ მკვლელობაში ან გაუფრთხილებლობით მკვლელობაში. 17 წლის და უფროსი ასაკის იმ პირების საქმეები, რომლებმაც, როგორც ითვლება ჩაიდინეს დანაშაული, განიხილება სრულწლოვანთა სასამართლოში. პოლიცია აწარმოებს განრიდების ჩანაწერებს და ახალგაზრდა პირს არ რჩება ნასამართლობა.

ბავშვთან, ოჯახთან და მსხვერპლთან კონსულტაციით ახალგაზრდების დახმარების ოფიცერი შეიმუშავებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას ისე, რომ ახალგაზრდას ჰქონდეს შესაძლებლობა, “გამოასწოროს” მიყენებული ზიანი და არ დაუშვას მისი გამეორება. განრიდების ზომები შეიძლება მოიცავდეს: ზეპირ ან წერილობით ბოდიშს დაზარალებულისთვის; რემონტს ან მოპარული თუ დაზიანებული საქონლის ანაზღაურებას; მუშაობას დაზარალებულის სასარგებლოდ ან საზოგადოებრივი ჯგუფისათვის; საქველმოქმედო შემონირობას; შინიდან დადგენილი საათის შემდეგ გასვლის აკრძალვას; თანამონაწილეებთან ან “ცუდი გავლენის” სხვა წყაროსთან დაკავშირების შეზღუდვას; კონსულტაციას დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების გასარკვევად; სხვადასხვა საქმიანობაში ჩართვას ან ინტერესების სფეროს გაფართოებას; ესეც დაწერას იმის საჩვენებლად, რომ დამნაშავე მიხვდა, რომ ცუდი რამ ჩაიდინა.

პოლიციას ნიდერლანდებში აქვს დისკრეცია, შესთავაზოს ბავშვებს, რომლებმაც ჩაიდინეს ვანდალიზმი, ქონების დაზიანება, წვრილმანი ქურდობა ან ანტისოციალური ქმედება, მონაწილეობა მიიღონ პროგრამაში, რომელსაც უძღვება ბიურო HALT (HerALTernatief, ან “ალტერნატიული” ჰოლანდიურად), ნაცვლად მათთვის დანაშაულის ჩადენის გამო ბრალის წაყენებისა. პოლიციას აღნიშნულ პროგრამაში ახალგაზრდის მიმართვა შეუძლია, თუ: ეჭვმიტანილი 12-დან 18 წლამდეა, დანაშაული ხვდება HALT-ის კრიტერიუმებში, რომლებიც ადგენს ქურდობის ან მიყენებული ზიანის მაქსიმალურ ოდენობას, და ეჭვმიტანილი აღიარებს დანაშაულს. HALT-ის ბიუროების თითქმის ორ მესამედს ადგილობრივი ხელისუფლება მართავს, ერთი მეხუთედი იმართება დამოუკიდებელი

ორგანიზაციების მიერ, ხოლო დარჩენილი ერთი მეხუთედი - სხვა ადგილობრივი საჯარო სექტორის თუ დამოუკიდებელი ორგანიზაციების მიერ. ეს პროგრამა წარმოადგენს კარგი პრაქტიკული გამოცდილების მაგალითს.

პროგრამაში ბავშვებს აძლევენ წერილობით შეთავაზებას და შეახსენებენ, რომ მონაწილეობა არ არის აუცილებელი. ბავშვმა უნდა განაცხადოს თანხმობა მისი საქმის HALT-ის ბიუროებისთვის გადაცემაზე, ხოლო თუ ბავშვი 16 წლამდე ასაკისაა, საჭიროა მისი მშობლების თანხმობაც. საწყის მიმართვაზე თანხმობის გარდა, ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, აირჩიოს, დასთანხმდება თუ არა კონკრეტულ პროგრამას, რომელსაც HALT-ის ბიურო მისთვის შეიმუშავებს. ეს პროგრამა შეიძლება შეიცავდეს ზოგადად მუშაობას ან მუშაობას ზიანის ასანაზღაურებლად, ანდა ამ ორის კომბინაციას მაქსიმუმ 20 საათის განმავლობაში. თუ ბავშვი არ იძლევა თანხმობას ან არ ასრულებს პროგრამას, პოლიცია განაგრძობს მისი საქმის ჩვეულებრივად წარმოებას. თუ ბავშვი პროგრამაში წარმატებით მონაწილეობს, პოლიცია წყეტს სამისწარმოებას და ბავშვი არ ჩაითვლება კრიმინალური წარსულის მქონედ.

2006 წლის კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამა ყველაზე უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა დანაშაულის პირველად ჩამდენი პირების შემთხვევაში, რომლებსაც არ ჰქონდათ კომპლექსური პრობლემები და ზოგადად არ ავლენდნენ უარყოფით ქცევას. მათ შემთხვევაში პოლიციის მიერ აყვანის და მსხვერპლისათვის ბოდიშის მოხდის პროცესს, ასევე სასწავლო დავალებების შესრულებას ჰქონდა დადებითი გავლენა რეციდივიზმის აღბათობაზე. თუმცა უფრო კომპლექსური პრობლემების მქონე ახალგაზრდებში პროგრამაში მონაწილეობას მცირე დადებითი გავლენა ჰქონდა ან საერთოდ არ ჰქონია გავლენა ხელახალი დანაშაულის შემცირებაზე. გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამაში უნდა დაინერგოს ინტენსიური მხარდაჭერა, ბოდიშის მოხდასთან, სწავლასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომასთან ერთად, სპეციალურად ამ ჯგუფის ახალგაზრდებისთვის.

2004 წლიდან ტაჯიკეთის მთავრობა ამოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ალტერნატიულ პროექტებს (JJAP), მოდელს, რომელიც შეიმუშავა ბავშვთა სამართლებრივმა ცენტრმა (გაერთიანებული სამეფო) და "იუნისეფის" ტაჯიკეთის ოფისმა და რომელიც წარმოადგენს ოჯახზე ორიენტირებულ განრიდების სქემას დანაშაულის ჩამდენი 10-დან 18 წლამდე პირებისათვის. ადგილობრივი საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომლები ხუთ პილოტურ რეგიონში მუშაობენ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან დანაშაულის მიზეზების აღმოფხვრის და ბავშვების პრაქტიკული, საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით. ეს გულისხმობს ბავშვის მოსმენას და ბავშვის ოჯახური ცხოვრების გამოცდილების გაცნობას, ბავშვის მიერ იმის გათვითცნობიერებას, თუ რატომ მიიღეს მონაწილეობა დანაშაულებრივ ქმედებაში; ოჯახთან მუშაობას, რომელსაც ხშირად მარტოხელა დედა ან მხოლოდ ბებია ან ბაბუა უძღვება; ოჯახური ჯგუფის კონფერენციების ჩატარებას; ბავშვისათვის განათლების მიღების უზრუნველყოფას, რათა მას თანატოლების შესაბამისი დონე ჰქონდეს; და პირისპირ დარიგებას, ყურადღების გამოჩენას და ისეთ აქტივობებში ჩართვას, როგორცაა სპორტი, ხელოვნება, ხალხური რენვა და დრამა. არსებობს ადვოკატი, რომელიც წარმოადგენს ბავშვს ნებისმიერ საქმისწარმოებაში, მოუხსნის გარკვეული დოკუმენტების არარსებობის პრობლემას (მაგ. დაბადების მონაწილეობა), აწარმოებს მოლაპარაკებას სკოლაში შესასვლელად და უზრუნველყოფს, რომ ბავშვმა და ოჯახმა მიიღონ ყველა სახის ხელმისაწვდომი სარგებლობა. 2008 წლის შეფასებაში საგანგებოდ აღინიშნა ამ კომპლექსური მიდგომის ეფექტიანობა. პროექტში ჩართული 250 ბავშვიდან, როგორც ცნობილია, მხოლოდ 6-მა ჩაიდინა ხელახლა დანაშაული დაახლოებით ოთხი წლის განმავლობაში. ბავშვებმა, მათმა ოჯახებმა და ორგანოებმა, რომლებმაც ბავშვები პროექტში მიმართეს, დიდი კმაყოფილება გამოთქვეს. ბავშვებს შეიძლება განრიდების ზომები დააკისროს პოლიციამ, პროკურორმა ან სასამართლომ, როგორც ალტერნატიული სასჯელი.

*წყაროები იხ. თავის ბოლოს

საილუსტრაციო მასალა 25: სახელმძღვანელო პრინციპები პროკურორების როლთან დაკავშირებით

საერთაშორისო რეკომენდაციები ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა პროკურორებს უნდა მიანიჭონ დისკრეციული უფლებამოსილება, შეწყვიტონ საქმისწარმოება და გამოიყენონ განრიდების ზომები. “ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პროკურორებმა სათანადოდ უნდა განიხილონ სამართლებრივი დევნაზე უარის თქმის, საქმის წარმოების პირობითად ან უპირობოდ შეწყვეტის საკითხი ან სისხლის სამართლის საქმეების განრიდება ოფიციალური მართლმსაჯულების სისტემიდან ეჭვმიტანილის (ების) და მსხვერპლის უფლებების სრული დაცვით. ამ მიზნით სახელმწიფოებმა სრულად უნდა შეისწავლონ განრიდების პროგრამები არა მხოლოდ სასამართლოს გადაჭარბებული ტვირთის შემსუბუქების, არამედ წინასწარი პატიმრობის, საბრალდებო დასკვნის და გამამტყუნებელი განაჩენების შედეგად სტიგმატიზაციის, ასევე თავისუფლების აღკვეთის შესაძლო უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით. “

“იმ ქვეყნებში, სადაც პროკურორებს მინიჭებული აქვთ დისკრეციული ფუნქციები არასრულწლოვან დამნაშავეთა წინააღმდეგ დევნის დაწყების ან არდაწყების გადაწყვეტასთან დაკავშირებით, საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, საზოგადოებისა და პიროვნების დაცვას და არასრულწლოვანის მიერ დანაშაულის ჩადენის მიზეზებს. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორები ვალდებული არიან, განსაკუთრებით დიდი ყურადღებით განიხილონ დევნის შესაძლებელი ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობისა და პროცედურების შესაბამისად. პროკურორებმა ყოველივე უნდა იღონონ იმისათვის, რომ დევნა არასრულწლოვანთა წინააღმდეგ გამოიყენონ მხოლოდ განსაკუთრებით აუცილებელ შემთხვევებში.”

წყარო: ძირითადი პრინციპები იურისტთა (ადვოკატთა) როლის შესახებ, 7 სექტემბერი, 1990 წ., მიღებული დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ გაეროს მერვე კონგრესის მიერ, ჰავანა, კუბა, 27 აგვისტო - 7 სექტემბერი, 1990წ, გაეროს დოკ. A/CONF.144/28/Rev.1, პუნქტები 18, 19.

5.5.3 განრიდება სასამართლოს მიერ

ზოგიერთ ქვეყანაში მოსამართლეებს ენიჭებათ დისკრეციული უფლებამოსილება, განარიდონ ბავშვი მთავარი სასამართლო პროცესის დაწყებამდე, როგორც წესი, მოსამზადებელ სხდომაზე.

საილუსტრაციო მასალა 26: განრიდების კომპლექსური პროგრამა

განრიდება კომპლექსური ფორმით ფილიპინების კანონმდებლობაში 2006 წელს დაინერგა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ კანონის მე-5 (I) ნაწილი უზრუნველყოფს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ყველა ბავშვს აქვს, “უფლება, იყოს განრიდებული, თუ იგი შეესაბამება განრიდებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და ნებაყოფლობით გამოიყენებს ამ შესაძლებლობას”.

“განრიდება შეიძლება გამოყენებული იქნეს კატარუნგანგ პამბარანგაიში (Katarungang Pambarangay) საზოგადოებრივ დონეზე ... , პოლიციის გამოძიების, მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ეტაპებზე და საქმის წარმოების ყველა დონეზე და ყველა ფაზის განმავლობაში [აქცენტი დამატებულია], მათ შორის სასამართლო დონეზე “(ნან. 24). შესაბამისად, აქტი საშუალებას აძლევს ადგილობრივ მოსახლეობას, პირველ რიგში კონფერენციების, მედიაციის ან მორიგების საშუალებით თავად სცადონ საქმის მოგვარება ისეთ შემთხვევებში, სადაც დანაშაული სხვა ადამიანის მიმართ არის ჩადენილი და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვს წელზე ნაკლები ვადით (ნან. 25).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის შესახებ კანონი ითვალისწინებს წესებს, რომლებზე დაყრდნობით უნდა წარიმართოს განრიდების პროცესი: “უფლებამოსილია პირმა/ორგანომ, რომელიც უძღვება განრიდებას, უნდა:

- (1) აუხსნას ბავშვსა და მის ოჯახს განრიდების პროცესის მიზანი, განრიდების მნიშვნელობა და განრიდების გაუვლელობის შედეგები.
 - (2) დაუსვას ბავშვს კითხვები დანაშაულის ჩადენის გარემოებებზე, დანაშაულის მოტივზე ან მიზანზე და იმ ფაქტორებზე, რომლებმაც განაპირობეს ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენა.
 - (3) დაუსვას ბავშვს კითხვები მის პირად გარემოებებზე, მათ შორის მის მშობლებსა და ოჯახზე, მის თანატოლებზე და საგანმანათლებლო სტატუსზე.
 - (4) განუმარტოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს მისი ქმედების შედეგები და შესაბამისი პასუხისმგებლობა.
 - (5) დარწმუნდეს, რომ ბავშვს ესმის და აცნობიერებს თავის ანგარიშვალდებულებას, ნანობს თავის ქმედებას და იღებს პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანის გამოსწორებაზე საქმის სასამართლოში წარდგენის სანაცვლოდ." (ნესი 47ა, "წესების განხორციელება") .
- ამას გარდა, "განრიდების პროცედურების ჩატარებაზე უფლებამოსილმა პირმა/ორგანომ უნდა უზრუნველყოს, რომ პროცესი იყოს ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილი და გათვალისწინებული იყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის საჭიროებები, კეთილდღეობა და უფლებების დაცვა. უფლებამოსილმა პირმა/ორგანომ უნდა ილაპარაკოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვისათვის გასაგებ, მარტივ ენაზე" (ნესი 47 (გ)).
- წყარო: განრიდების სისტემა განსაზღვრულია კანონის მეორე თავში და ამომწურავად არის ახსნილი რესპუბლიკის N 9344 აქტის ან "არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და სოციალური კეთილდღეობის" შესახებ კანონის/2006 წ. განხორციელების წესებისა და რეგულაციების VIII ნაწილში.

5.6. განრიდების პროგრამების ზოგიერთი ტიპი

განრიდების პროგრამებს შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. ზოგიერთი ეფუძნება აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპებს, ზოგიერთი ოჯახზე ორიენტირებულია, გვხვდება კეთილდღეობაზე დამყარებული მიდგომა, ხოლო ნაწილი აქტივობების პროგრამებს იყენებს დანაშაულებრივ ქცევაზე რეაგირებისათვის.

5.6.1 აღდგენითი მართლმსაჯულება

აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკა ტრადიციულ საზოგადოებებში საუკუნეების განმავლობაში გვხვდება.¹⁴⁸ ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ოფიციალური სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მისი გათვალისწინება პირველად კანადაში მოხდა, 1974 წელს, "მსხვერპლისა და დამნაშავის შერიგების" პროგრამის შემოღებით¹⁴⁹. მას შემდეგ კანონმდებლობაში აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა ფორმით გათვალისწინება რიგ ქვეყნებში დაინერგა, მათ შორის ახალ ზელანდიაში¹⁵⁰, გაერთიანებულ სამეფოში¹⁵¹, ტაილანდში¹⁵²,

¹⁴⁸ უაიტკამპი, ე.გ.მ. (Weitekamp, E.G.M.) "აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორია", ჯონსტონი გ.ა. (Johnstone G. A.), "აღდგენითი მართლმსაჯულების კრებული: ტექსტები, წყაროები, კონტექსტი", 2003წ., გვ. 111.

¹⁴⁹ პიჩი დ. (Peachey D.) "კიჩენერის ექსპერიმენტი", ჯონსტონი გ.ა. (Johnstone G. A.) აღდგენითი მართლმსაჯულების კრებული: ტექსტები, წყაროები, კონტექსტი, 2003წ., გვ.183, იხ. ასევე ჯონსტონი გ. (Johnstone G.) "აღდგენითი მართლმსაჯულება: იდეები, ღირებულებები, დებატები", 2002წ., გვ. 2.

¹⁵⁰ საოჯახო ჯგუფის კონფერენციები პირველად დაინერგა ახალ ზელანდიაში ბავშვების, ახალგაზრდებისა და მათი ოჯახების შესახებ 1989 წლის კანონით, № 24 (მორის, ა. და მაქსველი, გ. (Morris, A. and Maxwell, G), "აღდგენითი მართლმსაჯულება ახალ ზელანდიაში: საოჯახო ჯგუფის კონფერენციები, პრეცედენტის კვლევა, დასავლური კრიმინოლოგიის მიმოხილვა, 1998, 1:1): <<http://wcr.sonoma.edu/v1n1/morris.html>> [მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს].

¹⁵¹ დამატებითი ინფორმაცია იხ.: <www.restorativejustice.org.uk/?restorative_Justice:Regulating_RJ> [[მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს].

¹⁵² ტაილანდში ოჯახისა და საზოგადოების ჯგუფის კონფერენცია (FCGC) გამოიყენება განრიდების სახით დანაშაულის პირველად ჩამდენ პირებთან მიმართებაში. იხ. უანჩაი როუიანავონგი (Wanchai Roujanavong), ტაილანდის იუსტიციის სამინისტროს არასრულწლოვანთა სადამკვირვებლო და დაცვის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში ოჯახისა და საზოგადოების ჯგუფების კონფერენცია, ტაილანდი, 2005 წ.

სერბეთსა¹⁵³ და ჩრდილოეთ ირლანდიაში. აღდგენითი მართლმსაჯულება არის პროცესი, რომელშიც დაზარალებული და დამნაშავე, საჭიროების შემთხვევაში კი ნებისმიერი სხვა პირი ან საზოგადოების წევრი, რომელზეც ზეგავლენა იქონია დანაშაულმა, ერთად აქტიურად მონაწილეობენ დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი საკითხების მოგვარებაში, ჩვეულებრივ, ფასილიტატორის დახმარებით.¹⁵⁴ ამ მიდგომის ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამის გამოყენება. ყველაზე გავრცელებულია მსხვერპლისა და დამნაშავის შერიგება, საზოგადოებისა და ოჯახის ჯგუფის კონფერენცია, სამშვიდობო წრეები და მიყენებული ზიანის ანაზღაურება ან აღდგენა. ზოგადად, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები ბავშვებისაგან, რომელთა მიმართ გამოყენებულია განრიდება, მოითხოვს:

- დანაშაულის ჩადენის გამო საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარებას და მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგის გააზრებას;
- დანაშაულთან დაკავშირებით ემოციის (თუნდაც სინანულის) გამოხატვას;
- მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის ან საკუთარი თავისთვის თუ ოჯახისთვის მიყენებული ზიანის გამოსასწორებლად დახმარებით სარგებლობას;
- ზარალის კომპენსირებას ან მიყენებული ზიანის აღდგენას/ანაზღაურებას;
- მსხვერპლისათვის/დაზარალებულისათვის ბოდიშის მოხდას;
- თუ შესაძლებელია, მსხვერპლთან/დაზარალებულთან დანაშაულის ჩადენამდე არსებული ურთიერთობის აღდგენას; და/ან
- პროგრამის დასრულების მიღწევას.¹⁵⁵

აღნიშნული პროგრამები შეიძლება იმართებოდეს თავად პოლიციის, სოციალური სამსახურების, ახალგაზრდული მომსახურების დანესებულებების ან პრობაციის სამსახურის მიერ, თუმცა ასევე, და უმეტესად, მათი მართვა ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ აღდგენითი მიდგომები განსაკუთრებით სასარგებლოა სასამართლომდე განრიდების კონტექსტში, მათი გამოყენება შეიძლება მას შემდეგაც, რაც ბავშვს დამნაშავედ ცნობენ, მაგალითად, სასჯელის ამა თუ იმ ტიპის შერჩევისთვის.

5.6.2 ოჯახზე / სოციალურ კეთილდღეობაზე დაფუძნებული განრიდება

ბავშვების მიერ დანაშაულებრივი საქციელის ჩადენა ზოგჯერ განიხილება როგორც ოჯახის დისფუნქციის სიმპტომი, რომელიც გამომწვეულია ცუდი აღზრდით, რთული ოჯახური პირობებით ან ოჯახური ურთიერთობების მოშლით. ოჯახზე ორიენტირებული განრიდების პროგრამები, ძირითადად, გულისხმობს მუშაობას ბავშვთან და მის ოჯახთან, იმის გასაგებად, თუ რატომ ჩაიდინა ბავშვმა დანაშაულებრივი ქმედება და როგორ უნდა მოხდეს ბავშვის საჭიროებების მართვა შემდგომი დანაშაულებრივი ქცევის თავიდან ასაცილებლად. ამ მიდგომაში არ არსებობს დასჯის ცნება, არც ზიანის ანაზღაურების ფუნქცია. უფრო მეტიც, ეს მიდგომა იყენებს ინტენსიურ სოციალურ მუშაობას, ოჯახური ჯგუფის კონფერენციებს და ინდივიდუალურ მუშაობას ბავშვებთან ოჯახში, სკოლაში და საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციისა და ბავშვის თვითშეფასების ამაღლების მიზნით. იგი მოიცავს გამოსასწორებელ განათლებას და, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობას.

¹⁵³ იხ. კანონი მედიაციის შესახებ, № 85/05; კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ N 85/05. იხ., ასევე, ლიბმანი მარიან (Liebmann, Marian), "აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციის დანერგვა და მსხვერპლი-დამნაშავის შერიგების პრაქტიკა სერბეთსა და ჩერნოგორიაში" პროექტის "ცვლილებების შანსი ბავშვებისათვის" -სერბეთსა და ჩერნოგორიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ინიციატივის - ფარგლებში: <www.unicef.org/ceecis/Serbia-Mont-Restorative-justice-brief_en.pdf> [მოძიებულია 2011 წ. 2 მაისს].

¹⁵⁴ სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები, პუნქტები 1.2 და 1.3.

¹⁵⁵ ეკონომიკური და სოციალური საბჭო, რეზოლუცია 2002/12: სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები, 24 ივლისი, 2002, 2002/12, პუნქტი 2.2.

5.6.3 აქტივობების პროგრამები

სხვა პროგრამები გულისხმობს ბავშვების ჩართვას სხვადასხვა საქმიანობაში, რათა მათ გაუჩნდეთ ქუჩაში ყოფნის ალტერნატივა და მიეცეთ საშუალება, დაეუფლონ ახალ უნარებს და დაკავდნენ ახალი ინტერესებით. აღნიშნული პროგრამები შეიძლება მრავალმხრივი იყოს და გამომდინარეობდეს უშუალოდ ბავშვის საჭიროებებიდან და კონკრეტული კულტურიდან. მაგალითად, პროგრამა შესაძლოა ითვალისწინებდეს ბავშვისათვის ზოგადი “ცხოვრების უნარების” სწავლებას ან ისეთი უფრო კონკრეტული უნარებისა, როგორცაა ძირითადი საავტომობილო მექანიკა, მშენებლობის უნარები ან აუცილებელი უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვს მცირე ბიზნესის წამოსაწყებად.

ყველა ამ მიდგომას მისთვის დამახასიათებელი მოქმედება ახასიათებს და შეიძლება გამოყენებული იქნეს კომბინირებულად. ბავშვები უნდა დანაწილდნენ იმ პროგრამებში, რომლებიც კონკრეტულად დააკმაყოფილებს მათ განსაკუთრებულ საჭიროებებს.

საილუსტრაციო მასალა 24-ის წყაროები: პოლიციის განრიდების პროგრამები: ბერგენონი, ი. (Bergeron, J.), “მართლმსაჯულება ბავშვებისათვის: დაკავება, როგორც უკიდურესი ზომა: აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონის ინოვაციური ინიციატივები: “იუნისეფის” აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონული ოფისი, 2004, გვ.55; ბავშვების, ახალგაზრდებისა და მათი ოჯახების შესახებ კანონი, 1989 წ., ნაწილები 209, 211, 212. ახალგაზრდების დახმარების სქემის ზემოქმედებაზე იხ. “დასკვნითი ანგარიში: ახალგაზრდების განრიდება პოლიციის მიერ”, მომზადებული ახალი ზელანდიის პოლიციის იუსტიციის სამინისტროსათვის დანაშაულის და იუსტიციის კვლევითი ცენტრის მიერ, ველინგტონის ვიქტორიის უნივერსიტეტი, ლინკით ვიქტორია/ახალი ზელანდია, 2002 წლის იანვარი, ვან შტრაატენი, ა. (Van Straaten, A), მანუკაუს საგრაფოების ახალგაზრდული დანაშაულის ტენდენციის ანალიზი 1994-2001 წწ, ახალი ზელანდია, 2002 წ., და ახალი ზელანდიის პოლიციის წლიური ანგარიში 2008 წლის 30 ივნისის მდგომარეობით; სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 77(ე) (ნიდერლანდები); დანაშაულით შეშფოთება - “ეფექტიანი მიდგომები ვანდალიზმისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხატვის წინააღმდეგ და მისი პრევენციისათვის - საბოლოო ანგარიში: პრევენციის კვლევა და გაერთიანებული სამეფოს ტრანსპორტის დეპარტამენტის ახლად წარმოქმნილი პრობლემური საკითხები”, 2003; უწყებათაშორისი დისკუსია თემაზე “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება”, საკოორდინაციო პლატფორმა გაეროს ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით: www.juvenilejusticepanel.org/resource/items/N/e/NetherlandsPoliceLevelDiversionHALTProgramme.pdf; ფერვედრა ჰ. ბ. (Ferwerda, H.B) და სხვები, “Halt: ალტერნატივა? Halt-ის შეთანხმებების ეფექტის გადასინჯვა” (იუსტიციის სამინისტრო (ჰოლანდია) კვლევისა და დოკუმენტაციის ცენტრი (WODC), 2006); ბავშვთა უფლებების ეროვნული კომისია, “ტაჯიკეთის რესპუბლიკის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ალტერნატიული პროექტების შეფასება, “იუნისეფი”, 2008; გაითვალისწინეთ, რომ 10 დან 13 წლამდე ასაკის ბავშვების წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა შესაძლებელია მხოლოდ გაუფრთხილებლობით მკვლელობისა და მკვლელობისათვის. 14-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში, რომლებმაც ჩაიდინეს შედარებით მძიმე დანაშაული, შეიძლება მოხდეს მათი საქმეების გადაგზავნა ახალგაზრდული მართლმსაჯულების ოჯახური ჯგუფის კონფერენციებისათვის, რომლებიც გადაწყვეტენ, უნდა მოხდეს თუ არა ბრალის წაყენება და ბავშვის საქმე უნდა გადაეგზავნოს თუ არა ახალგაზრდულ სასამართლოს, თუ უნდა მოხდეს ღონისძიების ან ღონისძიებათა ერთობლიობის დაკისრება, მაგ. ბოდიშის მოხდა, კონსულტაციების, ანაზღაურებისა და რეაბილიტაციის სქემები.

ნაწილი 5: სასამართლო პროცესის ალტერნატივები: განრიდება: შემაჯამებელი ასპექტები

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს:

- დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის “საფეხურებრივი” რეაგირების სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობს რეაგირების ზომების მიუღებლობას “ ბავშვების გაფრთხილებას (ოფიციალური ან არაოფიციალური სახით), განრიდებას სასამართლო პროცესამდე და, უკიდურესი ზომის სახით, გასამართლებას;
- პოლიციის, პროკურორისა და მოსამართლისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება გადაწყვეტიონ საქმე განრიდებას მეშვეობით სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ნებისმიერ ეტაპზე;
- პოლიციის, პროკურორისა და მოსამართლისათვის მოთხოვნა, განიხილონ განრიდებას შესაძლებლობა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში;
- ცენტრალური და/ან ადგილობრივი ხელისუფლებისათვის მოვალეობის დაკისრება, რომ სათანადოდ უზრუნველყონ განრიდებას პროგრამები თითოეული თვითმმართველობის ტერიტორიაზე;
- სპეციალური ნორმების გათვალისწინება, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაშია განრიდება შესაძლებელი, ასევე მიუთითებს, რომ განრიდება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ წვრილმანი საქმეებით ან დანაშაულის პირველად ჩამდენი პირებით;
- იმის დადგენა, თუ რომელ ორგანოებს შეეძლება გადაწყვიტონ განრიდებას საკითხი და როგორ უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილებების გადასინჯვა და რეგულირება;
- იმის მოთხოვნა, რომ განრიდებას ზომების დაკისრება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება, რომ ბავშვმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული და ნებაყოფლობით აღიარა პასუხისმგებლობა;
- იმის აკრძალვა, რომ ბავშვის მიერ განრიდებას მიზნით ბრალის აღიარება გამოყენებული იქნეს მის წინააღმდეგ ნებისმიერი შემდგომი სამართალწარმოებისას;
- მოთხოვნა, რომ ბავშვი დაეთანხმოს განრიდებას ზომას დამოუკიდებლად, ნებაყოფლობით და წერილობით;
- ბავშვისათვის შესაძლებლობის მიცემა, ისარგებლოს იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარებით განრიდებას ზომის მიზანშეწონილობისა და სასურველობის განხილვისათვის.
- იმის მოთხოვნა, რომ ბავშვი დათანხმებამდე უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური და კონკრეტული ინფორმაციით შემოთავაზებულ განრიდებას ზომაზე, მის ხასიათზე, შინაარსზე და ხანგრძლივობაზე, ასევე თანამშრომლობის ან განრიდებას ზომის დასრულების წარუმატებლობის შედეგებზე;
- იმის დადგენა, რომ ბავშვის მიერ განრიდებას ზომის წარუმატებლად დასრულება ლეგიტიმურად გამოიწვევს ხელისუფლების მიერ საქმის განახლებას, მაგრამ განრიდებას წარმატებით დასრულების შემთხვევაში მას მოჰყვება ბავშვის საქმის საბოლოოდ დახურვა;
- დებულებების გათვალისწინება, რომელთა მიხედვით პროკურორებს მიენიჭებათ დისკრეციული უფლებამოსილება, შეაჩერონ ან არ დაიწყონ ბავშვის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა მაშინაც კი, თუ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები მსჯავრდებისათვის.

6. წინასწარი პატიმრობა და მისი ალტერნატივები

6.1. გათავისუფლება სასამართლომდე ან გირაოს სანაცვლოდ

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყდა, რომ არ მოხდეს ბავშვის განრიდება და იგი სასამართლოს წინაშე უნდა წარდგეს, სასამართლომ ან სხვა კომპეტენტურმა თანამდებობის პირმა თუ ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს ბავშვის გათავისუფლების საკითხი¹⁵⁶. იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ მოსამართლეებმა აქტიურად განიხილონ გათავისუფლების საკითხი, კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო და არაორაზროვან პრეზუმფციას, რომ ბავშვები უნდა იყვნენ გათავისუფლებული სასამართლო პროცესამდე¹⁵⁷.

ზოგიერთ სახელმწიფოში მშობლებს ან ბავშვს მოეთხოვებათ გარეეული თანხის (გირაოს) შეტანა ბავშვის გათავისუფლებამდე. თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს ამგვარ მოთხოვნას, ის ასევე უნდა შეიცავდეს მუხლს, რომელიც დაუშვებს ამ მოთხოვნისათვის გვერდის ავლას, თუ ბავშვი ან მისი მშობლები ხელმოკლეები არიან და ვერ გადაიხდიან გირაოს, ან აღნიშნული გადასახადის პროცენტულ შემცირებას ბავშვის ან მშობლის შემოსავლის პროპორციულად. გარდა ამისა, კანონმდებლობამ მოსამართლეს უნდა მიაწოდოს დისკრეციული უფლებამოსილება გირაოს მოთხოვნაზე უარის თქმასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როცა ბავშვს არ ჰყავს მშობლები ან ისინი ვერ იპოვეს. თუ კანონმდებლობა არ შეიცავს აღნიშნული სახის დებულებებს, გირაოს მოთხოვნა წარმოადგენს გაჭირვებული ბავშვების და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების პოტენციური დისკრიმინაციის საფუძველს.

საილუსტრაციო მასალა 27: გირაოს დისკრიმინაციული ზემოქმედება

ახალ სამხრეთ უელსში, ავსტრალია, აბორიგენული მართლმსაჯულების საკონსულტაციო საბჭომ გამოავლინა არაპროპორციულობა აბორიგენ განსასჯელთა მიმართ გირაოთი გათავისუფლებაზე უარის თქმის საკითხში (უარი გირაოთი განთავისუფლებაზე ეთქვა აბორიგენი განსასჯელების 10 პროცენტს და არააბორიგენი განსასჯელების მხოლოდ 4 პროცენტს). დასახელდა ორი სავარაუდო მიზეზი, კერძოდ: “მისაღებ პირს”, რომელსაც შეუძლია შემოიტანოს გირაო განსასჯელისათვის, უწევს ბრძოლა იმის დასამტკიცებლად, რომ ხელი მიუწვდება გირაოსთვის საკმარის თანხებზე ან რეალურად შეუძლია შემოიტანოს აღნიშნული თანხა სასამართლოში მიღებული წესით.

დაკავებული ქალებისა და გოგონების თაობაზე ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის საინფორმაციო ფურცელი, რომელიც მომზადებულია “დაკავებულთათვის მართლმსაჯულებისა და ღირსების კვირეულის” ფარგლებში, ყურადღებას ამახვილებს გირაოს დისკრიმინაციულ გავლენაზე ქალთა პირობებზე: “ქალები ხშირად აღმოჩნდებიან ფინანსური რესურსების გარეშე გირაოს გადასახდელად, რადგან მათ უფრო ნაკლებად აქვთ სტაბილური სამსახური ან საკუთარი ქონება და მათ ასევე ნაკლები საშუალება აქვთ, მიიღონ იურიდიული კონსულტაცია”.

აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ეხება ბავშვებს.

წყაროები: აბორიგენული მართლმსაჯულების საკონსულტაციო საბჭო, აბორიგენი ხალხი და გირაოს სასამართლოები NSW (ახალი სამხრეთ უელსი), 2001, გვ. 6 <[www.lawlink.nsw.gov.au/_lawlink/ajac/ll_ajac.nsf/vwFiles/aboriginal_people_bail_courts_in_nsw_ajac_pre_2002.pdf](http://www.lawlink.nsw.gov.au/_lawlink/ajac/ll_ajac.nsf/vwFiles/aboriginal_people_bail_courts_in_nsw_ajac_pre_2002.pdf/$file/aboriginal_people_bail_courts_in_nsw_ajac_pre_2002.pdf)>; შვარცი, მ. (Schwartz, M.) “ახალი სამხრეთ უელსის კანონი გირაოს შესახებ და აბორიგენი განსასჯელი” ILB, 2005, 14; ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი, დაკავებულთათვის ღირსებისა და მართლმსაჯულების კვირეული: საინფორმაციო ფურცელი #5. ქალები და გოგონები, 2008 წ.: <www.ohchr.org/EN/UDHR/Documents/60UDHR/detention_infonote_5.pdf> (ციტირება: იურისტების საერთაშორისო კომისია, ადამიანის უფლებების დაცვა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან კონფლიქტში მყოფი ქალებისათვის: ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში წარსადგენად, 2004 წ.) (შემდგომში “დაკავებულთათვის ღირსებისა და მართლმსაჯულების კვირეული”) (მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს).

¹⁵⁶ პეკინის წესების მე-10 წესი.

¹⁵⁷ ფილიპინების კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და სოციალური კეთილდღეობის შესახებ (2006 წ.) შეიცავს პრეზუმფციას, რომ ბავშვი უნდა გათავისუფლდეს მშობლების ან სხვა სათანადო უფროსის თავდებობით, სადაც ეს შესაძლებელია. N 9344 (ფილიპინები).

იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ სასამართლოს მოლოდინში ბავშვმა შეიძლება კვლავ ჩაიდინოს სამართალდარღვევა, სასამართლოებს უნდა მიენიჭოთ კანონიერი უფლებამოსილება, გირაოს ან წინასწარი პატიმრობის შეფარდების ნაცვლად, ბავშვს დააკისრონ გარკვეული პირობების შესრულება. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლოს ან ტრიბუნალს შეეძლოს აუკრძალოს ბავშვს წასვლა გარკვეულ ადგილებში, კონკრეტულ ხალხთან ურთიერთობა, მოსახოვოს სკოლაში სიარული, გარკვეულ საათებში სახლში ყოფნა. თუკი არსებობს ბავშვთან დაკავშირებით სერიოზული შემფოთების საფუძველი, სასამართლომ შეიძლება განიხილოს ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა, როგორცაა მუდმივი ზედამხედველობის დანესება, ინტენსიური მზრუნველობა ან ოჯახში თუ საგანმანათლებლო ან საცხოვრებელ დანესებულებაში მოთავსება.¹⁵⁸

6.2. წინასწარი პატიმრობა

საერთაშორისო სამართალი მკაცრად ზღუდავს გარემოებებს, რომელთა შემთხვევაშიც დაიშვება ბავშვების დაპატიმრება, იქნება ეს ბრალის წაყენების შემდეგ სასამართლო განხილვამდე, თუ ბრალის წაყენებამდე გამოძიებისას. ამგვარი თავისუფლების აღკვეთა დაიშვება მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში¹⁵⁹. წინასწარი პატიმრობა შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს თავიდან აცილებული და მოსამართლეებმა უნდა განიხილონ სხვა ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა, როგორცაა მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი სამუშაოები ანდა ოჯახში თუ აღმზრდელობით/საგანმანათლებლო დანესებულებაში ან საცხოვრებელში მოთავსება.¹⁶⁰

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოთქვა შემფოთება ბევრი სახელმწიფოს მიერ წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებულად გამოყენების გამო და აღნიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში ბავშვები წინასწარი პატიმრობაში თვეებისა და წლების განმავლობაშიც კი რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ამით აშკარად ირღვევა ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტი.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა დაადგინონ გარემოებები, როდესაც მოსამართლეს შეეძლება განიხილოს ბავშვის მოთავსება ან დატოვება წინასწარ პატიმრობაში. ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღიარებს, რომ აღნიშნულის დაშვება შეიძლება მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის მისვლა სასამართლოში, ან როდესაც ბავშვი წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი თავის ან სხვებისათვის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც არასაპატიმრო ალტერნატივა საკმარისი არ იქნება.¹⁶¹ ნებისმიერი წინასწარი პატიმრობა უნდა ექვემდებარებოდეს რეგულარულ გადასინჯვას. წინასწარი პატიმრობა არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული როგორც სასჯელი, რადგან ეს იწვევს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.¹⁶²

საილუსტრაციო მასალა 28: წინასწარი პატიმრობის ზღვრული პერიოდის განსაზღვრა

განაში მოსამართლეს შეუძლია ბავშვის წინასწარ პატიმრობაში მოთავსება არასრულწლოვანთა წინასწარი პატიმრობის დანესებულებაში ვადის შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინებით:

“(4) წინასწარი პატიმრობის განკარგულების მაქსიმალური ვადა უნდა იყოს შვიდი დღე და წინასწარი პატიმრობის განკარგულება არ უნდა განახლდეს არასრულწლოვანის სასამართლო განხილვაზე წარდგენის გარეშე.

¹⁵⁸ პეკინის წესების წესი 13.2.

¹⁵⁹ იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტი; პეკინის წესების მე-17 წესი და ჰავანის წესების მე-2 წესი.

¹⁶⁰ პეკინის წესების 13.1 და 13.2 წესები.

¹⁶¹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007), პუნქტი 80.

¹⁶² იქვე.

(5) არასრულწლოვანის წინასწარი პატიმრობის სრულმა პერიოდმა არ უნდა გარდააჭარბოს სამ თვეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონკრეტული დანაშაული ისჯება სიკვდილით. ამ შემთხვევაში წინასწარი პატიმრობა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს”. *

ჰონდურასში დაკავების მაქსიმალური დრო შეადგენს პირველად 30 დღეს, შემდგომი 30 დღიანი გაგრძელების შესაძლებლობით გამოძიების დასრულებამდე საზოგადოებრივი სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტის (2003წ.) 32-ე ნაწილის თანახმად, ბავშვები აღარ ექვემდებარებიან სიკვდილით დასჯას.

წყაროები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი 2003 წ. ნაწილი 23 (განა); ბავშვთა და მოზარდთა კოდექსი 1996 წ. მუხლი 237 (ჰონდურასი).

მართალია, ცხადია, რომ წინასწარი პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს როგორც უკიდურესი ზომა და მხოლოდ “რაც შეიძლება ნაკლები შესაბამისი პერიოდით”, არ არსებობს განმარტება, თუ რა იგულისხმება “შესაბამისი პერიოდში”. აღნიშნული დამოკიდებული იქნება მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც ეხება ბავშვს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონკრეტულ სისტემას. თუმცა ბავშვის უფლებათა კომიტეტი № 10 ზოგადად კომენტარში რეკომენდაციას იძლევა, რომ ბრალის წაყენებამდე ბავშვის წინასწარი პატიმრობის პერიოდი (ანუ გამოძიების მიმდინარეობის პერიოდი) არ აღემატებოდეს 30 დღეს.¹⁶³

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი მოითხოვს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ არასრულწლოვანთა სასამართლოს წინაშე წარდგენას რაც შეიძლება სწრაფად. აღნიშნული ასახულია ჰავანის წესების მე-17 წესში, რომელიც სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს სთხოვს უმაღლესი პრიორიტეტის მინიჭებას ასეთი საქმისწარმოებისათვის პატიმრობის რაც შეიძლება ხანმოკლე შესაძლო პერიოდის უზრუნველყოფის მიზნით. კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს მაქსიმალური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ბავშვის წინასწარი პატიმრობა.

6.2.1 წინასწარი პატიმრობის პირობები

პირობები, რომლებშიც იმყოფება ჯერ გაუსამართლებელი არასრულწლოვანი, უნდა შეესაბამებოდეს ჰავანის წესებს და უდანაშაულობის პრეზუმფციას. ჰავანის წესებში გათვალისწინებულია რიგი გარკვეული მოთხოვნებისა, რომელთა უმეტესობა განხილულია მე-9 ნაწილში. მათ შორისაა:

- იურიდიულ კონსულტაციის მიღებისა და უფასო იურიდიულ დახმარების მოთხოვნის უფლება, თუ ასეთი დახმარება ხელმისაწვდომია, ასევე საკუთარ ადვოკატებთან რეგულარული კომუნიკაციის უფლება. ასეთი კომუნიკაციისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პირადი საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვა;¹⁶⁴
- შესაძლებლობის ფარგლებში “ანაზღაურებადი სამსახურის, განათლების გაგრძელების ან პროფესიული მომზადების საშუალებით უზრუნველყოფა”. თუმცა არასრულწლოვანებს არ უნდა მოეთხოვებოდეთ ეს და მუშაობამ, განათლების მიღებამ ან კვალიფიკაციის ამაღლებამ არ უნდა გამოიწვიოს პატიმრობის ვადის გაგრძელება;¹⁶⁵
- “არასრულწლოვანმა უნდა მიიღოს და შეინახოს ნივთები მისი დასვენების დროისა და რეკრეაციისათვის, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესებს.”¹⁶⁶

¹⁶³ იქვე, პუნქტი 83.
¹⁶⁴ ჰავანის წესების წესი 18 (ა).
¹⁶⁵ ჰავანის წესების წესი 18 (ბ).
¹⁶⁶ ჰავანის წესების წესი 18 (გ).

6.2.2 წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვები უნდა განცალკევდნენ მსჯავრდებული და ზრდასრული პატიმრებისაგან

უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი, ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი, პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 85-ე წესი, პეკინის წესების წესი 13.4 და ჰავანის წესების მე-17 წესი მოითხოვენ, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვები განცალკევებული იყვნენ მსჯავრდებული ბავშვებისა და ზრდასრული პატიმრებისაგან. გოგონები და ბიჭებიც ცალ-ცალკე უნდა იყვნენ მოთავსებულნი. თუმცა კონვენციის 37-ე მუხლის (გ) პუნქტი და ჰავანის წესების 29-ე წესი აღიარებენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უფროსებისაგან განცალკევება არ იყოს საჭირო. ამგვარ გარემოებებს მიეკუთვნება ჰავანის წესების 29-ე წესში განსაზღვრული ისეთი შემთხვევები, როგორცაა ოჯახის წევრების ერთად მოთავსება საპატიმრო დაწესებულებაში ან როდესაც კონტროლირებად პირობებში არასრულწლოვანებს ათავსებენ შერჩეულ უფროსებთან ერთად სპეციალური პროგრამის ფარგლებში, რაც მიჩნეულია ჩართულ არასრულწლოვანებზე დადებითი გავლენის მომხდენად. თუმცა არასრულწლოვანთა და ზრდასრულთა ერთად მოთავსება განიხილება როგორც გამონაკლისი შემთხვევა.

წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვების მსჯავრდებული ბავშვებისგან განცალკევების საუკეთესო გზა არის წინასწარი პატიმრობის შეფარდებისაგან თავის შეკავება. წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემთხვევებში იდეალურ ვარიანტში ბავშვები უნდა იყვნენ მოთავსებულნი სრულიად განცალკევებულ დაწესებულებებში ისეთი რეჟიმით, რომელიც აკმაყოფილებს ბავშვების კონკრეტულ საჭიროებებს.

6.2.3 ოჯახთან კონტაქტის შენარჩუნების უფლება

წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბავშვებს ოჯახთან კავშირის დამყარების იგივე უფლებები აქვთ, როგორც პატიმრობამისჯილებს. პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების თანახმად, “გაუსამართლებელ დაპატიმრებულ პირს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავის ოჯახს დაპატიმრების შესახებ. მას უნდა მიეცეს, აგრეთვე, ყველა საშუალება ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობისათვის და მათი ვიზიტებისათვის, რომლებიც შეიძლება შეიზღუდოს ან შედგეს ზედამხედველობის ქვეშ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა სამართლის აღსრულების, უსაფრთხოებისა და დაწესებულებაში წესრიგის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე”¹⁶⁷. აღნიშნული უფლებები დეტალურადაა განხილული მეცხრე ნაწილში.

6.2.4 გადაწყვეტილების გადახედვის ან გასაჩივრების უფლება

კანონმდებლობამ უნდა მოითხოვოს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვების თაობაზე გადაწყვეტილება გადაისინჯოს სასამართლოს მიერ ყოველ ორ კვირაში, ბავშვის უფლებათა კომიტეტის N10 ზოგად კომენტარში¹⁶⁸ ამ მიმართულებით მოცემული რეკომენდაციის გათვალისწინებით. ეს უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ იმის რეგულარულ განხილვას, რომ წინასწარი პატიმრობა მოცემული მომენტისთვისაც გამართლებული იყოს.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი უზრუნველყოფს, რომ ყოველ თავისუფლებადკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე, უფლება, გაასაჩივროს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს

¹⁶⁷ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების წესი 92. სერბეთის კანონი არასრულწლოვან დამნაშავეთა და არასრულწლოვანთა კრიმინალური დაცვის შესახებ (N 85/05, 2005) ასევე ითვალისწინებს ვიზიტების უფლებებს კანონში აღნიშნულია, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანებს უფლება აქვთ, ისარგებლონ: 9) მშობლების, მშვილებელი მშობლების, მეურვეების, მეუღლეების, არარეგისტრირებული მეუღლეების, ნაშვილებების, შვილების და სხვა პირდაპირი ხაზის ნათესავებისა და სხვა გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავების, მეოთხე ხარისხამდე, ყოველკვირეული ვიზიტებით; 11) ისარგებლონ თვეში ორჯერ სხვა პირების ვიზიტებით, რომლებიც არ უშლიან ხელს აღმზრდელობითი ღონისძიების აღსრულებას, და დაწესებულების ზედამხედველს შეუძლია ამ პირების ვიზიტების აკრძალვა (მუხლი 128).

¹⁶⁸ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 83.

ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი საპროცესო ქმედების თაობაზე.¹⁶⁹ გასაჩივრების უფლება ზუსტად ისევე ეხება წინასწარ პატიმრობას, როგორც საპატიმრო სასჯელს. გასაჩივრების უფლება ეხება როგორც სასამართლო, ასევე ადმინისტრაციულ საქმისწარმოებას და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ ბავშვებს, რომლებსაც თავისუფლება აღეკვეთათ და მოთავსებულნი არიან აღმზრდელობით დაწესებულებაში. აღნიშნული უფრო დეტალურად არის განხილული მე-7 ნაწილში.

¹⁶⁹ იხ., აგრეთვე, პეკინის წესების წესი 7(1): "სასამართლო წარმოების ყველა ეტაპზე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ძირითადი საპროცესო გარანტიები, ისეთი, როგორიცაა..... ზემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების უფლება."

ნაწილი 6: წინასწარი პატიმრობა და მისი ალტერნატივები: შემაჯამებელი ასპექტები

კანონმდებლობამ უნდა:

- უზრუნველყოს წინასწარი პატიმრობის რიგი ალტერნატიული ზომების არსებობა. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კანონმდებლობის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა;
- უზრუნველყოს, რომ სასამართლოს ბავშვისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება შეეძლოს მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით და ისიც რაც შეიძლება მოკლე ვადით (როდესაც ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვი აუცილებლად წარდგეს სასამართლოს წინაშე, ან თუ იგი წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი თავისა თუ სხვებისათვის);
- განსაზღვროს წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა: სასამართლოს მოლოდინში წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს;
- უზრუნველყოს, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის ალტერნატივის სახით გირაოს მოთხოვნის გამოყენება, თანხის გადახდის მოთხოვნა მთლიანად ან ნაწილობრივ იქნეს უარყოფილი, თუ ბავშვი ან მისი მშობლები ხელმოკლენი არიან, არ შეუძლიათ გადახდა ან ბავშვს არ ჰყავს მშობლები ან ვერ ხერხდება მათთან დაკავშირება;
- უზრუნველყოს იმ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის დაჩქარება, რომლებიც სასამართლოს მოლოდინში იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში;
- უზრუნველყოს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბავშვებს ჰქონდეთ შემდეგი უფლებები:
 - იურიდიული კონსულტაციის, უფასო იურიდიული დახმარების (სადაც ხელმისაწვდომია) მოთხოვნის და ადვოკატებთან რეგულარული კერძო და კონფიდენციალური კომუნიკაციის მოთხოვნა;
 - ანაზღაურებადი სამუშაოს, განათლების ან პროფესიული სწავლების გაგრძელება, რამაც არ უნდა გაახანგრძლივოს პატიმრობის ვადა;
 - დასვენებისა და რეკრეაციისათვის ნივთების ქონა;
- უზრუნველყოს, რომ სასამართლომდე წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვები იყვნენ მსჯავრდებული ბავშვებისგან და უფროსი პატიმრებისგან განცალკევებით მოთავსებულნი (გარდა ისეთი გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა ბავშვის პატიმრობაში ყოფნა უფროსებთან ერთად შეესაბამება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს);
- უზრუნველყოს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ ბავშვებს ჰქონდეთ ოჯახთან და მეგობრებთან კავშირის და მათი მხრიდან ვიზიტების უფლება;
- უზრუნველყოს, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბავშვების პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილება გადაისინჯოს ყოველ ორ კვირაში სასამართლოს მიერ; და ბავშვებს ჰქონდეთ სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე მათი თავისუფლების აღკვეთის გასაჩივრების უფლება (და ამ გასაჩივრებაზე სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უფლება), ასევე იმის უფლება, რომ უზრუნველყოფილნი იქნენ უფასო იურიდიული წარმომადგენლობით აღნიშნულის განსახორციელებლად.

7. სამართლიანი სასამართლოს უფლება

სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი ბევრი ელემენტი ეხება როგორც ბავშვებს, ასევე ზრდასრულ ადამიანებს. ეს არის ადამიანის უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ (იხ. ნაწილი 4.1), მის მიმართ წაყენებული ბრალის დაუყოვნებლივ შეტყობინების უფლება (იხ. ნაწილი 4.2), ბრალის კომპეტენტური და მიუკერძოებელი სასამართლო ორგანოს მიერ დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება, იურიდიული კონსულტაციის ან სხვა სათანადო დახმარების მიღების უფლება, უფლება, არ იყოს იძულებული მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული, მოწმესთან დაპირისპირებისა და გასაჩივრების უფლება.

გარდა ზრდასრული ადამიანების მსგავსი უფლებებისა, ბავშვებს აქვთ უფროსების ან მეურვეების მხარდაჭერით სარგებლობის და კონფიდენციალურობის უფლება. ასევე განსხვავდება ბავშვთა მიმართ მოპყრობაც: საქმის საჯარო განხილვის მოთხოვნა არ ვრცელდება ბავშვებზე.

7.1. გადაწყვეტილებები დაყოვნების გარეშე¹⁷⁰

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ბავშვის უფლებათა კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ბანჯულის ქარტია, აფრიკული ქარტია ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ და ამერიკის კონვენცია მოითხოვენ, რომ ინდივიდი, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, უნდა იქნეს წარდგენილი სასამართლოს წინაშე “გონივრული” ვადის განმავლობაში და შეფერხება თავიდან უნდა იქნეს აცილებული.¹⁷¹ სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტი ოდნავ განსხვავებულ ტერმინებს იყენებს, თუმცა არსი არის ერთი - დაყოვნება არ უნდა ხდებოდეს.

არ არსებობს სტანდარტული განმარტება იმისა, თუ რა წარმოადგენს დაყოვნებას, ან ბრალდების წაყენებასა და საბოლოო სასამართლო პროცესს შორის ლოდინის რა ხანგრძლივობა იქნება მისაღები. თუმცა ზოგადად მიღებულია, რომ “გონივრული” დაყოვნება ბავშვებთან მიმართებაში უფრო მოკლე ვადაა, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებთან დაკავშირებით. იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი დაუსაბუთებელ შეფერხებას, სასამართლომ უნდა განიხილოს არსებული გარემოებები.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის N10 ზოგადი კომენტარის რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ და დანერგონ ზღვრული ვადები დანაშაულის ჩადენასა და პოლიციის გამოძიების დასრულებას, ბავშვის მიმართ ბრალდების წაყენების შესახებ პროკურორის (ან სხვა კომპეტენტური ორგანოს) გადაწყვეტილებას, სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ საბოლოო განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებამდე. ეს ვადები უნდა იყოს ბევრად უფრო ხანმოკლე, ვიდრე ზრდასრული ადამიანების შემთხვევაში. თუმცა, ამავე დროს, გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივ მიღება უნდა იყოს ისეთი პროცესის შედეგი, რომელშიც ბავშვის უფლებები და სამართლებრივი დაცვის გარანტიები სრულად იქნება დაცული.¹⁷² აღნიშნული ვადები ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობით.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ მიღების საჭიროებას აქვს გარკვეული შედეგები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მთელი სისტემისათვის. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მრავალ განვითარებულ სისტემაში ამჟამად გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ძალიან მნიშვნელოვანია იმის დემონსტრირება, რომ ყველა იმ ბავშვის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა სწრაფ რეაგირებას მოახდენს. ამ მიდგომის დასაბუთება იმაში მდგომარეობს, რომ იგი

¹⁷⁰ იხ., აგრეთვე, ნაწილი 0.

¹⁷¹ იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლი 40(2)(b)(iii); სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მუხლი 14(3)(გ); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მუხლი 6(1); ბანჯულის ქარტიის მუხლი 7.1(დ); ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ აფრიკული ქარტიის მუხლი 17(2)(გ)(iv), ამერიკის კონვენციის მე-8 მუხლი; პეკინის წესების წესი 20:1 და ვენის სახელმძღვანელო პრინციპების პუნქტი 23.

¹⁷² ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 10 (2007); პუნქტები 51, 52, 83.

სწრაფად უპირისპირებს ახალგაზრდას მისი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგებს, ეხმარება დანაშაულებრივი ქცევის პოზიტიურად მართვაში და დანაშაულისა და მასზე რეაგირების ერთმანეთთან დაკავშირებაში.

7.2. კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის (ბ) პუნქტის (III) ნაწილის მოთხოვნით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი უნდა წარდგეს კომპეტენტური, დამოუკიდებელი¹⁷³ დამიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს წინაშე. ბავშვის უფლებათა კომიტეტს არ განუსაზღვრავს, ამ კონტექსტში რას ითვალისწინებს “კომპეტენტია”.¹⁷⁴ თუმცა დებულება კომპეტენტური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოების შესახებ აირეკლავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში მოცემულ დებულებას. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა, რომ “ცნება “ტრიბუნალი” აღნიშნავს ორგანოს, მიუხედავად იმისა, თუ რა ჰქვია მას, რომელიც, კანონით დადგენილი წესით, დამოუკიდებელია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების შტოებისაგან ან სარგებლობს კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო დამოუკიდებლობით სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტისას ისეთ სასამართლო საქმისწარმოებაში, რომელიც თავისი ხასიათით მიეკუთვნება სასამართლო საკითხებს”.¹⁷⁵ მართლაც, ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N32 აცხადებს, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ისეთი ორგანოს მიერ, რომელსაც არ გააჩნია ტრიბუნალისათვის საჭირო მახასიათებლები, შეუთავსებელი იქნება სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 24-ე მუხლთან. იმის გათვალისწინებით, რომ პაქტი თანაბრად ვრცელდება როგორც ბავშვებზე, ასევე ზრდასრულ ადამიანებზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგივე ეხება ბავშვების საქმეების განმხილველ ტრიბუნალებსაც. შესაბამისად, კანონმდებლობით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არასრულწლოვანთა სასამართლოების და ტრიბუნალების შექმნა.

მიუკერძოებლობას აქვს ორი ასპექტი. პირველ რიგში, მოსამართლეებმა არ უნდა დაუშვან, რომ მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა მოახდინოს ტენდენციურობამ, ცრუ შეხედულებებმა ან წინასწარ შექმნილმა ცუდმა აზრმა მათ წინაშე არსებულ კონკრეტულ საქმეზე, და არ იმოქმედონ იმგვარად, რომ არასათანადო გზით ხელი შეეწყოს ერთი მხარის ინტერესებს მეორის საზიანოდ. და მეორე: ტრიბუნალი კეთილგონიერი დამკვირვებლის მიერაც მიუკერძოებლად უნდა იყოს აღქმული.¹⁷⁶

¹⁷³ “დამოუკიდებლობა” ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ N 32 ზოგად კომენტარში განისაზღვრება როგორც ასპექტი, რომელიც კონკრეტულად ეხება მოსამართლეთა დანიშვნის პროცედურას და კვალიფიკაციას და მათი უფლებამოსილების ვადასთან დაკავშირებულ გარანტიებს (ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N32, მუხლი მე-14, სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე თანასწორობისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება (2007), გაეროს დოკ. CCPR/C/GC/32).

¹⁷⁴ იხ., აგრეთვე, პეკინის წესების წესი 14.1, კომენტარი: “რთულია, განსაზღვროს კომპეტენტური ორგანო ან პირი ისეთი ფორმულირებით, რომელიც უნივერსალურად განსაზღვრავდა სასამართლო წესით საქმის განმხილველ და გადაწყვეტილების გამომტან უფლებამოსილ ორგანოს.” “კომპეტენტური უფლებამოსილი მოხელე” გულისხმობს მათ, ვინც ხელმძღვანელობს სასამართლოებს და ტრიბუნალებს (იქნება ერთი კაცისგან შემდგარი თუ რამდენიმე წევრისაგან), პროფესიონალი და მომრიგებელი მოსამართლეების, თავისუფალი მაგისტრატების და ასევე ადმინისტრაციული საბჭოების (მაგ. შოტლანდიური და სკანდინავიური სისტემები), ან სამოსამართლო ხასიათის მქონე უფრო არაფორმალური საზოგადოებრივი და კონფლიქტის მომგვარებელი სააგენტოების ჩათვლით.

¹⁷⁵ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N 32, მუხლი მე-14 (2007), გაეროს დოკ. CCPR/C/GC/32).

¹⁷⁶ იქვე, პუნქტი 21.

საილუსტრაციო მასალა 29: სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი ბავშვების საქმეთა განმხილველი ორგანო

საბჭოთა კავშირის დროინდელი კანონით და რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დღესაც კი არასრულწლოვანთა კომისია პასუხისმგებელი 14 წლის ასაკიდან (და, შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვების) 16 წლამდე ასაკის წვრილმანი დანაშაულის ჩამდენი ბავშვების საქმეთა განმხილვაზე. არასრულწლოვანთა კომისიას ხშირად თავმჯდომარეობდა მერის მოადგილე, მერი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს თანამშრომელი და მისი წევრები იყვნენ ადგილობრივ დონეზე ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ოფიციალური პირებიც. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა ძალიან მჭიდრო კავშირები აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და ამკარა იყო დამოუკიდებლობის ხარისხის სიმცირე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ არასრულწლოვანთა კომისია დააკმაყოფილებდა ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (II) ნაწილს, ან სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლს.

7.3. წარმომადგენლობა სასამართლოში¹⁷⁷

ბავშვის უფლება სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღებაზე თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის ფართოდ აღიარებული უფლებაა და მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობაში.¹⁷⁸

ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, დახმარება უნდა იყოს უფასო და არ არის აუცილებელი, რომ იგი ყველა შემთხვევაში იყოს სამართლებრივი. დასაშვებია სხვა სახის შესაბამისი დახმარებაც (მაგალითად, სოციალური მუშაკების მხრიდან), მაგრამ ასეთ დამხმარე პირს უნდა ჰქონდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის სხვადასხვა სამართლებრივი ასპექტის საკმარისი ცოდნა და გაგება, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ კანონმდებლობა ცხადყოფდეს, რომ როდესაც ბავშვს ელოდება სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე წარდგომა ანდა ნებისმიერი სხვა სახის განხილვა, რომელსაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ოჯახიდან ბავშვის მოშორება, თავისუფლების აღკვეთა ან მისი დაქვემდებარება სასჯელის რაიმე ფორმისათვის, ბავშვი წარმოდგენილი უნდა იყოს იურისტის მეშვეობით. ასეთი შემთხვევებში, თუ ბავშვი არ იქნება უზრუნველყოფილი იურიდიული წარმომადგენლობით, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბავშვს უარი ეთქვა საქმისწარმოების სრულ ხელმისაწვდომობაზე და მას არ შეუძლია სრულყოფილი მონაწილეობა მიიღოს საქმისწარმოებაში და დაიცვას საკუთარი თავი.

7.3.1 ხარისხიანი წარმომადგენლობისა და სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა

ეკონომიკური და სოციალური საბჭოს რეზოლუცია 1997/30 (სისხლის სამართლის სისტემაში მოხვედრილ ბავშვთა მიმართ მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპები) საგანგებოდ აღნიშნავს პროფესიონალთა ჯგუფის არსებობის მნიშვნელობას, რომელშიც იურისტებიც შევლენ და რომელსაც შეეძლება ბავშვისათვის სამართლებრივი და სხვა სახის დახმარების განევა: “პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სააგენტოებისა და პროგრამების შექმნას, რათა ბავშვები უზრუნველყოფილნი იქნენ სამართლებრივი და სხვა სახის დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში უფასოდ ... და, კერძოდ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ბავშვის უფლება, მიიღოს ასეთი დახმარება დაკავების მომენტიდან დაცული იყოს პრაქტიკაში”.¹⁷⁹

¹⁷⁷ იხ., აგრეთვე, ნაწილი 4.4.

¹⁷⁸ იხ., აგრეთვე, ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (II) ნაწილი და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის (დ) ქვეპუნქტი. კონვენცია ითვალისწინებს “სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღებას თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის”. საინტერესოა, რომ ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ აფრიკული ქარტია ითვალისწინებს, რომ ბავშვი იქნება უზრუნველყოფილი სამართლებრივი და სხვა სახის დახმარებით.

¹⁷⁹ ვენის პრინციპები, პუნქტი 16.

კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს, ვინ არის პასუხისმგებელი იმ ადვოკატებისათვის მინიმალური სტანდარტების შექმნაზე, რომლებიც წარმოადგენენ ბავშვებს. აღნიშნული უწყება შეიძლება იყოს იუსტიციის სამინისტრო, ადვოკატთა ასოციაცია ან იურიდიული პროფესიის წარმომადგენელი სხვა ორგანო. სტანდარტები უნდა ეხებოდეს მთელ რიგ შესაბამის საკითხებს, მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში მუშაობის მინიმალური იურიდიული გამოცდილების, დანიშვისათვის აუცილებელი ტრენინგების და წარმომადგენლობის უწყვეტობის აუცილებლობას. სტანდარტების განხორციელებისათვის კანონმდებლობა ასევე უნდა ითვალისწინებდეს ასეთი ტრენინგის დაფინანსების საკითხს და ტრენინგის გავლის დამადასტურებელი საბუთის წარდგენას მანამდე, სანამ იურისტს ნებას დართავენ, წარმოადგინოს ბავშვი სასამართლოში.¹⁸⁰

სამართლებრივი დახმარება და წარმომადგენლობა უნდა იყოს უსასყიდლო, იმ ბავშვებისთვის მაინც, ვისაც არ შეუძლია გადაიხადოს იურისტის ჰონორარი. ზოგიერთი სახელმწიფო სამართლებრივ დახმარებას ბავშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უწევს, თუ ბავშვს ან/და მის მშობელს არ შეუძლია გადაიხადოს ადვოკატის ჰონორარი. ამგვარ შემთხვევაში კანონმდებლობამ უნდა დაუშვას, რომ იმ ბავშვის შესაძლებლობა, რომელიც მოშორებულია მშობლებს ან არ ცხოვრობს მათთან, შეფასდეს მშობლებისაგან დამოუკიდებლად. პრაქტიკაში მერყეობს ის ზღვარი, რომლის ფარგლებში ბავშვებს შეიძლება მოსთხოვონ სამართლებრივი დახმარების ხარჯების ანაზღაურება. მაგალითად, იტალიასა და ნორვეგიაში სამართლებრივი დახმარება მთლიანად უფასოა,¹⁸¹ ხოლო სხვა სახელმწიფოები, მათ შორის გერმანია, იტოვებენ უფლებას, დააკისრონ ბავშვს და მის მშობლებს ან მეურვეებს ადვოკატის ჰონორარის გადახდა, თუ მათ ეს შეუძლიათ.¹⁸²

საილუსტრაციო მასალა 30: სტანდარტები ადვოკატებისათვის

პაკისტანის დადგენილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შესახებ (2000 წ.) მოითხოვს, რომ იმ იურისტებს, ვინც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს წარმოადგენს, ჰქონდეს “ადვოკატად მუშაობის სულ მცირე ხუთი წლის გამოცდილება”.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სანტა-კლარას საგრაფოში მოთხოვნილია, რომ საზოგადოებრივ დამცველებსა და პროკურორებს ჰქონდეთ თანაზომიერი სახელფასო განაკვეთი. ეს უზრუნველყოფს ფინანსური შემაკავებელი ფაქტორების არარსებობას და განაპირობებს სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე წარმდგარი ყველა ბავშვისათვის ხარისხიანი ადვოკატების ხელმისაწვდომობას.

წყაროები: პაკისტანის ბრძანებულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შესახებ, ნან. 3 (2) (2000); ბრძანებულება სანტა-კლარას ოლქის ხელფასების შესახებ NS-5.08A (2008). ხელფასების ჩამონათვალი.

სამართლებრივი დახმარების განევა სხვადასხვა გზით შეიძლება: უშუალოდ სახელმწიფოს მიერ მართული სქემით ან ადვოკატთა ასოციაციის თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით, რათა მათ პირდაპირ უზრუნველყონ ბავშვებისთვის იურიდიული კონსულტაციის განევა და მათი წარმომადგენლობა. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ფინანსური რესურსები ძალიან შეზღუდულია, შესაძლებელია, ყველა კვალიფიციურ ადვოკატს მოეთხოვებოდეს გარკვეული რაოდენობით საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარების განევა, რაც იქნება მათი ლიცენზირების ერთ-ერთი პირობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ვარიანტი სახელმწიფოსთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს, რომ საქმის აღების შემთხვევაში ადვოკატს ექნება ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება ან საკმარისი დრო საქმისათვის საჭირო ყურადღების დასათმობად.

¹⁸⁰ იქვე.

¹⁸¹ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო დამკვირვებელი, "კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების იურიდიული დახმარების კამპანია იტალიასა და ნორვეგიაში": < www.oijj.org/legal/situation.php > [მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს].

¹⁸² იქვე.

სახელმწიფოებმა უნდა მოაგვარონ საკითხი, თუ როგორ უნდა მოხდეს სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის წინაშე მდგომი ბავშვებისათვის სამართლებრივი დახმარების განწესის დაფინანსება და ორგანიზება. თუ იურისტისაგან ელიან უფასო მუშაობას ან მხოლოდ მცირე სიმბოლური ანაზღაურების მიღებას, ხშირად ხდება, რომ ბავშვებს წარმოადგენენ სტუდენტი იურისტები ან იურისტები, რომლებმაც სულ ახლახანს დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და რომლებსაც, შესაძლოა, არ გააჩნდეთ გამოცდილება ბავშვის ეფექტიანად დაცვისთვის.

საილუსტრაციო მასალა 31: იურიდიული დახმარების სქემები

კამბოჯაში ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული დახმარების დეპარტამენტი კანონის მიხედვით ვალდებულია, წარმოადგინოს ღარიბი მოსახლეობა სამართალწარმოების დროს. 2000 წელს ადვოკატთა ასოციაციამ შექმნა ბავშვთა დაცვის განყოფილება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების და მსხვერპლი/დაზარალებული ბავშვების იურიდიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით. განყოფილება დაკომპლექტებულია იურისტებით და თანაშემწეებით, რომლებიც გადიან ტრენინგს ბავშვთა უფლებებში, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან და მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობის ჩათვლით.

ჰონ-კონგში მორიგე იურისტების სქემა კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს სთავაზობს სამართლებრივ წარმომადგენლობას არასრულწლოვანთა სასამართლოში არსებულ საქმეებზე. უმეტესად აღნიშნული სქემის საფუძველზე წარმომადგენლობა უფასოა, თუმცა იმ მშობლებს, რომელთაც აქვთ გადახდის საშუალება, სთხოვენ მომსახურებისათვის მცირე საფასურის გადახდას. მორიგე იურისტების სქემას ფინანსურად მხარს უჭერს ჰონ-კონგის მთავრობა და იგი მოიცავს 821 ადვოკატს და 728 იურიდიულ კონსულტანტს.

ეთიოპიაში საბავშვო პოლიტიკის აფრიკული ფორუმის მიერ 2004 წელს დაარსებული ბავშვთა სამართლებრივი დაცვის ცენტრი უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სამართლებრივ წარმომადგენლას და დახმარებას. იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერით ცენტრის თანამშრომლები დაინიშნენ არჩევით წარმომადგენლებად ბავშვის უფლებების დაცვის საქმეებზე, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საქმეების ჩათვლით.

წყაროები: გაეროს ბავშვთა ფონდი, “მართლმსაჯულება ბავშვებისათვის: პატიმრობა როგორც უკიდურესი ზომა, ინოვაციური ინიციატივები აღმოსავლეთ აზიის და წყნარი ოკეანის რეგიონში”, 2003; მორიგე იურისტების სამსახური, ჰონ-კონგის სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონი, არასრულწლოვანთა სასამართლოები <www.dutylawyer.org.hk/en /duty/ juvenile.asp>; Y-CARE ახალგაზრდული მართლმსაჯულება პრაქტიკაში, “კამპანის შესახებ ანგარიში (2007), 55; საბავშვო პოლიტიკის აფრიკული ფორუმი, “ინფორმაცია ბავშვთა სამართლებრივი დაცვის ცენტრის შესახებ”: <www.africanchildforum.org/clpc/about.htm> [ვებგვერდები მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს].

7.4. მშობლის თანდასწრებით

კონვენციის მე-40 მუხლის (ბ) პუნქტის (III) ქვეპუნქტი უზრუნველყოფს სასამართლოში საქმისწარმოებისას ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლების დასწრებას, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს მისი ასაკის ან ვითარების გათვალისწინებით.

პეკინის წესები კიდევ უფრო უღრმავდება ამ უფლებას. წესი 15-2-ის მიხედვით: “მშობლებს ან მეურვეს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო განხილვაში და ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება არასრულწლოვნის ინტერესების გათვალისწინებით. ამასთანავე, ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია უარი უთხრას მათ ასეთ მონაწილეობაზე, თუ არის საფუძველი ვარაუდისა, რომ ეს აუცილებელია არასრულწლოვანის ინტერესებიდან გამომდინარე”.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, მონაწილე სახელმწიფოებმა ცალსახად უნდა უზრუნველყონ საქმისწარმოებაში მშობლისა და მეურვეების მარტივად ჩართულობა¹⁸³. კომიტეტის აზრით, ასეთი ჩართულობა ეხმარება იმ ბავშვებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს,

¹⁸³ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტი 54.

უკეთ მართონ საკუთარი დამნაშავეობრივი ქცევა და, ამასთანავე, უზრუნველყოფს ბავშვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და ემოციურ მხარდაჭერას. თუმცა არ უნდა მოხდეს მშობლების დასჯა მათი შვილების მიერ ჩადენილი დანაშაულებისათვის. ეს პრაქტიკა მიღებულია ზოგიერთ ქვეყანაში და კომიტეტი ამასთან დაკავშირებით “სინანულს” გამოთქვამს. მიუხედავად იმისა, რომ მშობლების დასწრება უნდა ნახალისდეს, ეს არ უნდა იყოს აღქმული როგორც ყველა შემთხვევაში აუცილებელი. ზოგჯერ შესაძლებელია სასამართლომ ან სხვა კომპეტენტურმა ორგანომ, ბავშვის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თხოვნით ან იმის გამო, რომ მშობლის დასწრება არ შეესაბამება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს, შეზღუდოს, აკრძალოს ან გამორიცხოს მშობლის დასწრება საქმის წარმოებისას¹⁸⁴.

საილუსტრაციო მასალა 32: სასამართლოში მშობლის დასწრება

ფიჯის არასრულწლოვანთა აქტის თანახმად, “როდესაც არასრულწლოვანს ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა ან იგი რაიმე სხვა მიზეზით წარდგება სასამართლოს წინაშე, მის მშობელს ან მეურვეს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია, ხოლო თუ ის ცხოვრობს დასაშვებ მანძილზე, მოეთხოვება იმ სასამართლოს წინაშე გამოცხადება, რომელიც ისმენს ან განიხილავს საქმეს წარმოების ყველა ეტაპზე, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ სასამართლო დარწმუნებულია, რომ გადანყვეტილება მშობლის დასწრების მოთხოვნის თაობაზე არ იქნება გონივრული, ან ვერ ხერხდება მშობლის მოძებნა”. აღნიშნული აქტის მიხედვით არასრულწლოვანის დამკავებელმა პოლიციელმა უნდა გააფრთხილოს არასრულწლოვანის მშობლები ან მეურვე, თუ შესაძლებელია მათი პოვნა, რომ ისინი დაესწრონ სასამართლოს.

მალაიზიის ბავშვთა აქტის თანახმად, “თუ ბავშვს ბრალად ედება ნებისმიერი სახის დანაშაულის ჩადენა, საბავშვო სასამართლო მოითხოვს ბავშვის მშობლების ან მზრუნველის პირადად გამოცხადებას იმ საბავშვო სასამართლოს წინაშე, რომელიც განიხილავს ან რომელსაც გადანყვეტილება გამოაქვს საქმის თაობაზე, საქმისწარმოების ყველა ეტაპზე, თუ საბავშვო სასამართლო დარწმუნებული არაა, რომ მშობლების ან მეურვეის დასწრების მოთხოვნა არ იქნება გონივრული.”

როგორც მიახმარი, ასევე პაპუა ახალი გვინეა მშობლებს მოიაზრებენ “იმ პირთა შორის, ვინც შეიძლება იმყოფებოდეს სასამართლო დარბაზში, მაგრამ მათ დასწრებას არ მოითხოვს სავალდებულო წესით.”

წყაროები: ფიჯის არასრულწლოვანთა აქტი 1974 წ., თავი 56, ნან. 7(1); მალაიზიის ბავშვთა აქტი 2001წ., ნან. 88(1); კანონი ბავშვების შესახებ (სახელმწიფო კანონი და მართლწესრიგის აღდგენის საბჭოს კანონი #9/93) 1993 წ. (მიახმარი), ნან. 42; არასრულწლოვანთა სასამართლოების აქტი 1991 წ., პაპუა ახალი გვინეა, ნან. 23

7.5. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს, ზრდასრული ადამიანებისგან განსხვავებით, აქვთ პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება საქმის განხილვის ყველა სტადიაზე.¹⁸⁵

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა N10 ზოგად კომენტარში დაადგინა, რომ “საქმის განხილვის ყველა სტადია” იწყება სამართალდამცავ ორგანოებთან პირველი კონტაქტიდან (მაგ. ინფორმაციისა და იდენტიფიცირების მოთხოვნა) ზედამხედველობიდან ან პატიმრობიდან განთავისუფლებამდე.¹⁸⁶

პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების მიზანია იმ ზიანის თავიდან აცილება, რომელიც შეიძლება მიადგეს ბავშვს საქმის გაუმართლებელი საჯაროობით. უარყოფითმა გასაჯაროებამ შეიძლება მოახდინოს ბავშვის სტიგმატიზაცია და, სავარაუდოდ, უარყოფითად აისახება ბავშვის შესაძლებლობაზე, მიიღოს განათლება, მოიძიოს სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი,

¹⁸⁴ იქვე, პუნქტები 53,54.
¹⁸⁵ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (VII) ნაწილი ითვალისწინებს, რომ ბავშვს აქვს უფლება “პირადი ცხოვრების სრული პატივისცემისა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე”.
¹⁸⁶ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტი 64.

ასევე ზოგადად მის რეინტეგრაციაზე.¹⁸⁷ ბავშვის უფლებათა კომიტეტმა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფართო გაგებით განმარტება მოახდინა. სახელმწიფოებმა მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ კანონმდებლობაში, რომ როდესაც მიმდინარეობს ბავშვის გასამართლება დანაშაულის ჩადენის გამო, განხილვა უნდა გაიმართოს დახურულ კარს მიღმა¹⁸⁸. გამონაკლისები ამ წესიდან უნდა იყოს ძალიან შეზღუდული და მკაფიოდ განსაზღვრული კანონში. ექსპერტებს და სხვა სპეციალისტებს უნდა მიეცეთ სასამართლო პროცესზე ან განხილვაზე დასწრების საშუალება მხოლოდ სასამართლოს ან ტრიბუნალის სპეციალური ნებართვით.¹⁸⁹

საილუსტრაციო მასალა 33: გასაჯაროების გავლენა

საქმეზე “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, სადაც 10 წლის ორი ბიჭი გასამართლდა ორი წლის ბავშვის მკვლელობის გამო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოხატა შეშფოთება ბავშვებთან დაკავშირებული საჯაროობის დონეზე. სასამართლომ აღნიშნა: “სასამართლო პროცესმა

წარმოშვა პრესისა და საზოგადოების განსაკუთრებით მაღალი ინტერესი როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე მის გარეთ, იმდენად, რომ მოსამართლემ თავის შემაჯამებელ სიტყვაში მოიხსენია ის პრობლემები, რომლებიც წარმოექმნათ მოწმეებს საჯარო გახმაურებით.” სამართლომ მიიჩნია, რომ პრესისა და სასამართლო პროცესთან დაკავშირებული საჯაროობის მიერ გამოწვეულმა დაშინების გაზრდილმა დონემ გაართულა ორი ბრალდებული ბიჭის ეფექტიანი მონაწილეობა.

სასამართლომ ასევე მიუთითა “საერთაშორისო ტენდენციაზე არასრულწლოვან განსასჯელთა პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების სასარგებლოდ”. სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო პროცესზე მედიისათვის დასწრების საშუალების მიცემა ხელს უწყობს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევას.

წყაროები: საქმე “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, № 24888/94; [1999] ECHR 2; N. 24724/94 (2000) 30 EHRR 121, ევროპის საბჭო: ECHR16 დეკემბერი 1999, პუნქტი 86).

კანონმდებლობით ასევე უნდა აიკრძალოს საჯარო ხელისუფლების - პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და იუსტიციის სამინისტროს - მხრიდან რაიმე ისეთი ინფორმაციის (მაგალითად, პრესრელიზის) გავრცელება, რაც შესაძლებელს გახდის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის იდენტიფიცირებას.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა გარკვევით უკრძალავდეს ყველანაირ მედიას ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელებას ან ეთერში გადაცემას, რომლითაც შესაძლებელია იმ ბავშვის იდენტიფიცირება, რომელმაც, როგორც ითვლება, ჩაიდინა დანაშაული, ბრალდებული ან აღიარებულია მის ჩამდენად. ეს მოიცავს ბავშვის ან მისი მშობლების ფოტოების ან სხვაგვარი გამოსახულების გამოყენების აკრძალვას, ბავშვის და მშობლების, სკოლის, რომელშიც ბავშვი დადის, და სამეზობლოს, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, დასახელებას. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სანქციებს, რომლებიც გამოყენებული იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დამრღვევი ჟურნალისტების, გაზეთების და მაუწყებლების წინააღმდეგ. კონფიდენციალურობის დარღვევა მიჩნეული უნდა იყოს დანაშაულად და სამოქალაქო სასამართლოებში სარჩელის აღძვრის საფუძველიც უნდა იყოს.

კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა შესახებ ჩანაწერები დაცული იყოს მკაცრად კონფიდენციალურად და ხელმიუწვდომელი იყოს მესამე პირებისათვის, გარდა იმ პირებისა, ვინც უშუალოდ არის ჩართული გამოძიების, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.¹⁹⁰

¹⁸⁷ პეკინის წესების მე-8 წესი. იხ., აგრეთვე, ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტი 64.
¹⁸⁸ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტი 66.
¹⁸⁹ იქვე, პუნქტი 65.
¹⁹⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტები 64-6.

საილუსტრაციო მასალა 34: პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების გათვალისწინება

განის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი (2003 წ.) ადგენს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, რომელიც გულისხმობს ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ბავშვის იდენტიფიცირება.

კოსოვოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მთავარი პრინციპია, რომ “ბავშვს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა ეტაპზე, რათა თავიდან ავიცილოთ ზედმეტი საჯაროობით ან იარლიყების მიკუთვნებით ბავშვისათვის ზიანის მიყენება. არ უნდა გამოქვეყნდეს არავითარი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს არასრულწლოვანი დამნაშავეს იდენტიფიცირება.”

გასაჯაროების აკრძალვის პრინციპი და მიზანი ნათლად არის მოცემული უგანდის ბავშვთა აქტის (1996 წ.) 102-ე მუხლში - “პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა და გამოქვეყნების შეზღუდვა”:

1. ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება დაცული უნდა იყოს მთელი სასამართლო პროცესის მანძილზე, რათა თავიდან ავიცილოთ მისთვის ზედმეტი საჯაროობით ზიანის მიყენება; და ოჯახური და საბავშვო სასამართლოს წინაშე წარმდგარ ბავშვთან დაკავშირებით არავინ უნდა გამოაქვეყნოს რაიმე ინფორმაცია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ბავშვის იდენტიფიცირება. გარდა ამისა, ნებისმიერ პირს, რომელიც არღვევს ამ უფლების დაცვისა და შეზღუდვის წესს, შეიძლება დაეკისროს ჯარიმა და დაისაჯოს.

წყაროები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი, 2003 წ. (ACT 653) ნაწ.3 (2); კოსოვოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2004 წ.), მუხლი 1 (7); უგანდის ბავშვთა აქტი, 1996 წ. ნაწ. 102.

7.6. ბავშვის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა

7.6.1 ენის გაგება

იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს სასამართლო პროცესში მონაწილეობა, მას უნდა შეეძლოს იმის გაგება, თუ რა ხდება. საერთაშორისო სტანდარტები მკაფიო ვალდებულებას აკისრებს ნევერ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ აღნიშნული.

სასამართლოში გამოყენებული ენის არცოდნა არის აშკარა ბარიერი საქმისწარმოების გაგებისათვის. ბავშვის უფლებათა კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ თარჯიმნის დახმარება უფასოდ, “თუ ბავშვს არ ესმის ან არ ლაპარაკობს გამოყენებულ ენაზე”¹⁹¹. ადამიანის უფლებათა რეგიონული სამართლებრივი აქტები პრაქტიკულად იდენტურ მუხლებს შეიცავენ¹⁹². პროფესიული და კვალიფიციური თარჯიმნით უზრუნველყოფის წარუმატებლობა შეიძლება გამოიწვიოს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა.¹⁹³

¹⁹¹ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (VI) ნაწილი; ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც იდენტურია 40 (2) (ბ) (VI) მუხლისა, საქმეზე “კუსკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, რომელშიც დადგინდა, რომ იმის გამო, რომ განმცხადებელი ვერ უზრუნველყვეს სასამართლო პროცესზე პროფესიული, კვალიფიციური თარჯიმნით, დაირღვა მე-6 მუხლი. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ განმცხადებელს ესმოდეს სასამართლო პროცესზე საქმის წარმოება (“კუსკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, განაცხადის N3277/96, [2002] ECHR 625, (2003) 36 E.H.R.R. 2, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 24 სექტემბერი, 2002 წ.)

¹⁹² ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი; ამერიკის კონვენციის მუხლი 8 (2) (ა); ბავშვთა უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის აფრიკული ქარტიის მუხლი 17 (2) (გ) (II);

¹⁹³ იხ. “კუსკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, რომელშიც დადგინდა, რომ იმის გამო, რომ განმცხადებელი ვერ უზრუნველყვეს სასამართლო პროცესზე პროფესიულად კვალიფიციური თარჯიმნით, დაირღვა მე-6 მუხლი. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ განმცხადებელს ესმოდეს სასამართლო პროცესზე საქმის წარმოება.

საილუსტრაციო მასალა 35: უფასო თარჯიმნის უფლება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2007 წ.) მე-17 მუხლი აცხადებს:

1. სისხლის სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.
2. პროცესის მონაწილეს, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა, უფლება აქვს, გააკეთოს განცხადება, მისცეს ჩვენება და განმარტება, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, შეიტანოს საჩივარი, სასამართლოში გამოვიდეს მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის. ამ შემთხვევებში, აგრეთვე საქმის მასალების გაცნობისას პროცესის მონაწილეს უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.
3. საგამოძიებო და სასამართლო დოკუმენტები, რომლებიც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა გადაეცეს ბრალდებულს ან პროცესის სხვა მონაწილეს, უნდა ითარგმნოს მის მშობლიურ ენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის.
4. ორგანო, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია, პროცესის მონაწილეებს განუმარტოს ამ მუხლის მე-2-3 ნაწილებში აღნიშნული მათი უფლებები.
5. სისხლის სამართლის საქმეში მონაწილე თარჯიმნის შრომის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს ხარჯზე.

წყაროები: ბავშვთა უფლების აქტს კანონის ძალა მიენიჭა 2007 წელს (დამატება სიერა-ლეონეს საგანგებო უწყებებზე, ტომი CXXXVIII, № 43, 2007 წლის 3 სექტემბერი); სოციალური დაცვის, გენდერული და ბავშვთა საქმეთა სამინისტრო, სიერა-ლეონეს საბავშვო მართლმსაჯულების ეროვნული სტრატეგია, ივლისი 2006 წ.

კანონმდებლობაში გარკვევით უნდა ჩამოყალიბდეს, რომ ბავშვს უფლება აქვს, ბრალდება განემარტოს იმ ენაზე, რომელიც მას ესმის, ასევე აქვს უფლება, ჰყავდეს თარჯიმანი. ამასთან, ეს უფლება ეხება ყველა ბავშვს, მათ შორის ყრუ, სმენადაქვეითებულ ან მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვებსაც. თუმცა ყრუ ბავშვების უზრუნველყოფა თარჯიმნით ბევრ სახელმწიფოში წარმოადგენს პრობლემას. თარჯიმნის სტანდარტები საკმარისად მაღალი დონის უნდა იყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვს კარგად ესმოდეს, თუ რა ხდება პროცესზე. სახელმწიფოებმა უნდა დააკისრონ მოვალეობა იუსტიციის სამინისტროს ან სხვა შესაბამის სამინისტროს, უზრუნველყონ კანონქვემდებარე აქტებით შესაბამისი ტრენინგების ხელმისაწვდომობა, საჭიროების შემთხვევაში უფასოდ, რათა არსებობდეს შესტების ენის პროფესიონალი თარჯიმნების ადეკვატური რაოდენობა.

სხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ტრენინგების მინიმალური სტანდარტები მათთვის, ვინც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მუშაობს, პოლიციისა და ციხის თანამშრომლების ჩათვლით.¹⁹⁴

¹⁹⁴ კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის შესახებ, მიღებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციით 2007 წლის 24 იანვარს, გაერო, GAOR A/RES/61/106, მუხლი 13.

საილუსტრაციო მასალა 36: დებულებები ყრუ ბავშვებისათვის

ინდონეზიის ამჟამინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კანონი (198) ითვალისწინებს ყრუ და/ან მუნჯი ბრალდებულის უფლებას, ჰყავდეს თარჯიმანი:

“1) თუ ბრალდებული ან მოწმე არის მუნჯი და/ან ყრუ და ვერ წერს, თავმჯდომარე მოსამართლე დანიშნავს ბრალდებულთან ან მოწმესთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე თარჯიმანს.

2) თუ ბრალდებული ან მოწმე არის მუნჯი და/ან ყრუ, მაგრამ შეუძლია წერა, სასამართლო პროცესზე მოსამართლე ყველა შეკითხვას ან შენიშვნას გადასცემს წერილობით, ხოლო ბრალდებულს ან მოწმეს უბრძანებენ პასუხის წერილობითვე გაცემას, რის შემდეგაც ყველა კითხვას და პასუხს ნაიკითხავენ ხმამაღლა.”

ეს უფლებები უნდა გავრცელდეს გამოძიების ეტაპზე, ისევე, როგორც სასამართლო პროცესის ეტაპზე.

2007 წელს სისხლის სამართლის რეფორმის აპარატმა (ინგლისი და უელსი) გამოაქვეყნა ეროვნული შეთანხმება სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში თარჯიმნებისა და მთარგმნელების და ენობრივი მომსახურების სპეციალისტების გამოყენების ორგანიზების წესის შესახებ. შეთანხმება წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ენისა და ჟესტების ენის თარჯიმნების უზრუნველყოფისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. სახელმძღვანელო დოკუმენტი ითვალისწინებს დამტკიცებულ რეესტრში რეგისტრირებული თარჯიმნების გამოყენებას. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს რეგისტრირებული თარჯიმნების დეფიციტი, სახელმძღვანელო დოკუმენტში ჩამოთვლილია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ სათანადოდ მომზადებული თარჯიმნებით უზრუნველყოფა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური სასამართლოს თარჯიმანთა შესახებ აქტი (1978 წ.) მოითხოვს ფედერალური სასამართლოებისაგან სისხლის სამართლის ყრუ განსასჯელთათვის თარჯიმნის დანიშნვას და ანაზღაურებას. სახელმწიფო კანონმდებლობა უზრუნველყოფს უფრო დეტალურ სახელმძღვანელო დებულებებს. მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სასამართლო კანონი (1992 წ.) აცხადებს: “თუ ნებისმიერი სახის სამართალწარმოების პროცესში რომელიმე მხარე ან მოწმე ყრუა, ყველა ინსტანციის სასამართლო ნიშნავს კვალიფიციურ თარჯიმანს, რომელიც სერტიფიცირებულია აღიარებული ეროვნული ან ნიუ-იორკის შტატის მაკრედიტებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ და მოწონებულია სასამართლოების მთავარი ადმინისტრატორის მიერ საქმისწარმოებისა და ასეთი ყრუ პირის ჩვენების თარგმნისათვის”. არსებობს ყრუ პირების თარჯიმანთა რეესტრი, რომელიც აღიარებულია თარჯიმნების სერტიფიცირებაზე უფლებამოსილ ორგანოდ. თუმცა კანონი აგრძელებს, რომ თუ რეგისტრირებული თარჯიმნის მოწვევა გამოიწვევს გაუმართლებელ დაყოვნებას, მაშინ სასამართლოს შეუძლია დროებით დანიშნოს კვალიფიციური თარჯიმანი, რომელიც არ არის სერტიფიცირებული.

წყაროები: Kitab Undeang-Undang Hukum Acara Pidana, “KUHAP” s.53 (2). 2009 წლის იანვარში ეს კანონი ძალაში იყო, მაგრამ ამჟამად მიმდინარეობს მისი გადასინჯვა; ეროვნული შეთანხმება სისხლის სამართლის სისტემის ფარგლებში გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში თარჯიმნებისა და მთარგმნელების და ენობრივი მომსახურების სპეციალისტების გამოყენების ორგანიზების წესის შესახებ, ნაწილები-3, 3.3, 3.4, ფედერალური სასამართლოს თარჯიმანთა შესახებ აქტი 1978, 28 USC § 1827; ნიუ-იორკის შტატის სასამართლო კანონი 1992 წ., ნაწილი 390.

მოთხოვნა, რომ ბავშვებს ესმოდეთ სასამართლოს ენა ასევე ნიშნავს, რომ პროკურორებიც, ადვოკატებიც და მოსამართლეებიც უნდა შეეცადონ, არ გამოიყენონ ზედმეტად რთული იურიდიული ენა და ჟარგონი. სასამართლო დარბაზში გამოყენებულმა ენამ შეიძლება გამოიწვიოს განსასჯელი და მოწმე ბავშვების დაშინება და გაუგებარი იყოს მათთვის. სისხლის სამართლის ჩანაწერების სრულყოფილმა შესწავლმა აესტრალიაში გამოავლინა, რომ ბავშვებისათვის,

რომელთაც ჩვენება უნდა მიეცათ მოწმის სახით, დამაბნეველი იყო ენის სტილი,¹⁹⁵ ხოლო ბავშვების მიერ ჩვენების მიცემის თაობაზე სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვებისათვის ნაკლებად გასაგებია სამართლებრივი ტერმინები¹⁹⁶. ენის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება შეზღუდოს მოწმის უნარი, უპასუხოს კითხვებს და შეიძლება საზიანო იყოს ბავშვი ბრალდებულის საქმისათვის, თუ ბავშვი ბრალდებული ცდილობდა რთული კითხვების თავიდან აცილებას.¹⁹⁷

საილუსტრაციო მასალა 37: იმის უზრუნველყოფა, რომ სასამართლო პროცესი ს ენა “ბავშვისათვის გასაგები” იყოს

გაერთიანებულ სამეფოში ლორდი უმაღლესი მოსამართლის მიერ გამოცემული პრაქტიკული მითითებები მოსამართლეებისაგან მოითხოვს, რომ მათ “ახალგაზრდა განსასჯელის წარმომადგენლებს შეახსენონ მათი მოვალეობა, მუდმივად აუხსნან სასამართლო პროცესის ყოველი ნაბიჯი ბრალდებულს, და შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყონ, რომ სასამართლო პროცესი ჩატარდეს ახალგაზრდა განსასჯელისთვის გასაგებ ენაზე”.

წყარო: ინგლისისა და უელსის ლორდი უმაღლესი მოსამართლის პრაქტიკული მითითებები, ბავშვებისა და ახალგაზრდების სასამართლო პროცესი სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში (პირველი ინსტანციის სისხლის სამართლის სასამართლო) 16 თებერვალი, 2000წ., პუნქტი 11.

7.6.2 პროცედურის გაგება

იმისათვის, რომ ბავშვს ესმოდეს საქმისწარმოება და სრულყოფილად იღებდეს მასში მონაწილეობას, ბავშვს უნდა შეეძლოს სასამართლო პროცესის არსის გაგება და საკუთარ დაცვაში აქტიურად მონაწილეობა.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარის მიხედვით, “იმისათვის, რომ სასამართლო სამართლიანი იყოს, ბავშვს, რომელმაც, როგორც ითვლება, ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, ან ბრალად ედება დანაშაულის ჩადენა, უნდა შეეძლოს სასამართლო პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის მიღება, რისთვისაც მას უნდა ესმოდეს ბრალდების არსი, შესაძლო შედეგები და სანქციები, რაც საშუალებას მისცემს, უხელმძღვანელოს საკუთარ ადვოკატს, დაუპირისპირდეს მოწმეებს, აღწეროს მოვლენები და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები მტკიცებულებებზე, ჩვენებასა და დასაკისრებელ ზომებზე. პეკინის წესების მე-14 წესი უზრუნველყოფს, რომ განხილვა უნდა განხორციელდეს გაგების ატმოსფეროში, რაც საშუალებას მისცემს არასრულწლოვანს, მიიღოს მასში მონაწილეობა და თავისუფლად გამოთქვას თავისი თვალსაზრისი. შესაძლებელია, ბავშვის ასაკისა და მონიჭულობის გათვალისწინებით, ასევე საჭირო გახდეს სასამართლო სხდომის დარბაზის პროცედურებისა და პრაქტიკის მოდიფიცირება.¹⁹⁸

აღამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმისათვის, რომ სასამართლო სამართლიანი იყოს, არ არის აუცილებელი, რომ ბავშვს, რომელსაც ასამართლებენ დანაშაულის ჩადენის გამო, ესმოდეს ან ჰქონდეს უნარი, გაიგოს კანონის ყველა ასპექტი ან მტკიცებულებებთან

¹⁹⁵ ელისონ, ლუის, (Ellison, Louise.) "ჯვარედინი დაკითხვა და შუამავალი: ენით გამოწვეული გათიშულობის გამოვლიანება?", სისხლის სამართლის მიმოხილვა, 114, 118, 2002, ციტირება ჯ. მაიერსი, კ. სეივიტსი, გ. გუდმენი, (J. Myers, K. Saywitz, G. Goodman), "ბავშვი მოწმეების ფსიქოლოგიური კვლევა: სასამართლო ექსპერტიზის ინტერვიუების და სასამართლო დარბაზში ჩვენების პრაქტიკული მნიშვნელობა", წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების სამართლის ჟურნალი 28: 3, 54, 1996 წ. იხ., ასევე, სეივიტსი კ. (Saywitz, K), სამართლებრივი სისტემის აღქმა ბავშვების მიერ: "სასამართლო - კალაბურთის თამაშის ადგილი" (გამომც.) სიჯეი ჩეჩი; დ.ფ. როსი, მ.პ. ტოლია, (S. J. Ceci, D. F. Ross, M. P. Toglia), ბავშვთა ჩვენებების პერსპექტივები, ნიუ-იორკი: სპრინგერ ვერლაგ (Springer Verlag) 1989.

¹⁹⁶ იქვე, ციტირება ბრენანი, მ; ბრენანი, რ.ე. (Brennan, M., Brennan, R. E) უცნობი ენა - ბავშვი მსხვერპლის ჯვარედინი დაკითხვა, Wagga Wagga, NSW: რივერინა მიურეის (Riverina Murray) უმაღლესი განათლების ინსტიტუტი 1988.

¹⁹⁷ ელისონ, ლ. (Ellison, L) ზემოხსენებული ნაშრომი.

¹⁹⁸ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007); პუნქტი 46; იხ., აგრევე, პეკინის წესების მე-14 წესი;

დაკავშირებული დეტალები.¹⁹⁹ თანამედროვე სამართლებრივი სისტემების სირთულის გათვალისწინებით, ნორმალური ინტელექტის მქონე ბევრ ზრდასრულ ადამიანსაც კი უჭირს, ჩანვდეს ყველა იმ ჩახლართულ იურიდიულ ფორმულირებებს და მხარეებს შორის მოსაზრებების გაცვლას, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სასამართლო დარბაზში: ეს კი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სამართლებრივი წარმომადგენლობის უფლების მნიშვნელობას. მაგრამ იმისათვის, რომ ამ კონტექსტში უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვის ეფექტიანი მონაწილეობა, ბრალდებულ ბავშვს უნდა ჰქონდეს გააზრებული სასამართლო პროცესის არსი ფართო გაგებით და ისიც, თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს მას ამ პროცესმა.

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: სასამართლო მიიჩნევს, რომ როდესაც მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ისეთ ბავშვთან დაკავშირებით, რომელიც დგას რისკის წინაშე, ვერ მიიღოს ეფექტიანი მონაწილეობა პროცესში თავისი ასაკის გამო, ... გაიმართოს სისხლის სამართლის პროცესი, ნაცვლად იმისა, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნეს რაიმე სხვა ზომა, რომელიც მიმართულია ბავშვისა და საზოგადოების ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვისაკენ, აუცილებელია, რომ ეს ბავშვი გასამართლდეს სპეციალისტებისაგან შემდგარი სასამართლოს მიერ, რომელსაც შეუძლია სრულად გაითვალისწინოს და სათანადოდ მიიღოს მხედველობაში ის სირთულეები, რომლებსაც ბავშვი განიცდის, და თავისი პროცედურა შესაბამისად მოარგოს ამ ვითარებას.²⁰⁰

7.7. ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი გარემო

სასამართლო დარბაზის ბავშვის მიმართ კეთილგანწყობილ გარემოდ გარდაქმნამ შეიძლება საშუალება მისცეს ბავშვს, მონაწილეობა მიიღოს პროცესში, ვინაიდან ასეთი გარემო ხელს შეუწყობს ბავშვის სტრესული მდგომარეობის და შიშის შემცირებას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”²⁰¹ დაადგინა, რომ სასამართლო დარბაზის ფიზიკური გარემო იყო ერთი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დარღვევა. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ სასამართლოს ფიზიკური გარემო არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ დაგვესკვნა, რომ ადგილი ჰქონდა უსამართლო სასამართლოს, მაგრამ ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ამგვარი დასკვნის გამოტანაში.

სასამართლოს გარემოს ბავშვისადმი კეთილგანწყობილ გარემოდ გადაკეთება მოიცავს, მაგალითად, მოსამართლეთათვის იმის მოთხოვნას, რომ არ ჩაიცვან ოფიციალური მანტიები და ამის ნაცვლად ჩვეულებრივ სამოსში გამოეწყონ, სასამართლოს თანამშრომლების განლაგებას ბავშვის დონეზე, ნაცვლად ამალღებულ სკამზე ან პოდიუმზე განლაგებისა, ბავშვისათვის საშუალების მიცემას, იჯდეს მშობლის ან სხვა სათანადო უფროსის გვერდით და ა.შ.

მიუხედავად იმისა, სახელმწიფოში არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლოები თუ ბავშვთა საქმეების განხილვისათვის გამოიყენება ზრდასრულთათვის განკუთვნილი სასამართლოები, სახელმწიფო ორგანომ, რომელიც ადმინისტრირებას უწევს სასამართლოებს, უნდა შეიმუშაოს პროცედურული პროტოკოლი, რომელშიც მითითებული იქნება, თუ როგორი დასაჯდომი ადგილები უნდა მოეწყოს სასამართლოში, ასევე მოცემული იქნება მოსამართლეთა ჩაცმის წესი ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად ბავშვ განსასჯელთა საქმეების განხილვისას.

¹⁹⁹ “ს. კ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” [2004] ECHR 263, (2005) 40 EHRR 10, პუნქტი 29, ევროპის საბჭო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2004 წლის 10 დეკემბერი.

²⁰⁰ იქვე, პუნქტი 35.

²⁰¹ საქმე “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, № 24888/94; [1999] ECHR 2; N. 24724/94 (2000) 30 EHRR 121, ევროპის საბჭო: ECHR16 1999.

საილუსტრაციო მასალა 38: არასრულწლოვანთა სასამართლოებისათვის რეკომენდებული პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად გაერთიანებულ სამეფოში მომზადდა სახელმძღვანელო ინგლისისა და უელსის არასრულწლოვანთა სასამართლოებისათვის რეკომენდებული პრაქტიკის თაობაზე:

4.1 სასამართლოს ფიზიკურ გარემოს - ავეჯის ტიპს, განლაგებას და დასაჯდომი ადგილების განლაგებას პირდაპირ შეუძლია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს კომუნიკაცია. მას შეუძლია მხარეები ჩართოს პროცესში აქტიურ მონაწილეებად ან გადაიყვანოს ისინი უფრო პასიურ როლებზე.

4.2 ბავშვების გვერდით მშობლების დასხდომა არის სასამართლო პროცესში მათი ჩართვის საშუალება და მათი მონაწილეობის ნახალისება. მოსამართლეების გადმოყვანა ამალღებული სკამებიდან უშუალოდ სასამართლო დარბაზში ისე, რომ ისინი ბავშვი განსასჯელების დონეზე ან ამ დონესთან მიახლოებულად დასხდნენ, იმას ნიშნავს, რომ მათ შეეძლება უფრო ადვილად შეინარჩუნონ თვალის კონტაქტი საუბრისას. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ჩართულობის პროცესს (ზოგიერთ კულტურაში მიუღებელია ბავშვის მიერ უფროსისათვის თვალის გასწორება. ასეთ შემთხვევებშიც კი მნიშვნელოვანია მოსამართლისა და ბავშვის ერთ დონეზე ყოფნა).

4.6 ქვეყნის მასშტაბით სასამართლოებში არსებულ არქიტექტურას შეუძლია შეზღუდოს სასურველი შედეგები, ამიტომ უნდა განხორციელდეს კონსტრუქციული ცვლილებები არსებული რესურსების ფარგლებში. თუმცა იმ ადგილებში, სადაც მოხდა ამ ცვლილებების პილოტირება, ისინი მიღწეულია დამატებითი რესურსების გარეშე და არც ერთ ცვლილებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი ფინანსური ზეგავლენა იმ სასამართლოებზე, რომლებშიც ისინი განხორციელდა. ამიტომ ყველა რეგიონისათვის შესაძლებელი უნდა გახდეს სასამართლო დარბაზის გაცილებით ხელსაყრელი განლაგების მიღწევა.

წყარო: გაერთიანებული სამეფოს შინაგან საქმეთა სამინისტრო "ახალგაზრდული სასამართლო 2001: ახალგაზრდული სასამართლოს შეცვლის კულტურა - რეკომენდებული პრაქტიკის სახელმძღვანელო", 2001 წ.

7.8. ბავშვი არ უნდა იყოს იძულებული, მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული

იმისათვის, რომ სასამართლო სამართლიანი იყოს, მიღწეული უნდა იქნეს ერთგვარი ბალანსი მონაწილეობის მისაღებად ბავშვის ნახალისებასა და იმის აუცილებლობას შორის, რომ არ მოხდეს ბავშვის იძულება, მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი²⁰² უზრუნველყოფს, რომ ბრალდებული არ უნდა იყოს იძულებული, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის წინააღმდეგ ან აღიაროს დანაშაული. ეს უფლება ასევე გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის²⁰³ მე-40 მუხლში. ამიტომ ბავშვს კანონით უნდა მიეცეს უფლება, საერთოდ არ მისცეს ჩვენება თავის სასამართლო პროცესზე, თუკი ის ასე გადაწყვეტს. კანონმდებლობამ ასევე გარკვევით უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ ბავშვს აქვს უფლება, უარი თქვას სასამართლოზე დასმულ მამხილებელ კითხვაზე პასუხის გაცემაზე. გარდა ამისა, კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ნაწილებს ან მუხლებს, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს უფლება, ნაადრევად გამოიტანოს დასკვნა ბრალმდებელი მხარის სასარგებლოდ ან მოეპყროს ბავშვს როგორც დამნაშავეს უბრალოდ იმიტომ, რომ ბავშვი სარგებლობს ზემოხსენებული უფლებებით.

N10 ზოგად კომენტარში ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ ამ უფლების განმარტების თანახმად, ნამების ან სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად მიღებული აღიარება, არის უფლების - არ იყო იძულებული, მისცე ჩვენება - ამკარა დარღვევა, ჩაითვლება ბავშვთა უფლებების უხემ დარღვევად და სრულიად მიუღებელია.²⁰⁴ თუმცა კომიტეტი ასევე

²⁰² სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მუხლი 14 (3) (ზ).

²⁰³ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის (IV) ნაწილი.

²⁰⁴ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი **N10 (2007)**, პუნქტი **56**: არავითარი ასეთი აღიარება ან დათანხმება არ იქნება გათვალისწინებული მტკიცებულების სახით (ნამების საწინააღმდეგო კონვენციის მე-15 მუხლი).

აღიარებს, რომ არსებობს მრავალი სხვა ნაკლებად ძალადობრივი გზა ბავშვის იძულებისთვის ან მისი დაკითხვის ისე წარმართვისთვის, რომ მან მისცეს აღიარება ან თვითმამხილებელი ჩვენება. კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს, რომ იმის თაობაზე გადანყვეტილების მიღებისას, გათვალისწინებული იქნება თუ არა აღიარება, სასამართლომ უნდა მიაქციოს ყურადღება ბავშვის ასაკს, მისი განვითარების დონეს, დაკითხვის ხანგრძლივობას, ბავშვის უსუნარობას, ჩანვდეს იურიდიულ ენას და უცნობი შედეგებისა და თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობის შიშს, რამაც შეიძლება განაპირობოს ბავშვის მიერ დანაშაულის აღიარება, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს.²⁰⁵

7.9. უნდა დაესწროს თუ არა ბავშვი სასამართლოს?

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს შეუძლია, არ მისცეს ჩვენება თავის სასამართლო პროცესზე, ბავშვი მაინც უნდა იყოს სასამართლოში. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 14 (3) (დ) მუხლის თანახმად, მოპასუხეს აქვს უფლება, “გასამართლდეს მისი თანდასწრებით”. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N13²⁰⁶ აცხადებს, რომ სასამართლო პროცესზე დაუსწრებლობა დაიშვება მხოლოდ “განსაკუთრებულ შემთხვევებში” და ამ დროს “დაცვის უფლებების ზედმინევენით დაცვა მით უფრო აუცილებელია”²⁰⁷. ზოგიერთი სახელმწიფო თვლის, რომ შეიძლება ბავშვს სთხოვონ სასამართლოს დატოვება ან საპატიოდ ჩაუთვალონ დაუსწრებლობა, თუ ამას მოითხოვს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. არც ადამიანის უფლებათა კომიტეტი და არც ბავშვის უფლებათა კომიტეტი აკეთებს კომენტარს ამ საკითხზე. მაგრამ რეკომენდებულია, რომ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაესწროს სასამართლო პროცესს.

საილუსტრაციო მასალა 39: სასამართლოზე დასწრების უფლება

ხორვატიის, კოსოვოსა და სერბეთის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა კრძალავს არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესის გამართვას განსასჯელის დაუსწრებლად: “არასრულწლოვანთა გასამართლება მათ დაუსწრებლად არ დაიშვება”.

წყაროები: სერბეთის კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ, 2005 წ., № 85/05, მუხლი 48. იხ., ასევე, კოსოვოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 48; ხორვატიის არასრულწლოვანთა სასამართლოების შესახებ აქტი (1997 წ.), ოფიციალური უწყებები N.111/1997 მუხლი 48.

7.10. გასაჩივრების უფლება

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი უზრუნველყოფს, რომ დანაშაულის ჩადენის გამო მსჯავრდებულ ყველა პირს აქვს უფლება, თავისი გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელი გადაასინჯინოს უმაღლეს ტრიბუნალს (გასაჩივრების უფლება). ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (v) ნაწილი ასახავს ამ დებულებას, თუმცა ოდნავ ფართო უფლებას ანიჭებს ბავშვებს, იმდენად, რამდენადაც ეხება ყველა ბავშვს, რომელიც ითვლება სისხლის სამართლის კანონის დამრღვევად. ეს უფლება, რომელიც ასევე გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონულ სამართლებრივ აქტებში,²⁰⁸ ასახული უნდა იყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

²⁰⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007) პუნქტი 56.

²⁰⁶ ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N13: მე-14 მუხლი (მართლმსაჯულების განხორციელება), თანასწორობა სასამართლოების წინაშე და კანონით დადგენილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება(1984), მე-11 პუნქტი.

²⁰⁷ იქვე.

²⁰⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი; ამერიკის კონვენციის მე-8 მუხლი და ბავშვის უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის აფრიკული ქარტიის მუხლი 17 (2) (გ) (IV);

ადამიანის უფლებათა კომიტეტის N32 ზოგადი კომენტარი²⁰⁹ აღნიშნულ უფლებას განმარტავს როგორც უფლებას, რომელიც გამოიყენება ყველა დანაშაულთან დაკავშირებით და არ შემოიფარგლება მხოლოდ მძიმე დანაშაულებით. კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს გასაჩივრების უფლება და გასაჩივრების პროცედურა. გასაჩივრების უფლება უნდა მოიცავდეს მტკიცებულებებისა და კანონიერების, დამნაშავედ ცნობის და სასჯელის გასაჩივრებას²¹⁰. გასაჩივრების უფლება, რომელიც შემოიფარგლება საქმის მხოლოდ ფორმალური თუ სამართლებრივი ასპექტებით, ფაქტების შესახებ ნებისმიერი სახის მსჯელობის გარეშე, არ არის საკმარისი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის დებულებების დასაკმაყოფილებლად.²¹¹

გასაჩივრების უფლებას მაშინ ექნება აზრი, თუ ბავშვი ინფორმირებულია ამ უფლების შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე და აქვს უფასო იურიდიული წარმომადგენლობით სარგებლობის უფლება საჩივრის მოსამზადებლად. გარდა ამისა, ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, წერილობითი სასამართლო გადაწყვეტილება და სხვა დოკუმენტები, მაგალითად, სასამართლო პროცესის ჩანაწერები. ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებული უნდა იყოს სახელმწიფოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონში.²¹²

საილუსტრაციო მასალა 40: გასაჩივრების უფლება

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კომისია ნათლად განსაზღვრავს, რომ ამერიკის კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის (თ) ქვეპუნქტით (რომელიც ასახავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის 14 (5) მუხლს) გათვალისწინებული უფლება არის უპირობო - არ შეიძლება მისი შემოსაზღვრა გარკვეული დანაშაულებით ან სასჯელებით.

1984 წლიდან 1989 წლამდე კომისიამ მიიღო გარკვეული რაოდენობის პეტიციები კოსტა-რიკის წინააღმდეგ იმ განსაზღვრულთაგან, რომლებიც აცხადებდნენ, რომ გასაჩივრების მათი უფლება ირღვეოდა სისხლის სამართლის კოდექსით. კოდექსი გამორიცხავდა ისეთ საქმეების სააპელაციო წესით გასაჩივრებას, რომლებიც ითვალისწინებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნულ ორ წლამდე ვადით პატიმრობას და მოსამართლის ან სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დანიშნულ 6 თვემდე ვადით პატიმრობას. კომისიამ დაადგინა, რომ კანონი არღვევდა კონვენციას.

წყაროები: საქმე “ვილაბილოს კოსტა-რიკის წინააღმდეგ”, საქმე 9328, 9329, 9742, 9884, 10.131, 10.193, 10.230, 10.429, 10.469, ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკული კომისია (IACHR), 2 ოქტომბერი 1992, პუნქტი 9, იხ. კოსტა-რიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (Código Procesal Penal) (1973), მუხლი 474, პუნქტები 1 და 2. აღსანიშნავია, რომ კოდექსში დებულება რჩება 407-ე მუხლის სახით 1996 წლის ცვლილებების გათვალისწინებით (Código Procesal Penal, Ley No. 7594 de 10 de abril de 1996, Publicado en Alcance No. 31 a La Gaceta No.106 de 4 de junio de 1996).

²⁰⁹ ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N32, მუხლი 14(2007). გაეროს დოკ. CCPR/C/GC/32.

²¹⁰ იქვე, პუნქტი 45.

²¹¹ იქვე, პუნქტი 48.

²¹² იქვე, პუნქტი 49.

ნაწილი 7: სამართლიანი სასამართლოს უფლება: შემაჯამებელი ასპექტები

- კანონმდებლობამ მკაფიოდ უნდა დაადგინოს ზღვრული ვადები დანაშაულის ჩადენასა და სასამართლოს ან სასამართლოს ფუნქციების მქონე სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ საქმის საბოლოო განხილვამდე და გადაწყვეტილების გამოტანამდე. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არასრულწლოვანთა სასამართლოების ან ტრიბუნალების არსებობა;
- კანონმდებლობამ გარკვევით უნდა განსაზღვროს, რომ სასამართლო სხდომა, რომელზეც განიხილება ბავშვის სისხლის სამართლის საქმე, არ უნდა იყოს საჯარო;
- კანონმდებლობამ უნდა აუკრძალოს უფლებამოსილ ორგანოებს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის, მაგალითად, პრესრელიზების, გამოქვეყნება, რომელიც გამოიწვევს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის იდენტიფიცირებას;
- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს მკაფიო დებულებებს, რომლებიც აუკრძალავს მედიას ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გამოქვეყნებას ან ეთერში გადაცემას რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს იმ ბავშვის იდენტიფიცირება, რომელმაც, როგორც ითვლება, ჩაიდინა დანაშაული, ბრალად ედება მისი ჩადენა ან აღიარებულია მის ჩამდენად, და დააკისრებს მედიას სანქციებს ნებისმიერი დარღვევისათვის;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის მიერ მისი დაცვის მომზადებისა და წარმოდგენისათვის იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარების მიღება უფასოდ;
- კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს იურიდიული დახმარების განვეისა და დაფინანსების წესი და უზრუნველყოს უფასო იურიდიული წარმომადგენლობის ხელმისაწვდომობა კანონთან კონფლიქტში მყოფი ყველა ბავშვისათვის;
- სახელმწიფომ უნდა დაანესოს ხარისხის მინიმალური სტანდარტები იმ ადვოკატთათვის, ვინც წარმოადგენს ბავშვებს, ასევე იურისტებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ტრენინგი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვების წარმოდგენაზე. ეს სახელმწიფომ შეიძლება დააკისროს ადვოკატთა ასოციაციას ან სხვა პროფესიულ იურიდიულ ორგანიზაციას;
- კანონქვემდებარე აქტები ან იურისტთა ქცევის კოდექსი ზრუნვის თანაბარ მოვალეობას უნდა აკისრებდეს ადვოკატებს როგორც სახელმწიფო ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში, ასევე კერძო ანაზღაურებად საქმეებზე;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ მშობლებს შეეძლოთ პროცესზე დასწრება, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა სასამართლო დაადგენს, რომ ეს არ შეესაბამება ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს;
- კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებას, ჰყავდეს თარჯიმანი, თუ ბავშვს არ ესმის ენა, რომელზეც ელაპარაკებიან, სმენადაქვეითებულია ან აქვს მეტყველების პრობლემები, ანდა ვერ გადასცემს სასამართლოს თავის სათქმელს;
- კანონმდებლობამ უნდა მოითხოვოს, რომ სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების ყველა თანამშრომელმა გაიაროს ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის მართლმსაჯულების ეფექტიანი წვდომის უზრუნველყოფისათვის;
- კანონქვემდებარე აქტებმა უნდა დააკისროს იუსტიციის სამინისტროს ან სხვა შესაბამის ორგანოს ვალდებულება, უზრუნველყონ სათანადო რაოდენობით თარჯიმნები, ასევე საკმარისი ტრენინგები ჟესტების ენის თარჯიმნებისათვის, საჭიროების შემთხვევაში უფასოდ;
- პროფესიული ქცევის კოდექსები უნდა მოითხოვდეს, რომ ყველა პროფესიონალი, რომელიც აწარმოებს ბავშვების დაკითხვას ან ჯვარედინ დაკითხვას, იყენებდეს ბავშვის ასაკის შესაბამის ენას;

- კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს, თუ როგორ უნდა განახორციელონ სასამართლოებმა სამართალწარმოება, რათა უზრუნველყონ ბავშვების გასამართლება სპეციალისტებისაგან შემდგარი ტრიბუნალების (როგორც წესი, არასრულწლოვანთა სასამართლოების) მიერ და სასამართლოში გამოყენებული პროცედურა უზრუნველყოფდეს ბავშვის აქტიურ მონაწილეობას;
- კანონმდებლობამ უნდა მიაწოდოს პროკურატურას ან მოსამართლეს უფლებამოსილება, შეწყვიტოს სისხლის სამართლის საქმის წარმოება, თუ მიიჩნევს, რომ ბავშვს არ შეუძლია გაიგოს ბრალდების არსი და შესაძლო შედეგები ან სანქციები, რომლებიც შეიძლება დაეკისროს დანაშაულებრივი ქცევის შედეგად;
- მიუხედავად იმისა, სახელმწიფოში არსებობს არასრულწლოვანთა სასამართლოები თუ ბავშვთა საქმეების განსახილველად გამოიყენება სრულწლოვანთა სასამართლოები, სახელმწიფო ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია სასამართლოების ადმინისტრირებაზე, უნდა მოამზადოს პროცედურული წესები. მასში უნდა მიეთითოს სასამართლოში დასაჯდომი ადგილების მონაცემების წესი, მოსამართლეთა ჩაცმის წესი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა ბავშვი განსასჯელების მონაწილეობით საქმეების განხილვისას;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის უფლება, არ მისცეს ჩვენება (თუ იგი ასე ირჩევს) და თავისი სასამართლო პროცესის განმავლობაში უარი თქვას მამხილებელ კითხვებზე პასუხის გაცემაზე;
- კანონმდებლობამ უნდა აუკრძალოს სასამართლოს, ნაადრევად გამოიტანოს დასკვნა ბრალმდებელი მხარის სასარგებლოდ ან მოეპყროს ბავშვს როგორც დამნაშავეს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში;
- კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის უფლება, გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელი უმაღლეს დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოში, როდესაც ბავშვი მსჯავრდებულია ან მიჩნეულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვს ჰქონდეს უფლება, ისარგებლოს უფასო იურიდიული წარმომადგენლობით საჩივრის მომზადებისას.

8. სასჯელის შეფარდება

ბავშვის უფლებათა კონვენცია არ ცდილობს, გვიკარნახოს სასჯელის კონკრეტული ფორმა, რომელიც უნდა შეეფარდოს ბავშვს. ამის ნაცვლად იგი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გაითვალისწინონ სხვადასხვა ზომა, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს მოეპყრონ მათი კეთილდღეობის გათვალისწინებით, არსებული ვითარებისა და დანაშაულის პროპორციულად, ასაკის მხედველობაში მიღებით, და რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვების რეინტეგრაციას და საზოგადოებაში მათ მიერ სასარგებლო როლის შესრულებას. ამ პრინციპების შესასრულებლად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სასჯელების ჩამონათვალს, რომლებიც შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ ბავშვის დამნაშავედ ცნობის შემთხვევაში.

ზომები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობაში, მოცემულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლში და მოიცავს ზრუნვას, მეურვეობასა და მეთვალყურეობას, საკონსულტაციო მომსახურებას, გამოსაცდელი ვადის დანიშვნას (პრობაციას), აღზრდას, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამებს და ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებს²¹³.

კონვენცია ადგენს პრინციპებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სასჯელის შეფარდებისას მოსამართლის (ტრიბუნალის) მიერ (იხ. ქვემოთ). ამასთანავე, კონვენცია გარკვევით აცხადებს, რომ სიკვდილით დასჯა და სამუდამო პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, აკრძალულია (იხ. ნაწილი 8.4)²¹⁴

8.1. სასჯელის შეფარდებისას გამოსაყენებელი პრინციპები

კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს ზოგადი პრინციპები, რომლებიც გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული ბავშვისათვის სასჯელის შეფარდებისას. ეს პრინციპებია:

- უპირველეს ყოვლისა, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა;²¹⁵
- რეაგირება უნდა იყოს ბავშვის მდგომარეობისა და დანაშაულის პროპორციული²¹⁶;
- სასჯელის შეფარდების გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მომზადდეს სოციალური მოკვლევის ანგარიში. აღნიშნულ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საფუძვლად დაედება გადაწყვეტილებას;
- სასჯელის შეფარდების მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია, იგი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სადამსჯელო ხასიათის;²¹⁷
- სათანადო შემთხვევებში უნდა მოხდეს არასაპატიმრო სასჯელთა შეფარდება;
- საპატიმრო სასჯელთა გამოყენება უნდა მოხდეს უკიდურესი ზომის სახით და რაც შეიძლება შესაფერისი ხანმოკლე ვადით.²¹⁸

გარდა იმ პრინციპებისა, რომლებიც ვრცელდება კონკრეტულად სასჯელის შეფარდებაზე, მოქმედებს ბავშვის უფლებათა კონვენციის სხვა ფუნდამენტური პრინციპებიც. აღნიშნული პრინციპები გულისხმობს დისკრიმინაციის დაუშვებლობას, ბავშვის შეხედულებების პატივისცემას, სიცოცხლის და გადარჩენის უფლებას და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალური განვითარების უფლებას.

²¹³ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი. იხ., აგრეთვე, პეკინის წესების წესი 18 (1).

²¹⁴ ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლი.

²¹⁵ იქვე, მე-3 მუხლი.

²¹⁶ იქვე, მუხლი 40 (4).

²¹⁷ იქვე, მუხლი 40 (1).

²¹⁸ იქვე, მუხლი 37 (ბ).

8.1.1 ბავშვის საუკეთესო ინტერესები

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. ნაწილი 2.), ბავშვის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.²¹⁹ ეს პრინციპი იმდენადვე მოქმედებს ბავშვისათვის სასჯელის შეფარდების საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას, რამდენადაც ნებისმიერი სხვა საკითხის გადაწყვეტისას.²²⁰

8.1.2 პროპორციულობა

პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად, არასრულწლოვანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება ყოველთვის უნდა იყოს “არამარტო დანაშაულის ვითარებისა და სიმძიმის პროპორციული, არამედ ბავშვის ასაკის, ნაკლები ბრალეულობის, ბავშვის მდგომარეობისა და საჭიროებების, ასევე საზოგადოების სხვადასხვა გრძელვადიანი საჭიროების პროპორციულიც”²²¹. რაც შეეხება საზოგადოების ზეგავლენას, სასამართლოზე არ უნდა იმოქმედოს მედიის მიერ საქმის გაშუქებამ ან საზოგადოებრივმა აზრმა. იმისათვის, რომ სასჯელი იყოს ბავშვის გარემოებების პროპორციული, სასჯელის შეფარდება ინდივიდუალიზებულიად უნდა მოხდეს.

საილუსტრაციო მასალა 41: სასჯელის შეფარდების პროპორციულობის სახელმძღვანელო მითითებები

გაერთიანებული სამეფოში მოსამართლეებისათვის არსებობს სახელმძღვანელო მითითებები სასჯელების შეფარდებაზე. სასჯელის განსაზღვრამდე სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დანაშაულის ან დანაშაულების სიმძიმე და ნებისმიერი შემამსუბუქებელი ფაქტორი, რომელიც ასოცირდება დანაშაულთან ან უშუალოდ ახალგაზრდასთან.

შემამსუბუქებელი ფაქტორებია:

- გარკვეული მიღწევები ან კარგი საქციელი, რომელიც არ უკავშირდება დანაშაულს;
- ბოლოდროინდელი პერსპექტიული გარემოებები;
- წინათ გამოვლენილი კარგი ხასიათი;
- დანაშაულის ადრეულ ეტაპზე აღიარება და პოლიციასთან თანამშრომლობა;
- მზადყოფნა გარკვეულ საკითხებზე დახმარების მოძიებისათვის - მაგალითად, ნარკოტიკებთან დაკავშირებით;
- სოციალური თუ განათლების მხრივ არსებული არასახარბიელო მდგომარეობა, ცუდი აღზრდის ჩათვლით.

დანაშაულის სიმძიმის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულთან ან დანაშაულებთან დაკავშირებული ყველანაირი ხელმისაწვდომი ინფორმაცია. გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი ფაქტორი, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებას.

²¹⁹ იქვე, მე-3 მუხლი.

²²⁰ იხ., აგრეთვე, პეკინის წესების პრეამბულა და წესი 5 და წესი 17.1 (დ); ასევე, ვენის პრინციპები, პუნქტი 8(ა): “როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე მოქმედების სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებისას ყურადღება უნდა მიექცეს: (ა) ადამიანის ღირსების პატივისცემას, რაც ეთანხმება კონვენციის ოთხ საერთო ფუძემდებლურ პრინციპს, კერძოდ: ... ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების წარმატებით დაცვას”. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში არ არსებობს კონკრეტული მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ მოსამართლეებმა გაითვალისწინონ ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესები სასჯელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს გამოსაყენებელ პრინციპად მიაჩნია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი (იხ. საქმე “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, № 24888/94; [1999] ECHR 2; N. 24724/94 (2000) 30 EHRR 121, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 1999 წ.).

²²¹ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი #10 (2007), პუნქტი 25.

ქვემოთ ჩამოთვლილია ის სხვა ფაქტორები, რომელთაც, როგორც წესი, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრაზე:

- დანაშაულის ხასიათი - გამოყენებული ძალადობის დონე, იარაღის გამოყენება, დაკარგული ქონების ღირებულება, დანაშაულის ჩადენა ჯგუფურად მოხდა თუ ინდივიდუალურად, აგრეთვე ის, თუ რამდენად შეესაბამება დანაშაულის ხელწერას, რაც აქტუალურს გახდის წინა ნასამართლეობებს;- გავლენა მსხვერპლზე - მიზანმიმართული იყო თუ არა, მსხვერპლის დაუცველობის დონე, იყო თუ არა მსხვერპლი საჯარო მოსამსახურე, ჰქონდა თუ არა ადგილი ნდობით ბოროტად სარგებლობას, ზარალის რაოდენობა და არსი, მოხდა თუ არა რაიმე ქონების დაბრუნება და ჰქონდა თუ არა ადგილი ფსიქოლოგიური ტრავმის მიყენებას;

- განზრახვა და მოტივაცია - დანაშაული წინასწარგანზრახული იყო თუ სპონტანური, იყო თუ არა დანაშაული პროვოცირებული ან ჩადენილი პროვოცირებით, რამდენად გაცნობიერებული ჰქონდა ახალგაზრდას მისი ქცევის გავლენა მსხვერპლზე;

- როლი დანაშაულში - ახალგაზრდა ჯგუფის ლიდერი იყო თუ უმნიშვნელო როლი ითამაშა; და

- დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ - განიცდის თუ არა ახალგაზრდა სინანულს ან მსხვერპლის მიმართ თანაგრძობას და მზად არის თუ არა, გარკვეული სახით მოახდინოს კომპენსირება.

წყარო: Nacro (სამართალდამრღვევების განსახლებისა და უზრუნველყოფის ეროვნული ასოციაცია), "ბავშვებისა და ახალგაზრდების სასჯელების ფარგლები" 2003: <www.crimereduction.homeoffice.gov.uk/youth/youth59.htm> [მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს].

8.1.3 სოციალური მოკვლევის ანგარიშების გამოყენება სასჯელის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე ინფორმაციის მოძიების მიზნით

პეკინის წესები მოითხოვს, რომ ყველა შემთხვევაში, ნაკლებად მძიმე სამართალდარღვევების გამოკვლევით, განაჩენის გამოტანამდე უნდა მომზადდეს სოციალური მოკვლევის ანგარიში.²²² არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობამ სასამართლოს უნდა დაუწესოს ასეთი ანგარიშების მომზადებისათვის განკარგულების გაცემის მკაფიო ვალდებულება. კანონმდებლობამ ასევე უნდა განსაზღვროს ინფორმაცია, რომელიც უნდა შეგროვდეს სოციალური მოკვლევის ანგარიშის მეშვეობით. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ბავშვის ოჯახურ გარემოს, ბავშვის არსებულ მდგომარეობას, მისი საცხოვრებელი ადგილის, მასთან ერთად მცხოვრები პირების, ბავშვის განათლების დონის და ჯანმრთელობის მდგომარეობის ჩათვლით, ასევე დანაშაულის ჩადენის გარემოებებს და ბავშვის მიერ დანაშაულის აღქმის საკითხებს.

სოციალური მოკვლევის ანგარიში ეხმარება სასამართლოს შესაბამისი სასჯელის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. ზოგიერთ სახელმწიფოში აღნიშნული ეკისრება პრობაციის სამსახურს, სასამართლოს მიმაგრებულ ოფიცრებს (მანდატურებს) ან ბავშვთა დაცვის თუ ბავშვთა მრავალდარგობრივ სამსახურებს. ანგარიშები არ უნდა მომზადდეს გამომძიებლის მიერ, ვინაიდან ამ შემთხვევაში იარსებებს აშკარა ინტერესთა კონფლიქტი. რომელ ორგანოსაც არ უნდა აკისრებდეს კანონი პასუხისმგებლობას მათ მომზადებაზე (და ეს უნდა იყოს აშკარად მითითებული კანონში), მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშის შემქმნელი კარგად იყოს მომზადებული და ჰქონდეს სისხლის სამართლის სისტემაში მუშაობის გამოცდილება, ასევე ბავშვის განვითარების ცოდნა. ანგარიშები განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც ისინი შეიცავს მთელი რიგი წყაროებიდან, მათ შორის ბავშვთა დაცვის სამსახურებისაგან, მშობლებისაგან, სკოლიდან, ბავშვის ექიმისგან და ბავშვთან დაკავშირებული სხვა სპეციალისტებისაგან მიღებულ ინფორმაციას.

8.2. არასაპატიმრო სასჯელები

კანონმდებლობამ უნდა ასახოს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და "სტანდარტებისა და ნორმების" დებულებები, რომლებიც სახელმწიფოებს აკისრებს მკაფიო ვალდებულებას, შეიმუშაონ რიგი

²²² პეკინის წესების მე-16 წესი.

არასაპატიმრო ზომებისა, როგორც სოციალური, ასევე საგანმანათლებლო ზომების²²³ ჩათვლით, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივის სახით, და უზრუნველყონ, რომ აღნიშნული ზომები იყოს ხელმისაწვდომი და ეფექტიანი. პატიმრობის ალტერნატივები მოიცავს აბსოლუტურ ან პირობით განთავისუფლებას, სასჯელის შეჩერებას, აღდგენითი მართლმსაჯულების ან ოჯახზე ორიენტირებულ პროგრამებს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, შერჩეულ დღის ცენტრებში სიარულს, ზედამხედველობას, აღმზრდელობით პროგრამებს, საგანმანათლებლო და პროფესიულ პროგრამებს, შუალედური მოპყრობის რეჟიმს, ნარკოტიკებსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულების სამკურნალო ცენტრებში სიარულს და ა.შ. შეუძლებელია წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტში სხვადასხვა სახეობის ყველა არასაპატიმრო სასჯელის განხილვა, თუმცა მოცემულია ზოგიერთი ზომის მაგალითი. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობა სასამართლოებს ასეთი სასჯელების შეფარდების საშუალებას აძლევდეს.

თავისუფლების აღკვეთა ნიშნავს რომელიმე სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა სახელმწიფო ორგანოს²²⁴ განკარგულებით პირის ნებისმიერი ფორმით დაკავებას ან დაპატიმრებას ან მის მოთავსებას ისეთ საჯარო თუ კერძო საპატიმრო დაწესებულებაში, რომელსაც იგი სურვილისამერ ვერ დატოვებს. ამდენად, ისეთ საგანმანათლებლო-საცხოვრებელ ცენტრში მოთავსება, რომელსაც ბავშვი საკუთარი სურვილისამებრ ვერ დატოვებს, უნდა ჩაითვალოს თავისუფლების აღკვეთად და, შესაბამისად, არ შეიძლება იყოს მიჩნეული “არასაპატიმრო სასჯელად”.

საილუსტრაციო მასალა 42: სასჯელის შეფარდებისას გამოსაყენებელი სხვადასხვა არჩევანი

ბრაზილიაში 1990 წელს მიღებული კანონი ბავშვთა და მოზარდთა შესახებ მოიცავს ბავშვებისა და მოზარდების შემთხვევაში გამოსაყენებელი პოტენციური სასჯელის ვარიანტების ფართო სპექტრს. მოზარდები (12-18 წლის პირები) შეიძლება დაექვემდებარონ “სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს” (გაფრთხილების, ზიანის ანაზღაურების, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, ზედამხედველობისა და დაკავების ჩათვლით). 112(1) მუხლის თანახმად, გამოყენებული ღონისძიება “უნდა ითვალისწინებდეს [არასრულწლოვანთა მიერ] მისი შესრულების უნარს და კანონდარღვევის ჩადენის გარემოებებსა და სიმძიმეს”.

ჰონდურასის ბავშვთა და მოზარდთა კოდექსი (1996) ასევე შეიცავს სხვადასხვა სასჯელის ვარიანტებს არასრულწლოვანთათვის, რომელთა შორისაა:

- ხელმძღვანელობა და ოჯახის სოციალური დახმარება;
- საყვედური / გაფრთხილება;
- გარკვეული ქცევის წესების შესრულების დაკისრება (მაგ., საგანმანათლებლო დაწესებულებაში სიარული) არა უმეტეს 30 დღისა;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო სოციალური მომსახურება (არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს);
- მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა;
- ე.წ. “ასისტირებული თავისუფლება” (ბავშვი რჩება თავისუფალი, მაგრამ ვალდებულია, დაესწროს საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროგრამებს, გაიაროს მონიტორინგი სპეციალურ ცენტრებში კონკრეტული პირების მზრუნველობით, რომლებსაც უნდა დაეხმარონ სპეციალისტები).

წყაროები: ბავშვთა და მოზარდთა კანონი, კანონი # 8,069 (1990 წლის 13 ივლისი), მუხლი 112 (ბრაზილია); ბავშვთა და მოზარდთა კოდექსი, 1996 წ., მუხლი 188 (ჰონდურასი).

²²³ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი; ტოკიოს წესები.

²²⁴ ჰავანის წესების წესი 11 (ბ).

8.2.1 ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა

ერთ-ერთი ვარიანტია, რომ სასამართლომ გასცეს განკარგულება ბავშვის მიმართ ხელმძღვანელობის ან ზედამხედველობის დაწესების შესახებ. ეს საშუალებას აძლევს ბავშვებს, არ ჩამოშორდნენ ოჯახებს, დარჩნენ საკუთარი საზოგადოების ნაწილად და გააგრძელონ განათლების მიღება და მუშაობა. აღნიშნული განკარგულებით, ჩვეულებრივ, ხდება ბავშვისათვის სოციალური მუშაკის ან პრობაციის ოფიცრის დანიშვნა. როგორც წესი, სასამართლო, სოციალური მუშაკი ან პრობაციის ოფიცერი ადგენს ზედამხედველობის პირობებს, რომლებიც შეიძლება ფართო იყოს. პირობები შეიძლება მოითხოვდეს, რომ ბავშვი შეხვედეს ზედამხედველს კონკრეტულ დღეებში, შეასრულოს გარკვეული საქმიანობა მითითებულ ადგილებში, დაესწროს ნარკოტიკების რეაბილიტაციის პროგრამებს. შეიძლება დაითქვას პირობა, რომელიც მოითხოვს, რომ ბავშვმა იაროს სკოლაში რეგულარულად ან თავი შეიკავოს გარკვეულ ადამიანებთან შეხვედრისგან თუ გარკვეულ ადგილებში სიარულისგან. ზოგიერთ სახელმწიფოში დაშვებულია, ასევე, ზედამხედველობის განკარგულების ფარგლებში შინიდან დადგენილი საათის შემდეგ გასვლის აკრძალვის დაწესება.

საილუსტრაციო მასალა 43: ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა

კოსოვოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2004) ითვალისწინებს სამი ტიპის ინტენსიური მეთვალყურეობის სასჯელს: ინტენსიური კონტროლი მშობლის, მშვილებლის ან მეურვის მხრიდან, ინტენსიური ზედამხედველობა სხვა ოჯახის მხრიდან და ინტენსიური

კონტროლი მეურვეობის ორგანოს მხრიდან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მეურვეობის ორგანოს მოვალეობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ და მოიცავს:

- 1) ბავშვის განათლების კურირებას;
- 2) პროფესიული მომზადების და დასაქმების ხელშეწყობას;
- 3) იმის უზრუნველყოფას, რომ ბავშვი მოცილებული იყოს არასასურველ ზეგავლენას;
- 4) აუცილებელი სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას;
- 5) ბავშვის ცხოვრებაში სავარაუდოდ წარმოქმნილი პრობლემების შესაძლო გადაწყვეტის უზრუნველყოფას; და
- 6) სხვა მოვალეობებს სასამართლოს დადგენილების მიხედვით, რომლებიც ეფუძნება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

წყარო: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რეგულ. N. 2004/8 ; 20 აპრილი, 2004 წ. მუხლები 20, 21, 22, 22 (3) (კოსოვო).

8.2.2 აღდგენითი მართლმსაჯულების ზომები

ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარის რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების²²⁵ გამოყენებას არა მხოლოდ სასამართლომდე გამოსაყენებელი ზომის, არამედ დაკისრებული სასჯელის ზომის სახითაც. აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები ფართოდ განიხილება როგორც დანაშაულებრივი ქცევის მართვის და რეციდივიზმის შემცირების ეფექტიანი გზა. კანონმდებლობამ ცხადად და გარკვევით უნდა მიაწოდოს მოსამართლეებს არასაპატიმრო, აღდგენითი მართლმსაჯულებით გათვალისწინებული სასჯელების შეფარდების უფლებამოსილება.

²²⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10 (2007), პუნქტი 3.

აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების მიზანი და არსი განხილულია მე-5 ნაწილში. ტერმინი სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპების შესახებ დეკლარაციის²²⁶ თანახმად, “აღდგენითი მართლმსაჯულება” განიმარტება, როგორც პროგრამა ან პროცესი, რომელშიც მსხვერპლი, დამნაშავე და/ან ნებისმიერი სხვა პირი თუ საზოგადოების წევრები, რომელთაც შეეხოთ დანაშაული, ერთად აქტიურად მონაწილეობენ დანაშაულის შედეგად წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში, ხშირად სამართლიანი და მიუკერძოებელი მესამე მხარის დახმარებით. აღდგენითი პროცესების მაგალითები მოიცავს მედიაციას, ოჯახური ჯგუფის კონფერენციებს და სასჯელის წრეებს (ე.წ. სამშვიდობო წრეებს). აღდგენითი პროცესების შედეგების მაგალითებია რესტიტუცია, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პროგრამა ან რეაგირება, რომლის მიზანია დაზარალებულისათვის და საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება და მსხვერპლის ან/და დამნაშავეს რეინტეგრაცია.

საილუსტრაციო მასალა 44: აღდგენითი მართლმსაჯულება ახალგაზრდული კონფერენციების მეშვეობით

ჩრდილოეთ ირლანდიაში ბავშვის გასამართლების შემთხვევაში აღდგენითი მართლმსაჯულება მოქმედებს ახალგაზრდული კონფერენციების ფორმით. იგი თავს უყრის დამნაშავეს, პოლიციის თანამშრომელს, სათანადო უფროს ადამიანს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მსხვერპლს. ახალგაზრდა განსასჯელი შეიძლება დაექვემდებაროს ახალგაზრდულ კონფერენციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ორ ეტაპზე: განრიდების ღონისძიების სახით (ანუ სასამართლოს გამართვამდე) და სასამართლო განაჩენის შემდეგ (სასჯელის შეფარდების შემდეგ). მაშინ, როდესაც პროკურორებს შეუძლიათ ბავშვების მიმართვა განრიდებით ახალგაზრდულ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, სასამართლოებმა ყველა არასრულწლოვანი დამნაშავე უნდა დაუქვემდებარონ ახალგაზრდულ კონფერენციებს, ისეთი შემთხვევების გამოკლებით, თუ სამართალდარღვევა შესაძლებელია ინვესტის სამუდამო პატიმრობის შეფარდებას, შედის ტერორისტულ აქტებში ან ექვემდებარება მხოლოდ საბრალდებო დასკვით განსჯადობას (ანუ არის მძიმე დანაშაული, როგორც წესი, ძალადობის გამოყენებით).

აქედან გამომდინარე, თითქმის ყველა ახალგაზრდა შეიძლება დაექვემდებაროს ახალგაზრდულ კონფერენციას.

კონფერენციას დამნაშავე დაესწრება სათანადო უფროსთან (მშობელთან ან სხვა შესაბამის წარმომადგენელთან) და პოლიციელთან ერთად. მსხვერპლის დასწრება ნებაყოფლობითია. მას შეუძლია წარმომადგენლის გამოგზავნა ან კონფერენციაში არაპირდაპირი მონაწილეობა სატელეფონო კავშირით, დისტანციური კონფერენციის ან წერილის გაგზავნის თუ ჩანაწერი შეტყობინების მეშვეობით.

კონფერენციის შედეგად ხდება ახალგაზრდული კონფერენციის გეგმის შემუშავება, რომელიც, 2002 წლის მართლმსაჯულების (ჩრდილოეთ ირლანდია) აქტის შესაბამისად, მოითხოვს, რომ ახალგაზრდა დამნაშავემ მოიმოქმედოს ერთ-ერთი ან რამდენიმე ქმედება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- ა) ბოდიში მოუხადოს დანაშაულის მსხვერპლს ან ნებისმიერ სხვა პირს, რომელზეც ამ დანაშაულმა იმოქმედა;
- ბ) აუნაზღაუროს ზიანი დანაშაულის მსხვერპლს ან ზოგადად საზოგადოებას;
- გ) დანაშაულის მსხვერპლს გადაუხადოს საზღაური, რომელიც არ აღემატება დანაშაულის შედეგად მიღებული, განადგურებული ან დაზიანებული ქონების ჩანაცვლების ან რემონტისათვის საჭირო თანხას;
- დ) წარადგინოს თავი და დაექვემდებაროს უფროსის მხრიდან ზედამხედველობას;

²²⁶ ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების ძირითადი პრინციპები, 2000 წლის 27 ივლისი, გაეროს დოკ. E/2000/INF/2/Add.2.

- ე) საზოგადოების სასარგებლოდ შეასრულოს აუნაზღაურებელი სამუშაო ან მომსახურება;
 - ვ) მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა აქტივობაში (მაგ. აქტივობები, რომლებიც შემუშავებულია დანაშაულებრივი ქმედების მართვისათვის, რომლებიც ახალგაზრდებს სთავაზობენ განათლების ან ტრენინგის შესაძლებლობებს ან ხელს უწყობენ ნარკოტიკების ამ ალკოჰოლის მოხმარებაზე დამოკიდებული ან მიდრეკილი პირების რეაბილიტაციას);
 - ზ) დაექვემდებაროს შეზღუდვებს მის მოქმედებასთან და ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით (გარკვეული პერიოდით გარკვეულ ადგილზე დარჩენა); და
 - თ) დაექვემდებაროს მკურნალობას ფსიქიკური მდგომარეობისა და ალკოჰოლისა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების გამო.
- სასამართლოში ახალგაზრდული კონფერენციის გეგმის წარდგენის შემდეგ სასამართლოს შეუძლია დაამტკიცოს გეგმა ახალგაზრდის სასჯელის სახით, მიიღოს გეგმა და დაუმატოს სასჯელი.
- წყაროები: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების (საბავშვო) (ჩრდილოეთ ირლანდია) წესდება 1998, 1998 N. 1504 (NI 9), მუხლები 3A (2), 3 (A) (6), 3C (1), ნაწილი 3 (A); "ომაჰონი დ. და კემპბელი კ. (O'Mahony, D. / Campbell C)" ახალგაზრდა მსჯავრდებულებთან დაკავშირებით აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება ახალგაზრდული კონფერენციის დანერგვით - ჩრდილოეთ ირლანდიის გამოცდილება", 2004, გვ.9; ახალგაზრდული კონფერენციის წესები (ჩრდილოეთ ირლანდია) 2003, 2003 N. 473, მუხლი 6 (A), მუხლი 36J.

8.2.3 განკარგულება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თაობაზე

აღნიშნული განკარგულებები მოითხოვს, რომ ბავშვმა შეასრულოს აუნაზღაურებელი სამუშაო გარკვეული რაოდენობის საათების განმავლობაში ზოგადად საზოგადოების საკეთილდღეოდ. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, როდესაც მას ბავშვები ასრულებენ, უნდა ითვალისწინებდეს კონსტრუქციულ და საინტერესო საქმიანობას, სასურველია ისეთს, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვს, დაეუფლოს რაიმე უნარს და აგრძნობინებს, რომ ამის გაკეთებით მან რაღაც სარგებლობა მოუტანა საზოგადოებას. სავარაუდოდ, უფრო შედეგიანი იქნება, თუ მოხდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომაში სწავლების ელემენტის ჩართვა. ზოგიერთ საკანონმდებლო სივრცეში საზოგადოების სასარგებლოდ შესრულებული შრომა განიხილება მსხვერპლთან ან საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად და ამ შეთხვევაში ის შეიძლება კონკრეტულად ეხებოდეს დანაშაულის არსს (და, შესაბამისად, შეიძლება ჩაითვალოს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესად). საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თაობაზე განკარგულება სასამართლომ შეიძლება გასცეს აღდგენითი პროცესის გარეშეც, უბრალოდ არასაპატიმრო სასჯელის სახით, რაც მიზნად ისახავს რეინტეგრაციას. სასამართლოს კანონმდებლობით უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, გასცეს განკარგულება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ორივე ფორმის გამოყენების შესახებ. როგორც ფორმისა და არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, დანაშაულის ეფექტიანი მართვისათვის ის უნდა დაიგეგმოს ყურადღებით, რათა დააკმაყოფილოს ბავშვის საჭიროებები.

საილუსტრაციო მასალა 45: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეები

ბრაზილიის კანონი ბავშვთა და მოზარდთა შესახებ (1990) მოიცავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას როგორც ერთ-ერთს მოზარდთა (12-დან 18 წლამდე პირები) მრავალი სასჯელიდან. კანონის მიხედვით, "საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განხორციელება შედგება ზოგადი სარგებლობისათვის გარკვეული ამოცანების უანგაროდ შესრულებისაგან ვადით არა უმეტეს ექვსი თვისა, ისეთი ობიექტების დახმარების მიზნით, როგორცაა საავადმყოფოები, სკოლები და სხვა მსგავსი ინსტიტუტები, ისევე, როგორც საზოგადოებრივი და სამთავრობო პროგრამები." საზოგადოებისათვის სასარგებლო ამოცანების შესრულება "ინიშნება მოზარდის შესაძლებლობების მიხედვით და უნდა განხორციელდეს მაქსიმუმ კვირაში 8 საათის განმავლობაში შაბათს, კვირას და უქმე ან არასამუშაო დღეებში, ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სკოლაში სწავლას ან მუშაობას".

პაპუა ახალი გვინეის არასრულწლოვანთა სასამართლოების აქტი (1991) აცხადებს, რომ თუ სასამართლო არასრულწლოვანს დააკისრებს პრობაციას, მას შეიძლება ასევე მოეთხოვოს “საზოგადოებისათვის სასარგებლო შესაბამისი მომსახურების განევა, რომლის საერთო პერიოდიც არ უნდა აღემატებოდეს 50 საათს”.

კანადის ახალგაზრდული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტი (2002) ითვალისწინებს, რომ ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლომ, აღიარებს რა ახალგაზრდას დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში, შეიძლება “ახალგაზრდას უბრძანოს საზოგადოების სასარგებლო შრომის შესრულება სასამართლოს მიერ დადგენილ დროსა და ადგილზე, ასევე მოსთხოვოს მას, იყოს ანგარიშვალდებული ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დანიშნული რეგიონული დირექტორის თუ პირის მიმართ და დაექვემდებაროს ზედამხედველობას აღნიშნული პირის მხრიდან”.

წყაროები: კანონი ბავშვთა და მოზარდთა შესახებ, კანონი # 8,069 (13 ივლისი 1990წ), მუხლები 112,117, 117 (1) მუხლი 32 (2), არასრულწლოვანთა სასამართლოების აქტი, № 40 1991 მუხლი 42 (2) (i), ახალგაზრდული სისხლის სამართლის აქტი, 2002, ც. 1.

8.2.4 პრობაცია

პრობაცია არის სასამართლოს მიერ დადგენილი არასაპატიმრო ზომა, რომელიც გამოიყენება როგორც საპატიმრო სასჯელის ალტერნატივის, ასევე საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივ მოხდის შემდეგ გამოსაყენებელი ზომის სახით: “პრობაცია, როგორც სასჯელის შეფარდების შესახებ განკარგულება, არის სპეციალურად შერჩეულ დამნაშავეებთან დაკავშირებით მოქმედების მეთოდი და ითვალისწინებს სასჯელის აღსრულების პირობით შეჩერებას იმ პერიოდში, როდესაც ხორციელდება დამნაშავის მიმართ პირადი ზედამხედველობა და მის მიმართ გამოიყენება ინდივიდუალური ხელმძღვანელობა ან “მოპყრობა”.²²⁷

საილუსტრაციო მასალა 46: პრობაციის მიზანი

ფილიპინების კანონი პრობაციის შესახებ (1976): ნაწილი 2. მიზანი - ეს დეკრეტი განმარტებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ:

- ა) ინდივიდუალური მოპყრობის უზრუნველყოფით ხელი შეეწყოს დამნაშავის გამოსწორებას და რეაბილიტაციას;
- ბ) უზრუნველყოს იმ დამნაშავის გამოსწორება, რომელიც ინანიებს ქმედებას, რაც ნაკლებად სავარაუდოა, თუ იგი მოიხდის საპატიმრო სასჯელს; და
- გ) მოახდინოს დანაშაულის ჩადენის პრევენცია.

წყარო: ფილიპინების კანონი პრობაციის შესახებ (1976), პრეზიდენტის დეკრეტი N 968.

არასრულწლოვანისათვის პრობაციის შეფარდებისას იგი ხშირად შეიცავს ისეთ პირობებს და მოთხოვნებს, როგორცაა პრობაციის ოფიცისათვის რეგულარულად ანგარიშის ჩაბარება ან კონკრეტულადგილებზე მისვლისა და კონკრეტულ პირებთან კავშირის აკრძალვა²²⁸. სასამართლოს

²²⁷ კლაუსი ჯ.ფ. (Klaus, J.F.), სახელმძღვანელო პრობაციის სამსახურებზე: სახელმძღვანელო პრინციპები პრობაციის სფეროში დაკავებული პრაქტიკოსებისა და მენეჯერებისათვის, გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტი, გვ. 9, ციტირება ლონდონში პრობაციის შესახებ გამართული ევროპული სემინარიდან, 1952 წ. 20-30 ოქტომბერი, გაეროს, დოკ. ST/TAA/SER.C/.

²²⁸ იხ., მაგალითად, კანადის ახალგაზრდული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტი, 2002. ნან. 55 და მომდევნო, და ფილიპინების კანონი პრობაციის შესახებ 1976წ. N.968, ნან. 10.

მიერ პრობაციის დაკისრებისას პრობაციის მიმდინარეობის პერიოდს ზედამხედველობს პრობაციის ოფიცერი, რომელიც პასუხს აგებს წესრიგის დაცვის საკითხში ბავშვის დახმარებაზე და რომელიც შესაბამისი ბრძანების ნებისმიერი დარღვევის შესახებ მოხსენებას წარუდგენს სასამართლოს.²²⁹

საილუსტრაციო მასალა 47: პრობაციის პირობები

კანადის ახალგაზრდული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტი, 2002:

ნან. 55. (1) ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლო ბრძანების (პრობაციის შესახებ) პირობად ადგენს, რომ ახალგაზრდა პირი:

ბ) უნდა გამოცხადდეს ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლოში სასამართლოს მიერ ამის მოთხოვნის შემთხვევაში.

პირობები, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იქნეს ბრძანებებში:

(2) ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლოს შეუძლია 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის (ლ) ან (მ) ქვეპუნქტების მიხედვით შედგენილი ბრძანების პირობად განსაზღვროს, რომ ახალგაზრდა პირმა უნდა შეასრულოს ერთ-ერთი ან რამდენიმე ქმედება ქვემოთ მითითებული ქმედებებიდან, კერძოდ, ის ქმედებები, რომლებსაც ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლო მიიჩნევს მიზანშეწონილად გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ:

ა) იყოს ანგარიშვალდებული რეგიონული დირექტორის ან ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დანიშნული პირის მიმართ და დაექვემდებაროს ზედამხედველობას აღნიშნული პირის მხრიდან;

ბ) აცნობოს ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლოს მოხელეს, პროვინციის დირექტორს ან ახალგაზრდათა სოციალურ მუშაკს, რომელიც მომაგრებულია კონკრეტულ საქმეზე, ახალგაზრდა პირის მისამართის ან სამუშაო ადგილის, განათლების ან კვალიფიკაციის მიღების ადგილის ნებისმიერი ცვლილების შესახებ;

გ) დარჩეს ბრძანებაში დასახელებული სასამართლოს ერთი ან მეტი ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებში;

დ) გონივრული ძალისხმევით გამოყენებით სცადოს შესაბამისი სამსახურის მოპოვება და შენარჩუნება;

ე) იაროს სკოლაში ან ნებისმიერ სხვა საგანმანათლებლო, ტრენინგის ან რეკრეაციის ადგილზე, რომელიც შესაფერისია შემთხვევისათვის, თუ ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლო თვლის, რომ იქ არსებობს ახალგაზრდისათვის შესაფერისი პროგრამა;

ვ) იცხოვროს მშობლებთან ან სხვა უფროსთან ერთად, რომელსაც ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლო მიიჩნევს სათანადოდ და რომელსაც სურს, იზრუნოს ახალგაზრდაზე და შეიფაროს იგი;

გ) იცხოვროს ისეთ ადგილზე, რომელიც პროვინციის დირექტორს შეუძლია განსაზღვროს;

თ) შეასრულოს ბრძანებაში მოცემული ნებისმიერი სხვა პირობები, რომლებიც ახალგაზრდული მართლმსაჯულების სასამართლოს მიაჩნია სათანადოდ, მათ შორის ახალგაზრდის კარგი ქცევის უზრუნველყოფისათვის, მის მიერ დანაშაულის გარემოების თავიდან აცილებისათვის და სხვა დანაშაულის პრევენციისათვის აუცილებელი პირობები; და

ი) არ ფლობდეს, არ ჰქონდეს ან არ აკონტროლებდეს რაიმე იარაღს, საბრძოლო მასალას, აკრძალულ საბრძოლო მასალას, აკრძალულ მოწყობილობას ან ასაფეთქებელ ნივთიერებას, გარდა ბრძანებაში აღნიშნული გამონაკლისებისა.

²²⁹ მაგალითისათვის იხ. ფილიპინების კანონი პრობაციის შესახებ (1976), პრეზიდენტის დეკრეტი N 968. ნან. 3 (და განის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აქტი 2003წ. ნან 31 (6)).

ყველა სახელმწიფოში არ არსებობს პრობაციის სამსახური, მაგრამ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო ნერგავს ასეთ მომსახურებას. ჩვეულებრივ, პრობაციის სამსახური ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს ან სოციალური მომსახურების სამინისტროს, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოში, სადაც არსებობს ციხეების სამინისტრო, შესაძლებელია პრობაციის სამსახური ამ უკანასკნელ სამინისტროს დაექვემდებაროს. პრობაციის სამსახურებში მომუშავე პირები უმეტესად სოციალური მუშაკები არიან ან ის პირები, რომელთაც აქვთ ციხეებში ან პოლიციაში მუშაობის გამოცდილება. პრობაციის ყველა იმ ოფიცერს, რომელიც მუშაობს ბავშვებთან, გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური ტრენინგი.

მიუხედავად იმისა, პრობაცია პატიმრობის ალტერნატივის სახით იქნება დანესებული თუ საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივ მოხდის შემდეგ, პრობაციის ბრძანებები ზოგადად შეიცავს პირობებს, რომელთა დარღვევის შემთხვევაშიც ბავშვების საქმეები ბრუნდება სასამართლოში. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვის პრობაციის პირობები იყოს რეალისტური. მაგალითად, ბავშვისგან იმის მოთხოვნა, რომ პრობაციის სამსახურში კვირაში ერთხელ მივიდეს, შეიძლება არ იყოს პრაქტიკული, თუ ეს სამსახური მოშორებით მდებარეობს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ბავშვს უნაზღაურებენ ტრანსპორტის ხარჯებს.

8.2.5 ფინანსური ჯარიმები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა საპატიმრო სასჯელის ალტერნატივის სახით ხშირად ითვალისწინებს ჯარიმის დაკისრებას. მიუხედავად იმისა, რომ ალტერნატიული სასჯელის სახით ჯარიმების გამოყენებას შეუძლია შეამციროს საპატიმრო სასჯელების გამოყენება, ჯარიმების შეფარდება ზღუდავს რეინტეგრაციის მიზნის და ეფექტის მიღწევას. გარდა ამისა, ბავშვებს, როგორც წესი, ნაკლები საშუალება აქვთ, გადაიხადონ ასეთი ჯარიმები, რაც აღინიშნა ავსტრალიის კანონის გადასინჯვის კომისიის (1997) ანგარიშში “ის, რაც ჩანს და ისმის: სასამართლო პროცესში ბავშვებისათვის პრიორიტეტის მინიჭება”, სადაც ვკითხულობთ:

“მიუხედავად იმისა, რომ ჯარიმებთან დაკავშირებული დებულებები ითვალისწინებს თანხობრივ ლიმიტებს არასრულწლოვანთათვის, მაინც რჩება სერიოზული კითხვები არასრულწლოვანი დამნაშავეებისთვის სასჯელის ვარიანტად მათი გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ბევრი ახალგაზრდა დამნაშავე ფინანსურად დაუცველია და სინამდვილეში მათ მიერ დანაშაულის ჩადენის²³⁰ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მათი სიღარიბეა. შესაძლებელია, მათ გაუჭირდეთ სასამართლოს მიერ დადგენილი წესით ჯარიმის გადახდა. გარდა ამისა, ფინანსურ ჯარიმებს ახალგაზრდათა რეაბილიტაციის თვალსაზრისით შეზღუდული ღირებულება აქვს”.²³¹

მართლაც, მათი ძირითადად სადამსჯელო ხასიათისა და რეინტეგრაციის მიზნის არარსებობის გათვალისწინებით, ბავშვთა მიმართ ჯარიმების გამოყენების ბრძანება და ჯარიმის დაკისრება საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ შეიძლება ჩაითვალოს. ზომის სახით ჯარიმების დანიშვნის ნაცვლად, კანონმდებლობამ შეიძლება მიანიჭოს სასამართლოს უფლებამოსილება, რომ ბავშვს დაეკისროს დაზარალებულისათვის მცირე საკომპენსაციო თანხის გადახდა ალდგენითი ზომის სახით. ეს უნდა იყოს თანხა, რომლის გადახდასაც ბავშვი რეალურად მოახერხებდა. გარდა ამისა, ბავშვს უნდა შეეძლოს შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ჯარიმის გადახდის ნაცვლად.

ბევრი სახელმწიფო აკისრებს ჯარიმებს მშობლებს იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვს არ გააჩნია გადახდის საშუალება. ეს პრაქტიკა ზოგადად განიხილება როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეუსაბამო, ვინაიდან ამით მშობელს შეიძლება გაუწილდეს ბავშვის სოციალური რეინტეგრაციის პროცესში აქტიური პარტნიორობის სურვილი. ასეთი ჯარიმის დაკისრების უფლება ამოღებული უნდა იქნეს კანონმდებლობიდან. ამის ნაცვლად ყურადღება უნდა

²³⁰ სიღარიბისა და არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის კავშირი განხილულია კუნენის, კ., (Cunneen, C.) და ვაიტის, რ., (White R.) ნაშრომში “არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: ავსტრალიის პერსპექტივა”, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მელბურნი, 1995წ, გვ. 116-134. არასრულწლოვან დამნაშავეთათვის ფულადი ჯარიმების დანიშვნის საკითხი განხილულია ასევე სეიმორის, ჯ. (Seymour, J.) ნაშრომში “ახალგაზრდა პატიმრებთან მუშაობა”, იურიდიული წიგნების კომპ., სიდნეი, 1988, გვ. 337-344.

²³¹ ავსტრალიის კანონის გადასინჯვის კომისიის ანგარიში “ის, რაც ჩანს და ისმის: სასამართლო პროცესში ბავშვებისათვის პრიორიტეტის მინიჭება”, 1977წ. პუნქტი 19.34.

გამახვილდეს მშობლების დახმარებასა და ხელშეწყობაზე ბავშვის დანაშაულებრივი ქმედების მართვაში, რაც შეიძლება განხორციელდეს მშობელთა ჯგუფების, ოჯახური ჯგუფების კონფერენციების ან ქცევის მართვის ტრენინგის მეშვეობით.

საილუსტრაციო მასალა 48 ალტერნატიული “გადასახადი“ გადახდისუნარო არასრულწლოვანთათვის

კანადის არასრულწლოვანთა სსისხლის სამართლის მართლმსაჯულების აქტი, 2002:

ნან. 54. (1) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სასამართლო სასჯელის შეფარდებისას ...გაითვალისწინებს ახალგაზრდა პირის მიერ გადახდის განხორციელების ამჟამინდელ და მომავალ შესაძლებლობებს.

ჯარიმისაგან ან დამატებითი ჯარიმისაგან (დამატებითი საურავისაგან) განთავისუფლება

(2) ახალგაზრდა პირი, რომელსაც ეკისრება ჯარიმის გადახდა..., ჯარიმის ნებისმიერი სახის პროცენტის ჩათვლით ..., ან რომელსაც ეკისრება დამატებითი გადასახადის გადახდა მსხვერპლისათვის ..., შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ჯარიმის ან დამატებითი გადასახადისაგან ამ მიზნით შემუშავებული პროგრამის ფარგლებში სამუშაოების შესრულებით კრედიტების დაგროვების სანაცვლოდ.

ა) იმ პროვინციის, რომელშიც მოხდა ჯარიმის ან დამატებითი გადასახადის შეფარდება, საბჭოს ვიცე-გუბერნატორის მიერ; და

ბ) იმ პროვინციის, რომელშიც ცხოვრობს ახალგაზრდა პირი, თუ აღნიშნულ პროვინციისა და ჯარიმის ან დამატებითი გადასახადის შემფარდებელ პროვინციის ხელმძღვანელობებს შორის არსებობს სათანადო ხელშეკრულება, საბჭოს ვიცე-გუბერნატორის მიერ.

ზოგიერთ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესები და აღდგენითი მართლმსაჯულების შედეგი მიიღწევა, ჯარიმის გადახდა შეიძლება ითვალისწინებდეს მიყენებული ზიანის გამოსწორებისათვის (შეკეთებისთვის) თანხის გადახდას. ასეთ შემთხვევაში, იმ პირობით, თუ მიზანი მდგომარეობს ზიანის ანაზღაურებასა და იგი რეინტეგრაციულია და ნებაყოფლობით არის შეთანხმებული ბავშვთან ან/და მის მშობლებთან როგორც სათანადო გადასახადი, ჯარიმა მისაღებია.

8.2.6 საგანმანათლებლო და სახელობო (პროფესიული) ღონისძიებები

ასეთი ღონისძიებები ხშირად წარმოადგენს საზოგადოებაზე დაყრდნობით გამოცემული ბრძანების ნაწილს. ბავშვებს, რეინტეგრაციული პროცესის ნაწილის სახით, შეიძლება ბრძანებით მოეთხოვოთ სკოლაში სიარული. აღნიშნული ღონისძიებები განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც ისინი შემუშავებულია ინდივიდუალური ბავშვის კონკრეტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები ხშირად ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში აცდენენ სკოლას ან განიცდიან სწავლაში სირთულეებს. განათლება აუცილებლად უნდა იყოს კონცენტრირებული იმაზე, რომ ბავშვები დაეუფლონ საბაზისო უნარებს წერა-კითხვასა და თვლაში და ამის შემდეგ მოხდეს ბავშვის განვითარება მისი თანატოლების დონემდე, რათა შესაძლებელი გახდეს სკოლაში მისი ხელახლა შეყვანა. სახელობო (პროფესიული) სწავლება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის საჭიროებებს და უნდა დაეხმაროს ბავშვს ისეთი უნარების მოპოვებაში, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს მას განათლების მიღების დასრულების შემდეგ დასაქმებაში.

8.2.7 შუალედური მოპყრობის რეჟიმი

შუალედური მოპყრობის რეჟიმი პოპულარულია დასავლეთის სახელმწიფოებში. იგი განისაზღვრება როგორც სასჯელი, რომელიც არც პატიმრობაა და არც სასჯელს ითვალისწინებს და ამის სანაცვლოდ იძლევა პოტენციურად დანაშაულებრივი ქცევის ჩასანაცვლებად კონსტრუქციული

ქცევის წესების დაუფლების შესაძლებლობას. შუალედური მოპყრობის რეჟიმის კონცეფცია ეფუძნება ვარაუდს, რომ იმისათვის, რომ ბავშვები განსხვავებულად მოიქცნენ, მათ სჭირდებათ წახალისება ისეთი აქტივობების და პრაქტიკული გამოცდილების საშუალებით, რომლებსაც ახსიათებს დაჯილდოება, ნაყოფიერება და სიამოვნების მინიჭება, რაც დაეხმარება მათ, აკონტროლონ თავიანთი ცხოვრება, მოახდინონ რეინტეგრირება საზოგადოებაში და გარკვეული წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში თავიანთი თანატოლების დახმარებით. შუალედური მოპყრობის რეჟიმი, ჩვეულებრივ, მორგებულია ინდივიდუალურად ბავშვის საჭიროებებისადმი, მაგრამ, ამასთანავე, აქცენტს აკეთებს ჯგუფურ მუშაობაზე. იგი ხშირად არის კონცენტრირებული ბავშვის სოციალური უნარების განვითარებაზე და ახალისებს ბავშვს, რათა მან მიაღწიოს წარმატებებს სკოლაში და უფრო სასარგებლოდ გამოიყენოს თავისუფალი დრო.

შუალედური მოპყრობის რეჟიმი შეიძლება იყოს ძალიან წარმატებული ბავშვებისათვის და ასეთი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონმდებლობით. თუმცა შუალედური მოპყრობის რეჟიმი შეიძლება ძვირადღირებული იყოს და, ამასთანავე, პოლიტიკურადაც მიუღებელი, ვინაიდან შეიძლება მიჩნეული იქნეს, რომ ახდენს ბავშვების “დაჯილდოებას” ცუდი საქციელის გამო. გარდა ამისა, თუ ბავშვები დაეუფლებიან საქმიანობას, რომლის გაგრძელებასაც ვერ შეძლებენ რეჟიმის დასრულების შემდეგ, შედეგად მივიღებთ აუსრულებელ მოლოდინს და ბავშვის იმედგაცრუებას.

8.2.8 სხვა ზომები

ზემოთ განხილულია არასაპატიმრო სასჯელთა ყველაზე გავრცელებული ფორმები, მაგრამ არსებობს ბევრი ისეთი სხვა ზომა, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ბავშვის დასახმარებლად მის მიერ საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულებაში. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ნაწილებს და მუხლებს, რომლებიც მოსამართლეს ან სასამართლოს მიანიჭებს უფლებამოსილებას, ბავშვს სასჯელის სახით შეუფარდოს ასეთ საზოგადოებრივ პროგრამებში მონაწილეობა და ინტერვენციები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს მოცემული დროისათვის და იყოს კონკრეტული ბავშვისთვის შესაფერისი. ამ ტიპის ზოგადი ნაწილი ან მუხლი მოსამართლეებს მისცემს საშუალებას, უფრო მოქნილად გამოიყენონ ახალი პროგრამები მათი განვითარების შესაბამისად. სხვა ვარიანტები მოიცავს მენტორინგის (აღმზრდელით) და ე.წ. უფროსი მეგობრის პროგრამებს, სადაც ბავშვებს ენიშნებათ სრულწლოვანი ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს მათ და მეგობრულად ეხმარება. მენტორმა უნდა იმოქმედოს ბავშვისათვის სამაგალითოდ და მას შეიძლება სთხოვონ რაიმე აქტივობის განხორციელება ბავშვთან ერთად, დახმარების განევა საშინაო დავალების შესრულებაში და ზოგადად ბავშვთან რეგულარულად შეხვედრა და საუბარი.

არასაპატიმრო სასჯელის სახით ასევე შეიძლება სასჯელის შეჩერების გამოყენება. სასამართლო აჩერებს ბავშვისათვის საპატიმრო სასჯელის დაკისრებას იმ პირობით, თუ ბავშვი არ ჩაიდენს სამართალდარღვევას მითითებული დროის პერიოდში და გაივლის პრობაციას ან მიიღებს მონაწილეობას აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში. თუ ბავშვი არ დააკმაყოფილებს სასამართლოს მიერ დადგენილ პირობებს, განაჩენი ძალაში შევა. რადგან პროგრამებში მონაწილეობის ან სასამართლოს მიერ დადგენილი პირობების შესრულების საკითხებში ბავშვის წარუმატებლობამ შეიძლება გამოიწვიოს საპატიმრო სასჯელის ძალაში შესვლა, უმჯობესია, შესაძლებლობების ფარგლებში, სასამართლოებმა განიხილონ საზოგადოებაზე დაფუძნებული სასჯელების ვარიანტების შეფარდება. ასევე, სასჯელის შეჩერებას, ჩვეულებრივ, თან უნდა ახლდეს ხელშემწყობი ზომები, რათა მოხდეს ბავშვისთვის დახმარების განევა დადგენილი პირობების შესრულებაში.

8.3. საპატიმრო სასჯელები

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტის მიხედვით, ბავშვისათვის თავისუფლების აღკვეთა და მისი დაპატიმრება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კანონის თანახმად და მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით რაც შეიძლება შესაფერისი ნაკლები პერიოდის განმავლობაში.

კონვენცია მოითხოვს, რომ პატიმრობა არ იყოს გამოყენებული სასჯელის სახით. ამის ნაცვლად ის უნდა გამოიყენებოდეს როგორც ბავშვებთან ინტენსიური და თერაპიული მუშაობის საშუალება,

ბავშვების საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნით. პატიმრობის სტანდარტები და პირობები დეტალურად მეცხრე ნაწილშია მოცემული.

8.3.1 კანონთან შესაბამისობა

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტის მიხედვით, “არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად”.

თავისუფლების აღკვეთა კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ნებადართულია შიდა კანონმდებლობით. ასე რომ, მაგალითად, თუ ბავშვს დაკისრებული აქვს საპატიმრო სასჯელი ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც კანონი მხოლოდ ჯარიმის დანიშვნას ითვალისწინებს, ეს ჩაითვლება “უკანონო” პატიმრობად.

“თვითნებური” დაკავების აკრძალვა ფუნდამენტურია და მოცემულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-9 მუხლში, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-9 და მე-11 მუხლებში და ასევე ბავშვის უფლებათა კონვენციაში. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს უკანონო დაკავების მკაფიო განმარტება. თუმცა უკანონო დაკავების სამუშაო ჯგუფი მას განსაზღვრავს როგორც დაკავებას, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებში მოცემულ დებულებებს ადამიანის უფლებათა შესახებ.²³²

კანონთან “შესაბამისობისათვის” აუცილებელია არამხოლოდ ის, რომ ქვეყნის შიდა კანონმდებლობა რთავდეს კონკრეტულ ვითარებაში დაპატიმრობეს უფლებას, არამედ ისიც, რომ დაცული იყოს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი პროცედურებისა და პატიმრობა გამოყენებული იქნეს მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით. მონისტური სახელმწიფოებისათვის (ანუ ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც ბავშვის უფლებათა კონვენციის მსგავსი საერთაშორისო კონვენციების რატიფიცირება საკმარისია იმისათვის, რომ კონვენციის დებულებები ჩაითვალოს სახელმწიფოში მოქმედ კანონად) “შესაბამისობა” ასევე მოითხოვს ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებების გათვალისწინებას.²³³

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებათა კონვენცია რატიფიცირებისას ავტომატურად ხდება მონისტურ სახელმწიფოთა შიდა სამართლის ნაწილი, სასჯელების შეფარდებასთან დაკავშირებული დებულებები მაინც უნდა იქნეს დამატებული სახელმწიფოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობაში. რაც შეეხება დუალისტურ სახელმწიფოებს (ძირითადად საერთო სამართლის სახელმწიფოები), კონვენცია ვერ ხდება ადგილობრივი კანონმდებლობის ნაწილი მანამდე, ვიდრე იგი არ წარედგინება პარლამენტს და არ იქნება მიღებული მის მიერ. ასეთ ქვეყნებში, თუკი ბავშვის უფლებათა კონვენცია არ გამხდარა შიდა სამართლის ნაწილი, სასჯელებთან დაკავშირებული დებულებები სპეციალურად უნდა შევიდეს შიდა კანონმდებლობაში.²³⁴

²³² ადამიანის უფლებათა კომისია, უკანონო დაკავების სამუშაო ჯგუფის ანგარიში (1996), U.N. Doc. (გაეროს დოკ.) E/CN.4/1997/4, პუნქტი 87, E/CN.4/1992/20-ზე დაყრდნობით, დანართი 1. იხ. ბავშვთა სამართლებრივი ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის “ბავშვების ადმინისტრაციული პატიმრობა: გლობალური ანგარიში”, ნიუ-იორკი, 2011 წ., შესავალი.

²³³ მონისტურ სახელმწიფოთა უმეტესობაში არსებობს საკანონმდებლო დებულება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებასა და ადგილობრივ კანონმდებლობას შორის კონფლიქტის შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულების უპირატესობას.

²³⁴ ხელშეკრულების ჩართვა კანონმდებლობაში, ჩვეულებრივ, ხდება ხელშეკრულების კანონპროექტის სახით წარდგენის ან წარსადგენ კანონპროექტზე მისი დანართის სახით დართვის მეშვეობით. ისეთ დუალისტურ სახელმწიფოებში, სადაც არ მომხდარა კონვენციის ჩართვა შიდა კანონმდებლობაში, არ შეიძლება სასამართლოებში კონვენციაზე კანონის სახით დაყრდნობა.

საილუსტრაციო მასალა 49: სასჯელების შეფარდება კანონის შესაბამისად

საქმეზე “დ. გ. ირლანდიის წინააღმდეგ” ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განიხილავდა საკითხს, არასრულწლოვანს უკანონოდ და თვითნებურად ჩამოერთვა თუ არა თავისუფლება. ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც საჭიროებდა განსაკუთრებულ ზრუნვას, გაიგზავნა სასჯელსრულების დაწესებულებაში არა იმიტომ, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, არამედ იმიტომ, რომ არ იყო შესაბამისი დაწესებულება მის მოსათავსებლად. მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიის მთავრობამ ბავშვი ციხეში საგანმანათლებლო მიზნების შესრულების ვარაუდით გაგზავნა, სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის დაკავება ციხეში იყო თვითნებური და უკანონო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 5(1)(დ) მუხლის შესაბამისად.

წყარო: “დ. გ. ირლანდიის წინააღმდეგ”, განაცხადის N 39474/98, ევროპის საბჭოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 16 მაისი, 2002 წ., პუნქტები 66, 72-85.

8.3.2 უკიდურესი ზომის სახით

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტის მიხედვით, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით. პეკინის წესები უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილება პირადი თავისუფლების შეზღუდვის შესახებ მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ საკითხის გულმოდგინედ განხილვის შემდეგ.²³⁵ ამას გარდა, წესები ითვალისწინებს, რომ 18 წლამდე პირს არ უნდა წაერთვას თავისუფლება, თუ ის არ არის ცნობილი დამნაშავედ სერიოზული ქმედების ჩადენაში სხვა პირის მიმართ ძალადობის გამოყენებით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთხელ ჩადენაში და არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა.²³⁶ ფრაზა “არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა” არ უნდა იქნეს გაგებული როგორც ალტერნატიული ზომის არარსებობა. ამის ნაცვლად იგი უნდა გავიგოთ როგორც ვითარება, რომელშიც სხვა ზომების გამოყენება არ იქნება შესაფერისი ან სასარგებლო ბავშვისათვის.²³⁷ ეს დებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საპატიმრო სასჯელი არ უნდა დაენიშნოს ბავშვს მარტო იმიტომ, რომ არ არსებობს მისი განთავსებისათვის სხვა შესაბამისი დაწესებულება.

ბევრ სახელმწიფოში არასრულწლოვან დამნაშავეთა დაკავება ხდება წვრილმანი ქონერევი დანაშაულებისთვისაც, ხშირად მცირე ოდენობის თანხის ან საკვების ქურდობის ჩათვლით. არის შემთხვევები, როდესაც ფსიქიკურად დაავადებული ბავშვები აღმოჩნდებიან ხოლმე გამოკეტილები ციხეებში ნაცვლად იმისა, რომ მოთავსებულნი იყვნენ სამედიცინო დაწესებულებებში. განვითარებულ ქვეყნებში უსახლკარო ან ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვას მინდობილი ბავშვები უფრო მეტად ექვემდებარებიან საპატიმრო სასჯელებს ოჯახის წევრების მხრიდან მათზე ზედამხედველობისა და ზრუნვის სიმციროს გამო. იმისათვის, რომ აღნიშნული ბავშვები სრულად იქნან უზრუნველყოფილნი ბავშვის უფლებათა კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმებით, კანონმდებლობამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს არა მხოლოდ ის, რომ თავისუფლების აღკვეთა უკიდურესი ზომის სახით უნდა იყოს გამოყენებული, არამედ ისიც, რომ მისი გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ პეკინის წესების მე-17 წესით დადგენილ ზემოთ მითითებულ კონკრეტულ ვითარებაში.

²³⁵ პეკინის წესების წესი 17 (1) (ბ).

²³⁶ იხ. პეკინის წესების წესი 17 (1) (გ). იხ., აგრეთვე, გაეროს მეექვსე კონგრესის მეოთხე რეზოლუცია დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ, რომლის მიხედვით: “არასრულწლოვანი დამნაშავე არ უნდა იქნეს დატუსაღებული, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ არ არსებობს რეაგირების სხვა შესაბამისი საშუალება” (გაეროს მეექვსე კონგრესი დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობის შესახებ - მეექვსე კონგრესის ანგარიში, რომელიც შეიცავს კონგრესის მიერ მიღებულ პროცედურების რეზიუმეს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს - ანგარიში მომზადებულია სამდივნოს მიერ. გაეროს დოკ. A/CONF.87/14/Rev.1, 1980 წ. 25 აგვისტო-5 სექტემბერი)

²³⁷ პეკინის წესების წესი 17 (1) (გ). იხ., აგრეთვე, ჰავანის წესების წესი 1 და წესი 2.

8.3.3 დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ბ) პუნქტი არ განსაზღვრავს, რა იგულისხმება “დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდში”. 18 წლამდე პირთა სასჯელის ვადა პირდაპირ უნდა იყოს დაკავშირებული იმ პერიოდის ხანგრძლივობასთან, რომელიც მიჩნეულია საკმარისად ბავშვის რეინტეგრაციისთვის და მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო როლის შესრულებაში ხელშეწყობისათვის.

სამართლებრივი ნორმები, რომლებიც აგენს, რომ ბავშვის სასჯელი უნდა იყოს სრულწლოვან პირთა სასჯელის ნახევარი ან რაიმე სხვა პროპორციებს, არ არის საკმარისი ამ მიზნის მისაღწევად. ყველა შემთხვევაში კანონმდებლობა უნდა მოითხოვდეს სასამართლოსაგან იმის პირდაპირ განხილვას, ნამდვილად უკიდურესი ზომია თუ არა საპატიმრო სასჯელი და იმ დროის განსაზღვრას, რაც აუცილებელია ბავშვისათვის საჭირო ინტერვენციის განსახორციელებლად. სასჯელის ხანგრძლივობა არ უნდა სცილდებოდეს ამ პერიოდს.

ზოგიერთ სახელმწიფოს დადგენილი აქვს ფიქსირებული მაქსიმალური სასჯელი, რომელიც შეიძლება შეეფარდოს პირს სხვადასხვა დანაშაულისთვის.

საილუსტრაციომასალა 50: მაქსიმალური საპატიმრო სასჯელის ვადა არასრულწლოვანისათვის

უგანდის ბავშვთა აქტი (1996) ზღუდავს პატიმრობის ვადის ხანგრძლივობას, რომლის შეფარდებაც შეუძლია საოჯახო და საბავშვო საქმეების სასამართლოს, და აცხადებს: “თექვსმეტ წლამდე ბავშვების პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმუმ სამ თვეს, ხოლო თექვსმეტ წელზე უფროსი ბავშვისა - მაქსიმუმ თორმეტ თვეს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ისჯება სიკვდილით, სამ წელს ნებისმიერი ბავშვისათვის”.

ბრაზილიის ბავშვთა და მოზარდთა შესახებ კანონის (1990) მიხედვით, ბრაზილიაში “ინტერნირების პერიოდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.” გარდა ამისა, “საპატიმრო ზომები უნდა გადაისინჯოს, სულ მცირე, ექვს თვეში ერთხელ.”

ინგლისში და უელსში სასამართლოს საპატიმრო სასჯელის დაკისრება შეუძლია მხოლოდ მძიმე დანაშაულებისთვის. უმეტეს შემთხვევაში ეს იქნება პატიმრობისა და ტრენინგის გავლის შესახებ განკარგულება, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 24 თვეს და რომლის მხოლოდ ნახევარი უნდა იქნეს მოხდილი პატიმრობაში.

წყაროები: უგანდის ბავშვთა აქტი (1996), მუხლი 94 (1) (გ); *Estuto do Crianca e do Adolescente*-ს (1990) მუხლები 121 (2), 121 (3); დანაშაულისა და განუკითხაობის აქტი 1998, თავი 37, ნაწ. 73.

8.3.4 რატომ უნდა იყოს შეზღუდული საპატიმრო სასჯელების გამოყენება

ძალიან რთულია, განახორციელო და დაიცვა ბავშვის ყველა უფლება მაშინ, როდესაც იგი თავისუფლებადკვეთილია და მოთავსებულია დაკავების ცენტრში (იზოლატორში) ან ციხეში. გარდა ამისა, უკვე გარკვეული ხანია აღიარებულია, რომ ბავშვის დაკავების ცენტრში (იზოლატორებში), ციხეში ან სხვა დახურულ დაწესებულებაში მოთავსებამ შეიძლება ისეთი უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვზე, რომელიც “ვერ დაბალანსდება შესაბამისი მოპყრობის მცდელობებით”²³⁸. ინსტიტუციონალიზაციის ეფექტი, რომელიც მოიცავს ოჯახსა და საზოგადოებასთან დაშორებას, ხშირად მძიმდება ცუდი პირობებითა და რეინტეგრაციის ღონისძიებებისა და პროგრამების შეზღუდული ხელმისაწვდომობით ან არარსებობით. ციხის ცხოვრებამ ასევე შესაძლებელია მგრძობიარე ახალგაზრდა დამნაშავეები დატოვოს ძალადობის კულტურის პირისპირ. ამ ტიპის გამოცდილება ახალგაზრდებს უფრო დაუცველებს ხდის

²³⁸ პეკინის წესების მე-19 წესის კომენტარი აცხადებს: “უფრო მეტიც, უარყოფითი გავლენა, არა მხოლოდ თავისუფლების დაკარგვა, არამედ ჩვეულ სოციალურ გარემოსთან დაშორებაც, ბავშვებისათვის უფროსებთან შედარებით მეტად მწვავეა განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე მათი ყოფნის გამო”.

ოჯახის დანგრევის, უსახლკარობის, დასაქმების სირთულეების, ფსიქიკური პრობლემებისა და გათავისუფლების შემდეგ რეციდივის მიმართ.

როგორც პეკინის წესების კომენტარებშია აღნიშნული, პროგრესული კრიმინალისტიკა ინსტიტუციურ ზომებზე მეტად არაინსტიტუციური ზომების გამოყენების მომხრეა. მართლაც, როგორც თანამედროვე კვლევების შედეგები გარკვევით მიუთითებს, ბავშვების ინსტიტუციონალიზაციას, სავარაუდოდ, უფრო მეტად მოჰყვება მათ მიერ შემდგომში დანაშაულის ჩადენა, ვიდრე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას.²³⁹

8.4. აკრძალული სასჯელები

ბავშვის უფლებათა კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული სამართლებრივი აქტები²⁴⁰ და “სტანდარტები და ნორმები” შეიცავს შეზღუდვებს იმ სასჯელებზე, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია. ფართო გაგებით აღნიშნული ითვალისწინებს, რომ სასამართლოებსა და მოსამართლეებს არ შეუძლიათ ადამიანისთვის ისეთი სასჯელის შეფარდება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს წამებას თუ სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას. ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა შემთხვევაში აკრძალულია სიკვდილით დასჯის ან სამუდამო პატიმრობის, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, შეფარდება და დანიშნვის შემთხვევაში იგი წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის კატეგორიაში ხვდება.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის N 20 ზოგადი კომენტარის²⁴¹ თანახმად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლის (რომ არავინ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას - უფლება, რომელიც გამეორებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლში) მიზანი არის “ინდივიდის როგორც ღირსების, ასევე მისი ფიზიკური და ფსიქიკური ხელშეუხებლობის დაცვა”²⁴². ადამიანის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, “მე-7 მუხლის ტექსტი არ უშვებს მისი მნიშვნელობის შეზღუდვას.” კომიტეტი ასევე კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ “საგანგებო საზოგადოებრივ სიტუაციებშიც კი... დაუშვებელია მე-7 მუხლის შეზღუდვა და მისი დებულებები უნდა დარჩეს ძალაში.”²⁴³

8.4.1 სიკვდილით დასჯა და სამუდამო პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ა) პუნქტი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი და პეკინის წესების წესი 17.2 კრძალავს სიკვდილით დასჯის გამოყენებას იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც ჩაიდინეს 18

²³⁹ 2008 წელს ჩრდილოეთ ირლანდიის ოფისმა (ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეების სამინისტრო), სამთავრობო ორგანომ, რომელიც პასუხისმგებელია კონსტიტუციონალიზმისა და უსაფრთხოების საკითხებზე, გამოსცა ჩრდილოეთ ირლანდიაში დანაშაულებრივი ქმედებების გამეორების ანალიზი. კვლევამ, რომელშიც მიმოხილული იქნა 2005 წელს პატიმრობიდან განთავისუფლებულ პირთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის საკითხები იმ ახალგაზრდებთან შედარებით, რომლებსაც შეფარდებული ჰქონდათ არასაპატიმრო სასჯელები, გამოავლინა, რომ ის ახალგაზრდები, რომელთაც მოხდელი აქვთ საპატიმრო სასჯელი, თითქმის ორჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი გათავისუფლებიდან ერთი წლის მანძილზე დანაშაულის განმეორებით ჩადენისადმი, ვიდრე ისინი, ვინც მოიხდა არასაპატიმრო სასჯელი. სამთავრობო სტატისტიკის შესაბამისად, ერთი წლის განმავლობაში განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა პატიმრობიდან განთავისუფლებული ახალგაზრდების 72.9 პროცენტმა და არასაპატიმრო სასჯელმოხდელი ახალგაზრდების 37.5 პროცენტმა (ჩრდილოეთ ირლანდიის ოფისი, სტატისტიკისა და კვლევის განყოფილება, “ჩრდილოეთ ირლანდიაში ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ხელახალი ჩადენა: 2005 წლის კოპორტის შედეგები. კვლევისა და სტატისტიკის ბიულეტენი, 7/2008, 2008).

²⁴⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; ბანჯულის ქარტია, ბავშვის უფლებებისა და სოციალური კეთილდღეობის აფრიკული ქარტია; ამერიკის კონვენცია.

²⁴¹ ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 20: მე-7 მუხლი (წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) (1992). ცვლის ადამიანის უფლებათა კომიტეტის N7 ზოგად კომენტარს: მუხლი 7 (წამების და სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) (1982).

²⁴² ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N 20 (1992), პუნქტი 2.

²⁴³ იქვე, პუნქტი 3.

წლამდე პირებმა. ეს ნორმა კრძალავს სიკვდილით დასჯის გამოყენებას არა მარტო 18 წლამდე პირებისათვის, არამედ იმ პირებისთვისაც, ვისაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებოდა 18 წელი, მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წლისაა პირი მისი გასამართლების, განაჩენის გამოტანის ან სასჯელის დაკისრების მომენტისათვის.²⁴⁴

“ჰიუმან რაითს უოჩის” 2008 წლის ანგარიშის²⁴⁵ შესაბამისად, მხოლოდ 5 სახელმწიფო აგრძელებდა 2008 წელს²⁴⁶ არასრულწლოვანი დამნაშავეების სიკვდილით დასჯას. ხსენებულ სახელმწიფოებში - ირანში, საუდის არაბეთში, სუდანში, პაკისტანსა და იემენში დაფიქსირებულია 32 არასრულწლოვანი დამნაშავეის სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა 2005 წლის იანვრიდან 2008 წლის აგვისტომდე, მიუხედავად სუდანში, პაკისტანსა და იემენში სასიკვდილო განაჩენის აღსრულების აკრძალვისა.²⁴⁷

ბავშვი დამნაშავეების სასიკვდილო განაჩენის აღსრულების ამკრძალავი და ამგვარი ხვედრისაგან ბავშვების დამცავი კანონმდებლობის განხორციელების დაბრკოლებებია: დაბადების რეგისტრაციის არასათანადო მონმობა, რაც ბავშვებს ურთულებს იმის დამტკიცებას, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის ისინი არ იყვნენ 18 წლის²⁴⁸; არასრულწლოვანთა სასამართლოების არარსებობა, რის შედეგადაც ბავშვის გასამართლება ხდება სრულწლოვან პირთა სასამართლოების მიერ სრულწლოვანთა კანონმდებლობის შესაბამისად²⁴⁹; და კანონმდებლობაში სიცხადის არარსებობა, ბავშვების სიკვდილით დასჯის მკაფიო აკრძალვის ჩათვლით.²⁵⁰

საილუსტრაციო მასალა 51: სიკვდილით დასჯის აკრძალვა

ბავშვის უფლებათა კომიტეტის კრიტიკის საპასუხოდ და ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებებთან შესაბამისობის მიზნით რამდენიმე სახელმწიფომ მიიღო ცვლილებები, რომლებიც კრძალავს 18 წლამდე ასაკის პირების სიკვდილით დასჯას:

ბანგლადეშის ბავშვთა აქტი, 1974 წ.:

51. ბავშვისთვის შესაფარდებელი სასჯელის შეზღუდვები - (1) მიუხედავად ნებისმიერი საპირისპირო დებულებებისა, რომლებიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს რომელიმე კანონით, არცერთ ბავშვს არ უნდა მიესაჯოს სიკვდილით დასჯა, გადასახლება ან პატიმრობა.

წყარო: ბანგლადეშის ბავშვთა აქტი, აქტი N39, 1974 წ. მუხლი 51.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (ა) პუნქტი ასევე კრძალავს ბავშვების შემთხვევაში სამუდამო პატიმრობის გამოყენებას, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას. ბავშვის უფლებათა კომიტეტი კატეგორიულ რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს, რომ ბავშვებისათვის უნდა გაუქმდეს ყველა ფორმის სამუდამო პატიმრობა.²⁵¹

²⁴⁴ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 75.

²⁴⁵ “ჰიუმან რაითს უოჩის” “ბოლო შეწინააღმდეგება” 2008 წ. გვ. 2.

²⁴⁶ აღნიშნულ დრომდე რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩინეთში, ოფიციალურად შეწყვიტეს 18 წლამდე პირებისთვის მისჯილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს მოჰყვა უზენაესი სასამართლოს საეტაპო გადაწყვეტილებას საქმეზე “როპერი სიმონსის წინააღმდეგ”, 125 S.Ct. 1183 (2005); 543 აშშ (2005), ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო, 2005 წლის 1 მარტი, რომელშიც სასამართლომ დაადგინა, რომ სიკვდილით დასჯის განაჩენის აღსრულება იმ პირებთან მიმართებაში, ვინც დანაშაული ჩაიდინა 18 წლის ასაკის მიღწევამდე, არღვევს მე-8 შესწორებას, რომელიც კრძალავს სასტიკ და უჩვეულო სასჯელებს. ჩინეთში სისხლის სამართლის კოდექსში 1997 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა კანონგარეშე აღიარა არასრულწლოვან დამნაშავეთა სასიკვდილო განაჩენის აღსრულება, თუმცა ცნობილი გახდა, რომ 1997 წლიდან 2005 წლამდე განხორციელდა სულ მცირე 2 პირის სასიკვდილო განაჩენის აღსრულება (“ჰიუმან რაითს უოჩის” “ბოლო შეწინააღმდეგება”, 2008, გვ. 1).

²⁴⁷ “ჰიუმან რაითს უოჩის” “ბოლო შეწინააღმდეგება”, 2008 წ., გვ. 2.

²⁴⁸ იქვე, გვ. 2, 10, 16.

²⁴⁹ იქვე, გვ. 10, 11, 13, 14.

²⁵⁰ იქვე, გვ. 10-13.

²⁵¹ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 77.

8.4.2 ფიზიკური დასჯა

ბავშვის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, ნებისმიერი ფორმის ფიზიკური დასჯის გამოყენება სასჯელის სახით ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლს და მკაცრად უნდა იკრძალებოდეს სახელმწიფოების მიერ²⁵². აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს რაიმე ფორმით ფიზიკური დასჯის გამოყენების აკრძალვას.

საილუსტრაციო მასალა 52: სტრატეგიები

ფიზიკური დასჯის ამკრძალავი კანონები: ფიჯის არასრულწლოვანთა აქტი (1974) არასრულწლოვანთა საქმეებზე სასამართლოებს უზრუნველყოფს მთელი რიგი დებულებებით, თუმცა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ “ბავშვებს არ უნდა დაენიშნოთ ფიზიკური დასჯა.” კენიის 2001 წლის ბავშვთა აქტის 191(2) ნაწილი მოიცავს იმ სასჯელებს, რომლებიც დაშვებულია არასრულწლოვანთათვის, და აცხადებს, რომ “არც ერთი დამნაშავე ბავშვის შეთხვევაში არ უნდა იქნეს გამოყენებული ფიზიკური დასჯა”. ტრინიდადი და ტობაგოს სხვადასხვა დებულებების (ბავშვების) შემცველმა N66 აქტმა (2000) გააუქმა 1941 წელს ამოქმედებული კანონები, რომლებიც სასამართლოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, 18 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში გამოეყენებინათ ფიზიკური დასჯა.

წყაროები: აქტი იმ არასრულწლოვანთა პატიმრობისა და დაცვის შესახებ, რომელთაც ესაჭიროებათ მზრუნველობა, დაცვა და კონტროლი, ასევე არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა და ახალგაზრდა დამნაშავეთა გამოსწორების უზრუნველყოფის შესახებ, ფიჯის კანონები, თავი 56, 1974 წ. (გადამუშავებული გამოცემა 1985), ნან. 32 (1) და (2); ბავშვთა აქტი, 2001, კანონი N. 8 2001წ. (კენია); სხვადასხვა დებულებების (ბავშვები) შემცველი აქტი, 2000, აქტი N. 66, 2000წ., “ტრინიდადი და ტობაგოს ბიულეტენის” სამართლებრივი დანართი ა) ტ. 39, № 203, 20 ოქტომბერი, 2000წ., ნან. 7 (თექვსმეტ წლამდე მსჯავრდებულთა ფიზიკური დასჯის გამაუქმებელი აქტი (1941), თავი 13:03), ნან. 8-11 (თექვსმეტ წლამდე მსჯავრდებულთა ფიზიკური დასჯის გამაუქმებელი აქტის ცვლილებები, თავი 13:04 გამოიყენება 18 წ. დაკავშირებით).

სასამართლოების გამოყენება ფიზიკური დასჯისთვის ბოლოს მოსაღებად: 1995 წელს სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე “ს. უილიამსის და სხვების წინააღმდეგ” განიხილა ექვსი არასრულწლოვანის საქმე, რომლებიც გაასამართლეს და რომელთაც მიუსაჯეს გარკვეული რაოდენობით დარტყმა მსუბუქი წკნელით “ზომიერი გამასწორებელი” ღონისძიების სახით. სასჯელი ნებადართული იყო სისხლის სამართლის საპროცესო აქტის (N51, 1977 წ.) 294-ე მუხლით. სასამართლომ დაადგინა, რომ იგი იყო არაკონსტიტუციური. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ “სხეულის ნაზ ნაწილზე წკნელით ტკივილის განზრახ მიყენება, ისევე, როგორც პროცედურის ინსტიტუციური ხასიათი, გულისხმობს სისასტიკის ელემენტის არსებობას იმ სისტემაში, რომელიც სანქციის სახით მის დანიშვნას უშვებს. ეს მოქმედება წინასწარ იგეგმება და არის მიზანმიმართული. ... არასრულწლოვანი ფაქტობრივად განიხილება როგორც ობიექტი და არა როგორც ადამიანი”. ასე რომ, ამოქმედდა ფიზიკური დასჯის გამაუქმებელი აქტი (1997), რომლის თანახმადაც “ნებისმიერი კანონი, რომელიც უშვებს კანონიერი სასამართლოს მიერ, ტრადიციული ლიდერებისაგან შემდგარი სასამართლოს ჩათვლით, ფიზიკური დასჯის გამოყენებას, უქმდება წინამდებარე აქტით, რამდენადაც იგი უშვებს ამ სასჯელს. აქტში კონკრეტულად არის მითითებული სისხლის სამართლის საპროცესო აქტი (1977 წ.) როგორც ერთი კანონი, რომელსაც იგი აუქმებს.

წყაროები: “ს. უილიამსის და სხვების წინააღმდეგ”, 1995 (2) SA 632 (CC); 1995 (7) BCLR 861 (CC), სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლო, 1995 წლის 9 ივნისი, პუნქტები 1, 96 (სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონსტიტუციის მე-10 და 11 (2) ნაწილების დებულებები, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანური ღირსების და წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯისაგან დაცვის უფლებებს, შესაბამისად), 90; ფიზიკური დასჯის გამაუქმებელი აქტი 1997, აქტი N 33, 1997 წ. მთავრობის ბიულეტენი N 18256, 1997 წლის 5 სექტემბერი, ნაწილები 1, 3.

²⁵² ბავშვის უფლებათა კომიტეტის N10 ზოგადი კომენტარის (2007) 71-ე პუნქტში ნათქვამია, რომ “კომიტეტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფიზიკური დასჯის სანქციის სახით გამოყენება არღვევს ... 37-ე მუხლს, რომელიც კრძალავს ყველა ფორმის სასტიკი, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას” (იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 8 (2006), გაეროს დოკ. CRC/C/GC/8, მე-19 მუხლი; 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი, და 37-ე მუხლი, *inter alia*).

კონსენსუსი რეგიონულ მექანიზმებში

ევროპა: საქმეზე “ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა 15 წლის ბიჭის შემთხვევა, რომელსაც კუნძული მენის არასრულწლოვანთა სასამართლოს მიერ მიესაჯა წკნელით სამი დარტყმა. სასამართლომ მიიჩნია, რომ “სასამართლოს მიერ განმცხადებლისათვის ფიზიკური დასჯის დანიშნვა წარმოადგენს ღირსების შემლახველ სასჯელს იმ მნიშვნელობით, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის მესამე მუხლში”, წარმოადგენს რა “სწორედ იმის ხელყოფას, რის დაცვასაც მე-3 მუხლი ისახავს მიზნად, კერძოდ, ადამიანის ღირსებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფას”.

ამერიკა: ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკულმა სასამართლომ საქმეზე “ცეზარი ტრინიდადი და ტობაგოს წინააღმდეგ” დაადგინა, რომ სასამართლოს მიერ გაროზგვის მეშვეობით ფიზიკური დასჯის დანიშვნა არღვევს ამერიკის კონვენციის 5(1) და 5(2) მუხლებს, რომლებიც ითვალისწინებს ადამიანური მოპყრობის ინდივიდუალურ უფლებას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე “ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” და დაადგინა: “სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ სასჯელის ბუნება არსობრივად ასახავს ძალადობის ინსტიტუციონალიზაციას, რაც, მიუხედავად იმისა, რომ ნებადართულია კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, როცა დანიშნულია სასამართლოს მიერ და სისრულეშია მოყვანილი ციხის თანამშრომლის მიერ, არის კონვენციასთან შეუსაბამო სანქცია. ფიზიკური დასჯა გაროზგვით, როგორც ასეთი, წამების ფორმაა და, აქედან გამომდინარე, არის ნებისმიერი იმ პირის უფლების დარღვევა, რომელსაც იგი მიესაჯა, უფლებისა, რომელიც გულისხმობს მისი ფიზიკური, ფსიქიკური და მორალური ხელშეუხებლობის პატივისცემას ... შესაბამისად, ტრინიდადი და ტობაგოს ფიზიკური დასჯის აქტი უნდა ჩაითვალოს ... კონვენციის შეუსაბამოდ.” ტრინიდადმა და ტობაგომ აღნიშნული საქმის მოსმენამდე მოახდინა კონვენციის დენონსირება და არ შეუცვლია კანონი, რადგან იგი ზრდასრულ მამაკაც დამნაშავეებს ეხება.

აფრიკა: ადამიანის და ხალხთა უფლებების დაცვის აფრიკულმა კომისიამ საქმეზე “კუტრის ფრანსის დოებლერი სუდანის წინააღმდეგ” (რომელიც ეხებოდა სტუდენტების “გაშოლტვას” სასამართლო განაჩენით) დაადგინა, რომ ამ სასჯელის გამოყენება არღვევს ბანჯულის ქარტიის მე -5 მუხლს, რომელიც კრძალავს სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი სასჯელის შეფარდებას. მან ასევე დაადგინა, რომ “ფიზიკურ პირებს, განსაკუთრებით კი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლებს, არა აქვთ არავითარი უფლება, გამოიყენონ ფიზიკური ძალადობა ადამიანების მიმართ ამ უკანასკნელთა მიერ დანაშაულის ჩადენის გამო. ასეთი უფლების არსებობა გაუტოლდებოდა ქარტიით სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი წამების სანქციონირებას და ეს არსობრივად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის ამ ხელშეკრულებას.” ამიტომ კომისიამ მოსთხოვა სუდანის მთავრობას, შეეცვალა სისხლის სამართლის 1991 წლის კანონი.

წყაროები: “ტაირერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”, 5856/72, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 15 მარტი 1978 წ., პუნქტები 33, 35; საქმე “ცეზარი ტრინიდადი და ტობაგოს წინააღმდეგ”, პერიოდული გამოცემა C N. 123, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო, 2005 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება, პუნქტები 6, 73; “კუტრის ფრანსის დოებლერი სუდანის წინააღმდეგ”, ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული კომისია, კომუნიკე N 236/2000, 2003 წლის 29 მაისი, პუნქტი 42.

ნაწილი 8: სასჯელის შეფარდება: შემაჯამებელი ასპექტები

- კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სასჯელების ჩამონათვალს, რომელთა შეფარდებაც შეეძლება სასამართლოს დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული ბავშვის მიმართ;
- კანონმდებლობა უნდა მოითხოვდეს სოციალური მოკვლევის ანგარიშების მომზადებასა და განხილვას ბავშვისათვის სასჯელის დაკისრებამდე. კანონმდებლობითვე უნდა იყოს დადგენილი ის საკითხები, რომლებსაც უნდა ითვალისწინებდეს სოციალური მოკვლევის ანგარიში და უნდა იყოს დაზუსტებული ის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ ანგარიშების მომზადებაზე;
- კანონმდებლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს დასაშვები არასაპატიმრო სასჯელების ჩამონათვალი, რომელთა შეფარდებაც შეეძლება მოსამართლეებს. ამგვარ სასჯელებში უნდა მოიაზრებოდეს ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა; კონსულტაცია; პრობაცია; მინდობით აღზრდა; სასწავლო და პროფესიული მომზადების პროგრამები; ინტენსიური სოციალური მუშაობის პროგრამები; აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები; შუალედური მოპყრობის რეჟიმის პროგრამები; საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და სხვა პროგრამები, რომლებიც კონკრეტული იურისდიქციის ფარგლებში ითვლება ბავშვისათვის მისაღებად. შესაძლო არასაპატიმრო ღონისძიებების ნუსხა არ უნდა იყოს შეზღუდული მხოლოდ იმ ღონისძიებებით, რომლებიც მოცემულია კანონმდებლობაში, და მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, გამოიყენონ ახალი პროგრამები მათი ხელმისაწვდომობის მიხედვით;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ საპატიმრო სასჯელების შეფარდება ბავშვისათვის უნდა მოხდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვს ბრალად ედება ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა სხვა პირის მიმართ ან როცა ბავშვს არაერთხელ ჩაუდენია სხვა მძიმე სამართალდარღვევები და არ არსებობს შესაბამისი ზემოქმედების სხვა ზომა;
- კანონმდებლობამ უნდა დააკონკრეტოს, რომ საპატიმრო სასჯელი უნდა იყოს დანიშნული რაც დროის შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში;
- კანონმდებლობა მოსამართლეს უნდა აკისრებდეს მოვალეობას, პირდაპირ განიხილოს, ნამდვილად უკიდურესი ზომაა თუ არა საპატიმრო სასჯელი და განსაზღვროს დრო, რომელიც საჭიროა ბავშვისთვის აუცილებელი ინტერვენციისათვის. სასჯელის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პერიოდს;
- ნებისმიერი კანონი, რომელიც უშვებს ფიზიკური დასჯის შესაძლებლობას, უნდა გაუქმდეს.

9. პატიმრობის სტანდარტები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო ჩარჩო ითვალისწინებს ძალზე დეტალურ სტანდარტებს, რომლებიც ეხება თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებს. ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (გ) პუნქტის თანახმად, “ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს უნდა ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების ხელშეუვალი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნები”.²⁵³ არავითარი მიზეზით არ შეიძლება ბავშვებისთვის იმ სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ჩამორთმევა, რომლებიც მათ მინიჭებული აქვთ ეროვნული და საერთაშორისო სამართლით და რომლებიც თავსებადია თავისუფლების აღკვეთასთან²⁵⁴.

ჰავანის წესები, ეხება რა ყველა იმ ბავშვს, რომელიც მოთავსებულია “საჯარო თუ კერძო საპატიმრო დაწესებულებაში, რომლის საკუთარი სურვილისამებრ დატოვების უფლებაც არ ექნება, სასამართლო, ადმინისტრაციული ან სხვა საჯარო უფლებამოსილების მქონე ორგანოს ბრძანებით”²⁵⁵, დეტალურად განიხილავს არასრულწლოვნებთან მოპყრობის წესებს და მათი პატიმრობის პირობებს. გარდა ამისა, დამატებითი სტანდარტებია გათვალისწინებული პეკინის წესებში²⁵⁶ და პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში.²⁵⁷

ჰავანის წესები ეხება ადმინისტრაციულ საკითხებს, არასრულწლოვანთა დაწესებულებების მენეჯმენტისა და არასრულწლოვნების მიღების, აღრიცხვის, გადაადგილების, გადაყვანის, კლასიფიცირებისა და მოთავსების ჩათვლით.²⁵⁸ ეს წესები ასევე მოიცავს ფიზიკურ გარემოს და განსახლების ადგილებს, განათლების დონეს და პროფესიულ სწავლებასა და მუშაობას, რომელიც უნდა შესთავაზონ ბავშვებს, დასვენებას, ჯანმრთელობის დაცვას, უფრო ფართო საზოგადოებასთან კავშირს, ფიზიკური შეზღუდვის და შესაძლო დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს, ინსპექტირებას და საჩივრებს, საზოგადოებაში დაბრუნებასა და პერსონალს.²⁵⁹

ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით,²⁶⁰ სახელმწიფოებმა აღნიშნული და სხვა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები²⁶¹ პირდაპირ უნდა ჩართონ საკუთარ კანონმდებლობებში და ხელმისაწვდომი გახადონ ყველა სპეციალისტისათვის და იმ პირისათვის, ვინც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. თუმცა, ჩვეულებრივ, სახელმწიფოები პატიმრობის პირობების შესახებ ყველა აუცილებელ სამართლებრივ ნორმას არ ითვალისწინებენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკუთარ ძირითად კანონმდებლობაში, რადგან აღნიშნული გამოიწვევდა კანონმდებლობის ჩამოყალიბებას ძალიან დიდ დოკუმენტად, რომელიც წარდგენის შემთხვევაში პარლამენტსაც დიდ დროს წაართმევდა. შედეგად პატიმრობის პირობები, ჩვეულებრივ, კანონქვემდებარე აქტებშია გათვალისწინებული, რომლებმაც შეიძლება მიიღოს სამოქმედო წესების ფორმა არასრულწლოვანთა ყველა საპატიმრო დაწესებულებისათვის ან შეტანილი იქნეს ინდივიდუალური დაწესებულების წესებსა და რეგულაციებში. ამ მიდგომის

²⁵³ “არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა უნდა მოხდეს მხოლოდ ისეთ პირობებში, რომლებიც სრულად შეესაბამება მათ კონკრეტულ საჭიროებებს, სტატუსს და სპეციალურ საჭიროებებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, პიროვნების, სქესის და დანაშაულის ტიპის, ისევე, როგორც გონებრივი და ფიზიკური ჯანმრთელობის გათვალისწინებით, და რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას მავნე ზეგავლენისა და სარისკო სიტუაციებისაგან.”

²⁵⁴ ჰავანის წესების მე-13 წესი.

²⁵⁵ იქვე, წესი 11(ბ).

²⁵⁶ “აუცილებელია ძალისხმევის მიმართვა პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებში მოცემული შესაბამისი პრინციპების რაც შეიძლება სრულად გამოყენებისათვის არასრულწლოვანთა სხვადასხვა საჭიროების უზრუნველყოფის მიზნით, მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით” (პეკინის წესების წესი 27.2).

²⁵⁷ პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები.

²⁵⁸ იხ. ჰავანის წესების წესები 19-31.

²⁵⁹ ამომწურავი მიმოხილვა თავისუფლებააღკვეთილ ბავშვებთან მიმართებაში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების შესახებ იხ. გ. კაპელერი, ა. გრანჯინი, ი. ნაქვი (Cappelaere, G., Grandjean, A., Naqvi, Y.) “თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები: უფლებები და რეალობა”, გამომცემლობა *Jeunesse et droit*, 2005 წ.

²⁶⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007წ.), პუნქტი 88.

²⁶¹ იხ. პატიმრების მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები. იხ., აგრეთვე, პეკინის წესების მე-9 წესი

უპირატესობა იმაშია, რომ შესაძლებელია დიდი რაოდენობით დეტალური სამოქმედო წესების და რეგულაციების გათვალისწინება.

9.1. თავისუფლების აღკვეთის მიზანი

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ბავშვის რეინტეგრაცია და მის მიერ მომავალში საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულება.²⁶² ამ მიზნის მისაღწევად “გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებული არასრულწლოვნები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ზრუნვით, დაცვით და ყველანაირი აუცილებელი დახმარებით - სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, აგრეთვე განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში - რომლებიც მათ შეიძლება დასჭირდეთ მათი ასაკის, სქესის და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების გათვალისწინებით.”²⁶³ ყველა სასჯელსრულების დაწესებულება, რომელშიც ბავშვები არიან მოთავსებულნი, უნდა მუშაობდეს ისეთი რეჟიმით, რომელიც ორიენტირებული იქნება საზოგადოებაში ბავშვის რეინტეგრაციაზე. ბავშვთან უნდა მოხდეს გასაუბრება მიყვანის მომენტშივე და უნდა მომზადდეს ფსიქოლოგიური და სოციალური ანგარიში, რომელსაც, სამედიცინო ანგარიშთან ერთად, უნდა დაეყრდნოს დაწესებულება, რათა განისაზღვროს ბავშვისათვის ყველაზე შესაფერისი პროგრამა.

9.2. უფროსებისაგან განცალკევება

როგორც ბავშვის უფლებათა კონვენცია²⁶⁴, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი²⁶⁵ მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავისუფლებათა აღკვეთილი ბავშვების უფროსებისაგან განცალკევებით მოთავსება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო²⁶⁶. ბავშვის უფლებათა კომიტეტი N10 ზოგად კომენტარში²⁶⁷ იძლევა რეკომენდაციას, რომ ფრაზის “ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო” განმარტება უნდა მოხდეს ვიწრო გაგებით; ბავშვის საუკეთესო ინტერესი არ გულისხმობს “სახელმწიფოსათვის მოსახერხებელს”. უფრო მეტიც, ამ გამონაკლისის არსებობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს ვალდებულებისაგან, დააარსოს განცალკევებული დაწესებულება ბავშვებისათვის, რომელშიც იქნება “გამორჩეული, ბავშვზე ორიენტირებული პერსონალი, კადრები, პოლიტიკა და პრაქტიკა”.²⁶⁸

ბავშვებისა და ზრდასრული ადამიანების განცალკევების მიზეზი გარკვევით არის განსაზღვრული ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ: “არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომ ბავშვების მოთავსება სრულწლოვანთა საპატიმროებში ან ციხეებში წარმოადგენს ელემენტარული უსაფრთხოების, კეთილდღეობის და მომავალში დანაშაულის ჩადენისაგან თავის შეკავებისა და რეინტეგრაციის უნარის შელახვას”.²⁶⁹

²⁶² “გამასწორებელ დაწესებულებებში მოთავსებულ არასრულწლოვნებთან აღმზრდელობითი სამუშაოების მიზანია მეურვეობის, დაცვის, განათლებისა და პროფესიული მომზადების უზრუნველყოფა მათთვის საზოგადოებაში სოციალურად სასარგებლო და ნაყოფიერი როლის შესრულებაში დახმარების განევის მიზნით.” (პეკინის წესების წესი 26.1).

²⁶³ პეკინის წესების წესი 26.2.

²⁶⁴ მუხლი 37 (გ).

²⁶⁵ მუხლი 10 (3).

²⁶⁶ იხ., აგრეთვე, პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების წესი 8(დ) და ჰავანის წესების წესი 26.3.

²⁶⁷ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007წ.), პუნქტი 28.

²⁶⁸ იქვე, პუნქტი 85.

²⁶⁹ იქვე.

საილუსტრაციო მასალა 53: უფროსებისაგან განცალკევება: ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკული კომისია

ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკული კომისიის წინაშე წარდგენილ საქმეზე “თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვანები ჰონდურასის წინააღმდეგ” მართლმსაჯულებისა და საერთაშორისო სამართლის ცენტრმა და Casa Alianza-მ განაცხადეს, რომ სახელმწიფო ბავშვებს პატიმრობაში ათავსებდა ცენტრალურ ციხეებში ზრდასრულ პატიმრებთან ერთად, რომლებიც ბავშვების მიმართ ავლენდნენ ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას. მიუხედავად იმისა, რომ დაპატიმრებულ არასრულწლოვანთა უფროსებთან ერთად მოთავსება ეწინააღმდეგება ჰონდურასის კონსტიტუციას, ჰონდურასის უზენაესმა სასამართლომ ნება მისცა არასრულწლოვანთა სასამართლოებს, გაეცათ ბრძანება არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა პატიმრობაში მოთავსებაზე “ცენტრალურ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სხვადასხვა განცალკევებულ ადგილებში” და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნებართვა გაუქმდა 1996 წელს, პრაქტიკაში არასრულწლოვანთა და ზრდასრულთა ერთად ყოფნა პატიმრობაში გაგრძელდა. მართლმსაჯულებისა და საერთაშორისო სამართლის ცენტრმა და Casa Alianza-მ ასევე განაცხადეს, რომ პატიმრობაში ბავშვების მოთავსება მოხდა თვითნებურად და ისეთი მოსამართლეების მიერ იქნა დადგენილი, რომელთაც არ ჰქონდათ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის უფლებამოსილება.

კომისიამ დაადგინა, რომ ამერიკის კონვენციის მე-19 მუხლი, ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (გ) პუნქტი და ჰონდურასის კონსტიტუციის 122-ე მუხლის მე-2 პუნქტი “ერთხმად გარკვევით აცხადებდნენ, რომ ჰონდურასის სახელმწიფოს ჰქონდა არასრულწლოვანთა სრულწლოვანი პატიმრებისაგან განცალკევებით მოთავსების ვალდებულება”. კომისიამ ასევე განაცხადა, რომ “არასრულწლოვან და სრულწლოვან პატიმართა ერთად ცხოვრებით ირღვეოდა არასრულწლოვნების ღირსება და აღნიშნული ინვევდა არასრულწლოვანთა პირადი ხელშეუხებლობის დარღვევას”.

კომისიის დასკვნის საპასუხოდ ჰონდურასმა აღნიშნა, რომ მიიღო ზომები, რათა არც ერთი არასრულწლოვანი აღარ იყოს პატიმრობაში უფროსებთან ერთად. ეს კომისიამ მიიჩნია დადებით წინგადადგმულ ნაბიჯად, მაგრამ, ამასთანავე, გამოთქვა შეშფოთებაც, რომ ადრე სახელმწიფოს მიერ გაცემული განკარგულება, არ მომხდარიყო არასრულწლოვნებისა და უფროსების ერთად დაკავება უგულბელყოფილი იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს ადმინისტრირებაში ჩართული პირების მიერ.

წყაროები: “თავისუფლებათა დაცვითი არასრულწლოვანები ჰონდურასის წინააღმდეგ”, საქმე 11,491 ანგარიშის N. 41/99, Inter-Am.C.H.R.“ OEA/Ser.L/V/II.95 Doc. 7 rev. 573 (1997), 1996 წლის 16 ოქტომბერი, ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკული კომისია, 1998 წ. პუნქტები 1, 3; ჰონდურასის კონსტიტუციის მუხლი 122 (2), პუნქტები 4, 68, 75, 130, 172, 173.

ამასთან, განცალკევების წესი არ მოითხოვს, რომ ბავშვი არასრულწლოვანთა დაწესებულებიდან სრულწლოვანთა დაწესებულებაში გადაიყვანონ მის მიერ 18 წლის მიღწევისთანავე. ეს იმიტომ, რომ სრულწლოვანთა დაწესებულებაში გადასვლა ნიშნავს რეინტეგრაციული რეჟიმის დასრულებას, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს საპატიმრო დაწესებულებაში. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს დებულებას, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვებს, დარჩნენ არასრულწლოვანთა დაწესებულებებში მათ მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ, განსაკუთრებით, თუ სასჯელის ვადა დასასრულს უახლოვდება, და თუ მათი დარჩენა არ ეწინააღმდეგება ამავე დაწესებულებაში მოთავსებული შედარებით უმცროსი ბავშვების ინტერესებს.

საილუსტრაციო მასალა 54: უფროსებისაგან განცალკევება: კანონმდებლობა

უგანდის ბავშვებთა აქტი, 1996:

(5) პატიმრობის შესახებ ბრძანების შეფარდებამდე, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ არსებობს პატიმრობისთვის შესაფერისი ადგილი.

(6) არც ერთი ბავშვი არ უნდა იყოს პატიმრობაში მოთავსებული სრულწლოვანთა ციხეში.
 თურქეთის არასრულწლოვანთა დაცვის კანონი (2005 წ.) აღნიშნავს:
 მუხლი 40 (1) ამ კანონის მიზნებისათვის, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი ფუნდამენტური პრინციპები:
 (ლ) არასრულწლოვანთა ზრდასრულებისგან განცალკევებით მოთავსება დაწესებულებებში, სადაც მათზე იზრუნებენ და მოუვლიან და სადაც განხორციელდება სასამართლო გადაწყვეტილებები.
 წყაროები: უგანდის ბავშვთა აქტი, 1996 (თავი 60); კანონი # 5395, 2005 (თურქეთი).

9.3. პატიმრობის პირობები და პატიმართა მიმართ მოპყრობა

იდეალურ შემთხვევაში, ნებისმიერი საპატიმრო დაწესებულება უნდა იყოს მცირე მოცულობის, რომ არსებობდეს თითოეულ ბავშვთან ინდივიდუალური მუშაობის საშუალება, და დეცენტრალიზებული, რათა ადვილად შეიძლებოდეს ბავშვების მონახულება მათი ოჯახების მიერ, ასევე ინტეგრირებული საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში²⁷⁰. დახურულ სასჯელსრულების დაწესებულებებზე²⁷¹ მეტად სასურველია ღია საპატიმროების არსებობა და პრიორიტეტი მათ უნდა მიენიჭოს²⁷².

9.3.1 ფიზიკური გარემო

ჰავანის წესები ადგენს, რომ თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანებს აქვთ უფლება, მოთავსებულები იყვნენ ისეთ დაწესებულებებში და ისარგებლონ ისეთი სერვისებით, რომლებიც დააკმაყოფილებს მათი ჯანმრთელობისა და ღირსების უზრუნველყოფის ყველა მოთხოვნას.²⁷³ ეს სახელმწიფოებისაგან მოითხოვს პატიმარი ბავშვების ისეთი საჭიროებებისთვის ყურადღების მიქცევას, როგორცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სენსორული სტიმულები (გამალიზიანებლები), თანატოლებთან ურთიერთობისა და სპორტით დაკავების შესაძლებლობები, ფიზიკური ვარჯიში და თავისუფალი დროის აქტივობები.²⁷⁴ დასაძინებელი ადგილი უნდა შედგებოდეს მცირე ზომის საერთო ოთახებისაგან და არაშემანუხებელი ფორმით კონტროლდებოდეს.²⁷⁵ უნდა არსებობდეს საკმარისი ოდენობით სუფთა თეთრეული²⁷⁶ და ადეკვატური სანიტარული კვანძები²⁷⁷. რამდენადაც შესაძლებელია, ბავშვებს უნდა მიეცეთ საკუთარი სამოსის ჩაცმის²⁷⁸ საშუალება და არსებობდეს შესაბამისი ადგილი მათი პირადი ნივთებისათვის²⁷⁹. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადეკვატური საკვები და სასმელი წყალი.²⁸⁰

9.3.2 დისციპლინური ზომები

2006 წლის გაეროს გენერალური მდივნის კვლევაში ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ აღნიშნულია, რომ “ზოგჯერ საპატიმროებში მყოფი ბავშვები ექვემდებარებიან ძალადობას

²⁷⁰ ჰავანის წესების 30-ე წესი.
²⁷¹ იქვე.
²⁷² პეკინის წესების მე-19 წესის კომენტარი.
²⁷³ ჰავანის წესების 31-ე წესი.
²⁷⁴ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007 წ.), პუნქტი 89.
²⁷⁵ ჰავანის წესების 33-ე წესი.
²⁷⁶ იქვე. იხ., აგრეთვე, პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების მე-19 პრინციპი: “ყოველი პატიმარი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ცალკე საწოლით ადგილობრივი და ეროვნული ნორმების შესაბამისად, აგრეთვე, ცალკე თეთრეულით, რომელიც გაცემის მომენტში უნდა იყოს სუფთა და სისუფთავის შენარჩუნების მიზნით ხშირად იცვლებოდეს.”
²⁷⁷ ჰავანის წესების 34-ე წესი. იხ., აგრეთვე, პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების მე-15 პრინციპი.
²⁷⁸ ჰავანის წესების 36-ე წესი.
²⁷⁹ იქვე, 35-ე წესი.
²⁸⁰ იქვე, 37-ე წესი.

თანამშრომლების მხრიდან, ხშირ შემთხვევაში მცირე დარღვევების გამო, თანამშრომლების მხრიდან კონტროლის ან დასჯის სახით. მიუხედავად იმისა, რომ 124-მა ქვეყანამ სრულად აკრძალა ფიზიკური დასჯის გამოყენება სასჯელალსრულების დაწესებულებებში, 78 ქვეყანაში მაინც ჯერ კიდევ ლეგალურად იყენებენ მას როგორც დისციპლინურ ზომას სასჯელალსრულების დაწესებულებებში. ძალადობრივი პრაქტიკა გამოვლენილია როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში. ბავშვები შეიძლება მოათავსონ ერთი ბენო საკნებში კვირაობით ან თვეობითაც კი, მათ მიმართ გამოიყენონ შეზღუდვის მტკიცენი მეთოდები “დისციპლინური” ზომის სახით ან აიძულონ საათობით მოუხერხებელ მდგომარეობაში ყოფნა²⁸¹.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უნდა არსებობდეს იმ დისციპლინური ზომების დაწერილი წესები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სასჯელალსრულების დაწესებულებებში²⁸². ჰავანის წესები მოითხოვს, რომ ნებისმიერი დისციპლინური ზომა, რომელიც გამოიყენება პატიმარი ბავშვის მიმართ, უნდა შესაბამებოდეს პიროვნების თანდაყოლილი ღირსების დაცვის უფლებას.²⁸³ როგორც ასეთი, “მკაცრად არის აკრძალული ყველა დისციპლინური ზომა, რომელიც წარმოადგენს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას, მათ შორის ფიზიკური დასჯა²⁸⁴, მოთავსება ბნელ საკანში, ჩაკეტილ სატუსალოში თუ სამარტოო საკანში ან სხვა სასჯელი, რომელიც შეიძლება უშვებდეს შესაბამისი არასრულწლოვანის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელყოფას.”²⁸⁵

ბავშვის უფლებათა კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, მე-19 მუხლის (რომელიც იცავს ბავშვებს ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის, დაზიანების ან შეურაცხყოფის, უყურადღებობის ან უგულვებლყოფის, ცუდად მოპყრობის ან ექსპლუატაციისაგან, მათ შორის სექსუალური ძალადობისგანაც) სრულყოფილად განხორციელების მიზნით, ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში აიკრძალოს გაროზგვის, ფიზიკური დასჯის ან სხვა ძალისმიერი ზომების სასჯელის ან დისციპლინური რეჟიმის ფარგლებში გამოყენება. ასეთი ზომები უნდა ჩაითვალოს სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად²⁸⁶. კანონმდებლობამ მკაფიოდ უნდა აკრძალოს პატიმარი ბავშვის მიმართ ნებისმიერი ფორმით ფიზიკური დასჯის ან ფიზიკური ძალადობის გამოყენება თანამშრომლების მიერ. კანონშივე უნდა იყოს განსაზღვრული მკაცრი სანქციები პატიმრობაში მყოფ ბავშვთა მიმართ მოძალადე თანამშრომლებისათვის.

საერთაშორისო სტანდარტები საგანგებოდ კრძალავს გარკვეულ არაძალადობრივ დისციპლინურ ზომებსაც, მათ შორის ბავშვის კვების შემცირებას, ჩაკეტილ სატუსალოში ან სამარტოო საკანში მოთავსებას, ოჯახთან დაკავშირებასა და შრომის შესაძლებლობების მიცემაზე უარის თქმას²⁸⁷. ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში ეს აკრძალვებიც უნდა იყოს გათვალისწინებული.

9.3.3 ძალის ან ფიზიკური შეზღუდვის გამოყენება

ჰავანის წესები უშვებს ბავშვების ფიზიკური შეზღუდვის გამოყენებას განსაკუთრებულ შემთხვევებში და როცა კონტროლის ყველა სხვა მეთოდი გამოყენებულია და წარუმატებელი²⁸⁸. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 აცხადებს, რომ “შეზღუდვის ან ძალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ბავშვი დაზიანების გარდაუვალ საფრთხეს უქმნის

²⁸¹ ფინეირო პაულო-სერჟიო, “მსოფლიო მასშტაბის მოხსენება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე”, 2006 წ. გვ. 175, 197.

²⁸² ჰავანის წესების 68-ე წესი.

²⁸³ იქვე, 66-ე წესი.

²⁸⁴ ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ “ფიზიკური დასჯა, მათ შორის ბავშვების ფიზიკური დასჯა, შეიძლება მივაკუთვნოთ სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ დასჯას ან თუნდაც წამებას”: ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია 2001/62, წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი (2001), გაეროს დოკ. E/CN.4/RES/2001/62, პუნქტი 5. იხ., ასევე, პეკინის წესების წესი 17.3 და რიადის პრინციპების 21(თ) და 54-ე პრინციპები.

²⁸⁵ ჰავანის წესების 67-ე წესი.

²⁸⁶ ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ოცდამეხუთე სესიის ანგარიში. გაეროს დოკ. CRC/C/100, 2000. გვ. 131.

²⁸⁷ ჰავანის წესების 67-ე წესი. უხეში დისციპლინური ზომების გამოყენებას რიადის პრინციპებიც კრძალავს (პუნქტი 54).

²⁸⁸ იხ. 64-ე პუნქტი. საერთაშორისო სტანდარტები უზრუნველყოფს, რომ შეზღუდვის გამოყენება უნდა იყოს ნებადართული დაწესებულების დირექტორის მიერ (ჰავანის წესების 64-ე წესი; პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, წესი 33 (გ)).

საკუთარ თავს ან სხვებს, და მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონტროლის ყველა სხვა საშუალება ამონურულია. შეზღუდვის ან ძალის გამოყენება, მათ შორის ფიზიკური, მექანიკური და სამედიცინო შეზღუდვებისა, უნდა ხდებოდეს სამედიცინო ან/და ფსიქილოგიური სფეროს სპეციალისტების მონაწილეობით და უშუალო კონტროლით. შეზღუდვა ან ძალა არასოდეს უნდა იყოს გამოყენებული სასჯელის სახით²⁸⁹. დანესებულების თანამშრომლებმა უნდა გაიარონ ტრენინგი მისაღებ სტანდარტებთან დაკავშირებით და ის თანამშრომლები, რომლებიც იყენებენ შეზღუდვასა და ძალას სტანდარტებისა და წესების დარღვევით, სათანადოდ უნდა დაისაჯონ²⁹⁰.”

კანონმდებლობა ასევე მკაფიოდ უნდა უკრძალავდეს იარაღის ტარებასა და გამოყენებას ნებისმიერი ისეთი სასჯელალსრულების დანესებულების პერსონალს, სადაც იმყოფებიან არასრულწლოვანი დამნაშავეები.²⁹¹

საერთაშორისო სტანდარტები ითვალისწინებს, რომ ფიზიკური შეზღუდვის გამოყენება, გამოყენებული ზომების სახეობები და მათი გამოყენების გარემოებები და პროცედურები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული კანონებსა და რეგულაციებში.²⁹² სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ ზომების გამოყენებისთვის დასაშვები გარემოებები და სახეობები იყოს შეზღუდული და არ სცილდებოდეს საერთაშორისო სტანდარტებში, კერძოდ, ჰავანის წესების 64-ე პუნქტში გათვალისწინებულ წესებს.

საილუსტრაციო მასალა 55: ფიზიკური შეზღუდვა პატიმრობაში ყოფნისას

საქმეზე “რ. (ს.-ს განაცხადის საფუძველზე) იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ” (2008) ინგლისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა, არღვევდა თუ არა დაპატიმრებული ბავშვის მიმართ ფიზიკური შეზღუდვის და, კერძოდ, ტკივილის მიყენების ტექნიკის გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა) და მე-8 (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) მუხლებს. საქმე მოჰყვა სარეჟიმო სასწავლო ცენტრებში მოთავსებული ორი ბავშვის გარდაცვალებას, რომელთაგან ერთ-ერთმა თავი მოიკლა მას შემდეგ, რაც მის მიმართ გამოყენებული იქნა ტკივილის გამომწვევი ტექნიკა, ხოლო მეორე გარდაიცვალა სარეჟიმო სასწავლო ცენტრის თანამშრომლების მიერ მისი შეზღუდვის შედეგად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ტკივილის გამომწვევი ტექნიკის გამოყენებამ გამოიწვია შიში, ტანჯვა და არასრულწლოვანების შეგძნება, რომელიც ბავშვისათვის შეიძლება იყოს ღირსების შემლახავი და დამამცირებელი და, შესაბამისად, წარმოადგენს კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლების დარღვევას. სასამართლომ მიიჩნია, რომ “ფიზიკური ზემოქმედების სისტემა სხვა ადამიანის ნების წინააღმდეგ ... არის, ნებისმიერი ნორმალური გაგებით, დამამცირებელი და უხეში დარღვევა ადამიანის ღირსებისა”.

წყარო: [2008] EWCA Civ 882, ნაწილები 10, 11, 64.

9.3.4 ოჯახთან კონტაქტი

პატიმრობაში ბავშვების მოთავსებისას ერთ-ერთი ყველაზე შემამფოთებელი საკითხია მათი ჩამოშორება თავიანთი სახლებიდან. უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი არის ბავშვზე ზრუნვისა და მისი მხარდაჭერის ცენტრი. აუცილებელია, რომ თუ ბავშვი ჩამოშორებულია ოჯახს, მას ჰქონდეს უფლება, საპატიმრო დანესებულებიდან შეინარჩუნოს ოჯახთან კავშირი.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის (გ) პუნქტი საგანგებოდ ამხავილებს ყურადღებას ამ საკითხზე და უზრუნველყოფს, რომ: “ყოველ თავისუფლებალკვეთილ ბავშვს ... ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმონერის ან შესხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ

²⁸⁹ იხ., აგრეთვე, პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების წესი 33 (ა).
²⁹⁰ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007 წ.), პუნქტი 89.
²⁹¹ ჰავანის წესების 65-ე წესი.
²⁹² ჰავანის წესების 64-ე წესი; პატიმართა მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების 34-ე წესი.

გარემოებათა გამოკლებით“. ბავშვის უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციით, სახელმწიფოებმა კანონმდებლობით გარკვევით უნდა განსაზღვრონ ის გამონაკლისი შემთხვევები, რომდესაც ეს კავშირი შეიძლება შეიზღუდოს, და ამის განსაზღვრა არ უნდა მიაღწიოს კომპეტენტურ უფლებამოსილ ორგანოებს.²⁹³

ჰავანის წესები მოითხოვს, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს რეგულარული და ხშირი ვიზიტების მიღების უფლება, კვირაში ერთხელ მაინც და არანაკლებ თვეში ერთხელ ოჯახის წევრების ვიზიტისა²⁹⁴, იმ პირობებში, რომლებშიც დაცული იქნება ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის, ოჯახთან კავშირისა და შეუზღუდავი კომუნიკაციის უფლება.²⁹⁵ იმისათვის, რომ ასეთი ვიზიტები შესაძლებელი იყოს, ბავშვი უნდა იყოს მოთავსებული დანესებულებაში, რომელიც რაც შეიძლება ახლოს იქნება მისი ოჯახის საცხოვრებელ ადგილთან.²⁹⁶ საჭიროა სახელმწიფოებისთვის მოწოდება, რომ პატიმარი ბავშვების ოჯახის წევრებისთვის უზრუნველყონ სასჯელალსრულების დანესებულებამდე სამგზავრო ტალონები ან აუნაზღაურონ გზა.

ოჯახის წევრების ვიზიტის გარდა, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ისარგებლონ წერილობითი ან სატელეფონო კავშირით მათ მიერ შერჩეულ პირთან, თუკი ეს კანონით არ არის აკრძალული, სულ მცირე კვირაში ორჯერ. ბავშვებს უნდა გაეწიოს შესაბამისი დახმარება ამ უფლებით ეფექტიანი სარგებლობის მიზნით. გარდა ამისა, ბავშვებს აქვთ კორესპონდენციის²⁹⁷ მიღების უფლება და მათ უნდა შეეძლოთ საპატიმრო დანესებულების დატოვება და ოჯახის მონახულება.²⁹⁸

საილუსტრაციო მასალა 56: ოჯახთან კავშირის შენარჩუნება საპატიმროებში

პაემნის უფლების მაგალითები

ბოლივიის ბავშვთა კოდექსის (Ley del Código del Menor) მე-200 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებადკვეთილ ბავშვს აქვს უფლება, იყოს მოთავსებული მისი მშობლების ან მეურვეებისგან ყველაზე ახლოს მდებარე დანესებულებაში, შეხვდეს მათ და შეინარჩუნოს კავშირი თავის მეგობრებთან და ოჯახთან.

აღნიშნული დებულებები ასახულია ბრაზილიის ბავშვთა და მოზარდთა შესახებ კანონის 124-ე მუხლშიც, რომელიც ბოლივიის კოდექსს ერთი ნაბიჯით უსწრებს წინ, უზრუნველყოფს რა, რომ თავისუფლებადკვეთილ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ პაემნის უფლება “სულ მცირე კვირაში ერთხელ”.

გაერთიანებულ სამეფოში ახალგაზრდული იუსტიციის საბჭო უზრუნველყოფს პატიმარი ახალგაზრდების ოჯახის წევრებისათვის იმგვარი დახმარების განევას, რომ მშობლებსა და ოჯახის წევრებს შეეძლოთ პატიმარი შვილების რეგულარული მონახულება. სქემა მოიცავს დანესებულებებს, სადაც მოთავსებულნი არიან ბავშვები, და ეხმარება კვირაში ერთი პაემნის ხარჯების ანაზღაურებაში ორამდე მომნახულებელ პირს. იგი ასევე ანაზღაურებს 16 წლამდე ასაკის იმ ბავშვების მგზავრობის საფასურს, ვინც თან ახლავს უფროსებს. გარდა ამისა, სქემა ხელს უწყობს ოჯახებს, გადაიხადონ ბავშვის ძიძის საფასური, თუ ოჯახს ვერ მოყავს ბავშვები. ეს პროგრამა იმას ნიშნავს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები არ დაკარგავენ მშობლების მხარდაჭერას.

²⁹³ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007 წ.), პუნქტი 87.

²⁹⁴ პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების წესი 61. წესი 92-ის მიხედვით: “გაუსამართლებელ დაპატიმრებულ პირს უნდა მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავის ოჯახს დაპატიმრების შესახებ. მას უნდა მიეცეს აგრეთვე ყველა საშუალება ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობისათვის და მათი ვიზიტებისათვის, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს ან შედგეს ზედამხედველობის ქვეშ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა სამართლის აღსრულების, უსაფრთხოებისა და დანესებულებაში წესრიგის შესარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე.”

²⁹⁵ ჰავანის წესების წესი 60

²⁹⁶ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007 წ.), პუნქტი 87.

²⁹⁷ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007 წ.), პუნქტი 89.

²⁹⁸ ჰავანის წესების 59-ე წესი.

უფლებების შეზღუდვა

პაემნის უფლების შეზღუდვა შეიძლება მისაღები იყოს გამონაკლის შემთხვევებში. მაგალითად, ბრაზილიის კანონმდებლობით, მოსამართლემ შეიძლება შეაჩეროს ბავშვებთან პაემნები, თუ “არსებობს სერიოზული და დასაბუთებული მიზეზი იმის ვარაუდისთვის, რომ ამგვარმა პაემნებმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოზარდის ინტერესს”. ეს არის წესი, რომელიც, სავარაუდოდ, ზღუდავს პაემნებს მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

სახლში ვიზიტები

ბაჰამის ბავშვებისა და ახალგაზრდების აქტი (1947) საშუალებას იძლევა, დანესებულების ზედამხედველმა ნება დართოს ახალგაზრდას, ენვიოს თავის სახლს მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება ვიზიტების კომიტეტის თანხმობა.

წყაროები: კანონი N. 1403, 1992 წლის 18 დეკემბერი, მუხლები 200 (6), 200 (7), 200 (8); კანონი # 8.069, 1990 წლის 13 ივლისი, დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. გაერთიანებული სამეფოს ახალგაზრდული იუსტიციის საბჭოს პროგრამა, შესვლა <www .yjb.gov.uk / en-gb / yjs / /Parents/Custody> [მოძიებულია 2011 წლის 2 მაისს]; ბავშვის უფლებებთან კომიტეტი, ზოგადი კომენტარი № 10 (2007), პუნქტი 87; ბავშვთა და მოზარდთა სტატუტი, კანონი N ° 8.069, 1990 წლის 13 ივლისი, მუხლი 124 (XVI), პუნქტი 2; ბავშვებისა და ახალგაზრდების (სამართალწარმოება) აქტი ნან. 31 (1947) (ცვლილებებით).

9.3.5 კონტაქტი გარე სამყაროსთან

ჰავანის წესების 59-ე წესი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ყველანაირი საშუალება იღონონ, რათა არასრულწლოვანები უზრუნველყონ შესაძლებლობით, აწარმოონ საჭირო კომუნიკაცია გარე სამყაროსთან, ვინაიდან ეს არის არა მარტო სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის უფლების განუყოფელი ნაწილი, არამედ ასევე აუცილებელია ბავშვების საზოგადოებაში დაბრუნებისათვის. ოჯახებთან კავშირის გარდა, ბავშვებს უნდა მიეცეთ უფლება, ურთიერთობა იქონიონ მეგობრებსა და სხვა პირებთან ან დანესებულების ფარგლებს გარეთ არსებული კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, ბავშვებს უნდა შეეძლოთ სპეციალური ნებართვის მიღება საპატიმრო დანესებულების დატოვებისათვის საგანმანათლებლო, პროფესიული ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზების გამო.²⁹⁹

9.3.6 სამედიცინო დახმარება

ყველა არასრულწლოვანმა უნდა მიიღოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება, როგორც პრევენციული, ასევე სამკურნალო, სტომატოლოგიური, თვალის და ფსიქიკური დაავადებების მკურნალობის/პრევენციის ჩათვლით. ასევე, მათ უნდა მიიღონ ფარმაცევტული პროდუქცია და ისარგებლონ სპეციალური დიეტით სამედიცინო ჩვენების შესაბამისად. ყოველგვარი სამედიცინო დახმარება არასრულწლოვანმა უნდა მიიღოს, თუ შესაძლებელია, იმ რეგიონის სამედიცინო დანესებულებების და სამსახურების მეშვეობით, რომელშიც იმყოფება სასჯელსრულების დანესებულება, რათა თავიდან ავიცილოთ არასრულწლოვანთა სტიგმატიზაცია და ხელი შევუწყოთ მათი თავმოყვარეობის შენარჩუნებასა და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას³⁰⁰. კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს, რა დონის სამედიცინო მომსახურება უნდა იყოს უზრუნველყოფილი და როგორ უნდა მოხდეს ბავშვის მისვლა სამედიცინო დანესებულებაში. ასევე, რეგულაციებით უნდა მოწესრიგდეს მკურნალობის მიზნით ბავშვის განთავისუფლების საკითხი.

²⁹⁹ იქვე.
³⁰⁰ იქვე, 49-ე წესი.

9.3.7 განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა

საპატიმროში მყოფ სავალდებულო სასკოლო ასაკის ბავშვებს განათლების მიღების ზუსტად იგივე უფლება აქვთ, როგორც თავისუფალ ბავშვებს.³⁰¹ ეროვნული კანონმდებლობა განათლების შესახებ საგანგებოდ უნდა ეხებოდეს საპატიმროებში მყოფი ბავშვების განათლებას და უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მათთვის მიცემული განათლება ითვალისწინებდეს ბავშვის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. აღნიშნული მოიცავს სპეციალური განათლების მიცემას იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა და აღნიშნებათ შემეცნებასთან ან სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები. განათლების გეგმა იმგვარად უნდა იყოს შემუშავებული, რომ მოამზადოს ბავშვი საზოგადოებაში დასაბრუნებლად.³⁰²

ჰავანის წესების 38-ე წესი მოითხოვს, შესაძლებლობის შემთხვევებში, განათლების მიცემას სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ არსებულ საჯარო სკოლებში. მიუხედავად იმისა, განათლების მიწოდება სკოლაში ხორციელდება თუ თავად სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ეს უნდა მოხდეს ქვეყნის განათლების სისტემაში არსებული პროგრამებით, რათა განთავისუფლების შემდეგ არასრულწლოვანს შეეძლოს სწავლის გაგრძელება სირთულეების გარეშე. ასევე, კანონმდებლობამ სავალდებულო სასკოლო ასაკზე უფროს ბავშვებს უნდა დართოს განათლების გაგრძელების ნება. თუ ბავშვს გადაეცემა დიპლომი ან ატესტატი, მათში არანაირი ფორმით არ უნდა იყოს აღნიშნული ის, რომ ბავშვმა განათლება მიიღო საპატიმრო დაწესებულებაში.³⁰³

საილუსტრაციო მასალა 57: განათლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში

რეგულაციები შესათავაზებელი განათლების დონის შესახებ შესაძლებელია შეტანილი იქნეს ციხის სამოქმედო წესებში და განათლების ეროვნულ გეგმაში/კურიკულუმში. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ცხადყოფდეს, რომ სტანდარტის შესაბამისი განათლება უნდა მიეცეს სავალდებულო სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს, მიუხედავად იმისა, ბავშვი საჯარო სკოლაში დადის თუ იგი განათლებას საპატიმროში იღებს.

ციხის სამსახურის ბრძანება 4950 - არასრულწლოვანთა რეჟიმი, ინგლისი

პუნქტი 6.13. ციხის სამსახურისა და ახალგაზრდული იუსტიციის საბჭოს ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდებისათვის უნდა არსებობდეს მაღალი ხარისხის სასწავლო ცენტრები და ცული პრობლებით - "სარეჟიმო სასწავლო ცენტრები". ძირითადი პრინციპი არის ის, რომ სწავლება და უნარების დაუფლება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს პატიმრობისა და სწავლების შესახებ განკარგულების მოქმედების მთელ პერიოდში, უნდა იყოს იმავე სტანდარტების, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და კოლეჯებში.

განათლების გარდა, ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, გაიაროს პროფესიული სწავლება ისეთ პროფესიებში, რომლებიც მოამზადებს მას მომავალი დასაქმებისათვის,³⁰⁴ და შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მიეცეს ადგილობრივ საზოგადოებაში მუშაობის საშუალება გათავისუფლების შემდეგ შესაფერისი სამსახურის პოვნის შანსების გასაზრდელად. მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული შრომის კანონმდებლობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ ბავშვებზეც ცალსახად ისევე ვრცელდებოდეს, როგორც საზოგადოების წევრ სხვა ბავშვებზე.³⁰⁵

³⁰¹ ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლები.

³⁰² ჰავანის წესების 38-ე წესი.

³⁰³ იქვე, მე-40 მუხლი.

³⁰⁴ იქვე, 42-ე მუხლი.

³⁰⁵ იქვე, 45-ე მუხლი.

9.3.8 რეკრეაცია

სამოქმედო წესები და რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს ყველა ბავშვის უფლებას, ივარჯიშოს და დაისვენოს. ასევე დადგენილი უნდა იქნეს ისიც, თუ რა დრო უნდა დაეთმოს ყოველდღიურად ვარჯიშს ღია ცის ქვეშ, როცა ამინდი იძლევა ამის საშუალებას. ჩვეულებრივ, ამ დროის პერიოდში უნდა მოხდეს შესაბამისი რეკრეაციული და ფიზიკური ვარჯიშის ჩატარება.

ჰავანის წესების 47-ე წესი მოითხოვს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებობდეს სათანადო სივრცე, დანადგარები და აღჭურვილობა ამ აქტივობების განხორციელებისათვის.³⁰⁶ ყველა ბავშვს უნდა მიეცეს დამატებითი დრო სხვადასხვა ყოველდღიური გასართობი აქტივობისათვის, რომელთა ნაწილი უნდა დაეთმოს ბავშვის სურვილისამებრ ხელოვნებისა და ხალხური რენვის უნარების განვითარებას. ჰავანის წესების მოთხოვნით, ყველა საპატიმრო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეულ ბავშვს შეეძლოს ფიზიკური აღზრდის არსებულ პროგრამებში მონაწილეობა. იმ ბავშვებისათვის, რომელთაც ესაჭიროებათ, უნდა იყოს სამედიცინო ზედამხედველობით სარეაბილიტაციო ფიზიკური ვარჯიშისა და თერაპიის მინოდების საშუალება.

9.3.9 ბავშვის გამწესების საკითხის შეფასება

ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა შეაფასონ ბავშვის გამწესების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი ძირითადად ეხება მოვლის მიზნით სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლებას, იყოს დაცული და ისარგებლოს ფიზიკური თუ ფსიქიკური მკურნალობით, ასევე მიღებული პრაქტიკაა თავისუფლებააღკვეთილი ბავშვების გამწესების საკითხის შემოწმებაც. საუკეთესო შემთხვევაში ეს უნდა მოხდეს ორგანოს მიერ, რომელიც იმუშავებს ბავშვთან მისი განთავისუფლების შემდეგ, ჩვეულებრივ, პრობაციის ან სოციალური სამსახურის მიერ. თუმცა, ასეთი ორგანოების არარსებობის შემთხვევაში, ციხის ადმინისტრაციამ ან სასამართლომ თავად უნდა განახორციელონ პერიოდული შეფასება, რათა დადგინდეს, სათანადოა თუ არა ბავშვის გამწესების პირობები და კვლავ არსებობს თუ არა ბავშვისათვის თავისუფლების ჩამორთმევის რაიმე მიზეზი.

9.4. სასჯელაღსრულების დაწესებულების კადრებით დაკომპლექტება

სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ, რომ აუცილებელია არასრულწლოვანთა საპატიმრო დაწესებულებებში მხოლოდ გამოცდილი და კვალიფიციური კადრების მუშაობა და უნდა უზრუნველყონ ეს. დაწესებულების დირექტორი უნდა იყოს სათანადოდ კვალიფიციური თავისი ამოცანების შესრულებისათვის, ადმინისტრაციული შესაძლებლობებით, შესაფერისი მომზადებითა და გამოცდილებით, და სრული დატვირთვით (სრულ განაკვეთზე) უნდა მუშაობდეს.³⁰⁷

პერსონალი უნდა შედგებოდეს კვალიფიციური კადრებისაგან და უნდა შეიცავდეს ისეთ სპეციალისტებს, როგორებიც არიან პედაგოგები, პროფესიული ინსტრუქტორები, მრჩეველები, სოციალური მუშაკები, ფსიქიატრები და ფსიქოლოგები. საჭიროა თანამშრომლების მომზადება, რათა მათ თავიანთი მოვალეობები ეფექტიანად შეასრულონ, კერძოდ, თანამშრომლებმა უნდა გაიარონ ტრენინგი ბავშვის ფსიქოლოგიაში, ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებში და ბავშვთა უფლებებში, ჰავანის წესების ჩათვლით. ასევე, თანამშრომლებს ნასწავლი უნდა ჰქონდეთ ქცევის მართვის მეთოდები.

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ კადრები შერჩეული და დაქირავებული იყვნენ დიდი სიფრთხილით³⁰⁸. ასევე, მთელი პერსონალი სამსახურში აყვანამდე უნდა შემოწმდეს, რათა

³⁰⁶ პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები ითვალისწინებს, რომ თითოეულ პატიმარს გააჩნდეს მინიმუმ ერთი საათით მაინც ეზოში სათანადო ფიზიკური ვარჯიშის უფლება, თუ ამას ამინდი უწყობს ხელს (წესი 21(1)). და შემდეგ: "არასრულწლოვანი პატიმრები უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ფიზიკური და რეკრეაციული ტრენინგით ვარჯიშის დროს. ამისათვის საჭიროა სათანადო მოედნების, დანადგარებისა და ინვენტარის არსებობა." (წესი 21 (2))

³⁰⁷ ჰავანის წესები, 86-ე წესი.

³⁰⁸ იხ. ჰავანის წესების 82-ე წესი.

ადმინისტრაცია დარწმუნდეს, რომ არ არსებობს წარსულში მათ მიერ ძალადობის ჩადენის ან სექსუალური ხასიათის სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის შესახებ ჩანაწერი და ისინი შესაფერისი კადრები არიან ბავშვებთან მუშაობისათვის. დასაქმების პროცედურები და ტრენინგის გავლის მოთხოვნა შეტანილი უნდა იყოს მოქმედების წესებში ან სხვა სახის კანონქვემდებარე აქტებში.

9.5. თავისუფლება აღკვეთილი გოგონების მდგომარეობა

ჩვეულებრივ, ქალები ყოველთვის შეადგენდნენ პატიმართა უმცირესობას და გოგონებიც ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა მცირე პროცენტს წარმოადგენენ. ქალ პატიმრებს მამაკაცებისგან განსხვავებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, კვებითი, სოციალური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებები აქვთ და მათ მამაკაცი პატიმრებისაგან განსხვავებულად უნდა მოექცნენ. ქალთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებები ციხეში უფრო კომპლექსური და რთულია, ვიდრე მამაკაცებისა. მაგალითად, ქალ პატიმრებს შეიძლება პრობლემები შეუქმნას მენსტრუაციამ.³⁰⁹ დაბანისა და რეცხვის საკითხი უფრო საყურადღებოა ინფექციებისაგან თავის დასაცავად, ხოლო ბანაობისას მარტო ყოფნის შეუძლებლობამ შეიძლება მძიმე განცდა გამოიწვიოს. განსაკუთრებით საშიშელი და დამამცირებელია, როცა ქალ პატიმრებს ღია ტუალეტებით სარგებლობა უწევთ, მეტადრე ციხის მამაკაცი თანამშრომლების თანდასწრებით.

პატიმარ ქალებს შორის აღინიშნება “დეპრესია, შფოთვა, ფობიები, ნევროზი, თვითდასახიჩრება და თვითმკვლელობა”, რომლის დონეც ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაც პატიმრებში³¹⁰. ისინი ასევე უფრო დაუცველნი არიან ფიზიკური და სექსუალური ძალადობის წინაშეც.

პატიმარი გოგონების მძიმე მდგომარეობა საგანგებოდ აღინიშნა 2008 წლის 6-12 ოქტომბერს გამართულ კვირეულზე “ღირსება და მართლმსაჯულება პატიმართათვის”, როდესაც ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის სამსახურმა მოუწოდა დამსწრეებს, განსაკუთრებული ყურადღება მიეპყროთ ქალთა და გოგონათა უფლებების დაცვის საკითხისათვის³¹¹ და მიუთითა შემამოფოთებელ პრობლემებზე ქალებისა და გოგონების პატიმრობასთან დაკავშირებით: “პატიმარ ქალთა რაოდენობის არაპროპორციული ზრდა და კავშირი სიღატაკესთან; დისკრიმინაციული კანონები; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით სარგებლობის სიმცირე; მართლმსაჯულების აღსრულების სირთულეები; მამაკაცთათვის განკუთვნილ სისტემებში პატიმრობაში ყოფნის უარყოფითი გავლენა ქალებსა და გოგონებზე და პატიმარ ქალთა განსხვავებული საჭიროებები”.³¹²

პრინციპების ნაკრები აღიარებს ქალების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას და აცხადებს, რომ როდესაც ხორციელდება სპეციალური ზომები “მხოლოდ ქალთა უფლებებისა და სპეციალური სტატუსის დასაცავად, განსაკუთრებით კი ორსული ქალებისა და მეძუძური დედების, ბავშვთა და არასრულწლოვანთა უფლებებისა და სტატუსის დასაცავად ... [ეს] არ ჩაითვლება დისკრიმინაციულ ქმედებად”.³¹³ პრინციპების ნაკრები ქალებისთვის სპეციფიკურ სტანდარტებს განსაზღვრავს:

“1) იმ დაწესებულებებში, სადაც განთავსებულნი არიან როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, ქალების განყოფილება უნდა იყოს პასუხისმგებელი ქალი თანამშრომლის დაქვემდებარებაში. მისი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს ამ განყოფილებაში შესასვლელი ყველა კარის გასაღები.

2) მამაკაცი თანამშრომლები ქალთა განყოფილებაში დაიშვებიან მხოლოდ ქალი თანამშრომლების თანხლებით.

³⁰⁹ ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის (OHCHR); კვირეული “ღირსება და მართლმსაჯულება პატიმართათვის”. საინფორმაციო ფურცელი #5 “ქალები და გოგონები”, 2008 წ.

³¹⁰ იქვე.

³¹¹ იქვე.

³¹² იქვე.

³¹³ პრინციპების ნაკრების მე-5 პრინციპი.

3) პატიმარ ქალებზე ზრუნვა და ზედამხედველობა უნდა დაევალოთ მხოლოდ ქალ თანამშრომლებს. ამავე დროს, ეს არ უნდა უშლიდეს ხელს მამაკაც თანამშრომლებს, კერძოდ, ექიმებსა და მასწავლებლებს, შეასრულონ თავიანთი პროფესიული მოვალეობები ქალთა დაწესებულებებში ან ქალებისათვის გამოყოფილ ცალკე განყოფილებებში.³¹⁴

აღიარებდა რა, რომ ვითარება არასრულწლოვანი გოგონებისათვის კიდევ უფრო რთულია, ბავშვის უფლებათა კომიტეტმა განაცხადა: “გოგონების პრობლემები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში შეიძლება არ იქნეს სათანადოდ გათვალისწინებული, რადგან ისინი მცირე ჯგუფს წარმოადგენენ. აუცილებელია საგანგებო ყურადღების მიპყრობა განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვი გოგონებისთვის, მაგალითად, ადრე განცდილ ძალადობასთან ან ჯანმრთელობის სპეციალურ პრობლემებთან დაკავშირებით”.³¹⁵

ხშირად იმის გამო, რომ დამნაშავე გოგონების რაოდენობა მცირეა, მათი უფლება, იყვნენ ქალებისაგან განცალკევებულნი, ირღვევა. სახელმწიფოები აცხადებენ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით არარენტაბელურია სისტემაში მოხვედრილი მცირერიცხოვანი გოგონებისათვის ცალკე დაწესებულების აშენება. ბავშვის უფლებათა კომიტეტი არ ეთანხმება ამ არგუმენტს და იძლევა რეკომენდაციას, რომ ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც სახელმწიფოში არსებობს არასრულწლოვან გოგონათა მიერ დანაშაულის ჩადენის მცირე მაჩვენებელი, მათ უნდა უზრუნველყონ შესაბამისი სპეციალური დაწესებულებების არსებობა.³¹⁶

სამოქმედო წესები უნდა აღიარებდეს გოგონათა განსაკუთრებულ საჭიროებებს და შეიცავდეს ცალკე თავს გოგონათა შესახებ, რომელშიც დეტალურად იქნება ჩამოყალიბებული დებულებები მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ციტირებული იქნება პრინციპების ნაკრების შესაბამისი ნაწილები.

საილუსტრაციო მასალა 58: სპეციალური დებულებები პატიმარი გოგონების შესახებ

ფილიპინების არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის აქტი (2006) მოიცავს სპეციალურ დებულებებს მდებარეობითი სქესის ბავშვების დაცვის შესახებ:

მუხლი 47. მდებარეობითი სქესის ბავშვები - კანონთან კონფლიქტში მყოფ მდებარეობითი სქესის ბავშვებს, რომლებიც მოთავსებულნი არიან დაწესებულებებში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათი პირადი საჭიროებებისა და პრობლემების გათვალისწინებით. მათ მოემსახურებიან მდებარეობითი სქესის ექიმები, კორექციის ოფიცრები და სოციალური მუშაკები, და ისინი უნდა მოთავსდნენ კანონთან კონფლიქტში მყოფი მამრობითი სქესის ბავშვებისაგან განცალკევებით.

მუხლი 48. გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ტრენინგი - კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს არ მოემსახურებიან სარეაბილიტაციო და სასწავლო/სატრენინგო დაწესებულების ისეთი თანამშრომლები, რომელთაც არ ექნებათ გავლილი გენდერულ საკითხებზე ორიენტირებული ტრენინგი.

წყარო: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და სოციალური კეთილდღეობის აქტი, 2006 წ. რესპუბლიკის აქტი N 9344, 2006 წ. 28 აპრილი (ფილიპინები).

³¹⁴ პატიმართა მიმართ მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების 53-ე წესი.
³¹⁵ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007 წ.), პუნქტი 89.
³¹⁶ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშები კანადა (1994), გაეროს დოკ. CRC/C/11/Add.3; ისლანდია (1995), გაეროს დოკ. CRC/C/11/Add.6, ახალი ზელანდია (1995); ბრიტანეთი (1994), გაეროს დოკ. CRC/C/11/Add.1 და დასკვნითი შენიშვნები: კანადა (1995), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.37; ისლანდია (1996), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.50, ახალი ზელანდია (1997), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.71, შესაბამისად.

9.6. საზოგადოებაში დაბრუნება

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გაითვალისწინონ ბავშვის რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობა. გარდა ამისა, ჰავანის წესების 79-ე წესი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა უზრუნველყონ, რომ სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფმა ყველა ბავშვმა მიიღოს სარგებელი იმ წესებით, რომლებიც მიზნად ისახავს მათ დახმარებას გათავისუფლების შემდეგ საზოგადოებასა და ოჯახში დაბრუნებაში, განათლების მიღებაში ან დასაქმებაში.

იმისათვის, რომ ბავშვს მიეცეს საზოგადოებაში ინტეგრირების საშუალება, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებელი ადგილით, დასაქმებით, ტანსაცმლითა და მინიმალური საარსებო საშუალებებით განთავისუფლების შემდეგ. კანონმდებლობა ასევე უნდა მოითხოვდეს, რომ განთავისუფლებამდე ბავშვი მოამზადონ საზოგადოების წევრობისათვის. ბავშვის პატიმრობიდან განთავისუფლებისათვის მომზადების ამოცანა, ძირითადად, ეკისრება პრობაციის სამსახურს, სოციალურ სამსახურებს, ბავშვთა დაცვის სამსახურებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა ბევრ სახელმწიფოში ასეთი მომსახურება არ არის ადეკვატური ან არ არსებობს, რის გამოც ბავშვები ხდებიან უფრო მიდრეკილები, ჩაიდინონ განმეორებითი დანაშაული განთავისუფლების შემდეგ.

შესაბამის სამსახურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებთანაც გაფორმდება კონტრაქტი მომსახურების განწესებზე, კანონმდებლობამ უნდა მოსთხოვოს ოჯახთან და ბავშვთან მუშაობა განთავისუფლების გეგმის შემუშავების მიზნით განთავისუფლებამდე 2-3 თვით ადრე მაინც. უნდა მოხდეს როგორც ბავშვის, ასევე ოჯახის წახალისება ამ პროცესში თავიანთი წვლილის შესატანად. ასეთი გეგმა საშუალებას აძლევს ბავშვს, წარმოიდგინოს, როგორი იქნება ცხოვრება განთავისუფლების შემდეგ და ზუსტად იცოდეს, რა ელის განთავისუფლებისას.

9.7. ვადამდე განთავისუფლება

თუ ბავშვებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს, რომ საპატიმროში მათი მოთავსების საკითხი რეგულარულად იქნეს გადასინჯული და მიღებული იქნეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად აუცილებელია პატიმრობის გაგრძელება. პეკინის წესების წესი 28.1 ითვალისწინებს: “გამასწორებელი დაწესებულებიდან პირობით განთავისუფლება შესაბამისი ორგანოების მიერ გამოიყენება შეძლებისდაგვარად ფართო მასშტაბით და პატიმრობის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე”. წესი 28.2 კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს: “გამასწორებელი დაწესებულებიდან პირობით განთავისუფლებულმა არასრულწლოვნებმა უნდა მიიღონ დახმარება და იყვნენ შესაბამისი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ, ასევე უნდა მიიღონ მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან.”

ტერმინი “პირობითი” ნიშნავს, რომ საპატიმრო დაწესებულებას ან სასამართლოს შეუძლია დააკისროს ბავშვს პირობები, რომელთა დამორჩილებაც მას მოუწევს დაწესებული ვადის განმავლობაში. ბავშვს შეიძლება მოსთხოვონ გარკვეულ ადგილზე ცხოვრება ან საზოგადოებრივ პროგრამებში მონაწილეობა. შესაძლებელია, ბავშვს მოსთხოვონ სახლში დაბრუნება ყოველ საღამოს განსაზღვრულ დროს და გარკვეულ ადგილებში წასვლისაგან თავის შეკავება. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვზე დაკისრებული პირობების შესრულება რეალისტური იყოს და რომ ბავშვს სრულ მხარდაჭერას სთავაზობდეს ან პრობაციის ოფიცერი, ან სოციალური მუშაკი. თუ გათავისუფლებამდე არ დაგეგმილა ბავშვის საცხოვრებელი ადგილით უზრუნველყოფის, ფინანსური მხარდაჭერის და განათლების, დასაქმების ან საზოგადოებრივ პროგრამებში მონაწილეობის საკითხები, ბავშვს გაუჭირდება დაკისრებული პირობების შესრულება. აღნიშნული პირობების დარღვევა არ უნდა ნიშნავდეს დაუყოვნებლივ დაბრუნებას სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ამის ნაცვლად უნდა იწვევდეს შეთავაზებული მხარდაჭერის დონის და დაკისრებული პირობების გადასინჯვას.

9.8. მონიტორინგი (შიდა და გარე) და საჩივრები

ციხეებში და სხვა სასჯელსრულების დაწესებულებებში ბავშვების პატიმრობაში ყოფნასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ძირითადი შემამფოთებელი საკითხია ბავშვთა მფარველობისა და დაცვის ნაკლებობა.

იმისათვის, რომ უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების დაცვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების შესრულება, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ კანონმდებლობა, რომელიც ჩამოაყალიბებს დამოუკიდებელ ინსპექტირების სამსახურს. კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს ამ სამსახურის როლსა და ფუნქციებს, შეიცავდეს ჰავანის წესების 72-74 წესებში გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ: დამოუკიდებელი ინსპექტირების სამსახური არ უნდა ეკუთვნოდეს, არ უნდა იყოს ანგარიშვალდებული ან არ უნდა ექვემდებარებოდეს ადმინისტრირებას იმ დაწესებულების მხრიდან, რომელსაც ის ამოწმებს; ინსპექტირებს უნდა მიეცეთ უფლებამოსილება, აწარმოონ ინსპექტირებარეგულარულად და ჩაატარონ შეუთანხმებელი ინსპექტირება საკუთარი ინიციატივით; ინსპექტირებს უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს და შეუზღუდავად შეამოწმონ ყველა იმ დაწესებულების თანამშრომლები, სადაც იმყოფებიან ან შეიძლება მოთავსდნენ თავისუფლებად კვეთილი ბავშვები. ინსპექტირებს უნდა მოეთხოვოთ განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა დაწესებულებაში მყოფ ბავშვებთან კონფიდენციალურად გასაუბრებაზე.³¹⁷

გარდა ამისა, ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს უფლება, წარადგინოს მოთხოვნები ან გაასაჩივროს პირობები, მოპყრობა და მოვლა, მოთხოვნის ან საჩივრის არსის ყოველგვარი ცენზურის გარეშე, ცენტრალური ადმინისტრაციის, სასამართლო ხელისუფლების ან სხვა შესაბამისი დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე და პასუხთან დაკავშირებული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდოს. კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ბავშვები ინფორმირებულნი იყვნენ ამ მექანიზმზე და ადვილად შეეძლოთ მისი გამოყენება.³¹⁸

³¹⁷ იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 (2007 წ.), პუნქტი 89.

³¹⁸ იხ. წესები 31-37 და 72-79.

ნაწილი 9: პატიმრობის სტანდარტები: შემაჯამებელი ასპექტები

- კანონმდებლობაში, რომელიც არეგულირებს პატიმრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ფუნდამენტური პრინციპის სახით უნდა იყოს გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მიზანი - ბავშვის რეინტეგრაცია;
- კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს, რომ თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები უფროსებისგან განცალკევებით უნდა იქნენ მოთავსებულნი, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ ეს ეწინააღმდეგება მათ საუკეთესო ინტერესებს;
- სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ კარგად ჩამოყალიბებული წესები და რეგულაციები, ძირითადი კანონების თუ კანონქვემდებარე აქტების სახით, რომლებიც შეეხება პატიმარი ბავშვების მოთავსების ადგილების ფიზიკურ გარემოს, თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანების დაცვის წესების შესაბამისად;
- კანონმდებლობა, ჩვეულებრივ, წესების, რეგულაციების ან სამოქმედო ინსტრუქციების სახით, დეტალურად უნდა ადგენდეს დისციპლინურ ზომებსა და შეზღუდვის სახეებს, რომელთა გამოყენებაც დაიშვება პატიმარ ბავშვთან მიმართებაში, და რომლებიც აკრძალულია. კანონმდებლობა მკაცრ სანქციებს უნდა ითვალისწინებდეს აკრძალული დისციპლინური ზომებისა და შეზღუდვის გამოყენებისათვის;
- კანონმდებლობა მკაფიოდ უნდა კრძალავდეს პატიმარი ბავშვის ნებისმიერი ფორმით ფიზიკურ დასჯას ან მის მიმართ ფიზიკურ ძალადობას თანამშრომლების მხრიდან. უნდა განისაზღვროს მკაცრი სანქციები მათთვის, ვინც მიმართავს პატიმარ ბავშვთა მიმართ ძალადობას;
- ბავშვთა უფლება, შეინარჩუნონ კავშირი ოჯახთან გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი კანონებში ან კანონქვემდებარე აქტებში. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, გვხვდება სამოქმედო წესების ან რეგულაციების სახით ზოგადად ყველა სასჯელალსრულების დაწესებულებისათვის ან რომელიმე კონკრეტული დაწესებულებისათვის;
- ეროვნული კანონმდებლობა განათლებასთან დაკავშირებით საგანგებოდ უნდა ეხებოდეს სასჯელალსრულების დაწესებულებებში მყოფი ბავშვების განათლებას და უზრუნველყოფდეს, რომ შეთავაზებული განათლება შეესაბამებოდეს ბავშვის საჭიროებებსა და უნარებს;
- სავალდებულო სასკოლო ასაკზე უფროს ბავშვებს კანონმდებლობა უნდა აძლევდეს განათლების მიღების გაგრძელების საშუალებას;
- სამოქმედო წესებმა და რეგულაციებმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს ვარჯიშისა და რეკრეაციის საშუალება და უნდა იყოს დადგენილი დრო, რომელიც დაეთმობა ყოველდღიურ ვარჯიშს;
- სამოქმედო წესებითან კანონქვემდებარე აქტების რომელიმე სხვა ფორმით გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვანთა სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომელთა სამუშაოზე აყვანის პროცედურები და სავალდებულო ტრენინგები;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს გოგონების მოთავსება ისეთ დაწესებულებებში, რომლებიც აკმაყოფილებს მათ განსაკუთრებულ საჭიროებებს, ასევე უნდა უზრუნველყოს გოგონების მოთავსება უფროსი ასაკის ქალებისაგან განცალკევებით. გოგონების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა დეტალური მოქმედების წესები და რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს განსაკუთრებულ დაცვას, რომელიც გოგონებისათვის უნდა არსებობდეს, და განსაზღვრავდეს, ვინ უნდა იყოს პასუხისმგებელი დაცვის ასეთი სპეციალური ზომების განხორციელებაზე;
- პრობაციის სამსახურს, სოციალურ სამსახურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებთანაც გაფორმდება კონტრაქტი მომსახურების განწესებაზე, კანონმდებლობამ უნდა მოსთხოვოს ოჯახთან და ბავშვთან მუშაობა განთავისუფლების გეგმის შემუშავების მიზნით განთავისუფლებამდე 2-3 თვით ადრე მაინც. უნდა მოხდეს როგორც ბავშვის, ასევე ოჯახის

წახალისება ამ პროცესში თავიანთი წვლილის შესატანად. ასეთი გეგმა საშუალებას აძლევს ბავშვს, წარმოიდგინოს, როგორი იქნება ცხოვრება განთავისუფლების შემდეგ და ზუსტად იცოდეს, რა ელის განთავისუფლებისას;

- კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებას, განთავისუფლებისას უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებელი ადგილით, დასაქმებით, ტანსაცმლით და თავის რჩენის საკმარისი საშუალებით;
- კანონმდებლობამ უნდა დაადგინოს იმ პირობების ხასიათი, რომელთა შესრულება შეიძლება დაეკისროს ბავშვს ვადამდე განთავისუფლების შემთხვევაში;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ბავშვებისთვის ზედამხედველობის განწევა და მათი მხარდაჭერა პრობაციის ან სოციალური სამსახურების მხრიდან;
- კანონმდებლობის საფუძველზე უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელი ინსპექტირების სამსახური და განისაზღვროს მისი როლი და ფუნქციები.
- კანონმდებლობამ უნდა მოსთხოვოს საპატიმრო დაწესებულებათა ადმინისტრაციებს ან სასამართლოებს, რეგულარულად გადახედონ ბავშვის პატიმრობის საქმეს და განიხილონ ბავშვის პირობით განთავისუფლების შესაძლებლობა სასჯელის ვადის დასრულებამდე;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვები ინფორმირებულნი იყვნენ იმ მექანიზმის შესახებ, რომლის გამოყენებითაც მათ შეეძლება ცენტრალური ადმინისტრაციის, სასამართლო ორგანოს ან სათანადო დამოუკიდებელი ორგანოსთვის მოთხოვნების ან საჩივრების წარდგენა, და რომ ეს მექანიზმი მათთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს.

დანართი 1. წყაროები

შენიშვნა: გაეროს ოფიციალური დოკუმენტების ნახვა შეგიძლიათ ინტერნეტის მეშვეობით ვებგვერდზე: www.un.org/en/documents/ods/.

ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია, 1981 წლის 27 ივნისი; CAB/LEG/67/3 შესნ. 5, 21 I.L.M. 58 (1982).

ავსტრალიის კანონის გადასინჯვის კომისია, "ის, რაც ჩანს და ისმის: სასამართლო პროცესში ბავშვებისათვის პრიორიტეტის მინიჭება", 1977 წ.

გ. კაპელერი, ა. გრანჯანი, ი. ნაქვი (Cappelaere, G., Grandjean, A., Naqvi, Y.) "თავისუფლებაა ღრმადი ბავშვები: უფლებები და რეალობა", გამომცემლობა Jeunesse et droit, 2005 წ.

იხ. ბავშვთა სამართლებრივი ცენტრისა და გაეროს ბავშვთა ფონდის "ბავშვების ადმინისტრაციული პატიმრობა: გლობალური ანგარიში", ნიუ-იორკი, 2011 წ., შესავალი.

ჩიპრიანი, დ. "ბავშვთა უფლებები და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი: გლობალური პერსპექტივა", აშგატი, 2009.

ევროპის საბჭო

- ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1950 წლის 4 ნოემბერი, ETS
- თავშესაფრის მაძიებელთა დაკავების ზომებზე მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec (2003) 5 ნეერი ქვეყნებისთვის, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 16 აპრილს მინისტრთა მოადგილეების 837-ე შეხვედრაზე, პუნქტი 20.

კუნენი, კ. (Cunneen, C.) და უაიტი, რ. (White R.) „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: ავსტრალიის პერსპექტივა“, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მელბურნი, 1995 წ.

ელისონ, ლუის, (Ellison, Louise,) „ჯვარედინი დაკითხვა და შუამავალი: ენით გამონვეული გათიშულობის გამთლიანება?“, სისხლის სამართლის მიმოხილვა, 114, 118, 2002.

„ჰიუმან რაიტს უოჩის“ „ბოლო შენინააღმდეგება: ირანში, საუდის არაბეთში, სუდანში, პაკისტანსა და იემენში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯის შეწყვეტა“, 2008 წლის სექტემბერი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო დამკვირვებელი, „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების იურიდიული დახმარების კამპანია იტალიასა და ნორვეგიაში“ (დაუთარილებელი).

საპარლამენტათმორისო კავშირი და გაეროს ბავშვთა ფონდი, „ბავშვთა დაცვა: სახელმძღვანელო პარლამენტარებისათვის, საპარლამენტათმორისო კავშირი, № 7“, ჟენევა, 2004წ.

ჯონსტონი გ. (Johnstone G.) „აღდგენითი მართლმსაჯულება: იდეები, ღირებულებები, დებატები“, 2002 წ.

კლაუსი ჯ.ფ. (Klaus, J.F.) სახელმძღვანელო პრობაციის სამსახურებზე: სახელმძღვანელო პრინციპები პრობაციის სფეროში დაკავებული პრაქტიკოსებისა და მენეჯერებისათვის, გაეროს რეგიონთაშორისი დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევითი ინსტიტუტი (დაუთარილებელი).

არაბული ქვეყნების ლიგა, არაბული ქარტია ადამიანის უფლებების შესახებ, 1994 წლის 15 სექტემბერი, ძალაშია 2008 წლის 15 მარტიდან.

ლაიბმანი მარიან (Liebmann, Marian), აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციის დანერგვა და მსხვერპლი-დამნაშავის მედიაციის პრაქტიკა სერბეთსა და ჩერნოგორიაში პროექტის „ცვლილებების შანსი ბავშვებისათვის“ - სერბეთსა და ჩერნოგორიაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის ინიციატივის - ფარგლებში“, 2011 წ.

მანი, ნ. „მოხსენება ბავშვების შესახებ: ნამება და ძალაუფლება“, ნამების საინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT) და ორგანიზაცია Save the Children (გადავარჩინოთ ბავშვები), 2000 წ.

მორის, ა და მაქსველი, გ. (Morris, A. and Maxwell, G) „აღდგენითი მართლმსაჯულება ახალ ზელანდიაში: საოჯახო ჯგუფის კონფერენციები - პრეცედენტის კვლევა“, დასავლური კრიმინოლოგიის მიმოხილვა, 1998 წ.

სოციალური კეთილდღეობის ეროვნული საბჭო, “მკვიდრი ხალხების, მეტისი და ინუიტი ბავშვები და ახალგაზრდობა: მოქმედების დრო”, 2007 წ.

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი (OHCHR); კვირეული „ღირსება და მართლმსაჯულება პატიმართათვის”, საინფორმაციო ფურცელი #5 „ქალები და გოგონები“, 2008 წ.

აფრიკის კავშირის ორგანიზაცია, აფრიკის ქარტია ბავშვთა უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ. 1990 წლის 11 ივლისი, CAB/LEG/24.9/49 (1990).

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია

- ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია, ე.წ. „სან-ხოსეს პაქტი“, კოსტა-რიკა, 1969 წლის 22 ნოემბერი, OAS, ხელშეკრულებათა პერიოდული კრებული, N 36, ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს.
- ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ამერიკული დეკლარაცია, 1948 წლის 2 მაისი, OAS რეზოლუცია XXX, მიღებული ამერიკის სახელმწიფოების მეცხრე საერთაშორისო კონფერენციის მიერ, ბოგოტა, კოლუმბია, 1948 წ.

პიჩი დ. (Peachey D.) “კიჩენერის ექსპერიმენტი”, ჯონსტონი გ.ა. (Johnstone G. A.) აღდგენითი მართლმსაჯულების კრებული: ტექსტები, წყაროები, კონტექსტი, 2003 წ.

ფინეირო პაულო-სერჟიო „მსოფლიო მასშტაბის მოხსენება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე“ 2006 წ., გვ 175, 197.

სეივიცი კ. (Saywitz, K) სამართლებრივი სისტემის ბავშვთა კონცეფცია: “სასამართლო - კალათბურთის თამაშის ადგილი” (გამომც.) სიჯეი ჩეჩი; დ.ფ. როსი, მ.პ. ტოლია, (S. J. Ceci, D. F. Ross, M. P. Toglia) ბავშვთა ჩვენებების პერსპექტივები, ნიუ-იორკი: სპრინგერ ვერლაგ (Springer Verlag) 1989.

სეიმორი, ჯ (Seymour, J.) ახალგაზრდა პატიმრებთან მუშაობა, იურიდიული წიგნების კომპ., სიდნეი, 1988.

გაერო

- ძირითადი პრინციპები სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ, მიღებული 1990 წლის 7 სექტემბერს დამნაშავეთა მიმართ მოპყრობისა და დანაშაულის პრევენციის შესახებ გაეროს მერვე კონგრესის მიერ, ჰავანა 1990 წლის 27 აგვისტოდან 7 სექტემბრის პერიოდში, U.N. დოკ. A/CONF.144/28/შესნ.1.
- ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპების ნაკრები, გაერო GAOR A/RES/43/173, 1988 წლის 9 დეკემბერი.
- კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, 10 დეკემბერი 1984 წ., გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხელშეკრულებათა ნაკრები, ტ. 1465, გვ. 85, მიღებულია და ღია ხელმოწერისთვის, რატიფიცირებისა და მიერთებისათვის გენერალური ასამბლეის 1984 წლის 10 დეკემბრის N 39/46 რეზოლუციით, ძალაში შესულია 1987 წლის 26 ივნისს.
- კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ: 1979 წლის 18 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/34/180.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია, მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ 2007 წლის 24 იანვრის რეზოლუციით, გაერო, GAOR A/RES/61/106.
- ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია, მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 1989 წლის 20 ნოემბრის # 44/25 რეზოლუციით. ძალაში შევიდა 1990 წლის 2 სექტემბერს;
- დეკლარაცია სასამართლოს დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, მიღებულია გაეროს დანაშაულის საწინააღმდეგო და სამართალდამრღვევთა მიმართ მოპყრობის შესახებ მეშვიდე კონგრესის მიერ, რომელიც გაიმართა მილანში 1985 წლის 26 აგვისტოს -6 სექტემბრის პერიოდში, ძალაში შევიდა: გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის UNGAOR40/32 და 13 დეკემბრის UNGAOR40/146 რეზოლუციებით;
- სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო, 1997 წლის 21 ივლისი, რეზოლუცია 1997/30.
- სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ: 1990 წლის 14 დეკემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/112.

- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, რომელიც მიღებული იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2200A (XXI) რეზოლუციით 1966 წლის 16 დეკემბერს და ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს.
- **ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, 1966 წლის 16 დეკემბერი, მიღებულია და ღიაა ხელმოწერისთვის, რატიფიცირებისა და მიერთებისათვის გაეროს გენერალური ასამბლეის 1966 წლის 16 დეკემბრის 2200A (XXI) რეზოლუციით, გაეროს ხელშეკრულებათა კრებული, ტ. 993, გვ. 3.**
- წესები თავისუფლებადაკვეთილი არასრულწლოვანი პირების დასაცავად: გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/45/113, დანართი 45, UN GAOR დამ. (N 49A) და 205, UN Doc. A/45/49 (1990).
- გაეროს მეექვსე კონგრესი დანაშაულის პრევენციასა და დამნაშავეთა მიმართ მოპყრობაზე - მეექვსე კონგრესის ანგარიში, რომელიც შეიცავს კონგრესის მიერ მიღებულ პროცედურების რევიზიას, დასკვნებსა და რეკომენდაციებს - ანგარიში მომზადებულია სამდივნოს მიერ. გაეროს დოკ. A/CONF.87/14/Rev.1, 1980 წ. 25 აგვისტო-5 სექტემბერი.
- არასაპატიმრო ღონისძიებათა სტანდარტული მინიმალური წესები, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის 14 დეკემბერს GAOR A/RES/45/110.
- სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ: 1985 წლის 29 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია UN GAOR A/RES/40/33.
- პატიმრების მიმართ მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები, მიღებული ჟენევაში 1955 წელს გამართული დანაშაულის პრევენციისა და დამნაშავეების მიმართ მოპყრობის თემაზე გაეროს პირველი კონგრესის მიერ და დამტკიცებული ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციითა და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით.
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს პარიზში.

გაეროს ბავშვთა ფონდი; „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში დაკარგული - კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“, 2008 წ.

გაეროს ბავშვთა ფონდი/გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ინდიკატორების გაზომვის სახელმძღვანელო; 2007 წ.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია

- უკანონო დაკავების სამუშაო ჯგუფის ანგარიში (1996), U.N. Doc. (გაეროს დოკ.) E/CN.4/1997/4, პუნქტი 87, E/CN.4/1992/20
- რეზოლუცია 2001/62, წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი (2001), გაეროს დოკ. E/CN.4/RES/2001/62.

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR), ზოგადი კომენტარი N20 (2009), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ (მუხლი 2, პუნქტი 2, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 2 ივლისი 2009 წ., გაეროს დოკ. E/C.12/GC/20.

გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი

- დასკვნითი შენიშვნები: სუდანი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.190; ანდორა (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.176; ანტიგუა და ბარბუდა (2004), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.247; ბაჰამის კუნძულები (2005), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.253; ბელარუსი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.180; ბენინი (1999), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.106; ბოლივია (2005), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.256; კანადა (2003), U.N დოკ. CRC/C/15/Add.215; კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (2001), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.153; დანია (1995), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.33; ეთიოპიაში (2001), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.144; საბერძნეთი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.170; კორეას სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (2004), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.239; ნიგერია (1996), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.61; მალტის (2000), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.129; მოზამბიკი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.172; ნიდერლანდების სამეფო (ჰოლანდია და არუბის) (2004), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.227; სუდანი (2002), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.190.
- მონაწილე სახელმწიფოების მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად წარმოდგენილი მოხსენებების განხილვა; დასკვნითი შენიშვნები: ერითრეა (2003) გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.204.

- ზოგადი განხილვის დღე ბავშვის უფლებაზე, იყოს მოსმენილი, ორმოცდამესამე სესია, 2006 წლის 11-29 სექტემბერი.
- ზოგადი კომენტარი N1 (2001), განათლების მიზნები, გაეროს დოკ. CRC/GC/2001/1.
- ზოგადი კომენტარი N 5 (2003), ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები, გაეროს დოკ. CRC/GC/2003/5.
- ზოგადი კომენტარი N 6 (2005), თანმხლების გარეშე და მარტო მყოფი ბავშვებისადმი მოპყრობა მათი ქვეყნის გარეთ. გაეროს დოკ. CRC/GC/2005/6.
- ზოგადი კომენტარი N 8 (2006): ბავშვების უფლება, იყვნენ დაცულნი ფიზიკური სასჯელის, სხვა სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი სასჯელის ფორმების გამოყენებისაგან (მუხ. 19; 28, პუნქტი 2; და 37, inter alia) (2007), გაეროს დოკ. CRC/C/GC/8.
- ზოგადი კომენტარი No10 (2007), ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, გაეროს დოკ. CRC/C/GC/10.
- ზოგადი კომენტარი N12 (2009), პუნქტი 12. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი განხილვის დღე ბავშვის უფლებაზე, იყოს მოსმენილი, ორმოცდამესამე სესია, 2006 წლის 11-29 სექტემბერი.
- ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები მონაწილე სახელმწიფოების მიერ კონვენციის (1996) 44-ე მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე წარსადგენი პერიოდული მოხსენებების ფორმასა და შინაარსზე, გაეროს დოკ. CRC/C/58, მიღებული ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 343-ე შეხვედრაზე (მე-13 სესია).
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია (1995), გაეროს დოკ. CRC/C/43.
- მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშები, კანადა (1994), გაეროს დოკ. CRC/C/11/Add.3; ისლანდია (1995), გაეროს დოკ. CRC/C/11/Add.6, ახალი ზელანდია (1995); ბრიტანეთი (1994), გაეროს დოკ. CRC/C/11/Add.1 და დასკვნითი შენიშვნები: კანადა (1995), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.37; ისლანდიის (1996), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.50, ახალი ზელანდია (1997), გაეროს დოკ. CRC/C/15/Add.71.
- 146-ე შეხვედრის შემაჯამებელი ჩანაწერი : ჩილე, 19 აპრილი 1994, გაეროს დოკ. CRC/C/SR.148.

გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო

- ძირითადი პრინციპები სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების შესახებ, 2000 წლის 27 ივლისი, გაეროს დოკ. E/2000/INF/2/Add.2.
- რეზოლუცია 2002/12: ძირითადი პრინციპები სისხლის სამართლის საქმეებზე აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების გამოყენების შესახებ, 2002 წლის 24 ივლისი, 2002/12.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, ბავშვთა უფლებები: გენერალური მდივნის შენიშვნა (2006), გაეროს დოკ. A/61/299.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი

- ზოგადი კომენტარი N13: მუხლი 14 (მართლმსაჯულების განხორციელება), თანასწორობა სასამართლოების წინაშე დაკანონით დადგენილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება (1984).
- ზოგადი კომენტარი N20: მუხლი 7 (წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) (1992), ცვლის ადამიანის უფლებათა კომიტეტის N7 ზოგადი კომენტარის მე-7 მუხლს (წამების ან სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) (1982).
- ზოგადი კომენტარი N32, მუხლი 14, სასამართლოების და ტრიბუნალების წინაშე თანასწორობის და სამართლიანი სასამართლოს უფლება (2007), გაეროს დოკ. CCPR/C/GC/32.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონის მოდელი, 2011.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო/გაეროს ადამიანთა დასახლების ცენტრი (ჰაბიტატი) “დანაშაულის პრევენციის შეფასების იარაღი”, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ-იორკი, 2009 წელი.

უანჩაი როუჯანავონგი (Wanchai Roujanavong)-ტაილანდის იუსტიციის სამინისტროს არასრულწლოვანთა სადამკვირვებლო და დაცვის დეპარტამენტის გენერალური დირექტორი, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში ოჯახისა და საზოგადოების ჯგუფის კონფერენცია, ტაილანდი, 2005 წ.

უაიტკამპი, ე.გ.მ. (Weitekamp, E.G.M.) “აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორია”, ჯონსტონი გ.ა. (Johnstone G. A.) აღდგენითი მართლმსაჯულების კრებული: ტექსტები, წყაროები, კონტექსტი, 2003 წ.

ბავშვთა
დაცვის
მინისტროს

სახელმძღვანელო დოკუმენტი

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების
საკანონმდებლო რეფორმის
სახელმძღვანელო მიმართულებები**

ქელონი ჰამილტონი

